

ქვირის პალიტრა



N35(64) 30/VIII.-5/IX.2001. ფასი 60 თ.

1.3.

**სექტემბრის სინდრომი
აუსილუბელი რჩევები
გეოგრაფს**

1168
2001



**ვასბანო გოჭორიშვილის
სიყვარულის
უკანასკნელი აკორდი**



**სვანი ტენორი
უიუფველმა
ლაშაზმანმა
დაამუნჯა**



**ნამღვილი აბგავი —
საიქოდან
გაგონილი ხმა**

ზაზა ხუციშვილი —
ყველაზე უბამოვნოდ ჩასმული
ქართული მომღერალი
გვ.20



მინიატურები

სწავლა, სწავლა და სწავლა!!! 3

პოზიცია

გიგა ბოკერიძე: „საგოგადოების სერიოზული გაღიზიანება ყველაზე ნაკლებ პრობლემად მიმაჩნია“ 4

განმორება

ვახტანგ ბოჭორიშვილის სიყვარულის უკანასკნელი აქორდი 7

დასვანი

რატომ არ მოჰყავს ხივრი ალღამოვს მესხრა ცოლი? 9

ანტიდაპრასანტი

ინფორმაციულ-შედეგებითი კოლაჟი გორა ღვალის უბის წიგნაქიდან 12

ხსოვრება

ვინ შეუშლის ხელს ტყუპი დის შესვენვლას?! 12

ჯამბაზი

ბიორგი შავგულიძის ნათელუმა საგლვარბარეთ მსახიობობას ქობულეთში ჯამბაზობა აეჯობინა 14

საქმა

„საშინელ ცოლვას არ ჩავდივარ, მაგრამ ტკივილს სომ მაინც ვაყენებ ვიღაცას...“ 17

სასარგებლო აზრები

აფორიზმების ენციკლოპედია 19

გვლუა

ყველაზე უზემოვნოდ ჩანებული ქართული მოგზაური მამაკაცი 20

ნაფიქლი აზრები

„მარიამული“ იღვა და საიქიოდან გაბონილი ხმა 23

აღმიათი

ავსტრიის საგლვართან ქართული აქსორტი და ღოლარები ჩავმარხე 24

ტალანტი

სვანი ტენორი საამება შეუველა ლამაზმანა ღაამუნჯა 27

უსიქლოგიური თაგაი

როგორ განწყობაზე ხართ? 30

სამყარი

წითური არსება, რომელსაც ალში ჰქვია... 32

წინდაწინა

„წინამურში რომ მოკლეს ილია...“ 34

ვახტანგ ბოჭორიშვილის სიყვარულის უკანასკნელი აქორდი




„როცა გავუკეთებთ გამაყუჩებელს, მხოლოდ სუნთქავს, მე გვერდით დავუწვები და ვუსმენ, როგორ სუნთქავს...“ – მიაშობ-და ბატონი ვახტანგი თავისი მეუღლის სიკვდილის წინა დღეს...

7

სვანი ტენორი საამება შეუველა ლამაზმანა ღაამუნჯა

ჩვენება დამთავრდა, იუდაშკინის ლამაზმანები კულისებში შევიდნენ და ჩვენი ჯერიც დადგა. აღმოჩნდა, რომ სცენაზე გავლა მხოლოდ კულისებიდან შეიძლებოდა. მაგრამ უეცრად, იუდაშკინი გადაგვეღობა: სად მიდიხართ, იქ შიშველი გოგონები არიანო.



27

სექტემბრის სინდრომი




სწავლის დაწყების პირველ კვირას ბავშვები გაღიზიანებული არიან, ადვილად იღლებიან, ცუდად ჭამენ, სკოლის შემდეგ ერთი სული აქვთ, დასაძინებლად წამოწვნენ. როგორ მოვიქცეთ, რათა ამ რთულმა თვემ მშვიდად ჩაიაროს?

52

საზოგადოების სერიოზული გაღიზიანება ყველაზე ნაკლებ პრობლემად მიმაჩნია

არ მიმაჩნია ქრისტიანად არც ერთი ადამიანი, რომელიც ისე ცხოვრობს, როგორც ბატონი ბასილ მკალავიშვილი. მე მას მამა ბასილს არ ვეწოდებ, რადგან ყოველდღე სისხლის სამართლის დანაშაულს სჩადის. მისი წყევლის შიშზე ლაპარაკიც კი ბედმეგია.



4

საბანური

თრიალეთის ორი უპვირფასესი თასისა და ერთი ტრაგიკული სიყვარულის ამბავი 36

უსიჩაზი

„ის სომ ცოდნის ნამღვილი სიკვალეთა მუგაუმიან...“ 37

პარსკლავები

ეჭიფება ვანესას ფხეხთან მიიყვანას – ჯონის ლოყაგვი ღვარად ჩამოსდიოდა სრამელები... 40

ფორპარი

ბაბრიელ ბატისტუტა: „ბრძელი თმა მქონდა თუ მოკლე, ყოველთვის გამქონდა გოლები...“ 43

რომანი

ბესიკ კეკელიძე, ქალი-ობობა (ბაბრძელეზა) 46

ავტო

ვის როგორი მანქანა უყვარს 50

ჯანმრთელობა

- სექტემბრის სინდრომი 52
- ღიასახლისის კუთხე – სვენიური საფარეულო 53
- შაქრიანი ღიააბები 54
- სხვადასხვა 55
- კითხვა-პასუხი 55

მუხნოვანი

ალისტერ კროული, მატსახელად მხანი 56

ტანტი

ერთგული მკითხველი 59

ვიატორინა

ღაისვენეთ, ბაერთეთ, ივარჯიშეთ! 60

სანოორღი

კვირის (3-9 სექტემბერი) 61

პოროსკოვი

კვირის (3-9 სექტემბერი) ასტროლოგიური პროგნოზი 62


ტანტი

მხოლოდ ქალებისთვის: როგორი ღიასახლისი ხართ? 63

კალიდოსკოვი

ჰრელ-ჰრელი ამბავი 64

რატომ არ მოკვამს ხიზრი აღღამოვს მხხრა ცოლი?




„მერე ქისგზე, მერე ოსზე, მერე... მოკლედ, ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. ჩემი ბოლო ცოლი გამორჩეულად მიყვარდა. ის ინგუშია, ძალიან ჭკვიანი ქალია. იმდენად ჭკვიანი, რომ მოგჯერ, მის რჩევასაც კი ყურს ვუგდებდი.“

9


„საუნიელ ცოდვას არ ჩაგლივარ, მებრამ ტიპილს სომ მაინს ვაყენებ ვიღასას...“

ტატუირება სულ უფრო პოპულარული ხდება ჩვენში. მან ძირითადად, ახალგაზრდები გაიგაცა, თუმცა, სოლიდური, ასაკოვანი ადამიანებიც იკეთებენ ხოლმე სვირინგებს. როგორც ბაზარს სწვევია, როცა მოთხოვნა ჩნდება, ის კმაყოფილდება კიდეც.



17

მქიფება ვანესას ფხეხთან მიიყვანას – ჯონის ლოყაგვი ღვარად ჩამოსდიოდა სრამელები




ვოგონამ, რომლის სახელის გამოთქმაც ჯონის უჭირდა და ვენესი შეარქვა, უამბო, რომ 14 წლის ასაკში თავისი პირველი მილიონი გამოიმუშავა, 16 წლისამ კი მამაკაცთან დაიწყო ცხოვრება. მას ვერ იგანდნენ თანასკოლელი ვოგონები და მათი დედები.

40

ქართული-ობობა

გიორგიმ მძლოლს ფული გადაუხადა და გაუშვა. თვითონ მერისთან ერთად სადარბაზოში შევიდა და ზარი დარუკა. მიუხედავად იმისა, რომ ბინიდან ფულის ხმა და საუბარი ისმოდა, კარი არავინ გაუღო.



46

გარეკანზე: გიორგი შორჭოლიანის კოლაჟი


საქართველოში-პოლიტიკური შურნალი „გზა“ გაყოლის კვირავი მრგვალი, სუთუაბათობით „გაჯეთ“ კვირის კალიტრის“ დამატება

შურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.

მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
 რედაქტორი: გონა ტყეშელაშვილი
 მენეჯერი: კიაზო ბინინაშვილი

მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8 ტელ: 33-50-32
 შურნალი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“

სწავლა, სწავლა და სწავლა!!!



„სადილიც, ღვთის მადლით, გადავაგორეთ...“ – ცხონებული ლუარსაბ თათქარიძის ამ უკვდავი გამონათქვამის პერიფრაზი რომ ვიხმართ – ღვთის მადლითა თუ რაღაც სასწაულით, ზაფხული გადავაგორეთ და ახლა შემოდგომაზეც („ვახშამზეც“) უნდა ვიფიქროთ.

ჰოდა, როგორც თათქარიძეებისთვის იყო ცხოვრებისეული და აქტუალური კითხვა: „ვახშამად – ჩიხირთმა თუ ბოზბაში?!“, სწორედ ისეთი დილემის წინაშე ვიდექი მეც, – რა „შემომეპროვოკატორებინა“ თქვენთვის: ახალი სასწავლო წელი თუ კვლავ პოლიტიკა.

თუმცა, როგორც არაერთხელ, ისევ ქართული ლიტერატურის კლასიკა დამეხმარა: ლუარსაბი და დარეჯანი ხომ დიდი დავა-კამათისა და „თართ-ორაგულობანას“ შემდეგ შეთანხმდნენ, რომ თუ გული გულობს, ჩიხირთმა და ბოზბაში ორივე ხელით იჭმევა, თანაც უკოვზოდ. ამიტომ პოლიტიკისა და სკოლის გაერთიანებაც, თუნდაც ალეგორიულად, არ უნდა გავვიჭირდეს. მით უმეტეს, რომ, თუ ვახსოვთ, საქართველოს პრეზიდენტი ადრე უკვე შეეპყრო „ღებების სკოლის“ დირექტორს („მოსწავლეთა“ სიაც თან ერთვოდა).

პირველი სექტემბერი (თუმცა ბოლოჟამინდელი ნოვაციის მიხედვით, პირველი სექტემბერი წელსაც „არ მოუწია“ პირველ სექტემბერს)... რამდენი სითბო და ბავშვური სიხარული გაგახსენდება კაცს... დღე, როდესაც „ოროსნიან-ხუთოსნიანა“ ყველას უხაროდა სკოლაში მისვლა. საპირველსექტემბრო ანციობებიც გეხსომებათ... სხვა სკოლებისა არ ვიცი და, ჩვენ პირველ სექტემბერს ყოველთვის დირექტორს „ვუჩალიჩებდით შტუკებს“ – ხან თავისი კაბინეტის კარის გასაღების ჭურჭრუტანა ხვდებოდა საღებუ რეზინისა და პლასტელინის ნაზავით ამოქოლილი, ხან მის მისაღებში მდგარ ლენინის ბიუსტს ვახატავდით თავზე ბაყაყს წითელი საღებავით, ხან წებოს დავუსხამდით ხოლმე კართან და ხანაც „წერილობით ულტიმატუმს“ ვუგზავნიდით – თუ ამა და ამ ხალხს არ გააგდებ სკოლიდან, ჩვენი ფეხი აღარ იქნება აქო და დარაჯიან-ფიზკულტურის მასწავლებლიანა, ყველას ჩამოვთვლიდით ხოლმე.

ყველაფრის მთავარი მიზეზი კი ის გახლდათ, რომ პირველი სექტემბერი ერთადერთი დღე იყო, როდესაც ჩვენი მკაცრი დირექტორი ამგვარ ცელქობას გვპატიობდა...

ესეც ასე... ზემოთ ნახსენებ ალეგორიამდე თუ პარალელამდე მივდივით:

საპირველსექტემბროდ ჩვენს „ღებლების სკოლის“ დირექტორსაც მოუშადას „შტუკები“ თავისმა მოსწავლეებმა, თანაც სულ „ფრიადოსნებმა“ და „ყოფაცვეცის წარჩინებულებმა“: ჯერ იყო და, მესამე საპრეზიდენტო არჩევნებისკენ გასასვლელი

კარის ჭურჭრუტანა ამოუქოლეს, თანაც კევით კი არა, კარგად გადაღებულ საარჩევნო კანონსა და კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანაზე კატეგორიული პროტესტით, შემდეგ ბაყაყი კი არა, ლამის მისი ყველა ფავორიტი მინისტრი და მათი სახლ-კარი დაახატეს თავზე, ბოლოს თავის ადგილზე დააწებეს და ისეთი „ღია წერილი“ აახლეს, რომ ჩემი ბავშვობის დროინდელი „ულტიმატუმი დირექტორს“ გასახსენებლად არ ღირს (ხელს ჩვენს იმ წერილსაც ერთი კაცი აწერდა ხოლმე, მაგრამ ყველა „ღებილი ბავშვი“ რომ ერთსულოვანი ვიყავით, მისი შინაარსიდანაც ჩანდა): ესა და ეს მინისტრები თავიანთი მოადგილეებიანა გაათავისუფლეს, სახლ-კარი „აახიე“, ბოლო დროს მოსუქებულ ადგილებში წიხლი ამოჰკარი, თორემ ჩვენ თვითონ გავაკეთებთ ამას და ვინძლო შენც არ მიგაყოლოთ!!!

ჩვენი დირექტორისა არ იყოს, ამასაც „კეთილად“ გაელიმა: როგორი ნიჭიერი და თამამი თაობა მოდიოდა, და ყველაფრის შესრულებას დაჰპირდა...

P.S. ყოველ პირველ სექტემბერს გვავიწყებოდა, რომ „პირველი სექტემბერი“... მაქსიმუმ ხუთ სექტემბრამდე გავრძელებოდა... ერთ კვირაში თავებდს ვიწყველიდით ხოლმე და, რაც მთავარია, „მთავარი ეგზეკუტორი“ კი არ ჩანდა სცენაზე, არამედ ჩვენ მიერ „ჩაშვებული“ მასწავლებლები გვიხდიდნენ თავიანთი წილ სამაგიეროს...

ჰოდა, ისეთი სუნი მცემს, რომ ამათი ხუთი სექტემბერიც მალე მოვა...

P.P.S. წინა ნომერში ჩემი „პროვოკაცია“ ვინც წაიკითხა, ეხსომება, რომ რაღაც აღსარების მაგვარი გამოგზავნე მთიდან, სადაც დამსახურებულად ვისვენებდი, იმასაც ვწერდი, აღარავის „უშუბენ“-მეთქი. აქ რომ ჩამოვვდი, იმ ჩემს „აღსარებაზე“ ერთი ძველი ანეკდოტი გამახსენდა: კახელი მეთაუე სართულ-იდან ჩამოვარდა. მოფრინავს და ღმ-

ერთს ევედრება: „ღმერთო, ოღონდ ახლა გადამარჩინე და ღვინო აღარ დავლევ... ოღონდ გადამარჩინე და თებროსთან აღარ ვივლი... ჯანდაბას, ოღონდ გადამარჩინე და მიხოს ვირსაც ახლოს აღარ გავეკარები...“ ბოლოს და ბოლოს, ჩამოვარდა და... გადარჩა! ადგა, დაიფერთხა ტანსაცმელი და ჩაილაპარაკა: „ჰაერში ე რა ღურაკული აზრები მამდიოდა თავში?!“

ჩემი საქმეც ეგრეა: რა აღსარება, რის აღსარება – მთაში მომდიოდა „ღურაკული აზრები“, თორემ ამათ შემხედვარეს, „პროვოკაცია“ კი არა, დელ-მამის სულს რომ არ ვუტრიალებ, არ ვიკვირო?!

პროპოკატორი

თავისუფლების ინსტიტუტის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური წარმომადგენელი გიგა ბოკერია პირადად ჩემთვის ერთ-ერთი ყველაზე რთული რესპონდენტი აღმოჩნდა. მასთან საუბრისას, ხანდახან, ისიც კი მეჩვენებოდა, რომ ზედმეტად გამჭვირვალე, მაგრამ აბსოლუტურად სმაგაუმტარი კედელი გვყოფდა. თუმცა, მთლიანობაში, ერთმანეთს ხმა მაინც „მივანვდინეთ“ და ეს ინტერვიუც შედგა...



გიგა ბოკერია: საზოგადოების სერიოზული გაღიზიანება ყველაზე ნაკლებ კროზლიმად მიმდინარეობს

რუსულან ლებანიძე

— გიგა, იქნებ ფართო მკითხველისთვის კიდევ ერთხელ აგესხნათ, მაინც ვინ ხართ თავისუფლების ინსტიტუტის წევრი და რა მიზნებს ისახავთ საქართველოში?

— ჩვენი ორგანიზაცია კონკრეტული მიმართულების მქონე არასამთავრობო ორგანიზაციაა. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს არის უფლებდაცვითი ორგანიზაცია. მართალია, სიტყვა „უფლებდაცვითი“ ოურიდული ტერმინი არ არის, მაგრამ, შინაარსობრივად, ჩვენს მიზნებს ყველაზე კარგად გამოხატავს. თავიდან აქცენტი სიტყვის თავისუფლებაზე გვექონდა აღებული. შემდეგ ჩვენი ინტერესთა სფერო გაფართოვდა და ისეთი საკითხებიც მოიცვა, როგორიცაა წინასწარი პატიმრობა, პოლიციის სისასტიკე, ეკონომიკური რეფორმები და ანტიკორუფციული საქმიანობაც. თუმცა, მთავარი მაინც სამოქალაქო უფლებები და, პირველ რიგში, სიტყვის თავისუფლება დარჩა. აქვეა რწმენის თავისუფლება, პრესის თავისუფლება და ასე შემდეგ...

— რამდენი თანამშრომელი გყავთ და როგორია მათი საშუალო ხელფასი?

— თანამშრომელთა რაოდენობა არასოდეს შეგვიზღუდავს, თუმცა, ათ კაცზე მეტი მაინც არასოდეს ვყოფილვართ. ჩვენი საშუალო ხელფასის განსაზღვრა კი ცოტა ძნელია. იმიტომ, რომ მომენტს გააჩნია ანუ, უფრო ზუსტად, რომ ვთქვათ, იმას, თუ რამდენ და როგორ პროექტში ხარ ჩართული. პირადად მე ამჟამად ვმონაწილეობ პროექტში, საიდანაც თვეში 250 დოლარს ვიღებ. ხანდახან, როცა ერთდროულად რამდენიმე პროექტში ვარ ჩართული, შეიძლება, ამაზე ორჯერ მეტიც ავიღო.

— ჩვენს დუხჭირ ცხოვრებაში 500 დოლაროვანი სამასური მართლაც სანთლით საქარაა ალბათ, ამიტომაცაა არასამთავრობო ორგანიზაციებში ახალგაზრდების ასეთი აქტიური მონაწილეობა...

— 1996-98 წლებში ეს აქტიურობა უფრო დიდი იყო, ახლა კი საგრძობლად შესუსტდა...

— ეტყობა, ყველა, მეტ-ნაკლებად,

ფულიანი ადგილი უკვე დაიკავეს და იმიტომ...

— ფულიანისა რა გითხრათ, მაგრამ, ძირითადად, მართლაც დაიკავეს. ისე, ჩვენთან ნამდვილად ვერ გამდიდრდები, მაგრამ იმის საშუალება, რომ სასურველი საქმე აკეთო და გარკვეული შემოსავალიც გქონდეს, ნამდვილად არის. რადგან საერთაშორისო ფონდებს, რომლებიც ჩვენს საქმიანობას აფინანსებენ, ჯერჯერობით საქართველოსთვის ზურგი ბოლომდე მაინც არ უქცევიათ.

— კონკრეტულად რომელი ფონდები გაფინანსებენ?

— სოროსის ფონდი, ევრაზიის ფონდი, გაეროს განვითარების პროგრამა და სხვებიც...

— თანხებს მკაცრად გიკონტროლებენ?

— ზოგი ფონდი მკაცრად გვაკონტროლებს, ზოგი — ნაკლებად. საერთოდ კი, დღეს ნებისმიერი საერთაშორისო ფონდი დანტერესებულია, რომ მისი ფული წყალში არ ჩაიყაროს. ამიტომ, დიდხანს ვერავის მოატყუებ ანუ შეიძლება, ერთჯერადი გრანტი აიღო და არაფერი გააკეთო, მაგრამ გრძელვადიან გრანტს ტყუილად არავინ მოგცემს. ამასთან, ზოგიერთი მაგალითად, ევრაზიის ფონდი ძალიან აგრესიულიცაა. ცხადია, ამ სიტყვის კარგი გაგებით. თუ დოკუმენტებში რაიმე უზუსტობა აღმოგიჩინა, შეუძლია

დაფინანსება შუა გზაშიც კი შეგიწყვიტოს და ერთი ასეთი შემთხვევა, სამწუხაროდ, ჩვენც გვექონდა. ერთი სიტყვით, ეს არის თამაშის წესები, რომელსაც ისინი გადავზობენ და შენ უნდა მიიღო.

— ამზობენ, აღნიშნული თამაშის წესები მართლაც ამით არ შემოიფარგლება: ცოტა უხეშად რომ ვთქვათ, ვინც ფულს იხდის, მუსიკასაც ის უკვეთავს. აქედან გამომდინარე, თავისუფლების ინსტიტუტი საქართველოში ის ე.წ. „მეზუფე კოლონა“ სხვადასხვა გარეშე ძალების დაკვეთას რომ ასრულებსო...

— ჯერ ერთი, იმითან კამათი, ვინც ასე აზროვნებს, ძალიან ძნელია. მეორეც: ფონდები, რომლებიც ჩვენ ვაფინანსებენ, საქვეწოდ ცნობილია და მათი მიზნები, ამოცანები და ღირებულებებიც ასევე ყველასთვის არის ცნობილი. რაც შეეხება კონკრეტულ დაკვეთას — ე.ი. ჩვენს შემთხვევაში, ადამიანის უფლებების დაცვას, ჩვენ ის თავად ავირჩიეთ. ასე რომ, ვფიქრობ, არავისთვის არ უნდა იყოს დამალული, რა ღირებულებებს ვცნობთ, რისთვის ვიბრძვით და ფულს რაში გვიხდინან.

— ბევრი ფიქრობს, რომ თქვენი ბრძოლა ხშირად თქვენვე კომპეტენციის ფარგლებს საგრძობლად სცილდება. და რომ პირადად თქვენ, ცოტა უხეშად რომ ვთქვათ, სულ ტელევიზორში ხართ „გამოდგმული“ და ჩვენი ცხოვრების ლამის ყველა სფეროში და მათ შორის პოლიტიკაშიც მზამზარეულ რეცეპტებსაც ვიუზუტად გვყარნახობთ...

— ჯერ ერთი, მათ, ვინც ასე ფიქრობს, მინდა შეგახსენო, რომ საზოგადოებრივ ორგანიზაციას შეუძლია ყველა იმ საკითხში ჩარევა, რომელიც საზოგადოებრივ ინტერესს წარმოადგენს. რაც შეეხება კონკრეტულად პოლიტიკას — გააჩნია, პოლიტიკაში რას გულისხმობენ, თორემ ჩვენ, ჩვენი ლობისტური საქმიანობით, პოლიტიკაში ყოველთვის ჩართულნი ვიყავით. პარლამენტში გვყავს ჩვენი ლობისტები, რომელთა მიზანი ჩვენთვის მოუღებელი კანონების „დაბლოკვა“ და მისაღების ლობირებაა. ეს



ის ცალკეული ადამიანები არიან, რომლებიც თავის დროზე არასამთავრობო ორგანიზაციებში იყვნენ და შემდეგ პოლიტიკაში გადაინაცვლეს. ჩვენი, როგორც ორგანიზაციის, არჩევნებში მონაწილეობა გამოირიცხვება.

— მაგრამ მომავალში ხომ არასამთავრობო ორგანიზაციების აქტიური ჩარევის გარეშე ვერც ერთი დონის არჩევნები ვეღარ ჩაივლის?..

— ჩარევები რას გულისხმობთ?

— ცენტრალურ საარჩევნო კომისიის მილიანად არასამთავრობოთი დაკომპლექტებას.

— დიას. ეს მართლაც, ჩვენი დიდი გამოწვევაა.

— მაგრამ იმასაც რომ ამბობენ, ამით მმართველმა პარტიამ ოპოზიცია საბოლოოდ განირა და გარიგებაზე არასამთავრობოებთან წავიდაო?

— ჯერ ერთი, მინდა ვითხრათ, რომ არჩევნებთან დაკავშირებით ჩვენი და ოპოზიციის ერთი ნაწილის — განსაკუთრებით, „აღორძინების“ — პოზიციები თავიდანვე განსხვავდებოდა. მაგალითად, ის, რასაც ისინი დღეს განსაკუთრებული გულმოდგინებით აპროტესტებენ, იგივეა, რისთვისაც ჩვენ ასეთივე გულმოდგინებით ვიბრძოდით. ასე რომ, თუ რაიმე გარიგებაზე შეიძლება ლაპარაკი, ის ბევრად ადრე მომხდარა. „აღორძინებამ“ ხომ გარკვეული „ჭრიჭინის“ შემდეგ, ბოლოს და ბოლოს, დაფიქსირა, რომ მისთვის სამოქალაქო ადმინისტრაციის შექმნა მიუღებელია. ჩვენ კი ყოველთვის ვთვლიდით და ვთვლით, რომ ცენტრალური საარჩევნო კომისიის არასამთავრობოებით დაკომპლექტება მართლაც ჩვენთვის კი არა, ქვეყნისთვისაც ძალიან დიდი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება, თუქცა, იმასაც დაებნდი, რომ საარჩევნო კოდექსი და თვითმმართველობა ორი სხვადასხვა საკითხია და მათ მიმართ განსხვავებული პოზიციებიც გვაქვს. კერძოდ, თვითმმართველობასთან დაკავშირებით შემოიღო ვოქცა, რომ ჩვენ აბსოლუტურად ყველა დონეზე არჩევითობის მომხრენი ვართ...

— ჩემთვის თქვენი სიხარული გასაგებია, მაგრამ იქნებ, მმართველმა პარტიამ არჩევანი თქვენს სასარგებლოდ მხოლოდ იმიტომ გააკეთა, რომ თქვენ ოპოზიციაზე ბევრად ადვილად დაგანყარებდათ?

— არ მესმის რომელ დაწყენარებაზე საუბარი?

— თუნდაც იმაზე, რომ იმ მოზრდილ „ლუკმას“, რომელიც ამჯერად, ნუ მინყენთ და, მმართველმა პარტიამ თქვენ მოგიგდოთ, „მოწინააღმდეგეობა“ თუ არა, „გადაცლაპავა“ ხომ მაინც უნდა, რაზეც თქვენ გარკვეული დრო უნდა დახარჯოთ, მან კი ეს დრო მოიგოს...

— საკითხის ასე დასმამი ნამდვილად ვერ დაგვიანხმებთ, რადგან ყველამ ძალიან კარგად ვიცით, თუ აქამდე არჩევნები როგორ ტარდებოდა. დღეს რომ ოპოზიცია გაპკივის, არჩევნებს მმართველი პარტია აყალ-

ბებდაო, განა თავად არ მონაწილეობდა ამაში? განა საარჩევნო პროცესი ყველგან და ყოველთვის მუდმივი გარიგების პროცესი არ იყო?

— მეც სწორედ მანდ არა ვარ?..


— დიას და იცით, ასე რამდენ ხანს გაგრძელდებოდა? მანამ, სანამ იდეაშივე ინტერესთა კონფლიქტი იქნებოდა ჩადებული. ანუ ის, ვინც არჩევნებში მონაწილეობს და ვინც მას ატარებს, ერთი და იგივე სუბიექტი იქნებოდა. ჩვენ სწორედ ამ ინტერესთა კონფლიქტის აღმოფხვრას მოვითხოვდით და მივალწიეთ კიდევ. და თუ თქვენ ამას „ლუკმას“ უწოდებთ — დიას, ჩვენ ეს „ლუკმა“ მივიღეთ და მომავალში კიდევ მეტსაც მოვითხოვთ რეალური რეფორმის სახით, რომელიც თვითმმართველობის არჩევნებამდე არა, მაგრამ საპარლამენტო არჩევნებამდე ნამდვილად უნდა მოესწროს. და კიდევ: მმართველი პარტიის, თუ ოპოზიციის ინტერესები ერთია, მაგრამ არა მგონია, საზოგადოებისთვის რაიმე მნიშვნელობა ჰქონდეს, მოქალაქეთა კავშირი გააყალბებს არჩევნებს თუ, ვთქვათ, „აღორძინება“...

— ვითომ, არასამთავრობოები კი ისეთი ანგელოზები ხართ, რომ საერთოდ არაფერს გააყალბებთ?

— მე ამ შემთხვევაში მხოლოდ რაღაც კოალიციის სახელით შემოიღია ვილაპარაკე. მასში შედიან საზოგადოებისთვის კარგად ცნობილი ისეთი ორგანიზაციები, როგორიცაა „სამართლიანი არჩევნები“, „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, „კავკასიური ინსტიტუტი“ და სხვები. ჩვენ ერთნაირი ღირებულებები და პრინციპული საკითხებისადმი ერთნაირი მიდგომაც გვაქვს. მაგალითად, „სამართლიანი არჩევნები“ ხომ სწორედ ის ორგანიზაციაა, რომელიც ყოველთვის ზუსტად ახდენდა არჩევნებზე დამზებული დარღვევების ილუსტრაციას. და ოპოზიციაც ხომ სწორედ მის მონაცემებს ეყრდნობოდა, როცა ხელს ჩვენკენ — არასამთავრობოებისკენ იშვერდა: დიას, არჩევნებში სერიოზული დარღვევებია და ამას ჩვენ კი არა, აგერ ეს ნეიტრალური ხალხი ამტკიცებსო. დღეს კი, რატომღაც, ეს ყველაფერი დაავიწყდა და მმართველ პარტიასთან რაღაც „შეკერა-შემოკერაში“ გვადანაშაულებს. მაგრამ იცით, სინამდვილეში რა ხდება? რეალური ინტერესი თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისადმი მართლაც მმართველ პარტიას კი არა, ოპოზიციასაც არა აქვს. მას სამართლიანი არჩევნები ასე წარმოუდგენია: „აქამდე სხვას ჰქონდა საკონტროლო პაკეტი, ახლა მე უნდა მქონდეს და მორჩა!“

— ასეთი შეფასების შემთხვევაში, ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის ხომ პრაქტიკული გამსწავლება აღარ რჩება?

— და სამწუხაროდ, ეს განსხვავება არც არის! უბრალოდ, ამ შემთხვევაში, მოქალაქეთა კავშირის ერთ ნაწილს, უფრო კონკრეტულად კი, ისეთ პრაგმატიკოს პოლიტიკოსს, როგორიც ზურაბ ჟვანიაა, მეტი ჭკუაც



აღმოაჩნდა, რომ პრინციპულად არ დაგვირისპირებოდა. ეს არის და ეს! ოღონდ, ეს მხოლოდ ერთ კონკრეტულ საკითხს შეეხება, თორემ იმასთან შეგუება, რასაც დღეს საერთოდ ჩვენი პოლიტიკური ხელმძღვანელობა და კონკრეტულად, ის ფრთა აკეთებს, რომელიც ზურაბ ჟვანიას ფრთად მოიაზრება, ნამდვილად ძალიან ძნელია.

— შეგუებას რაც შეეხება, ბევრი ხომ ვერც გიგა ბოკეროას, რბილად რომ ვთქვათ, კოსმოპოლიტიზმს ეგუება?

— ეს მართლაც ძალიან რბილად ნათქვამია. იმიტომ, რომ „კოსმოპოლიტი“ ჩემთვის შეურაცხმყოფელი სიტყვა ნამდვილად არ არის...

— სხვათა შორის, კოსმოპოლიტს ეღუარდ შევარდნაძესაც ხშირად უწოდებენ. მიუხედავად ამისა, თქვენ ერთად არასდროს მოგიპოვებენ. ცხადია, აქ რანგსა და ჩინზე კი არა, მხოლოდ მსოფლმხედველობაზეა ლაპარაკი. როგორ ფიქრობთ, რატომ?

— იცით, რა?.. გაანჩია, სიტყვა „კოსმოპოლიტი“ ვის როგორ ესმის. ვისთვის ის „პატრიოტის“ ანტიპოლია, ვისთვის კიდევ, სულ სხვა რამ. მაგრამ ამჯერად ტერმინოლოგიურ დისპუტში ჩაბმა არ მინდა. უბრალოდ, ერთს ვიტყვი: შევარდნაძე კოსმოპოლიტი კი არა, კომუნისტი! თანაც, ძალიან კონკრეტული კომუნისტი. ამიტომ, მოხარული ვარ თუ ჩვენ ერთად არავინ მოგვიპოვებს...

— ხანდახან თქვენც „კონკრეტული კომუნისტი“ ხომ არ იქცევით?

— არ მესმის, რას გულისხმობთ?

— თუნდაც ეროვნულ რეკვიზიტთან დაკავშირებულ შეხლა-შემოხლას. იქნებ, სჯობდა, ამდენი დავა-კამათის ნაცვლად, ადამიანის უფლებების გულანთებული დამცველი გიგა ბოკერია ამ საკითხზე რეფერენდუმის ჩატარების მოთხოვნით გამოსულიყო და, ამ გზით ერთხელ და სამუდამოდ, გარკვეულიყო: უნდა თუ არა ქართველს პასპორტში „ქართველი“ რომ ეწეროს?

— ჯერ ერთი, რეფერენდუმის ჩატარება

გეგა ბოკერიას პრეროგატივა არ არის...
 — არა მგონია, რომ იდეის დონეზეც არ შეგეძლოთ ამ მოთხოვნის დაყენება...
 — სამწუხაროდ, იმ ხალხის ხელში, რომელიც დღესაა ხელისუფლებაში და იმ საარჩევნო სისტემის პირობებში, რომელიც დღეს მოქმედებს, ამის გაკეთება წმინდა ტექნიკური თვალსაზრისითაც კი დიდი ეჭვის ქვეშ დადგებოდა. თანაც, არანაკლებ მნიშვნელოვანია ისიც, თუ კითხვას როგორ დავსვამთ. მეტიც, ეს სწორედ ის საკითხია, როცა სწორად დასმულ კითხვას აქვს გადაწყვეტი მნიშვნელობა, თორემ თუ კაცს ჰკითხავ: „გინდა, რომ შენი ეროვნება ამოიშალოს, რომ შენი ეროვნება არსად აღარ ეწეროს?“ ძალიან დიდი შანსია, რომ აღამიანი, რომელიც ამ საკითხში კარგად ვერ ერკვევა, აღშფოთდეს და თქვას: „რას შეკითხვებით? როგორ თუ არ მინდა, რომ ჩემი ქართველობა დაფიქსირდეს?!“ აი, ამით მოხდებოდა სპეკულაცია, თანაც, სამწუხაროდ, ქვეყნის, საზოგადოების ისტორიაში თუ ცხოვრებაში არის ხოლმე მომენტები, როცა დემოკრატიის პირდაპირი ფორმა ყოველთვის ყველაზე ეფექტური როდია. და ამის მაგალითს სულ ახლო წარსულიდანაც მოვიყვან — კერძოდ, სიკვდილით დასჯის გაუქმების საკითხს გავიხსენებ. მერწმუნეთ, 90-იან წლებში ამ საკითხზე რამდენი რეფერენდუმიც არ უნდა ჩატარებულიყო, სიკვდილით დასჯის გაუქმების მომხრეები ყოველთვის უმცირესობაში აღმოვჩნდებოდით...
 — რატომ? თუ მაშინაც თქვენეული ლოგიკიდან გამომდინარე, რითი ადამიანს კითხვას ასე დაუსვამდნენ: „გინდა, რომ სიკვდილით დაგსაჯონ?“ იქნებ, სწორედაც სასურველი შედეგი მიგელოთ?
 — მე მაინც იმ აზრის ვარ, რომ რეფერენდუმი ყოველთვის მისაღები ფორმა არ არის. ზოგჯერ საკითხი უნდა გადაიჭრას ისე, როგორც უნდა გადაიჭრას! მოქალაქეობა და ეროვნება ხომ ევროპის უმეტეს ქვეყანაში სინონიმებია. იმიტომ, რომ მათ ეროვნული სახელმწიფო სწორედ ამ პრინციპზე ააგეს: „შენს ეთნიკურ წარმომავლობას

ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს“...
 — პირადად თქვენთვის თუ აქვს რაიმე მნიშვნელობა თქვენს ეთნიკურ წარმომავლობას?
 — ჩემს ეთნიკურ წარმომავლობას, ჩემს კულტურულ წარმომავლობას ჩემთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ჩემს ოჯახში, ჩემს სამეგობროში და ასე შემდეგ... მაგრამ ჩემი ქვეყნისთვის ძალიან დიდი, გადამწყვეტი მნიშვნელობაც კი აქვს სწორედ იმის დემონსტრირებას, რომ ამას ქვეყნის მშენებლობისთვის მნიშვნელობა არა აქვს.
 — იქნებ, საკითხის ასე გამწვავების ნაცვლად, მცირე პაუზა მაინც გაგვეთუზინათ და გვეცლიათ, რომ თქვენს იდეებამდე მთელი საზოგადოებაც მომწიფებულიყო?
 — საზოგადოების მომწიფებას რომ ელოდო, ვერაფერს გააკეთებ. იმიტომ, რომ ის ბოლომდე მზად ვერასოდეს იქნება.
 — არ გიფიქრიათ, რომ თქვენი ასეთი მკვეთრი განცხადებებით ხშირად სწორედ ამ საზოგადოების სერიოზულ გაღიზიანებას იწვევთ?
 — მე ეს ყველაზე ნაკლებ პრობლემად მიმაჩნია. მე ის უფრო მაწუხებს, რომ ჩვენი ლაპარაკი ხშირად არანაირ შედეგს არ იძლევა.
 — საინტერესოა, საბოლოოდ მაინც რა მიზანს ისახავთ? რა გინდათ?
 — ჩვენ ისევე, როგორც მთელ საზოგადოებას ძალიან გვინდა სერიოზული ცვლილებები, თანაც — სხვადასხვა სფეროში. ჩვენ გვინდა, რომ ხელისუფლება იქცეს ინსტრუმენტად ხალხის ხელში და არა პირიქით. ჩვენი ამოცანაა, საქართველოში იყოს სიტყვის, რწმენის თავისუფლება, რომ არავის ჰქონდეს უფლება, ადამიანები მათი პოლიტიკური თუ რელიგიური რწმენის გამო დევნოს...
 — თქვენი და მამა ბასილის დაპირისპირებაში სასიკეთოდ არაფერი შეცვლილა?
 — არა.
 — როგორც ქრისტიანს, მამა ბასილის წყევლა-შეგინების არ გეშინიათ?
 — ჯერ ერთი, ნამდვილად არ მიმაჩნია ქრისტიანად არც ერთი ადამიანი, რომელიც ისე ცხოვრობს, როგორც ბატონი ბასილ მკალაიშვილი. მე მას მამა ბასილს არ ვუწოდებ, რადგან ყოველდღე სისხლის სამართლის დანაშაულს სჩადის. ამას, ცხადია, ქრისტიანობასთან საერთო არაფერი აქვს და, ამდენად, მისი წყველის შიშზე ლაპარაკიც კი ზედმეტია.
 — მამა ბასილის გარდა, ასე აგრესიულად არავინ დაგპირისპირებიათ, მაგრამ არც კონსტრუქციული მეკავშირებით უნდა იყოთ განებივრებული...
 — გააჩნია, რა საკითხში...
 — თქვენი შვილი თუა თქვენი მეკავშირე? როგორც ვიცი, ერთხელ დადათქვენისთვის, ქალბატონ ნანა ალექსანდრასთვის ისიც კი უთხოვია — მამას

ნუ ეტყვი, ჯვარს რომ ვატარებ, ენცინებაო. ეს გარემოება არ გაშფოთებთ?
 — როგორ არ მაშფოთებს? მაგრამ ამაზე მეტად მაინც ის მაწუხებს, რომ დღეს ბევრი ადამიანი შეცდომაშია შეყვანილი და თვლის, რომ რწმენის თავისუფლების დაცვა მხოლოდ მათი საქმეა, ვისაც ავიწროებენ და სდევნიან. თორემ, ჩემს შვილთან ამ კუთხით პრობლემა ნამდვილად არ მაქვს. შემძლია ყველაფერი სწორად აგუსნა და ისიც უთუოდ სწორად გაიგებს. იმიტომ, რომ უკვე პატარა აღარ არის — 10 წლისაა. ათი წლის კაცს კი დამოუკიდებელი დასკვნების გამოტანა ნამდვილად შეუძლია...
 — საერთოდ, როგორი მამაშვილობა გაქვთ? ბოლომდე გაქვთ გათავისებულები, რომ, როგორც თავად თქვით, უკვე ათი წლის კაცის მამა ხართ?
 — რომ გითხრათ, ბოლომდე გათავისებულები მაქვს-მეთქი, ზედმეტი თავდაჯერებულობა გამომივა. ისე, ვცდილობ, რომ გავითავისო.
 — დედათქვენი „რთულ“ და „ძნელ“ შვილს რატომ გინოდეობთ?
 — ოჯახური საკითხების პრესაში გარჩევის მომხრე ნამდვილად არ ვარ.
 — აქედან გამომდინარე, ყველა დანარჩენი კითხვაც უპასუხოდ დაგვრჩება?
 — თუ ასეთი კითხვებია, კი. საზოგადოებრივ საქმიანობაზე კი რაც გსურთ, ის მკითხეთ.
 — მაგრამ საზოგადოებას რომ იმ ადამიანის პირადი ცხოვრებაც ძალიან აინტერესებს, ვინც მას ასე მოძღვრავს და სამოქმედოდ მოუწოდებს?
 — მესმის. მე კი არა, ჩემზე ცნობილ საზოგადო თუ პოლიტიკურ მოღვაწეებსაც კი არა აქვთ უფლება, საზოგადოებას მათ პირად ცხოვრებაზე საუბარი აუკრძალონ, მაგრამ თავად მე ამაზე მსჯელობა ძალიან არ მსურს. ასეთი ვალდებულება არავის წინაშე არ ამიღია. მეტიც, ასეთი ვალდებულება საერთოდ არ არსებობს. ისე, ჟურნალისტს ყველაფრის კითხვის უფლება აქვს...
 — ჰოდა, მეც გკითხავთ: ყველაზე მეტად ვინ გიყვართ?
 — დღე-ეს?.. ეს ის გამონაკლისია, როცა შემძლია პასუხი გაცეთ. ვისაც შვილი ჰყავს, მისთვის ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ძალიან ადვილია. ასე რომ, ჩემი შვილი ამ შემთხვევაში კონკურენტის გარეშეა.
 — მეუღლეს დიდი სიყვარულის გაქრობის გამო დაშორდით?
 — ეს კი უკვე ისევ მხოლოდ ჩემი და ჩემი შვილის დედის პირადი საქმეა...
 — მამათქვენი, რატომღაც, ყოველთვის ჩრდილში დგას. არადა, ამბობენ, შესანიშნავი ადამიანიაო. საინტერესოა, თქვენი იდეების მომხრეა თუ მოწინააღმდეგე?
 — საზოგადოებრივ საკითხებში მამა ყოველთვის ჩემს მხარეზეა, დანარჩენზე ლაპარაკი კი ნამდვილად არ მსურს... ■

შვილთან და ყოფილ მეუღლესთან ერთად





„როცა გავუყეებთ
გამაყუჩებელს, მხოლოდ
სუნთქავს, მე გვერდით
დავუნვები და ვუსმენ,
როგორ სუნთქავს...“ –
მიაბობდა ბატონი
ვახტანგი თავისი მეუღლის
სიკვდილის წინა დღეს.
ეს შეხვედრა ისედაც
დაუვინყარი დარჩებოდა
ჩემთვის. ამიგომაც
უცვლელად გადმოგცემთ
ჩვენი საუბრის შინაარსს...



ვახტანგ ბოჭორიშვილის

სიყვარულის უკანასკნელი აქორდი

ელენე ხირსელი

ბატონმა ვახტანგმა კარი თვითონ გაგვიღო, ხელი ჩამოგვართვა და კაბინეტში შეგვიპატიჟა. ძალიან დაღლილი ჩანდა, საკმაოდ გამხდარი, მხრებში მოხრილი, მისი თვალები კი – ჩამქრალი და გაყინული მომეჩვენა...

მაგიდაზე ძველი ფოტოალბომი იყო. ხელში ავიღე და გადავშალე. მხერა ახალგაზრდა, სიმპათიური ქალის ფოტოსურათზე შევაჩერე. ეს ბატონმა ვახტანგმაც შენიშნა. მას უეცრად სახე გაუნათდა, თვალებში განსაკუთრებულმა ნაპერწკალმა გაუელვა, თითქოს მხრებშიც კი გასწორდა. „ეს ჩემი ლიდაჩკა“ – მითხრა და ხმაში საოცარი სითბო და სინაზე ვიგრძენი: ჩემ წინაშე სულ სხვა ადამიანი იყო...

— **ბატონო ვახტანგ, ამბობენ, სიყვარული როდესაც კულმინაციას აღწევს, დაღმასვლას იწყებსო. თქვენ როგორ ფიქრობთ?**

– ეს ზედმიწევნით ინდივიდუალურია. საკუთარი გამოცდილებიდან გამომდინარე შემიძლია ვთქვა, რომ ჩემს შემთხვევაში პირიქით მოხდა – ჩემი მეუღლე დღეს მეტად მიყვარს, ვიდრე მრავალი წლის წინ. მისი ნაოჭები დღეს ჩემთვის უფრო ახლობელი და ძვირფასია, ვიდრე მისი ვარდისფერი დაწვები. ის ჩემთვის ყველაფერია. დღეს გულს მიღრღნის საზარელი გრძობა – უძვირფასესი ადამიანის დაკარგვის შიში. სამი წლის წინ ჩემს მეუღლეს სწორწინადავში ავთვისე-

ბიანი სიმსივნე აღმოაჩნდა. გაუკეთდა ოპერაცია და ორწელიწად-ნახევარი ნორმალურად გრძობდა თავს, მერე კი მისი მდგომარეობა გაუარესდა. დღეს ის სიკვდილის პირას არის. როცა გავუყეებთ გამაყუჩებელს, მხოლოდ სუნთქავს, მე დავუწვევი გვერდით და ვუსმენ როგორ სუნთქავს...

— **ბატონო ვახტანგ, რა არის სიყვარული თქვენი განმარტებით?**

– როცა შენ თავს ანაცვალე სხვას. როცა ის სხვა შენთვის საკუთარ თავზე ძვირფასია.

— **როგორ გაიცანით ქალ-ბატონი ლიდა?**

– ხარკოვის სამედიცინო ინსტიტუტში ვსწავლობდი. საერთო საცხოვრებლის სარდაფში სტუდენტები ცეკვებს მართავდნენ ხოლმე. სტუდენტობის პირველსავე დღეს იმ სარდაფში აღმოვჩნდი. ვხედავ, ყველა ცეკვავს, მხოლოდ ერთი მაღალი, თხელი გოგონა განცალკევებით დგას. მიუახლოვდი და საცეკვაოდ გამოვიწვიე. მას შემდეგ აღარ დავშორებულვართ. იმ დღეს დავიწყეთ ცეკვა და ახლა ვამთავრებთ...

— **რით მიიპყრო პირველად თქვენი ყურადღება იმ გოგონამ? რით მოგნიბლათ?**

– ეს რიტორიკული კითხვაა: ზოგჯერ შეიძლება, ისეთი ადამიანი მოგეწონოს, ბევრს გაუკვირდეს, რა ნახა მასშიო. აქ არის რაღაც უხილავი და შეუცნობელი, ამიტომ ამ კითხვაზე პასუხის გაცემა შეუძლებელია.

— **რა ასაკში დაქორწინდ-**

ით?

– დაქორწინდით გაცნობიდან ორი წლის შემდეგ (მესამე კურსზე). მე მაშინ ოცდაერთის, ჩემი მეუღლე კი (ლიდა ვორობიოვა) – ოცი წლის იყო. ამჟამად გვყავს ორი შვილი და სამი შვილიშვილი.

— **თუ ყოფილა თქვენს ურთიერთობებში ისეთი მომენტები, როდესაც ცოლ-ქმარს თითქოს აღარ ესმის ერთმანეთის?**

– მიუხედავად იმისა, რომ ღიღი გაჭირვება გვინახავს და უამრავი მატერიალური პრობლემა გვქონია, ჩვენს ურთიერთობებზე ამას არანაირად არ უმოქმედია. რუსეთში ისეთ პატარა ოთახში ვცხოვრობდით (ნაქირავებში), საწოლიც კი არ ეტეოდა, ვხსნიდით მის ბოლოებს და ცალკე ვდებდით. ლიდას არასდროს დაუწუწუნია. მისთვის საკმარისი იყო, რომ მე ვიყავი გვერდით, ჩემთვის საკმარისი იყო, რომ ის იყო გვერდით. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, ცოტა ხანს „ყაზახსტანში“ ვცხოვრობდით, მერე მოსკოვში გადავედით. ერთხელ, „ყაზახსტანში“ ჩემი მეუღლის ყოფილი თანაკლასელი გოგონა შეგვხვდა. მას ლიდას ჩაცმულობა არ მოეწონა და პირდაპირ უთხრა: **На кого ты похожа, во что ты одета!** ამის საპასუხოდ კი, ჩემმა მეუღლემ ნიშნის მოკებით უთხრა: **Зато у меня Вахтанг!** აი, ასეთი ურთიერთობა გვქონდა ჩვენ.

— **საქართველოში როდის ჩამოსვენდით?**

– 1969 წელს, როცა უკვე პროფესორი ვიყავი. 24 წელი გავატარე საქარ-

თველოს გარეთ და არ მახსოვს დღე, სამშობლოზე არ მეფიქროს, დამლამობით უეცრად გამეღვიძებოდა და თავში ერთი აზრი მიტრიალებდა: „სად ვარ, რა მინდა აქ?!“ ჩემი განწყობილება იმდენად გადავლეთ შვილებს, სულ იმას მეკითხებოდნენ, როდის დავბრუნდებით საქართველოში.

— მეუღლე ხომ არ ყოფილა საქართველოში ცხოვრების წინააღმდეგი?

— მისთვის არ ჰქონდა მნიშვნელობა, სად ვიქნებოდით: ჩემთან ერთად ყველგან იცხოვრებდა. სხვათა შორის, თელავში სააგარაკო სახლი გვაქვს, სადაც ლიდას ძალიან უყვარს ჩასვლა.

— როგორ დონეზე ფლობს ქალბატონი ლიდა ქართულ ენას?

— ისე რა, ის ხომ უკვე 45 წლის იყო, საქართველოში რომ ჩამოვედით.

— ბატონო ვახტანგ, ქალბატონი ლიდა თქვენი პირველი სიყვარულია?

— არა, პირველი სიყვარული ადრეულ ასაკში მქონდა. მაშინ 14 წლისაც არ ვიყავი. მიყვარდა ჩემი პარალელურკლასელი გოგონა, რომელსაც ყოველდღე ვაცილებდი სკოლიდან სახლში, თან მისთვის ჩანთის წამოღება არ მაგიჟდებოდა ხოლმე... ეს ცალმხრივი სიყვარული იყო. მეორე სიყვარული, სკოლის დამთავრებისთანავე შეწყდა. ეს სიყვარული თავიდან ჩემთვის იყო ცალმხრივი, მერე კი, უკვე მისთვის. მე წავიკითხავთ ლექსს (შემოკლებით), რომელიც დავწერე მაშინ, როდესაც შევიტყვე, რომ მას მოგვიანებით შეუყვარდი და ახლა ნანობს და ტირის:

**მე პაემანზე ვიდექ მდუმარედ,
შენთან შეხვედრის წუთებს
ველოდი,
უკვე გამოჩნდა ტაცნობზე
მთვარე
მე კი არ წაველ,
მე კვლავ გიცდიდი.
შეგვიანებამ ვერ შეაშინა
ჩემი იმედის ლალი მდინარე,
მაგრამ დამგოვე მარტო
მაშინაც,
როდესაც გვერდზე გამომიარე.
ჩემს გულში ახლა სულ სხვა
რამ არის,
მაშინ გრძნობების იყო აკლდამა,
დღეს ნანგრევი, ნაპარგახალი
და ეს ნანგრევი, ნაპარგახალი,
მოითხოვს მჭედელს და
ექებს უროს,
რომ ააშენოს კოშკი ახალი
და გრძნობის ცეცხლი
კვლავ გაახუროს.**



და მართლაც, „ახალი კოშკი“ კვლავ აღიმართა ჩემს გულში. და ეს იყო ბოლო, ჭემშარიტი სიყვარული. „მაგრამ სულ სხვა სიყვარული უკანასკნელი...“ — ამბობს გალაკტიონი.

— მეუღლისთვის თუ მიგიდენიათ ლექსი?

— მთელი ჩემი სიცოცხლე მისდამი მიძღვნილი ლექსია. საერთოდ კი, მე რომ მეკითხონ, მეუღლისადმი მიძღვნილი ლექსი არაგულწრფელობად და სრულ სისულელედ მიმაჩნია. მეუღლისადმი მიძღვნილი არც ერთი ნორმალური ლექსი არ წამიკითხავს: პუშკინსაც კი არ მიუძღვნია თავისი მეუღლისთვის ლექსი.

— რატომ მიგაჩნიათ არამართებულად ასეთი ლექსი?

— ეს არ აიხსნება. აქ სხვადასხვა პარამეტრია და იმიტომ კი არა, რომ ცოლქმრულ ურთიერთობებში ნაკლები პოეზიაა, არა! აქ შეიძლება მეტიც იყოს, მაგრამ სხვაგვარია მისი გამოხატვის ფორმები.

— ბატონო ვახტანგ, თითქმის ყველა მატერიალისტმა მეცნიერმა საბოლოოდ, ღმერთი აღიარა. თქვენ რას ფიქრობთ?

— აინშტაინი წერს: „მცირე ცოდნა ადამიანს ღმერთისგან ამორებს, დიდი ცოდნა ღმერთთან აახლოებს“. მე ალბათ ამ საფეხურამდე ვერ არ მივსულვარ.

— როგორია თქვენი შეხედულება სარწმუნოებასა და ღმერთზე?

— რელიგია მორალურ საწყისებს ქადაგებს და აქვს დადებითი გავლენა ადამიანებზე. ეს არის არა მატერიალური, არამედ იდეური სწავლება. თუმცა, აქვს გარკვეული უარყოფითი მხარეებიც, მაგრამ საბოლოო ჯამში, ეს საჭიროა ხალხისთვის.

რაც შეეხება ღმერთს, შემიძლია პირობითად წარმოვიდგინო ის, როგორც კოს-

მიური ძალა, რომელსაც ჩვენ, გვინდა თუ არ გვინდა, ვემორჩილებით. მაგრამ კონკრეტულად იმის წარმოდგენა, რომ ღმერთი ადგა და ერთ მშვენიერ დღეს შექმნა, ვთქვათ, ჭიანჭველა, ჩემთვის ძნელია. ეს არის მხოლოდ მატერიის განვითარების ზოგადი მიმართულება. ამ მხრივ, ეს არის ძალა, რომელიც ჩვენზე არ არის დამოკიდებული. აი, ასე მაქვს მე ეს წარმოდგენილი.

— ბედისწერაზე რას იტყვით?

— ქართველებს აქვთ დიდებულად ნათქვამი: „ბრიყვი საქმესა წახედნეს, ფათერაკს დააბრალებსა“. თუმცა, არ არის გამორიცხული, რომ რაღაც იყოს, მაგრამ ადამიანმა იმაზე უნდა იფიქროს, რაც მასზეა დამოკიდებული, თუ მასზე არ არის დამოკიდებული, რატომ უნდა იფიქროს — მაინც ხომ ვერ შეცვლის!

— ეკლესიაში თუ დადის-ართ?

— დავდივარ, როგორც მუზეუმში. მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ყველა ჩემი წინაპარი (მამის მხრიდან), რომელთა შესახებაც ინფორმაცია მაქვს, მღვდელი იყო. მე დიდ მკრეხელობად მიმაჩნია ლოცვა, როცა არ გწამს. სხვის დასანახავად ნამდვილად ვერ ვილოცებ. ერთმა ცნობილმა მოძღვარმა, რომელიც საქაოლად ახლოს დგას ჩვენს წრეებთან, მიიხრა, რომ აუცილებელია მყავდეს მოძღვარი. ამაზე ვუპასუხე: ჩემი მოძღვარი ჩემი სინდისია-მეთქი.

— ხშირად, ადამიანს თითქოს არ სწამს ღმერთის, არ ლოცულობს, მაგრამ როცა რაღაც ძალიან უჭირს, მაინც ღმერთს მიმართავს დახმარებისთვის. თქვენც თუ გქონიათ ასეთი რამ?

— რა თქმა უნდა. მეც მითხოვია ღმერთისთვის, ო, თანაც როგორ მითხოვია...

— რატომ ხდება ასე?

— არ ვიცი, ალბათ, როცა ადამიანი დიდ განსაცდელშია თავისზე ძლიერ ძალას ეძებს.

— ამ ბოლო ხანს რა შესთხოვეთ ღმერთს?

— ღმერთს ჩემი მეუღლის სიცოცხლეს ვევედრებოდი. მისი არაფერი მინდა — ნურც გაივიღოს, ნურც ილაპარაკებს — ოღონდ ისუნთქოს-მეთქი...

როგორც დასაწყისში გაუწყეთ, ამ შეხვედრის მეორე დღეს ქალბატონი ლიდა გარდაიცვალა. ძალიან დავწყდა გული ისევ ვეწვიეთ ბატონ ვახტანგს. მივუსამძიმრეთ, თუმცა იმ წუთებში ვერაფრით ვანუგეშებდით...

ნანა ქიბიშაური

პანკისის ხეობაში განვითარებული მოვლენებისა თუ ჩეჩნებთან დაკავშირებული სხვა საკითხების წინა პლანზე წამოწევისთანავე, ჩვეულებრივ, ხიზრი აღდამოვის ოფისში ჟურნალისტების შემოსევა იწყება. ამჯერად, ჟურნალი „გზა“ იმით დაინტერესდა, თუ როგორ ცხოვრობს აღდამოვი ამგვარი „შემოსევებიდან“ „შემოსევამდე“. ბოლოს და ბოლოს, ის არის ერთადერთი ელჩი, რომელიც ქართულად ისევე გამართულად საუბრობს, როგორც ნებისმიერი ჩვენგანი და, ჭორების თანახმად, ისევეა ნარკობარონობასა და ტერორისტებთან კავშირში შემჩნეული, როგორც ჩვენი სამართალდამცავი უწყების ზოგიერთი ჩინოსანი.

ხიზრი აღდამოვი ამბობს, რომ მანამდე, სანამ ჩეჩნეთის 3 პრეზიდენტის ნებას განახორციელებდა და საქართველოში არაოფიციალური წარმომადგენლის სტატუსზე დათანხმდებოდა, სერიოზული ბიზნესით იყო დაკავებული: „იმ დროისათვის არავისზე ნაკლები სასახლეები და მანქანები არც მე მქონდა. ახლა კი, ერთი ძმაკაციც არ დამრჩა, მისგან ფული რომ არ მქონდეს ნახესხები“. მისივე განცხადებით, საქართველოსთვის რუსეთის მიერ წამოყენებული მოთხოვნები — მათთვის აღდამოვის გადაცემის შესახებ, დროთა განმავლობაში სულ უფრო მკაცრ ხასიათს იძენს. ჩეჩნეთის არაოფიციალური ელჩი იმასაც ოლიმპიური სიმშვიდით ელოდება, როდის განახორციელებენ მასზე ტერორისტულ აქტს. მანამდე კი, თავის მერვე, ყველაზე საყვარელ ცოლს, ცოლ-ქმრული მოვალეობისაგან ათავისუფლებს და საგზაოდ, საკმაოდ გულისამაჩუყებელ სიტყვებს ატანს...

— **ბატონო ხიზრი, რამდენჯერ მოვსულვარ თქვენთან კომენტარისთვის და რატომღაც ახლახან გავიგე, რომ 8 ცოლი გყოლიათ.**

— ასეთია მუსლიმანთა ტრადიცია: ჩვენთან მრავალცოლიანობა დაშვებულია. მაგალითად, მამაჩემს 18 ცოლი ჰყავდა, მე — 8, თუმცა, ჩვენ უკვე ერთად აღარ ვცხოვრობთ. მე ახლა უცოლო ვარ, მაგრამ იმ ასაკს მივალწიე, როცა ვერ იტყვი, კიდევ შეი-

ამ ცოტა ხნის წინ გაფრცვლული ინფორმაციის თაობაზე, თითქოს 800 შეიარაღებული ჩეჩენი, ქართველ პარტიზანებთან ერთად, კოდორის ხეობაში შევიდა, ოფიციალურსაგან სულ არაერთგვაროვან პასუხებს ვისმენდით. ქართული მასმედია ორ ცეცხლს შუა ინვოდა: თქმა სჯობს თუ ართქმა! — არჩევანი რთულია, რადგან, ასეთ შემთხვევაში, პროფესიულ და სახელმწიფოებრივ ინტერესებს შორის ზღვრის გავლების აუცილებლობა დგება ხოლმე.

რატომ არ მოჰყავს ხიზრი აღდამოვი მასსრეა ცოლი?


ძლება თუ არა კაცმა დაოჯახებაზე იფიქროს.

— **რამდენი წლის ბრძანდებით?**

— 52-ის.

— **მაინც რატომ ამჯობინეთ ოჯახურ სიმყუდროვეს განმარტოებით ცხოვრება?**

— ეს აუცილებლობით იყო გამოწვეული. პირველად, ჩეჩენ ქალზე ვიქორწინე, მერე ქისტზე, მერე ოსზე, მერე... მოკლედ, ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. ჩემი ბოლო ცოლი გამორჩეულად მიყვარდა. ის ინგუშია. ძალიან ჭკვიანი ქალია. იმდენად ჭკვიანი, რომ ზოგჯერ, მის რჩევასაც კი ყურს ვუგებდები.



ხიზრი აღდამოვი

მოგხედავ, ჩემგან, როგორც ქმრისგან, თავისუფალი ხარ და წადი-მეთქი!.. ბევრი იტირა. წასვლა არ უნდოდა... რა გაეწყობა. ახლა ყოველდღე მირეკავს და მეხვეწება: ხიზრი, დავბრუნდებიო. უარს ვუთხრები. არ მინდა, ჩემი გულისთვის ხათაბალაში გაეხვეს. ამის წინა ცოლი — სამი თვის ფეხმძიმე ქალი, თავისი წინა ქმრის შვილებთან ერთად მომიკლეს. მე აეროპორტში ვიყავი. სახლში რომ შევედი, ყველა დაცხრილული დამხვდა. არ მინდა იგივე განმეორდეს. მე უკვე ისე ვცხოვრობ, ოჯახი არ უნდა მყავდეს. სხვისი ცოდვის აღებას, მართლობა სჯობს. დიდი ხანი არ არის,

სამი თვის ფეხმძიმე ცოლი, თავისი წინა ქმრის შვილებთან ერთად მომიკლეს. მე აეროპორტში ვიყავი. სახლში რომ შევედი, ყველა დაცხრილული დამხვდა.

ძალიან კარგი გვარის შთამომავალია. 1994 წლიდან მოყოლებული, ბევრი რამ გადავიტანეთ ერთად და გვერდიდან არ მომიკლეს. მე ის ახლაც ძალიან მჭირდება, მაგრამ ჩვენი ერთად ყოფნა აღარ შეიძლებოდა. წასვლის წინ ვუთხარი: მე უკვე განწირული კაცი ვარ, არ ვიცი, როდის ამფეთქებენ, რაც არ უნდა მოხდეს, თავი გადაღებული მაქვს და შენ ვეღარ

რაც ოფისში ხელყუმბარებით შეიარაღებული ჩეჩენები შემომიცივიდნენ. დღემდე არ ვიცი, რა უნდოდათ...

— **ასეთ პირობებში თქვენს შვილებს არ ემოქრებათ საფრთხე?**

— 8 ცოლიდან 4 ვაჟი და 1 გოგო მყავს. ისინიც გავხიზნე. ყოველ შემთხვევაში, ღამით ჩემთან არავის ვიტოვებ. ჩემ გვერდით მხოლოდ ერთადერთი

აღამიანია – 72 წლის მოხუცი ქალი.

— **ეს ქალი დედა იქნება.**

— დედაა, რომელთანაც სიმამაცით ვერავინ მივა.

— **დედა ჩეჩენი გყავთ?**

— კი, ჩეჩენია.

— **ქართული ვინ გასწავლათ ასე კარგად?**

— მე საქართველოში დავიბადე, სოფელ დუისში. ქართული საქართველომ მასწავლა. ჩემი ძმები პანკისის ხეობაში ცხოვრობენ. მამაჩემის მთელი სანათესავო აქ ცხოვრობს. ჩემი სამამაკაცოც აქ არის. ჩეჩენეთში სწავლის გასაგრძელებლად წავედი და მას მერე დავსახლდი იქ.

— **საქართველოში დუდავმა გამოგგზავნათ?**

— დიახ. ეს იყო 1993 წელს. მას შემდეგ აქ ვარ. საქართველოში მუშაობის პირველი წლები ჩემთვის ძალიან მძიმე იყო. აფხაზეთიდან ლტოლვილები, როდესაც გაიგებდნენ, ვინ ვიყავი — მწყევლიდნენ. მე მათ არც მაშინ ვამტყუნებდი და არც ახლა. მეც ვნახე, რა არის ომი. ჩემი თვალებიდან არ წაიშლება 1994 წლის 11 დეკემბერი, როდესაც რუსეთის თვითმფრინავები ბომბავდნენ ჩეჩენეთს. ვხედავდი ტანკებს, ჯარისკაცებს... ვხედავდი უპატრონოდ მიტოვებულ „კალიასებს“, საიდანაც დაჭრილი ბავშვების ტირილი ისმოდა. საშინელება იყო. მიუხედავად იმისა, რაც აფხაზეთში მოხდა,

საქართველომ მაინც გაგვიღო კარი და ათიათასობით ჩეჩენი გადავირჩინა. ჩვენ ვალში ვართ ამ ქვეყნის წინაშე. მე საქართველოში ჩეჩენეთის სხვადასხვა დროს არჩეული სამი პრეზიდენტის დავალებით ვიმყოფები. სახალხო დიპლომატიას მივსდევ და დღეს თავს გამარჯვებულად ვთვლი. გამარჯვებულად — რადგან რუსეთს თავისი პირით ვათქმევინე, რომ ქართველი და

— რუსეთი ჩემთვის არის „მოვრალი ქვეყანა“, რომელიც „პასხელებს“ ვერ გამოდის.

— **ალბათ ასეთი განცხადებების შემდეგ, მეტად იგდებთ თავს სიფათში?**

— არა მხოლოდ ასეთი გაცხადებების გამო. ვცდილობ, საქმითაც დავანახვო მსოფლიოს, რით განსხვავდება მთიელი კავკასიელი რუსისგან.

რამდენ ნარკოტიკებით მოვაჭრესაც დაიჭერენ, იმდენს ჩემი ტელეფონი ან ჩემი „ვიზიტკა“ უდევს ჯიბეში. მერე მირეკავენ პოლიციიდან და მეუბნებიან: დაფაკავეთ პირი, რომელსაც აღმოაჩნდა ამდენი და ამდენი გრამი ნარკოტიკი და აცხადებს, აღდამოვი ჩემი ბიძააო.

ჩეჩენი მეზობლები შესაძლოა, ერთმანეთის გვერდით დადგნენ და აფხაზეთის დასაბრუნებლად ერთად იბრძოლონ. 8 ათასის კი არა, 30.000 მეზობლის გამოყვანა შემიძლია, თუ საქართველოს ნება იქნება. ვიმეორებ — მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს პოლიტიკური ნება იქნება. ამ ქვეყანას თავისი პატრონი ჰყავს, რომელსაც უნდა ვკითხოთ, შეიძლება თუ არა აქ გავიაროთ და მხოლოდ ამის მერე გავივლით. სიმართლე რომ ვითხრათ, კოლორის ხეობის ამბები მე, როგორც საქართველოს მოქალაქეს, მახარებს, მაგრამ როგორც ჩეჩენეთის წარმომადგენელი, არაფრით არ დავუშვებ, რომ იქ ჩვენი მხრიდან თუნდაც ერთი ტყვია გავარდეს, რადგან ეს რუსეთის წისქვილზე დაასხამს წყალს. მათ უნდათ თავიანთი ბაზების არა მარტო შენარჩუნება, არამედ შევსებაც. ამის საშუალება კი, მათ მხოლოდ ომის პირობებში ექნებათ.

ვცდილობთ, მსოფლიომ იცოდეს სიმართლე ჩეჩენეთის შესახებ.

— **თუ ყოფილა თქვენზე თავდასხმა, რომელსაც პოლიტიკური სარჩული ჰქონდა?**

— ყოფილა, მაგრამ მე ამას არ ვანმაურებ. რადგან ცოცხალი ვარ ე.ი. ყველაფერი უკან დარჩა. ამის გამო ქვეყანას ხომ არ შეეყრი?! ასეთი შემთხვევა ბევრი იყო. თუნდაც მაშინ, როდესაც ასლან მასხადოვის თბილისში ვიზიტს ვამზადებდი. ბევრი მიშლიდა ხელს. მთელი რუსეთი ფეხზე იდგა — ბერეზოვსკიო, პრიმაკოვიო... ბოლოს, არძინბასაც კი მოჰკიდეს ყურში ხელი და აქ ჩამოიყვანეს. მაშინ ააფეთქეს ჩემი მანქანა ჩეჩენეთ-ინგუშეთის საზღვართან — საბედნიეროდ, აფეთქება უმსხვერპლოდ დამთავრდა.

— **პირადი დაცვა თუ გყავთ?**

— არანაირი პირადი დაცვა არ მყავს. ერთი იარაღიც კი არ მაქვს თავის დასაცავად. საქართველოში იარაღის ტარების უფლებას არ მძლევენ.

— **უფლება ერთია, მაგრამ საჭირო რომ გახდეს, პანკისის ხეობაში ჩეჩენებს იარაღის მეტი რა აქვთ?**

— მერე, თქვენ ფიქრობთ, რომ მე ამ შეიარაღების მომხრე ვარ? არავითარ

— **რა არის რუსეთი თქვენთვის — მარადიული მტერი?**



შემთხვევაში! ხეობაც უნდა განიარაღლეს და არც სახალხო რაზმებს უნდა დაუკანონო იარაღის ტარების უფლება. იარაღს სისხლი მოსდევს. სისხლს ისევ სისხლი...

— თქვენ თუ გიფიქრიათ იმაზე, როგორ შეიძლება პანკისის განიარაღება?

— ალბათ ისევ სახალხო დიპლომატიით. მას ბევრი რამ შეუძლია. ადრე ხშირად მიმყავდა იქ მსახიობები, ფეხბურთელები — იცით, ამ ყველაფერს რა დადებითი გამოხმაურება ჰქონდა?

— ახლა ვინდა წამოგვეყვებათ? კიდევ ერთ ფეხბურთელს რომ დაადგან თვალი? სწორედ პანკისის ხეობაში განვითარებული მოვლენების გამოა, რომ საქართველო, ტერორიზმის თვალსაზრისით, უკვე III ადგილზე დაასახელეს.

— პირველზე ვინ არის?

— ვინ და — მოსკოვი.

— მეორე და მესამე ადგილზეც ის არის, ოღონდ მოქმედების ზონა, სხვა ქვეყნებია. რაც შეეხება ჩემს მოსაზრებას, შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალს, ნამდვილად სახალხო დიპლომატიის ვხედავ. და კიდევ ერთი: უნდა გამკაცრდეს კონტროლი და ამ კონტროლებელმა ორგანოებმა ადგილობრივი ხალხი უნდა აიყვანოს სამსახურში.

— არ ვიცი, რამდენად ალწევს აქამდე ქორები, რომლებიც თქვენ შესახებ ვრცელდება, მაგრამ, როგორც ამბობენ, ვერანაირი კონტროლი ვერ შეაფერხებს ნარკომაფიას, რომლის მფარველად თქვენც მოიაზრებით.

— პანკისის ხეობაში, ნარკოტიკების გადამამუშავებელი რამდენიმე „სტანოკი“ რომ დგას, ეს ფაქტია, მაგრამ მე არ ვარ არც ნარკობარონი და არც ნარკომაფიონი. ჩემს წინააღმდეგ ამგვარი ჭორები სპეციალურად ვრცელდება. შეიძლება, გაეგუდეს კაცი — რამდენ ნარკოტიკებით მოვაჭრესაც დაიჭურენ, იმდენს ჩემი ტელეფონი ან ჩემი „ვიზიტკა“ უდევს ჯიბეში. მერე მირეკავენ პოლიციიდან და მეუბნებიან: დავაკავეთ პირი, რომელსაც აღმოაჩნდა ამდენი და ამდენი გრამი ნარკოტიკი და აცხადებს, ალდამოვი ჩემი ბიძაო. თან, იმასაც მეუბნებიან:

ჩვენ ვუთხარით — თუ ალდამოვი გვეტყვის, გაუშვით, — გაგიშვებთო. ამას წინათაც იყო ასეთი შემთხვევა. მე ვუთხარი: ის კი ამბობს, რომ ბიძა ვარ, მაგრამ მე რატომ მირეკავთ? თუ დამნაშავეა და ფაქტზე აიყვანეთ, დაიჭირეთ, და თუ მოსასვლელი ვიქნები, ჩემი ფეხით მოვალ-მეთქი. ერთ-ერთ ასეთ „კმისშვილს“ ტელეფონითაც დაველაპარაკე. ქისტურად მითხრა: თქვენ მე არ მიცნობთ, მაგრამ მამაჩემი გიცნობთ. თუ თქვენ ეტყვი, რომ გამიშვან, გამიშვებენო... მეც ვუთხარი — გაუშვით-მეთქი. აბა, რა მექნა? მერე იმას იტყოდნენ, ხიზრის შეეძლო და არ დაეხმარაო... მე იმას ვამბობ, რომ არ უნდა მირეკავდნენ — გავუშვათ თუ არაო.

— გიორგი სანაიას მკვლელობის ერთ-ერთ ვერსიად ბოლო დროს მისი პანკისის თემით დაინტერესებასაც ასახელებენ...

— მე ვფიქრობ, პანკისის თემა აქ არაფერ შუაშია. გიორგი რაღაცას შეწირული ბიჭია. მისმა სიკვდილმა ძალიან დამწყვია გული. მუსლიმანი კაცი ვარ, მაგრამ მაინც არ მომიტმინა გულმა და მისი დასაფლავების დღეს ეკლესიაში შევედი. „ღამის კურიერში“ ბოლო ჩაწერის შემდეგ, გიორგის ვუთხარი: როცა გინდათ, ოფიციალური წარმომადგენელი ვარ, როცა გინდათ — არაოფიციალური, თქვენ ამით გულს მიკლავთ-მეთქი. გიორგი კი ხუმრობდა: აბა, გულს როგორ გიკლავთ? — არ მაცლით, ან ერთი გამოვაცხადო ან მეორეო... ნებისმიერი უბედურების პანკისთან დაკავშირება არ არის სწორი. დარწმუნებული ვარ, გიორგის ამბავმა იქაც ძალიან ბევრს დასწყვია გული.

— თქვენი აქ მუშაობის განმავლობაში რომელი დღეები დაგამახსოვრდათ ყველაზე მეტად?

— დღე, როდესაც ყველაფრის მიუხედავად, საქართველოში ასლან მასხალოვის ვიზიტის ორგანიზება შევძელი და დღე, როდესაც პუტინის დელას ჩემი ლტოლვილებისგან შეგროვილი ჰუმანიტარული დახმარება მივუტანე.

— თქვენ ამბობთ, რომ ვერა პუტინა ნამდვილად პუტინის დედაა?



— ამას თვითონ ამბობს. ამ ქალის სანახავად საგანგებოდ წავედი — მოვუყევი, მისმა შვილმა ჩეჩნეთში რა ცოდვის კითხვაც დაატრიალა. ქალმა ტირილი დაიწყო. მე შევეკითხე: რომ გცოდნოდათ, ის ამდენ ხალხას ასე უმოწყალოდ ამოხოცავდა, თუ გააჩენდით-მეთქი?! მიპასუხა — დავაზრჩობდიო. ძალიან შემებრალა. მეორედ რომ წავედი, პალტო და ჩექმები ჩაუტანე. მესამედ კი, ჩეჩენმა ლტოლვილებმა ფქვილი, შაქარი და ბურღულეული შეუგროვეს. მადლობა გადამიხადა. ისე არ გამიგოთ, რომ ამით პუტინის დელის დამცირება ან დაცინვა მინდოდა: მართლა შემებრალა, როგორც კაცს შეიძლება შეებრალოს უძვეო მოხუცებული ქალი.

— როგორ ფიქრობთ, როდის შეძლებენ სხვადასხვა ქვეყანაში თავშეფარებული ჩეჩენები თავის სამშობლოში დაბრუნებას?

— ისინი აუცილებლად დაბრუნდებიან, მაგრამ როდის, ამის თქმა ჯერჯერობით ძნელია. ვიცი მხოლოდ ერთი რამ: დაბრუნდებიან კმაყოფილები და მადლიერები. დაბრუნდებიან ნებაყოფლობით, რადგან მათი აქედან გაგდების უფლებას საქართველოს პრეზიდენტი არავის მისცემს...

ინფორმაციულ-შეხვედრითი კოლაჟი

ეონა დვალის უბის წიგნაკრები:

1. მორღობა ლევი კარლ მარქსის ნამდვილი სახელი და გვარია.

2. ყველაფრის დათვლის დაუძლეველ სურვილს არითმომანია ეწოდება.

3. ლევ ტოლსტოი „კრეციერის სონატას“ დიდი ხანი ხეწვდა და ასწორებდა. ამის გამო მის ცოლს ოთხმოცჯერ მოუხდა ამ მოთხრობის გადაწერა.

4. პოლონეთში ქართველებს რუს ზანგებს გვეძახიან.

5. ძველი ბერძნული ქალაქის პანტიკაპეონის ადგილზე დღეს ქალაქი ქერჩი მდებარეობს.

6. პეტრე I თანამოაზრე, გენერალი და კონტრადმირალი, პატრიკ გორდონი, წარმოშობით შოტლანდიელი იყო.

7. საზეიმო სიხარული, სადღესასწაულო ელვარება, გაფურჩქნილი ბედნიერება – ასე ითარგმნება ქართულად სახელგანთქმული „სამი გრაციის“ – ეფროსინეს, აგლაიას და თალიას – სახელები.

8. ფულის ყველაზე წვირილ ერთეულს ძველ რუსეთში ვევერიცა ერქვა.

9. სუეცის არხის სიგრძე დაახლოებით 160 კილომეტრია.

10. ბერიკაობისათვის ნიღბებს ხისგან, ტყავისგან, მწარე ბლის კანისა და გოგრისაგან ამზადებდნენ.

11. ნოსტრადამუსი საფრანგეთის მეფის, კარლოს IX, კარის ექიმი იყო.

12. II მსოფლიო ომის დროს გერმანელებმა პოლონეთი 16 დღეში აიღეს. აქ მოხდა ავიაციისა და არტლერის ბრწყინვალე ურთიერთშეწყობილი მოქმედება, ეს კი ბლიცკრიგის (ელვისებური ომის) წარმატებისათვის აუცილებელი პირობა გახლდათ. P.S. პოლონეთის ოკუპაციის დროს ჰაინს გულდერიანის სატანკო არმიამ მხოლოდ 150 ჯარისკაცი დაკარგა.

13. გეომეტრმა ბოლემ სხვადასხვა დროს დუელში გაიწვია 13 ახალგაზრდა და ორთა ბრძოლების წინ ვიოლინოს დაკვრით ირთობდა თავს. თავის დასაფლავებაზე მოსასვლელი ხალხის სია მან საკუთარი ხელით დაწერა, თავად გაიკეთა კუბო და მემკვიდრეებს სთხოვა მის საფლავზე დაერგოთ ხე ევას, პარისის და ნიუტონის სახსოვრად.

14. ამერიკა-ვიეტნამის ომში ვიეტნამელებს ყოველთვიურად 50 000, ხოლო ამერიკელებს 6 000 ჯარისკაცი ელუპებოდათ.

15. ჯამილა, ხაფიზა, ზულფია, ზუხრა, ლეილა, ზარინა, სარიდა, გიუხელ, გიულჩატაი – ეს სია მხატვრულ ფილმ „უღაბნოს ცხელი მზის“ პერსონაჟის, აბდულას, ცოლების სახელებია.

16. ზღაპარი „კონკია“ შარლ პეროს დაწერილია. ამ ზღაპარში კეთილი ფერ-



ვინ შეუძლია სიბრძნის და მისი მისწრაფება?

ეს სევდიანი ამბავი სოფელ სიმონიანთხევში (თიანეთის რაიონი) მცხოვრებმა 74 წლის ოლია მასნავლებელმა მიაგმო...



15 წლის ნატო ჯამაგაძე დეიდა ოლიასთან ერთად, 1987 წ.

ინოვაციური ტარყაშვილი

ნატაშა და მისი ტყუპისცალი დაიკო ჩვილობაშივე დაობლდნენ – დედა ავარიასი დაეღუპათ. ბებიამ ვერ შეძლო პატარების რჩენა და ორივე უკრაინის ერთ-ერთი ქალაქის ჩვილ ბავშვთა სახლში მიაბარა. იქიდან 3 წლის გოგონები მოსკოვის მახლობლად მდებარე ნოვინსკის ბავშვთა სახლში გადაიყვანეს. აღმზრდელები პატარებს ჩააგონებდნენ, რომ დღეს თუ ხვალ აუცილებლად გამოჩნდებოდნენ მათი მშობლები და შინ წაიყვანდნენ. ნატაშასა და მისი დის შვილად აყვანა ერთდროულად ორმა ოჯახმა მოინდომა, თანაც, ღვთის ნებით, ორივე, საქართველოში ცხოვრობდა. ნატაშას ჩამოყვანა დედობილ-მამობილთან მისმა მომავალმა დეიდა იკისრა. მას არ უნდოდა ტყუპის დაშორება, მაგრამ, სამწუხაროდ, მხოლოდ ერთი ბავშვის ასაყვანად ჰქონდა საჭირო საბუთები. დეიდამ გაიცინო ქალბატონი, რომელსაც მეორე გოგონა უნდა ეშვილებინა და სთხოვა, საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ შეესვენებინათ ბავშვები, რათა დებს ერთიმეორე არ დაეკარგათ.

ქალბატონმა ნატომ თავის პატარა სენხიას აუხსნა, რომ ის მისი დეიდა იყო, დედა კი საქართველო-

ში ელოდა. დეიდამ ბავშვს მატარებელშივე ასწავლა თავისი გვარი, დედ-მამის სახელები. დედას რა ჰქვია? – ქეთო. მამას? – ლადო, – პასუხობდა გოგონა.

ისინი ერთმანეთს თბილისში უნდა შეხვედროდნენ.

ტოლებთან თამაშით გართულ ნატოს დეიდამ ახარა, – შენი დეიკო მოვიდაო. ბავშვი ისარივით გაექანა მათკენ მომავალი ქალისკენ და ჩაეკონა...

ნატოს ცივ ნიავს არ აკარებდნენ მშობლები.

ნატო გონიერი და ჯანმრთელი ბავშვი იყო. წარმატებით დაამთავრა სკოლა და უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელად დაიწყო მზადება, მაგრამ ბედი კარს მოადგა და გათხოვდა... სამწუხაროდ, მამა ისე გარდაიცვალა, რომ ნატოს მისი წარმოშობის საიდუმლო ვერ გაუმხილა. დედასაც არ უცოცხლია დიდხანს, ერთი თვის შემდეგ გაჰყვა მეუღლეს. პანაშვიდზე ცხარედ მოტირალი ნატო ერთმა ახლობელმა „დაამშვიდა“ – თავს რად იკლავ, ეგენი ზომ შენი ნამდვილი მშობლები არ იყვნენო.

ნატო მაშინ მეორე შვილს ელოდა. აიღო მამის სურათი, ჩაიკრა გულში და დედის ნეშტთან დაიფიცა: შენს სახელზე ქეთინოს ზომ ვზრდი და თუ ღმერთმა ვაჟი მარე-

ქა, მამის გვარზე დაწერ და მის სახელს დავარქმევო. ნატომ ფიცი არ გატეხა.

გავიდა წლები... ნატომ უკვე ყველაფერი იცოდა, მაგრამ მის გულში არაფერი შეცვლილა. მცხეთის რაიონიდან (სადაც გათხოვილია) ყოველთვე მიდიოდა ხევთსოფელში მშობლების საფლავის სანახავად. ტყუპისცალის პოვნაც გულით ეწადა.

ერთხელ, დეიდასთან იყო სტუმრად თბილისში. შემთხვევით შემოსულმა მეზობლის მეგობარმა ჰკითხა – თქვენ ხომ მუსიკალურ სასწავლებელში სწავლობთ, რამდენჯერმე ვარ ამ სასწავლებელში ნამყოფი და იქ მინახინართო. ნატომ იუარა. მაგრამ მიხვდა, რომ მუსიკალურ სასწავლებელში უთუოდ მისი ტყუპისცალი და სწავლობდა, და ახალ ნაცნობს შეხვეწა, – მაჩვენე ის ჩემი მსგავსი გოგონაო.

ნატომ, დიდი მღელვარების მიუხედავად, მოახერხა გოგონასთან შეხვედრა, მერე ტელეფონის ნომერი მისცა და 8 იანვარს დეიდის სახლში დაბადების დღეზე დაპატიჟა. გოგონაც უცებ დაუახლოვდა ადამიანს, რომელიც ზუსტი ასლი იყო მისი და მსურვალე მეგობრობასაც შეჰპირდა. მათი საოცარი მსგავსებით გაოცებული იყო ყველა. ნატომ მაშინ ვერ გაუმხილა დას საიდუმლო – შეეშინდა, გამოცდების წინ არ აეღელვებინა, ჯერ უფრო დავიახლოებ და მერე ვეტყვიო, –

ნატოს შვილები



ფიქრობდა.

...გულისფანცქალით ელოდებოდა დის ზარს, მაგრამ ის არა და არ რეკავდა. აღარც მუსიკალურ სასწავლებელში გამოჩენილა. თბილისის ქუჩებში კი ხან ვინ მიმართავდა დის სახელით და ხან ვინ...

ნატომ დის ოჯახის ახლობელი გაიცნო და გოგონას მოუსვლელიობის მიზეზიც შეიტყო – დედას დაუშინებია ქალიშვილი: აღარ დაელაპარაკო იმ გოგოს, ის შენი ორეულია ან ვიდაც მოსყიდული ნიღბიანი, ასეთი ორეულები ყველა გოგონას ჰყავს, შესაძლოა, ვინმეს შენი ქონების დასაკუთრება უნდოდეს და ამისთვის მოგკლას კიდევცო...

ნატომ კიდევ ერთხელ სცადა შეხმთანობა და დის ოჯახს. გაიგო მისამართი და ნუგბრით ხელდაშვებულ მიადგა. დის დედობილი ცივად შეხვდა – ჩემი შვილი თავს შესანიშნავად გრძობს და გონებას ნუ აურევთ, გარდა ამისა, ჩვენ სოფელელებთან საქმე არ გვაქვსო.


გულმოკლულმა ნატომ ესლა სთხოვა, – ჩემს მორთმულ ნობათზე მაინც ნუ მიკრავთ ხელსო, მაგრამ არც ეს თხოვნა შეისმინა ქალმა.

...ამჟამად ნატო მცხეთის რაიონის ერთ-ერთ სოფელში ცხოვრობს მეუღლესა და სამ შვილთან ერთად. ბედნიერი ქალია, მაგრამ გულის ერთი სიმი მაინც ჩაწყვეტილი აქვს. ძალიან ახლობელი ადამიანი კვლავაც აკლია... იმედს არ კარგავს, რომ დას კვლავ შეახვედრებს ღმერთი...

P.S. პატივცემულო მკითხველო, ჩვენ მოვერიდეთ ნატოს დის და დედობილის სახელების დაწერას, ვაითუ, ამით გავადინიანოთ ისინი. ნატოს დაიკოს კი (რომელიც შესაძლოა, ჩვენი მონათხრობი, იქნებ, შემოგვეხმინოს: ნატო მოუთმენლად ელის დასთან შეხვედრას.

ინფორმაციული-შეხვედრითი კოლაჟი

ეონა დვალის უბის წიგნაკიდან:



ია კონკიას კაბასა და მდიდრულ კარეტასთან ერთად ბეწვის არშიაშემოვლებულ ფეხსაცმელს აჩუქებს და არა ბროლისას. კონკია დაღლილი იყო და ფერია მაც საგანგებოდ შურჩია რბილი ფეხსაცმელი. „ბროლისად“ ეს ფეხსაცმელი არასწორი თარგმნის შემდეგ „იქცა“.

17. მანდრაგორას ფესვი მოყვანილობით ადამიანის ფიგურას წააგავს, რის გამოც მას ძველ დროში მაგიურ ძალას მიწაწერდნენ. ძველი ხალხის რწმენით, მანდრაგორა იმ ხის ძირში იზრდებოდა, რომელზეც ადამიანი იყო ჩამოხრჩობილი. ცნობილია, რომ ჩამოხრჩობისას მამაკაცს ეაკულაცია (სპერმის გადმონთხევა) ემართება და ეს მცენარეც ვითომდა სპერმის დაღვრის ადგილზე ამოდიოდა.

18. კოლუმბია ზურმუხტის ყველაზე დიდი მომპოვებელი და ექსპორტიორია მთელ მსოფლიოში.

19. ერნესტო ჩე გევარა არგენტინაშია დაბადებული და გაზრდილი.

20. გამოთქმა „ავგურის ღიმილი“ იმ ადამიანთა ღიმილის გამოსახატავად იხმარება, რომლებიც ერთმანეთს პირში ატყუებენ. ავგურები ფრინველთა ფრენისა და ხმინობის მიხედვით ღმერთების ნებასურვილის ამომცნობი ქურუმები იყვნენ ძველ რომში. კატონისა და ციცერონის გადმოცემით, ავგურები მისნობის დროს თვითონ ძლივს იკავებდნენ სიცხლს და ეს გამოთქმაც აქედან წარმოიშვა.

21. მარინისტი ივანე აივაზოვისკი წარმოშობით სომეხი იყო..

22. ტექსტების მიხედვით დადგენილია, რომ შუმერულ ენას ორი დიალექტი ჰქონდა – ძირითადი და „ემესალი“. ეს უკანასკნელი მდებრობითი სქესის პერსონაჟთა მეტყველების გადმოსაცემად იხმარებოდა.

23. 1220 წელს მონღოლების მიერ დამარცხებული ხორეზმ-შაჰა ჯალალედინი მდინარე ინდს მიაღდა ინდოეთში გაღასასვლელად. ტივებისა და ნავების შეკვრაც ვერ მოასწრეს, რომ ჩინგის-ყენი მოიჭრა მღევარი ლაშქრით. დილიდან შუალამემდე გააფთრებით იბრძოდა ჯალალედინი. ყენის ბრძანება იყო, ცოცხლად შეეპყროთ იგი. ხოლო როცა სიკვდილი მის უკანასკნელ მეომრებსაც მისწვდა, ჯალალედინმა საომარი საჭურველი გაიძრო, მარჯვენა ცხენს მოახტა და შიშველი მახვილით ხელში მდინარეში გადაეშვა, გაცურა და მეორე ნაპირიდან მახვილის ქნევით დაემუქრა მონღოლთა მბრძანებელს. P.S. საქართველოს მომავალ დიდ მტრებს იმ დღეს ცოცხალი გადაურჩა ასევე მომავალი დიდი მტერი საქართველოსი.





ქობულეთში კაფე-ბარების ნაკლებობა ნამდვილად არ არის, თუმცა სეზონური პიკის მიუხედავად, კლიენტების სიმრავლით ბევრი ვერ დაიტრიაბა. ამ ფონზე, თავდაპირველად სწორედ ხალხმრავლობით მიიპყრო ჩემი ყურადღება ერთმა კაფე-ბარმა, რომელთანაც მშვიდად დასეირნობდა ჯამბაზი, ან „კლოუნი ბიძია“, როგორც მას ბავშვები ეძახდნენ. დაბუშტული ცხვირი და ფერად-ფერადი ზამბარებით დამშვენებული თმა ჰქონდა. თბილად და ოდნავ სევდიანად იღიმებოდა, უცნაური მოძრაობებით, ხან ცეკვით, ხან სიმღერით ბავშვებსაც ართობდა და იმავდროულად, კაფე-ბარშიც ეპატიუებოდა ხალხს. ბავშვები სიყვარულით სავსე თვალებით შესცქეროდნენ კლოუნს. როცა ინტერვიუსთვის შევხვდით, ძალიან გამიკვირდა, რომ არა ახალგაზრდა, როგორც ველოდი, არამედ საკმაოდ ასაკოვანი კაცი გამომეცხადა. ჩემი რესპონდენტი თბილისის პანტომიმის თეატრის მსახიობი — გომი ოსიპაშვილი აღმოჩნდა.

პანტომიმის უაზრობის ნათქვამი საზღვარგარეთ მსახიობებს

ქობულეთში ჩამოგზავნა ხელოვნება

ნინო ჩავახიშვილი

— სხვათა შორის, მარტო თქვენ კი არა, ბევრი აღნიშნავს ხოლმე — ასაკთან შედარებით, საკმაოდ ახალგაზრდულად გამოიყურები, კაცი ვერც იფიქრებს, 52 წლის თუ ხარო. მაგრამ ასაკს მაინც თავისი მოაქვს... როგორ გგონიათ, არ ვიღლები?! აი, ახლაც, სულ სველი ვარ, იმდენი ვიცეკვე, მაგრამ ძალიან, ძალიან ბედნიერი ვარ! ჯერ ერთი, იმიტომ, რომ იმ საქმეს ვაკეთებ, რომელიც ყველაზე მეტად მიყვარს, მეორეც — ბავშვებზე ვკითხულობ და მათთან ურთიერთობა და მუშაობა ძალიან ბევრ რამეს მაძლევს. მათგან იმხელა სითბო და სიყვარული მოდის, რომ ყველაფერი მავიწყდება ხოლმე. უნდა ნახოთ პატარების გაბრწყინებული თვალები!.. მშობლებს უკვე სპეციალურად კლოუნის სანახავად მოჰყავთ შვილები ამ კაფე-ბარში. ერთხელ ბათუმში წავედი და ის დღე „ჩამივარდა“: თურმე მოდიოდნენ ბავშვები და კითხულობდნენ, სად არის კლოუნო. გამიხარდა — ე.ი. უკვე ისე ვუყვარვარ, რომ მომისაკლეს კიდეც. ზოგს ეშინია ჩემი: იცით, რამდენმა იტირა გულამოსკვინით ჩემს დანახვაზე?! ზოგს კი, დაუუქნევ თუ არა ხელს, ერთი სული

აქვს, ახლოს მოვიდეს და შემეხოს. განსაკუთრებით ჩემი „პრინოსკით“ იზიბლებიან: ყველას უნდა, საკუთარი ხელით მოქაჩოს კლოუნს უჩვეულო ვარცხნილობის თმა... ძალიან პატარა, 4-5 თვის ბავშვი მომიყვანეს, ეგ იყო, ცოტა გაოგნებული მიყურებდა, თორემ არც შეშინებია და არც უტირია — აშკარად მოვეწონე... მოკლედ, ჩემი საქმე ბავშვების გართობაა. ოთხ

სიამოვნებით უყურებენ და კარგადაც ერთობიან ხოლმე.

— პანტომიმის თეატრის მსახიობი, ამ კაფე-ბარში კლოუნად როგორ აღმოჩნდით?

— მეგობრები (მუსიკოსები არიან და ამ კაფე-ბარში მუშაობენ ისინიც) დამიკავშირდნენ და მითხრეს, რომ უნდოდათ შოუ-პროგრამა მოემზადებინათ. პანტომიმის თეატრში სეზონი დახურული

საფრანგეთში რომ ვიყავი, იქ ძალიან ბევრი ცნობილი მსახიობი დღისით ქუჩაში იდგა და იქ „მოღვაწეობდა“, საღამოს კი — ჩვეულებრივ თეატრში ან რესტორანში. ეს, როგორც ჩვენთან, სირცხვილად ან, როგორც ზოგი ფიქრობს, მათხოვრობად როდი ითვლება...

ნოველას ვთამაშობ ყოველ საღამოს, 9 საათიდან ღამის პირველ საათამდე. თქვენ თვითონაც ხომ ხედავთ — ზოგი კაფეში თუ ვერ შემოდის, გარედან მაინც ინტერესით აღევნებს თვალს, როგორ ვცეკვავ და ვმღერო. სხვათა შორის, ისეთი ნომრებიც მაქვს, რომელსაც დიდებიც დიდი

იყო და თავისუფალი ვიყავი. დავთანხმდი და არც ვნანობ: უდიდეს სიამოვნებას ვღებულობ აქ. პანტომიმის თეატრის მსახიობი სპორტსმენივით სულ ფორმაში უნდა იყოს, არ უნდა მოღუნდეს. ქობულეთში 15 ივლისს ჩამოვედი და ალბათ, სექტემბრის

შუა პერიოდამდე დავრჩები.

— საუბრისას თქვით, გიორგი შავგულიძის ნათლული ვარო. მან სომ არ დაგანათლათ თეატრის სიყვარული?

— რა ვიცი, ალბათ ცოტა ესეც იყო. ისე, მსახიობობაზე ბავშვობიდან ვოცნებობდი. მამაც, ზაქარია ოსეფაშვილი, მსახიობი, მუსიკალური კომპედიის თეატრის ერთ-ერთი დამაარსებელი იყო. როდესაც ჩემმა უფროსმა დამ (გულიკო ემხვარი მარჯანიშვილის თეატრის მსახიობია. — ავტ.) თქვა — თეატრალური ინსტიტუტში ვაბარებო, მამა სასტიკ უარზე დადგა, მაგრამ გულიკომ მაინც თავისი გაიტანა. მერე მეც „მოვიწამლე“ სცენით. სულ მსახიობების წრეში მიხდებოდა ტრიალი, მთელი ბავშვობა თითქმის თეატრში მაქვს გატარებული და რა გასაკვირია?!

— პანტომიმის თეატრში როგორღა მოხვდით?

— პანტომიმის თეატრის დამაარსებლის — ამირან შალიკაშვილის გამოსვლა რომ ვნახე პირველად სცენაზე, სწორედ მაშინ გადავწყვიტე, პანტომიმის მსახიობი გავმხდარიყავი. 1969 წელი იყო. მალე, სულ რაღაც ორიოდე თვეში, ოპერის თეატრში მომიწია გამოსვლა. პირველ ნაბიჯებს ვდგამდი და ძალიან ენერჯიულობდი. არადა, ფაქტობრივად, სათამაშო არაფერიც არ მქონდა — ერთი კულისიდან მეორეში უნდა გავსულიყავი, ეს იყო და ეს — მაგრამ არა და არ დამთავრდა ეს გზა, პროექტორები პირდაპირ თვალებში მირტყამდა და ვნატრობდი: ღმერთო, ნეტავი, ახლა სწორად მაინც გავიარო-მეთქი!.. როგორც იქნა, დამთავრდა სპექტაკლი და შვებით ამოვისუნთქე. მაყურებელმა ტაში დასცხო. ძალიან ბედნიერი ვიყავი, ამ გამარჯვებაში სულ პატარა წვლილი მეც რომ შევიტანე...

მთელი ღამე არ დამძინა. გაგეცინებათ და, ნერვიულობის გამო, მთელ სხეულზე რაღაცამ წითლად გამომაყარა კიდეც... საერთოდ, ბავშვობიდან ძალიან მგრძობიარე ვიყავი. მახსოვს, ერთხელ მშობლებმა კინოთეატრში წამიყვანეს, მგონი, ინდური ფილმი გადიოდა. ხომ იცით,

როგორი გულის ამაჩუყებელი ამბები იციან... ჰოდა, ისე განვიცადე, რაც ფილმში ხდებოდა, რომ იქვე ცუდად ვიგრძენი თავი. სახლში გამაქანეს და ექიმიც დამაყენეს თავზე. სიცხე კი აქვს, მაგრამ გაცივებული არ არის — ეტყობა, ძალიან მგრძობიარე ბავშვია და ფილმში ნანახის გამო ინერვიულაო...

— სპექტაკლები საქართველოს გარდა, საზღვარგარეთ — ამერიკაში, გერმანიაში და მოლდავეთშიც გქონიათ დადგმული. არასდროს შემოუთავაზებიათ იქ დარჩენა და მუშაობა?

— არაერთხელ, მაგრამ საქართველოს გარდა, ვერსად ვერ ვიცხოვრებ. ამას უბრალოდ, ლიტონ სიტყვებად ნუ ჩამითვლით, მართლა ასეა! ერთხელ, 20 დღე ვიყავი ამერიკაში, ყველაზე მეტხანს კი — 3 თვე გერმანიაში და სულ გაძლებაზე ვიყავი. არადა, პანტომიმის მსახიობისთვის ენობრივი ბარიერიც არ არსებობს და სხვაზე ადვილად შეიძლება მოემოვა სამსახური... თუმცა, დღეს ქართველი დრამის მსახიობებიც — მაგალითად, რუზო ჩხიკვიშვილი და ამირან ამირანაშვილი, წარმატებით მოღვაწეობენ საზღვარგარეთ და უცხო ენაზეც უპრობლემოდ თამაშობენ სპექტაკლებს... შარშან პარიზში ყოფნისას, რუსულმა თეატრმა შემომთავაზა დარჩენა: ახალ სპექტაკლს ვდგამთ, ზუსტად თქვენაირი ტიპაჟი გვჭირდება — ითამაშებთ კიდეც და სპექტაკლსაც

დაგვიდგამთო. თეატრი ქალაქის ცენტრში იყო, პატარა, 40 კაციანი დარბაზი ჰქონდა, მაგრამ მსახიობები თავს იწონებდნენ: აქ ხან ჟერარ დეპარდიე შემოდის, ხან ალენ დელონი და, სხვაც რომ არაინ მოვიდეს, ჩვენი პრესტიჟისთვის ესეც საკმარისიაო... ვერ დავრჩი: თბილისისა და საქართველოს ნოსტალგია მომკლავდა...

— ისევ თქვენს ამჟამინდელ საქმიანობას დავუბრუნდეთ: კლოუნადით რატომ დაინტერესდით?

— ყოველთვის მქონდა ცირკში გამოსვლის სურვილი. იცით, ეს სულ სხვა ხელობა და სულ სხვა გრძობაა... მანქანაზე ისეთი გენიოსიც კი გამოსულა, როგორც ჩარლი ჩაპლინი იყო. იმდენად დამინტერესა კლოუნის პროფესიამ, რომ ქართულ ცირკშიც მივედი და ერთი სეზონი იქაც ვიმუშავე. მე და ჩემმა მეგობარმა ვიარსულავ პოლუნინმა თითქმის ერთდროულად დავიწყეთ პანტომიმის თეატრებში მოღვაწეობა. ვიარსულავი 15 წლის მანძილზე გამოდიოდა თეატრში და მერე გადავიდა კლოუნადაში — იმიტომ, რომ პირდაპირ, ხელის ერთი მოსმით, კარგ კლოუნად ვერ ჩამოყალიბდები: კლოუნობა მარტო იმას კი არ ნიშნავს, რომ წითელი ცხვირი „დაისკუპო“ და ლოყები შეიღებო. კლოუნადა იმდენად რთული ჟანრია, რომ სულ თითზე ჩამოსათვლელები არიან პროფესიონალი კლოუნები: პოპოვი, ნიკულინი, ქარ-





თველებიდან კი – პოპიაშვილი... მოკლედ, როდესაც ვიარჩეს ლავმა თავისი საკუთარი თეატრი გახსნა, სულ მეპატიჟებოდა – ყველანაირი ტიპაჟი მყავს, მარტო სევდიანი

კლოუნი მაკლია და წამოდიო.

— კაფე-ბარში კლოუნად მუშაობაზე მსოფლოდ პროფესიული ინტერესის გამო არ დათანხმდებოდით. როგორი ანაზღაურება გაქვთ?

— (იცინის) საიდუმლოა, ვერ გაგიხსნელთ. ყოველ შემთხვევაში, იმაზე მეტი, ვიდრე თეატრში მაქვს. იცით რა, საფრანგეთში რომ ვიყავი, იქ ძალიან ბევრი ცნობილი მსახიობი დღისით ქუჩაში იდგა და იქ „მოღვაწეობდა“, სადამოს კი — ჩვეულებრივ თეატრში ან რესტორანში... ხალხი მათ ფულს აძლევდა, მაგრამ ეს, როგორც ჩვენთან, სირცხვილად ან, როგორც ზოგი ფიქრობს, მათხოვრობად როდი ითვლება, არც იმას ნიშნავს, რომ „საწყალ მსახიობებს“ მატერიალური პრობლემები აქვთ და იმიტომ დგანან ქუჩაში. მსახიობი ამგვარადაც

მუშაობს საკუთარ თავზე...

— თქვენი ოჯახის წევრებსაც თუ აქვთ შეხება ხელოვნებასთან?

— ჩემი მეუღლე — მერი ალიმბარაშვილიც მსახიობია, ქორეოგრაფიული სასწავლებელი დაამთავრა. თეატრში გავიცანით ერთმანეთი და შევეუღლეთ კიდეც. მყავს 25 წლის ქალიშვილი და 15 წლის ვაჟი. გოგონა ძალიან ადრე — პირველი კურსის სტუდენტი იყო, რომ გამითხოვდა, თანაც ქართველებრავლს გაჰყვა ცოლად და მას შემდეგ ისრაელში ცხოვრობს. 5 წლის ულამაზესმა შვილიშვილმა ძველი ოცნება ამიხდინა: სულ იმას ვფიქრობდი, ნეტავი ჩემს შვილებს ლურჯი თვალები ჰქონდეთ-მეთქი. არც ერთ შვილზე არ ამიხდა, ამ პატარას კი საოცრად ლამაზი ლურჯი თვალები აქვს (ბატონი გოგი გულის ჯიბიდან სათუთად იღებს შვილებისა და შვილიშვილის ფოტოსურათებს და სიამაყით მიჩვენებს, — ავტ.). ძალიან მენატრებიან, ალბათ, მალე ვნახავ კიდეც — თბილისში ჩამოსვლას აპირებენ. ■



უსაქმობით რამყახებური ჩეკოჩი

პოლონელმა რაფალ ლელიუკევიჩმა ველოსიპედზე 25 საათი, 11 წუთი და 7 წამი გაატარა. რბოლის რეგლამენტით, მას ყოველ საათში 3 წუთიანი შესვენების უფლება ჰქონდა, რათა მცირედი საკვები მიერთო და სხვა საჭიროებისთვის გამოეყენებინა. თავდაპირველად, მას ველოსიპედზე 30 საათი უნდა გაეტარებინა, მაგრამ უწყვეტი სიარულით დაქანცულს, თვალები ეხუჭებოდა და რადგან რეკორდი უკვე დამყარებული ჰქონდა, განზრახვაზე ხელი აიღო. ყველაზე მეტად კი, თავისი გამარჯვების მომსწრე საზოგადოება და ჟურნალისტები ფინიშზე გამოთქმული გულწრფელობით გააკვირვა: უწყვეტი რბოლის იდეა, დაფინის გვირგვინის მოპოვების სურვილმა კი არა, უბრალოდ უსაქმობამ მიკარანახაო. ■

მეოცე მთაზე ქვეყნის სახელით


მამაკაცებისა და ქალების ურთიერთობათა მკვლევარებს დიდი ხანია ვერ დაუდგენიათ — როგორ ხდება, რომ კაცები მეტ სექსუალურ კავშირს ამყარებენ, ვიდრე ქალები, არადა, ამგვარი გამოკითხვების მთელი ისტორიის მანძილზე სწორედ ეს შედეგი ფიქსირდებოდა. დიდი ხნის მანძილზე მკვლევარები ვარაუდობდნენ, რომ ამის ძირითადი მიზეზი კაცების ელემენტარული ტრაბახი იყო — ისინი ხომ მუდამ აზვიადებენ თავიანთ „საგმირო საქმეებს“. არადა, პასუხი „მარადიულ“ კითხვაზე საკვებით მარტივი აღმოჩნდა: სოციოლოგებს არ მოსვლიათ თავში, გამოკითხვების შედეგების დაჯამებისას, გაეთვალისწინებინათ მეძაგების ფაქტორი. ამ ცოტა ხნის წინ კი, აშშ-ში ჩატარებული გამოკითხვისას, რომელშიც „დამის პეპლებიც“ მონაწილეობდნენ, დადგინდა — ყოველწლიურად, თითოეულ მათგანს საშუალოდ 694 პარტნიორი ჰყავს. ამ ახალი მონაცემის გათვალისწინებით, „ანგარიში“ გათანაბრდა და მამაკაცებისა და ქალების სექსუალურ კონტაქტებს შორის გარკვეული ბალანსიც დამყარდა. ■

ქართულიაა ქანდაკების „არსება“

ამ საოცარ ჭეშმარიტებაში ფრანკ-ფურტელი ქალბატონი ფრიდრუმ ცეხერი თავს გადახდენილი ამბის შედეგად დარწმუნდა: ის სუპერმარკეტში საყიდლებზე შევიდა და როცა სურსათით დატვირთული ეტლით სალაროს მიადგა, აღმოაჩინა, რომ ხელჩანთაში საფულე (150 მარკით, საბუთებითა და გასაღებების აკმით) აღარ იყო. ქურდი მაღაზიაში ვერ ნახეს, მაგრამ ორი დღის შემდეგ, ფრაუ ფრიდრუმმა მიიღო წერილი, რომლის ავტორი... ამერიკელი ჰენრი მილერი აღმოჩნდა. ის დიდ ბოდიშს უხდიდა გერმანელ ქალბატონს ჩადენილი დანაშაულისთვის და უხსნიდა, რომ ქურდობისკენ უკიდურესმა გაჭირვებამ უბიძგა: მშობლიურ დელავერის შტატში დასაბრუნებელი ბილეთის ფული არ ჰყოფნიდა. წერილთან ერთად, მილერმა ფრიდრუმ ცეხერს 100 მარკა, ერთი დოლარი და იმ ადგილის დაწვრილებითი აღწერილობა გამოუგზავნა, სადაც მისი საფულე დამალა... ■

60600 ოპერაციის დღე

ტატუირება სულ უფრო პოპულარული ხდება ჩვენში. მან ძირითადად, ახალგაზრდები გაიტაცა, თუმცა, სოლიდური, ასაკოვანი ადამიანებიც იკეთებენ ხოლმე სვირინგებს. როგორც ბაზარს სჩვევია, როცა მოთხოვნა ჩნდება ის კმაყოფილდება კიდევ და სვირინგის ოსტატთა რიგებსაც ახალ-ახალი მხატვრები ემატებიან. ერთ-ერთი მათგანს, ახალი სალონის — „ფარაონის“ მფლობელი, 31 წლის ცოტნე დადიანი.



— პროფესიით მხატვარი ვარ, ბევრი საქმე მიკეთებია. ოქრომჭედლადაც ვმუშაობდი. სვირინგების სალონის გახსნა ჩემი დიდი ხნის ოცნება იყო. ჯარში რომ ვმსახურობდი, იქ თითქმის ყველას ჰქონდა გაკეთებული ტატუირება: ჩეჩნები არწივებს იხატავდნენ, რუსები — ლამაზ ქალებს. ჯარში ერთადერთი მხატვარი ვიყავი და ყველა ჯარისკაცი მე „მოვხატე“. ორიოდე წლის წინ კი, მოსკოვში ტატუირების კურსები გავიარე და სერტიფიკატიც ავიღე, მაგრამ უფულობის გამო, დღემდე ვერ ვახერხებდი ჩემი იდეისთვის ფრთების შესხმას. მართალია, ეს სალონი პირველი არ არის თბილისში, მაგრამ ჩვენ პირველები ვართ, ვინც ყველაზე მეტს „ყვირის“...

— ყვირილში რას გულისხმობთ?

— ყვირილში გამოძწევე და ეფექტური სარეკლამო პლაკატებსაც ვგულისხმობ და პროფესიონალიზმსაც: გვინდა ყველამ გაიგოს, რომ სადღაც სარდაფში კი არ ვსხედვართ და ჩუმ-ჩუმად კი არ ვაკეთებთ სვირინგებს, არამედ ცივილიზებულად, მაღალპროფესიულად და ყოველგვარი ნორმების დაცვით ვმუშაობთ. ამით უფრო მეტ პასუხისმგებლობასაც ვიღებთ. აღრე სვირინგის გაკეთება აკრძალულიც იყო და დამნაშავეთა სამყაროსთან ასოცირდებოდა. არადა, რა სისულელეა! რატომ უნდა დაუშალო ადამიანს საკუთარი სხეულის მოხატვა?! ჩვენ ხომ არავის არაფერს ვუშავებთ. სალონში ჰიგიენური ნორმები აბსოლუტურად დაცულია. ეს კი არაა და, როდესაც კლიენტი მოდის, მოვითხოვთ, რომ მანამდე სამდიცინო შემოწმება გაიაროს, რათა გავიგოთ, თვითონ ხომ არ სჭირს რაიმე ან

„საქმე სოფლას არ ჩავლივარ, მაგრამ ტატუის სოფელი მაინც მაინც ვიპოვებ...“

შეიძლება, სულაც ლითონზე ჰქონდეს „გართულება“ — ალერგიას ვგულისხმობ. ვინც 18 წლის არ არის, იმას მშობლების ნებართვას ვთხოვთ. თუ დედამა თანახმაა, რა არის ამაში ცუდი? მაგალითად, ერთხელ ჩვენთან 13 წლის ბავშვმა გაიკეთა სვირინგი — მშობლები მოვიდნენ და თვითონ გვთხოვეს.

— ტატუირება ხელოვნებააო, აღნიშნეთ გინდათ თქვით, რომ ტატუირების პროცესშიც ისეთ-სავე „შემოქმედებით წვას“ განიცდით, როგორცაც ხატვის დროს?

— აბა რა! როდესაც ხატავ და ამის განწყობაზე არ ხარ, უბრალოდ სურათი — ე.ი. ტილო გავიფუჭდება, მე რომ გამოიფუჭდეს, რა გამოდის? მე ხომ ადამიანის სხეულზე ვხატავ და თუ ყველაფერი არ ჩავაქსოვე მასში, ხომ დავამახინჯე კლიენტი! სხვისი არ ვიცი და, ჩემთვის ტატუირება მართლაც ხელოვნებაა. ევრო-

პაში ეს უკვე ნამდვილი ხელოვნების ღონეზეა აყვანილი: იმართება სპეციალური შოუები, ტარდება გამოფენები. ასეა იაპონიაშიც — იქ ტატუირების ხელოვნება ლამისაა ფერწერას გაუთანაბრონ.

— მაგრამ ბევრი მაინც ვერ ჩასწვდა ამ ხელოვნების სიბლეს. საინტერესოა, თვითონ კლიენტები რა მოტივით იკეთებენ ხოლმე სვირინგს?

— წარმოიდგინეთ, რომ ტატუირება ბევრ ქვეყანაში ჯერ კიდევ ქვის ხანაში იყო გავრცელებული. ის მითოლოგიური და რელიგიური წარმოდგენების ანარეკლსაც წარმოადგენდა და პიროვნების სოციალურ სტატუსსაც განსაზღვრავდა. მოგვიანებით, ძველ რომსა და შემდგომ, შუა საუკუნეების ევროპაში ტატუირებას სამხედრო ტყვეებისა და დამნაშავეთათვის დამლის დასაღებად იყენებდნენ. სხვათა შორის, ჩემთან სშირად მოდიან ხოლმე ბიჭები, რომლებიც ჯარში აპირებენ

წასვლას ან, პირიქით, უკვე მოიხადეს სამხედრო სამსახური და სვირინგს თავისი ნაწილის დასაფიქსირებლად იკეთებენ. საზღვარგარეთ ამა თუ იმ რელიგიური ჯგუფის ან სოციალური თუ შოუბიზნესის მიმდინარეობის გამოსახატავად იხატავენ სხეულს: როკერები, მეტალისტები, სხვადასხვა ჯურის სექტანტები... საქართველოში ჯერჯერობით, ძირითადად, მოდის გამო იკეთებენ სვირინგს. საერთოდ, სვირინგის არჩევა გარკვეული ნიშნის მიხედვით ხდება ხოლმე. ვთქვათ, ციხეში გაკეთებული ტატუირების მიხედვით, ადვილად მიხვდები, რა გადახდა ამა თუ იმ კრიმინალს. როკერები უმთავრესად, მოტოციკლეტებს ისვირინგებენ ხოლმე და ა.შ. უკრაინაში დღესაც არსებობს სპეცდანიშნულების რაზმი „ბერკუტი“ (მთის არწივი), რომლის წევრებს მარცხენა ფეხზე სწორედ ეს ფრინველი აქვთ ამოსვირინგებული.

— ქართველ სპეცრაზმელებსაც ხომ არა აქვთ რაიმე სვირინგი?

— ჩემთან არც ერთი მათგანი არ მოსულა. თუმცა, ამას წინათ, თავდაცვის სამინისტროდან ერთი ვიცე-პოლკოვნიკი იყო: ჩემი ასეულის წევრებს მინდა გავუკეთო სვირინგებიო. მგონი, არწივისა თუ მორიელის ამოსვირინგება უნდოდა ასეულის ბიჭებისთვის. ალბათ ფიქრობს, ასეთი ნახატი გამბედაობასა და გულადობას გაუღვივებს მებრძოლებს...

— უფრო ხშირად სხეულის რომელ ნაწილს ისვირინგებენ?


— ძირითადად, მკლავს. რამდენიმე წლის წინ, ქალებში ასეთი მოდა იყო გავრცელებული: მკერდზე პეპელას იხატავდნენ, დუნდულებზე კი — ვარდს.

— ე.ი. ადრე ინტიმურ ადგილებს უფრო „წყალობდნენ“?

— ინტიმურში არ არის საქმე. უბრალოდ, მაშინ დაფარულ ადგილებს უფრო იხატავდნენ, დღეს კი, პირიქით, თუ სვირინგი გაიკეთეს, გამოსაჩენ ადვილს უფრო ეტანებიან...

— ამოსვირინგება ალბათ საკმაოდ მტკივნეულია. რამდენ ხანს უნდებოთ ამ პროცედურას და ტკივილის გასაფურჩბლად თუ უკეთობთ რამეს კლიენტს?

— გააჩნია, რა ნახატს ვაკეთებ: ზოგს 2-3 წუთში დაამთავრებ. ზოგს შეიძლება ერთი ან ორი თვეც კი მოუხდეს — მით უმეტეს, თუ მთელი სხეული გაქვს მოსახატი. რაც შეეხება ტკივილს, ეს პროცედურა ეპილაციაზე მეტად მტკივნეული არ არის. თუმცა, ზოგი მაინც ვერ უძლებს. სხვათა შორის, გოგონები უფრო ვაჟკაცურად იტანენ ტკივილს, კაცები კი ცოტა „მოიკოჭლებენ“. ერთხელ სპორტსმენი ბიჭი მოვიდა — ჩასკვნილი, დაკუნთული ახალგაზრდა, ლამისაა, არაფრით ჩამოუვარდებოდა შვარცნევერს. მკლავის შიდა მხარეს ძალიან ნაზი კანია და თავიდანვე გავაფრთხილე, რომ ცოტა მტკივნეული იქნებოდა. იუკადრისა გაფრთხილება — ძმურად, რა, მაგისტანები მომითმენია — აბა, ერთი, შემომხედეო?! დავიწყე სვირინგის კეთება და ვატყობ, რაღაც ვერ არის კარგად... თავბრუ ხომ არ გეხვევა-მეთქი, — კკითხე. მიდი, მიდი, ყურადღებას ნუ მომაქცევო. სიტყვაც არ



ჰქონდა დამთავრებული, რომ უცებ „გაითიშა“ და სკამიდან გადავარდა... წარმოიდგინე, რა დღეში ჩავვარდებოდი — მთასავით კაცის მოსულიერება არ გინდა?! რას ვიზამდი — ეგრევე ნიშადური ვატაკე ცხვირში. წამოხტა და აქეთ დამიწყო დამშვიდება — არ შეგემინდეს, არაფერია, უკვე გამიარაო. მაგრად კი „გაუტყდა“. ცოტა ხანს ვაცალე სულის მოთქმა და როდესაც კკითხე — გავაგრძელოთ-მეთქი? ხელები გაასავსავა: არა, ძმაო, აღარ მინდაო...


— ბევრი კლიენტი გყავთ?

— ამ დღით, ვიდრე თქვენ მოხვიდოდით, სამი კლიენტი უკვე „გავალამაზე“. ვინ აღარ მოდის სალონში?! ერთხელ 77 წლის კაციც კი მოვიდა — ძველი ნახატი მაქვს და ახალი გამიკეთეო... ტატუირება ძვირი სიამოვნებაა, იმიტომ, რომ ყველანაირი მასალა ამერიკიდან — ნიუ-ჯერსიდან ჩამოგვაქვს. ამიტომ ბევრი მსურველიც ვერ მოდის — უფულობის გამო ვერ ახერხებს. ავერ, სულ ცოტა ხნის წინ, ახალგაზრდა კაცმა მორიელი ამოირჩია, მერე ფასი მკითხა და წავიდა: ფულს შევგაროვებ თუ არა, მაშინვე მოვალო... არის 10-15 ლარიანი სვირინგებიც და 20-25 დოლარიანებიც. ფასი ძირითადად, საღებავზეა დამოკიდებული: ამერიკული და ინგლისური საღებავები უფრო ძვირი ღირს, გერმანული — შედარებით იაფი. დროებითი სვირინგები კი (2-დან 5 წლამდე ძლებს და შემდეგ თავისით ქრება) ყველაზე ძვირია.

— გამოდის, ტატუირება არც ისე სარფიანი საქმე ყოფილა...

— რომ ვითხრათ, ძალიან სარფიანი

ახალა ფეხზე ვისვირინგებ დრაკონს: ეს გარდასახვის ძლიერებისა და ბედნიერების ნიშანია



საქმე-მეთქი, ტყუილი იქნება. მაგრამ შენს საქმეს რომ აკეთებ, მარტო „ვიგოლაზე“ ხომ არ უნდა იფიქრო. მე ხელოვანი ვარ, ამ საქმის კეთება მსიამოვნებს და ეს არის მთავარი! ჯერჯერობით ყველა კონკურენტს ვზავრავთ — რეკლამითაც და პროფესიონალიზმითაც. სხვები მხოლოდ კატალოგებიდან იღებენ ნახატებს, ჩვენ კი შეგვიძლია — თუ რომელიმე კლიენტს რაღაც კონკრეტული ჩანაფიქრი აქვს, ზუსტად ის დავამუშაოთ და ისეთი სვირინგი გავუკეთოთ, რაც სწორედ მისი ფანტაზიის ნაყოფი იქნება.

— პრეტენზიულები ხომ არ არიან თქვენი კლიენტები?

— პრეტენზიული უფრო მეტად, მე თვითონ ვარ — საკუთარი თავის მიმართ: მინდა ყველაფერი ის, რასაც ვაკეთებ, საუკეთესო იყოს, ხოლო აქ ვაკეთებული ტატუირება კი — შეუდარებელი.

— დარწმუნებული ვარ, არაერთი ცნობილი პიროვნებაც მოაკითხავდა თქვენს სალონს. მათი ვინაობა ზეგასაიდუმლოებულია თუ გაგვიმხელთ?

— კი, რა თქმა უნდა, მაღალი ფენის წარმომადგენლებიც ხშირად გვსტუმრობენ ხოლმე, მაგრამ ჩვენ ანონიმურობის დაცვის პრინციპს არ ვღალატობთ. აქ ისეთი ადამიანები ყოფილან, რომლებსაც ვერაფრით ვერ დაგისახელებთ. შემძლია გითხრა, რომ ჩვენს სალონის ერთ-ერთი კლიენტი მუსიკოსი ჭაბუკა ამირანაშვილიც არის. ჭაბუკა ჩემი მეგობარია და ვიცი, არ ეწყინება, ამიტომ გეუბნებით. მან შეკვეთა მოგვცა, რომელსაც ახლა ვაკეთებ. ნახატი ჯერ დასრულებული არ არის.

— რა ნახატი ამოარჩია ქაბუკამ?

— საყვარელი ინსტრუმენტი — საქსოფონი.

— იმას მაინც ვერ მეთყვით, ცნობილი ადამიანებიდან ვისი მოსვლა გაგინარდებოდათ და რის ამოსვირინგებას ურჩევდით?

— ოღონდ პოლიტიკოსებს ნუ დამასახელებინებთ... ხელოვნების მოღვაწეებიდან — კი, ბატონო: შემოქმედი ადამიანი ყველაფერს უფრო ჯანსაღი თვალით უყურებს და იმიტომ... კარგი იქნებოდა, თუ პოპულარული მომღერალი ლელა წურჭუშია მოვიდოდა და უკვე ცნობილი თავისი ტატუირების გვერდით, ერთ ღამეზე ყვავილსაც ამოსვირინგებდა. იმედია, ამ უწყინარ სურვილს არ მიწყენს...

— თქვენ თვითონ თუ გაქვთ სვირინგი?

— ახლა ფეხზე ვისვირინგებ დრა-

კონს: ეს გარდასახვის, ძლიერებისა და ბედნიერების ნიშანია. ბოლო წლებში ბევრი რთული მომენტი მქონდა, მაგრამ ყველა ცხოვრებისეულ განსაცდელს გაუძეული და არ წავიქეცი. დრაკონიც ამ ძლიერების ნიშნად ამოვირჩიე.

— თქვენს მეუღლეს თუ გაუკეთეთ სვირინგი?

— არა, უარს მეუბნება. საერთოდ ვერ იტანს ტკივილს და ვერაფრით ვერ დავითანხმე. ერთხელ ვუთხარი — მკლავზე ვსინჯოთ-მეთქი, ძლიერს დავიყოლიე, მაგრამ როგორც კი ნემსი დავადე, წამოიყვირა — თავი დამანებე, არ შემიძლიაო.

— ცოტენ, ეს საქმიანობა ხატვაში ხელს არ გიშლით?

— ხელი რატომ უნდა შემეშალოს?! ვხატავ, როდესაც ამის განწყობა მაქვს. ისე, სულ პატარაობიდან — 2 წლიდან დავიწყე ხატვა და პირველად ადამიანი დავხატე... საერთოდ, პორტრეტებს უფრო კარგად ვხატავ, ვიდრე პეიზაჟებს. ყველაზე მეტად, ცისფერი და ყვითელი ფერები მიყვარს. პერსონალური გამოფენა კი არასოდეს მქონია.

— ყველაზე მეტად, რა თემატიკა გიზიდავთ?

— განსაკუთრებით, რელიგიურ თემებზე მიყვარს ხატვა. ამ საქმიანობის გამო კი, ხშირად დავდივარ ხოლმე ეკლესიაში და ცოდვებს ვინანიებ...

— გამოდის, რომ ტატუირებას თქვენ თვითონაც ცოდვად თვლით?

— მე მგონი, საშინელ ცოდვას არ ჩავდივარ, მაგრამ მაინც — ნემსს ვადებ ადამიანს და, ასე თუ ისე, ტკივილს ხომ მაინც ვაყენებ ვილაცას...



რეაქცია



ჯანმრთელი გლახაკი სნეულ მეფეზე ბედნიერია.

არტურ შოპენჰაუერი

სიტყვა აზრს გამოხატავს: თუ აზრი გაურკვეველია, სიტყვაც ბუნდოვანია.

ვისარიონ ბელინსკი

ისხარბე გახლავთ ღირსება მართლოდ-ენ დროის ხარჯვაში.

ლუციუს ანეუს სენეა უმცროსი

რა სამწუხაროა, რომ მეტისმეტად გვიან ვსარგებლობთ ცხოვრებისაგან მოცემული გაკვეთილებით.

ოსკარ უაილდი

თუ სხვისი ტანჯვით არ იტანჯები, ადამიანად როდი დარჩები.

საადი

კურთხეულია ის კაცი მარად, ვინც განსაცდელში არ იცის შიში, ვინც აქლემივით სულ წინ მიიწევს, ტკბილ ნაყოფს ეძებს ჭირსა

თუ ღხინში.
პანჩატანტრა

ყველგან, სადაც კი სიცოცხლეა, იმედიც არის.

პაინრიკ იბსენი

ლევკი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ზვადია.

შოთა რუსთაველი

ყოველგვარი სიტყვა უბადრუკი და ცარიელია, თუ საქმე არ მოჰყვა.

დემოსთენე

ჯგუფ „ვაკის პარკს“ აქვს ყველაფერი, რაც მსმენელის სიყვარულისა და პოპულარობისთვის არის აუცილებელი: შესრულების საკუთარი სტილი, კარგად ნაცნობი სიმღერების თავისებური ინტერპრეტაციის უნარი, გემოვნება, თვით მისი წევრების მიერ შექმნილი სიმღერები, რომელთაგან ბევრი უკვე პიტად იქცა.

ამ ჯგუფის ჩამოყალიბება ზაზა ხუციშვილის სახელს უკავშირდება, რომელსაც „ვაკის პარკის“ მეხუთე წლისთავთან დაკავშირებით შევხვდით.



ყველაზე უბედურად ჩასახული ქართული მოელჩრალი მამაკაცი

ნელი სპიტიველი

— ჯგუფის შექმნა გარკვეული მუშაობისა და გამოცდილების შედეგი იყო, რომელიც 80-იან წლებში მივიღე. პირველი ჯგუფი, რომელშიც ვმონაწილეობდი, იყო „რვაფხა“, სადაც ჩემ გარდა უკრაველენ გაგა დადიანი, ირაკლი ხუციშვილი და ნუგზარ თუხარელი. ამ ჯგუფმა დაახლოებით ერთი წელი იარსება. შემდეგ მიმიწვიეს მაშინ ძალზედ პოპულარულ ჯგუფში — „ჯუკ ბოქსი“, რომელშიც ძმები ჭილაშვილები მოღვაწეობდნენ, რენე ჩხაიძესთან ერთად. ამ ჯგუფთან მუშაობის დროს ვისწავლე ის ყველაფერი, რაც დღეს ვიცი.

პროფესიული მუსიკალური განათლება გაქვს?

— არა, ჩვეულებრივი მუსიკალური სკოლა დავამთავრე ფორტეპიანოს განხრით და სულ ეს არის. ამიტომ ვამბობ, რომ პროფესიული ჩვევები ძირითადად „ჯუკ ბოქსში“ შევიძინე. აქვე გავიცანი ირაკლი სანაია (კლავიშებიანი ინსტრუმენტი). სწორედ ირაკლი იყო, რომლის აზროვნება, საქმისადმი მიდგომა, თავიდანვე მომწონდა. ძალიან ნიჭიერი და კარგი მუსიკოსია. ბევრი მოსაგონარი დავგრჩა ამ ჯგუფიდან: გასტროლები ბალტიისპირეთის ქვეყნებში, გერმანიაში, შესანიშნავი კონცერტები თბილისში, მაგრამ, სამწუხაროდ, ჯგუფი 1991 წლის დასაწყისში დაიშალა. ამას ჩემი ექვსწლიანი შესვენება მოჰყვა და იმ პერიოდში მუსიკით

არ ვიყავი დაკავებული, ბიზნესის სფეროში ვმოღვაწეობდი. იყო გარკვეული წარმატებებიც, მაგრამ ყოველთვის ვიცოდი, რომ ეს ჩემი საქმე არ იყო. საკმაოდ დიდი პერიოდი დავყავი გერმანიაში, სადაც ჩემს იქაურ მეგობრებთან ერთად ვუკრაველი დამის კლუბებში. ამანაც საკლებო მუშაობის დიდი გამოცდილება შემძინა, რაც გამოგვაღება „ვაკის პარკში“.

— მაინც რა გამოგადგათ?

— თუნდაც ის, რომ „ვაკის პარკს“ ამჟამად აქვს ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული პროგრამა. ერთს ქართული სიმღერები შეადგენს — ჩვენიც და სხვისიც; მეორე, სუფთა ინგლისურენოვანი პროგრამაა — სამოციანი წლებიდან მოყოლებული, სხვადასხვა სახელგანთქმული ჯგუფის მიერ შესრულებული პოპულარული სიმღერები. ეს პრაქტიკა მსოფლიოს ბევრ ქვეყანაშია მიღებული: როდესაც ადამიანი კლუბში შედის, მას ნაცნობი სიმღერების მოსმენა და ნაცნობ მუსიკაზე ცეკვა სიამოვნებს, ამიტომაც შევადგინეთ პროგრამა კლუბისთვის.

— „ყველა სიმღერა ხომ რასმე გვაგონებს“, არა? როგორ შემოიკრიბე თანამოაზრეები „ვაკის პარკში“?

— თავიდან ჩანაფიქრი ირაკლი სანაიას გავუზიარე. მას ეს იდეა მოეწონა და დასარტყამი ინსტრუმენტებისთვის მინდია გაბაშვილი შემომთავაზა: ირაკლი მინდასთან ერთად ორი წელი ამერიკაში

ცხოვრობდა, იქაურ ჯგუფთან ერთად კლუბებში უკრავედნენ, ასე რომ, უკვე კარგი გამოცდილებაც ჰქონდათ და საშემსრულებლო დონეც. ამის შემდეგ მხოლოდ ბას-გიტარისტის პრობლემა დავგრჩა და ანსამბლ „ბლიციდან“ დროებით მოვიწვიეთ გიტარისტი ზაზა სახამბერიძე. მან ერთი წელი დაყო ჩვენთან, მერე კი, მოუცლელიობის გამო, საკუთარ ჯგუფს დაუბრუნდა. ზაზა ირაკლი ზიბზიბაძემ შეცვალა და ჩვენთან უკრავედა, ვიდრე ინგლისში წავიდოდა. მას შემდეგ ჩვენი წევრი გიორგი სამსონაძე გახდა. ჯგუფის წევრების შერჩევისას, ბედი ყოველთვის მწყობობდა, რადგან საქართველოში ძალიან მწირი არჩევანია ამ მხრივ.

— როგორც ვიცი, თქვენ ყოველთვის ფონოგრამის გარეშე მღერით.

— შემსრულებლის დეფიციტი რომ ვახსენებ, სწორედ დღევანდელი ტენდენციითაა გამოწვეული: ფონოგრამით გამოსვლები, კომპიუტერული ტექნიკის იმედოვნება... ჩვენ არც ერთი შემთხვევა არ გვქვნიდა, რომ ფონოგრამით გვემღერა.

— სახელი როგორ შეურჩიეთ, რაიმეს ხომ არ უკავშირდება „ვაკის პარკი“?

— ჯერ ერთი, ჯგუფის პირველი შემადგენლობის ყველა წევრი ვაკის პარკის მახლობლად ვცხოვრობთ. 80-იან წლებში სწორედ ვაკის პარკი იყო ჩვენი თავშეყრის ადგილი: ღია კინოთეატრში კონცერტები იმართებოდა, ვსაუბრობდით, ვკა-

მათობდით. საერთოდ კი, სახელს დიდ დატვირთვას არ ვანიჭებ, ყოველ შემთხვევაში, ჯგუფის მიმართულების გამოხატვის თვალსაზრისით მას განსაკუთრებული მნიშვნელობა არ აქვს. მე მგონი, უბრალოდ, კარგი სახელია, თანაც დანამდვილებით ვიცი, რომ არც ერთ ჯგუფს მთელ მსოფლიოში ასეთი სახელი არ ჰქვია.

— ცოტა ხნის წინ თქვენ ახალი ალბომი გამოვიდა. რა სიმღერებია შესული მასში?

— ამ ალბომში შესულია სხვადასხვა კომპოზიტორის ის სიმღერები, რომელიც კარგად არის ნაცნობი სხვადასხვა თაობის მსმენელისთვის: გუგული თორაძის რომანსი და „ფოსტალიონის სიმღერა“, ძმები ჭილაშვილების „მერი“ და ქიშო გვინჩაძის „პატიების დღე“... არის დუეტები. ყველა სიმღერას, ჩვენთან ერთად, მოწვეული მომღერლები ასრულებენ. ერთი სიტყვით, ამ ალბომში წარმოდგენილია ძველი ქართული სიმღერები, ჩვენებურად დანახული და გააზრებული.

— ამჟამად რას საქმიანობთ?

— ჩვეულებისამებრ, ვუკრაუთ კლუბებში, ცოტა ხნის წინ გასტროლები გვექონდა თელავში, რუსთავსა და ქუთაისში. სამივემ შესანიშნავად ჩაიარა და, რაც მთავარია, მსმენელი დარჩა კმაყოფილი.

— თელავში ალბათ განსაკუთრებული შესვენდრა გექნებოდა...

— რასაკვირველია, თელავი ხომ ჩემი მშობლიური ქალაქია, იქ ჩემს ოჯახს სახლიც აქვს და ხშირად ჩავდივარ ხოლმე. კონცერტის შემდეგ სწორედ ჩემთან გვექონდა პატარა ბანკეტი, კარგად მოვუღხინეთ და უნდა გითხრათ, რომ თამადაც ვიყავი და საკმაოდ ბევრიც დამიღვია...

— რა აზრის ხარ მსმენელის გემოვნებაზე? და საერთოდ, რას ფიქრობ დღევანდელი თაობის ინტერესებზე?

— საერთოდ, ყველა თაობა თავის მომდევნო თაობას აკრიტიკებს ხოლმე. მართლ იმის გახსენება რად ღირს, „ბითლზთან“ დაკავშირებით რაც ხდებოდა: საერთოდ არ ესმოდათ, რა ჯგუფი იყო, უფროსი თაობა გაოცებული იყო, როგორ უსმენდნენ მათი შვილები ამ მუსიკას... ახლა მეც ბევრი რამე მიკვირს... უფრო სწორად, ვერ მივცემ დიდ შეფასებას იმ ფონს, რომელიც დღეს საქართველოშია: გემოვნების დაბალი დონე და დაბალი პროფე-

სიონალიზმია გაბატონებული... თუმცა, უმთავრესი პრობლემა, რაც დღევანდელ ახალგაზრდობასთან დაკავშირებით ყველაზე მწვავედ დგას, ნარკომანია და ლოთობაა. მე პირადად ყოველთვის შორს ვიდექი ორივესაგან, ის კი არა — სივარეტსაც არ ვეწევი. ისიც მიკვირს, რომ ხშირად, ნარკომანიაზე ლაპარაკისას, სულ ივიწყებენ ლოთობას, რომელმაც ძალიან საგანგაშო მასშტაბები მიიღო ჩვენში.

— ასე მოძალებულ სენტა მიზეზად რას მიიჩნევ?

— მე მგონი, მთავარი მიზეზი სასოწარკვეთილებაა, რასაც არსებული რეალობა იწვევს. წარმოიდგინეთ — ახალგაზრდა, ჯან-ღონით სავსე 20-25 წლის კაცი უსაქმოდ დაეხეტება მთელი დღე, საკუთარ თავს ვერ პოულობს, საკუთარი შესაძლებლობების რეალიზებას ვერ ახდენს. ასეთ ბიჭებს შორის ბევრი ნიჭიერი ადამიანია, რომელმაც იცის, რომ ფულის გარეშე სამსახურს ვერ იშოვის... კიდევ ერთი უბედურება, რომელიც ძალიან უცხო იყო ჩვენთვის და ასევე აქტიურად შემოიჭრა ჩვენს ცხოვრებაში, ეს ჰომოსექსუალიზმია. ის იმდენად ჩვეულებრივ მოვლენად იქცა, რომ ხშირად მეჩვენება, თითქოს მისი რეკლამირებაც ხდება ტელევიზიითა თუ პრესით. საქმე იქამდე მივიდა, რომ ამით ლამისაა თავსაც იწონებენ ზოგიერთები...

— თბილისში მრავლად იმართება კონკურსი. თქვენ თუ მიგიღიათ მონაწილეობა?

— ერთხელ ვმონაწილეობდით და მაშინაც დიდი თხოვნა გვექონდა, რომ კონკურსის სახე არ ჰქონოდა, მაგრამ ჩვენი გულისთვის გამონაკლისს ვერ დაუშვებდნენ. ეს იყო პირველი ფესტივალი „მარგარიტა — 96“. ჩვენი ჯგუფი ახალი — სულ თვენახევრის ჩამოყალიბებული იყო, და მაინც გავიმარჯვეთ — მივიღეთ პრიზი „საუკეთესო როკ-ჯგუფისათვის“. საერთოდ კი, უნდა გითხრათ, რომ არ მიყვარს კონკურსები, განსაკუთრებით როცა საქმე მოზარდებს ეხებათ: შეიძლება, 12-13 წლის ბავშვი გამოიყვანო და ჟიურიმ შეაფასოს?! იმის უნარი, რომ


ადამიანმა სწორად გაიგოს მუსიკა და სწორად შეაფასოს, ძალზედ ინდივიდუალურია...


— თუ არ ვცდები, ასეთმა „ჟიურიმ“ გამოკითხვის შედეგად დაადგინა, რომ ზაზა ხუციშვილი ყველაზე უგემოვნოდ ჩაცმული მომღერალი მამაკაცია...

— რასაც უცხოეთში დაინახვენ, უცებ აქაც უნდათ გადმოიტანონ. ჩემთვის მათ შეფასებასა და ასეთ რაღაცებს აბსოლუტურად არა აქვს მნიშვნელობა, მაგრამ ამ საკითხზე ორიოდე სიტყვას მაინც გეტყვი: ავიღოთ ჰოლივუდი. იქ, გამოკითხვებს რომ ატარებენ, — მაღონა იქნება, ჯანეტ ჯექსონი თუ ანტონიო ბანდერასი, მათ ანგარიშზე, სულ მცირე, 15-20 მილიონი დოლარია, ჩაცმასა და გარდერობის შერჩევაზე ისინი წელიწადში ასეულ ათასობით დოლარს ხარჯავენ. ასეთ პირობებში უგემოვნოდ რომ აცვია, შეიძლება გააკრიტიკონ ის ადამიანი. მე არასოდეს ვყოფილვარ მათ რიგში, ვინც აუცილებლად 300 დოლარიანი სათვალთ უნდა იაროს ან შეიძლება, რაღაც შარვალი დაინახოს და სანამ არ იყიდის, მოსვენება დაკარგოს... ასე რომ, თუ ამგვარი გამოკითხვების დროს თავს დამანებებენ, ძალიან კარგი იქნება: არ მაინტერესებს ამგვარი რეიტინგები. განსაკუთრებით მაღიზიანებს, როცა „ათ საუკეთესო ჯგუფს“ ჩამოთვლიან და მათ შორის მეც გამრევენ: იმ ჯგუფებსა და „ვაკის პარკს“ შორის საერთოს ვერაფერს ვხედავ...

— რომელია შენი საყვარელი ჯგუფი?

— ძირითადად, 60-80-იანი წლების





დასავლური ჯგუფები, ისინი, რომლებსაც ჩვენ გიგანტებს ვეძახით: მომწონს მათი სიმღერები, საშემსრულებლო ღონე, არან-ჟირება, ინდივიდუალობა. დღეს საქართველოშიც არიან ცალკეული მუსიკოს-შემსრულებლები, რომლებზეც შემიძლია ვთქვა – აი, ის კარგად უკრავს დასარტყამ ინსტრუმენტებზე, ის კი კარგი ვოკალის-

ტია, – მაგრამ ისეთი ჯგუფი, თავისი რეპერტუარით, ვოკალით, საშემსრულებლო ღონით, ინტელექტით, მთლიანობაში რომ მომწონდეს, საქართველოში არ მეგულება. ისე, რა თქმა უნდა, ბევრი ნიჭიერი მუსიკოსი გვყავს და თუ ის ღონე, რომელზეც ვლაპარაკობ, საქართველოში დღეს არ არის, ეს ალბათ იმ საერთო მდგომარეობის ბრალია, რაც ქვეყანაშია. კიდევ იმ გზის, რომელიც 70 წლის მანძილზე გამოვიარეთ – უაზრო და კარნაკეტილი ცხოვრების, და კიდევ იმის, რომ საქართველოში არ არის ღირსეული და ფასეული საესტრადო საგანმანათლებლო სისტემა.

— ბევრი თქვენი თავყანისმცემლისთვის უთუოდ საინტერესო იქნება ზაზა ხუციშვილის პირადი ცხოვრება, ოჯახი.
— დაოჯახებული არ ვარ. მყავს დედა და ძმა, რომელსაც მეუღლე და სამი შვილი ჰყავს.
— ალბათ თავყანისმცემელი გოგონები განუხებენ?

— დიდად არა. როცა ვუხსნი ტელეფონში, რომ მისი გაცნობის სურვილი არა მაქვს, უმეტესობა ამას მშვიდად ეგუება ხოლმე. არის შემთხვევები, რომ რეკავენ და ზმას არ იღებენ, რაც ჩემთვის აბსოლუტურად გაუგებარია. ადამიანსაც აწუხებ და რისთვის, თუ არ დაელაპარაკები?!

— რამდენი წლის ხარ?
— ოცდათექვსმეტის.
— სიყვარულიც ხშირად გწვევია ალბათ?
— კი, მქონდა.
— ახლანდელი პაუზა რამ გამოინვია — ლალატს ხომ არ პქონდა ადგილი?
— რატომ იფიქრეთ, რომ მარტო ვარ? მყავს მეგობარი გოგონა.
— ყველაზე ცუდი რამ მხდარა შენს ცხოვრებაში?
— ყველაზე ცუდი და მტკივნეული, მამაჩემის გარდაცვალება იყო.
— კარგი?
— კარგი, თითქმის ყველაფერი, მუსიკას, შემოქმედებას უკავშირდება.
— შენც და „ვაკის პარკსაც“ გისურვებთ წარმატებებს და ვიმედოვნებთ, თქვენი ჯგუფი კიდევ ბევრ ლამაზ სიმღერას გვარჩუქებს.
— გმადლობთ.



მილიონაჲ ვერ მოხივლა

სწორედ ეს თანხა – 1 მლნ ლოლარი შესთავაზა ჰოლივუდის ვარსკვლავთა უბნის – ბევერლი-ჰილზის მცხოვრებმა, ინკოგნიტო ქალბატონმა ჯონ ტრავოლტას იმისთვის, რომ მისთვის... შვილი ერქვებინა. ამ თხოვნით მან მსახიობის ადვოკატს მიმართა, თან დასძინა – სიყვარულის ღამე აუცილებელი არ არის, მხოლოდ ვარსკვლავის ერთი „ულუფა“ სპერმაც საკმარისი იქნებაო. შესაძლოა, ბევრისთვის ასეთი წინადადება ძალზედ მიმზიდველი ყოფილიყო, მაგრამ ტრავოლტამ, რომელიც უკვე 10 წელია თავისი ცოლის – მსახიობ კელი პრესტონის ერთგულია (მათ 9 წლის ბიჭი და 1 წლის გოგონა ჰყავთ), დაუფიქრებლად უარყო იგი, პოპულარულ ტელეგადაცემაში გამოსვლისას კი ხუმრობით შენიშნა: მხოლოდ იმ შემთხვევაში დავთანხმდებოდი, კინოროლისთვის დადგენილი ჰონორარის ოდენი თანხა – 20 მლნ რომ შემოეთავაზებინათ...

საქმოსანი მონაზონი

საფრანგეთის ქალაქ ნიმის მახლობლად მდებარე საეკლესიო მმართველობას უჩვეულო თხოვნით მიმართა ქვეყნის სამხრეთში ახალჩამოსულმა მონაზონმა კლოტილდამ: ერთ-ერთი მონასტრის ნაწილი, მისი მიმდებარე მიწის ნაკვეთი და ღამამარე ნაგებობები იჯარით გადმოემცით – მონასტერში შესვლის მსურველ მორჩილებს მოვამზადებო. მონასტერი პიერ ლაფონდი სიხარულით დათანხმდა: ბოლო წლებში ბერთა შემცირების გამო, აღნიშნული მონასტერი სანახევროდ დაცარიელებულიყო... მაგრამ ცოტა ხანში ქალაქში უცნაური ხმები დაიბნა, რაც ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან იქ ჩასული ახალგაზრდების სიმრავლემ გამოიწვია. ამბობდნენ, რომ კლოტილდას მიერ აღებულ ტერიტორიაზე საეჭვო რაღაცები ხდებოდა. ნიმის წარმომადგენლობითი კომისია, ქალაქის მერის ხელმძღვანელობით, ჭორების შესამოწმებლად ჩაივია. მისი წევრების გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა მონასტრის ტერიტორიაზე... ნუდისტების ბანაკი დახვდათ. „მხილებული“ კლოტილდა არ დაიბნა და ქალაქის და ეკლესიის მამებს ბიბლიისკენ მიუთითა: ადამი და ევაც ხომ დედიშობილა დადიოდნენო... შემდეგ მან ყველა დიდ ფრანგულ გაზეთში ბანაკის სარეკლამო განცხადებებიც დააგზავნა, სადაც აღნიშნა, რომ ბანაკი... ადგილობრივმა ეპისკოპოსმა აკურთხა. აღშფოთებულმა ეპისკოპოსმა განაცხადა, რომ დაუყოვნებლივ დახურავს „გარყვნილების ბუდეს“, მაგრამ გადაწყვეტილება რამდენიმე კვირის შემდეგაც ვერა და ვერ მიიღო. როგორც ფრანგული პრესა იუწყება, მრევლის მიერ შეწუხებული პოლიციაც საეჭვო უმოქმედობას იჩენს...

შ

ვერი მკითხველი დამეთანხმება, რომ ის კურიოზი, რომელიც ახლა უნდა გაიბოთ, მხოლოდ ქუთაისში შეიძლება მომხდარიყო: ქუთაისში ხომ „ნამეტნავად“ კოლორიტული ხალხი ცხოვრობს, თავისით თუ არ შეემთხვავთ, იმდენს იზამენ, ძალით „შეიმთხვევენ“ რამეს.

ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, ერთ ქუთაისურ სამოს მეგობარი გამოაკლდა. ამ უბედურებამ ძალიან დააღონა ყველა, მაგრამ ნათქვამია – დიდმა ტკივილმა გამაგრებაც იცისო და გურამიას (გარდაცვლილის) მეგობრებმა მაქსიმუმში გააკეთეს, რათა საიქიოსკენ მიმავალ ძმაკაცს არაფერი მოჰკლებოდა. ჩასასვენებლიდან დაწყებული, ქელეხის სუფრით დამთავრებული – ყველაფერი მათ იკისრეს, ოჯახს ერთი თეთრიც კი არ დაახარჯვინეს.

დაკრძალვის წინა დღეს სამძოდან ერთს – ყველაზე „ორიგინალურ ბიჭს“ ასევე „ორიგინალური“ იდეა (დღეს რომ „მარიაჟულს“ ეძახიან) ეწვია:

– ე, ბიჭო, ხო გახსოვთ, ჩვენს გურამიას რაფერ უყვარდა კაი ცხოვრება? – ჩაეკითხა ირგვლივყოფთ.

– კი უყვარდა. მერე? – დაცქებიტეს სხვებმა ყურები.

– მერედა, მის სამოსს ერთი მობილურის ყიდვა რაგა უნდა გოუჭირდეს?! ხომ იცით, მობილური ტელეფონი დაკარგა და დღე-ღამეზე აპირობდა ახლის ყიდვას!

– კი, კი, მასეა! შენ გენაცვალე მაგ რაციონალურ ტვინში! დროზე შევაგროვოთ აპა, ფული! – თვალები გაუბრწყინდათ ძმაკაცებს და წინასწარ წარმოიდგინეს, ეს ამბავი რამდენ ხანს ეყოფოდა მთელ ქუთაისს სალაპარაკოდ.

დატრიალდნენ ბიჭები. იყიდეს ძვირად ღირებული „სონის“ აპარატი, ჩართეს ქსელში და 50 ლარიანი ბარათიც დაურთეს ზედ. საღამოს კი, ხალხით გაძემკვილ „ზალაში“, სადაც მიცვალებული ესვენა, პომპეზურად „ჩაასვენეს“ მობილური აპარატი სამოსახლოში. ლამის ჭერი ჩამოიქცა, იმდენი იტირეს ჭირისუფლებმა: ეს რაფერი ძმები გყოლია, შვილო, რატომ აქობამდე არ ვიცოდითო...

დაკრძალვის დღეს, ქალებმა ერთმანეთში ჩურჩული ატეხეს: არ შეიძლება თურმე ყველაფრის ჩატანება, რაღაც უნდა ამოცალო საფლავეში ჩასვენების



მარინა ბაბუნაშვილი

„მარიაჟული“ იდეა და საიქიოდან გავიხილო სმა

წინ. თუნდაც „პლატოკი“ ან ჯავრი-სიო...

მოილაპარაკეს, რომ სასაფლაოზე გაამახვილებდნენ ამაზე ყურადღებას. მათ დიალოგს გაფაციცებული უსმენდა ერთ-ერთი მეზობელი. მიტუშას ყურადღების მიღმა არ დარჩენია ის მნიშვნელოვანი დეტალი, რომ თურმე აუცილებელზე აუცილებელი ყოფილა რაღაცის ამოცლა სამოსახლოდან. ამის გაფიქრებამ სიამოვნება მოჰგვარა, რადგან წყალტუბოში, სამსახურში დაწინაურებას ელოდა და უფროსისთვის „კაი საჩუქრის“ ყიდვას აპირებდა. ქსელში ჩართული მობილური ტელეფონი კი სწორედაც ზედამოჭრილი იყო „უფროსიხა“.

მიწაში ჩასვენების წინ, მიტუშამ ქალებს ანიშნა – მე ამოვაცლი რამესო და მიცვალებულს ჯიბიდან საათთან ერთად ისე ამოვაცალა მობილური ტელეფონი, რომ კაციშვილს არ დაუნახავს. საათი ქალებს ჩააბარა, „სონის“ აპარატი კი საგულდაგულოდ შეინახა.

ორმოცმა დღემ მალე გაირბინა. მეორმოცე დღისთვისაც კარგად მოეზადნენ გურამიას ძმაკაცები. სუფრა რომ გაშალეს და მიცვალებულის ხსოვნის სადღეგრძელოც დალიეს, კვლავ იმ „ორიგინალური“ წინადადების ავტორს გაახსენდა თავისი იდეა და მეგობრებს

შესთავაზა:

– მოდი, ბიჭო, დოგურეკოთ ჩვენს გურამიას, მიწისქვეშეთშიც ავაწკრილოთ ზარი – სიმბოლურად!

– კაი ახლა, ნუ გავგავიყე, იმ დღის მერე ორმოცი დღეა გასული, მეტროში ჩასულ კაცს ვერაფრით დოუკავშირდები და საიქიოში გინდა დარეკო? – მოზომილად ჩაიქირქილეს ბიჭებმა.

– რავარი უცნაური ხალხი ხართ! მე გელაპარაკებით – სიმბოლურად-თქვა, ჩვენი ჭია გავახაროთ-თქვა, თქვენ კი ყველაფერს სერიოზულად უდგებით! – თქვა ისევ „იდეების“ ავტორმა და ჯიბიდან თავისი მობილური ამოაძრო. აკრიბა გარდაცვლილი გურამიას მობილურის ნომერი და... „ა, ბიჭო, გევიდა“, – დაიძახა თვალგაფართოებულმა. ცოტა ხანში ყურმილში მამაკაცის ხმა გაისმა. დამრეკავმა ნერწყვი ძლივს გადაყლაპა, მაგრამ გამშრალი ხმით, ყოველი შემთხვევისთვის, მაინც იკითხა: გურამი მინდოდა!

– გურამი ვარ. შენ რომელი ხარ? – რიხინად უპასუხა ვიღაცამ.

ამის თქმა იყო და მთელ სამოსს საშინელი ოხვრა აღმოხდა, „რაციონალისტს“ კი ტელეფონი ხელიდან გაუვარდა, თვითონ კი მიწაზე გაიშხლართა. ბედი არ გინდა? – მიტუშას უფროსსაც გურამი არ ჰრქმევია?!

კახაბერი შიბაბერიძე
საინტერესო ბიოგრაფიის
კაცია. იგი 1971 წელს დაიბა-
და თბილისში, დაამთავრა
ომსკის საერთო-საჯარისო
უმაღლესი სამხედრო სასწავ-
ლებლის 3 კურსი, მონაწილე-
ობდა აფხაზეთის ომში, აქვს
ლეიტენანტის წოდება, არის
პოლიტიკენიკური უნივერსიტე-
ტის მესამე კურსის სტუდენ-
ტი. ამჟამად უმუშევარია,
თავს შემთხვევითი შემოსავ-
ლებით ირჩენს. შარშან მისი
ბიოგრაფია ევროპაში „მოგზა-
ურობით“ გამდიდრდა.



ქვეყნის საზღვართან ქართული პასპორტი და დოკუმენტი ჩავერსე

თამაზ ქორქოლიანი

— კახა, რამ გაიძულა საზღ-
ვარგარეთ წასვლა?

— უპირველეს ყოვლისა, მატერიალურმა
სიდუხჭირემ და იმ გაუთავებელმა და-
პირებებმა, რომ სულ მალე „საქართველო
აყვავებულ ქვეყნად გადაქცევა, საშუალო
კლასი ჩამოყალიბდება, გვირახის ბოლოს
სინათლე გამოჩნდება“... მომეზრდა ჩვენი
პოლიტიკოსების დემაგოგია. აპათიურად
განვეწყვე და გადავწყვიტე, გავქცეოდი
ჩემთვის უპერსპექტივო გარემოს. მიხლო-
და მატერიალური მდგომარეობა გამეუმ-
ჯობესებინა, ვიფიქრე — ვიმუშავებ, ფულს
დავაგროვებ და ერთ-ორ წელიწადში
დავბრუნდები-მეთქი. ახალგაზრდა კაცი ვარ
— საკუთარი სახლი, საკუთარი ოჯახის
შექმნა ხომ მინდა...

— გამიგია, ევროპაში „სამოგზა-
უროდ“ ძალიან უჩვეულო გზა აგ-
ირჩევია — როგორც პირდაპირი,
ისე გადატანილი მნიშვნელობით...

— ვლადიკავკაზში ჩავედი, მაშინ ვიზე-
ბი შემოდებული არ იყო, იქიდან როსტოვ-
ში, როსტოვიდან კიევიში, მერე უჟგოროდ-
ში, უჟგოროდიდან მოშორებით სასაზღვრო
სოფელია — ველიკაიაბერიოზა.

— კი მაგრამ, წინასწარ იცოდი
ეს გზა?

— ვიცოდი: ჩემი ნაცნობი იყო წასული
ამ გზით და იმან მასწავლა. ამ სოფელთან
ერთი მთაა, იმას გადახვალ თუ არა, სლო-
ვაკეთი იწყებაო. შემდეგ ბრატისლავაში
უნდა ჩახვიდე, იქიდან ავსტრიის საზღ-
ვარი 60 კილომეტრის მოშორებითაა, ჩანს
კიდეც ეკლესიები და საცხოვრებელი
შენობებიო. საზღვარზე მავთულხლართე-
ბი არ არის, მაგრამ მკაცრი კონტროლია,



იქვე სიმიდის ყანები და მზესუმზირის
ნათესებია. ჩვეულებრივად შეგიძლია გვერდი
აუარო სასაზღვრო პუნქტს და ფეხით
გადახვიდე.

— ფული რამდენი წაიღე და
რა თანხა დაგიჯდა ავსტრიაში
მისვლა?

— 120 დოლარი მქონდა სულ წაღე-
ბული. სლოვაკეთში რომ ჩავედი, 50 დოლა-
რი მქონდა დახარჯული. მეშვიდე დღეს
უკვე ავსტრიის საზღვრისპირა დასახლე-
ბაში ვიყავი, ორასი კრონი გადავიხადე
კეთილმოუწყობელ ოთახში, სადაც საწოლ-
იც არ იყო. არავის უკითხავს, ვინ ვიყავი
და სად ვაპირებდი წასვლას — ეტყობა,
ჩემნაირი ხალხი იმ დასახლებისთვის
უჩვეულო არ არის და ადგილობრივებიც
ამით ცოტა ფულს შოულობენ.

— რაიმე საბუთი თუ გქონდა?

— ქართული საერთაშორისო პასპორ-
ტი. სანამ როსტოვში ჩავიდოდი, ოცდაათა-
მდე ბლოკ-პოსტი მანც გავიარე, სადაც
ყველა ფულს ითხოვდა — ოსები, ყაბარ-
დოელები და რუსები. უკრაინაში რომ
ჩავედი, არავის დაუკავებია, მაგრამ ამ-
ბობენ, იქაც ისეთივე სიტუაციაა, როგორც
რუსეთშიო. კიევიდან „ელექტრიკით“
ჩავედი უჟგოროდში, იქიდან ასევე მატარე-
ბლით წავედი და სლოვაკეთის საზღვრისპი-
რას — კარპატებში აღმოვჩნდი.

ძალიან გამიჭირდა ვინმესთან კონტაქ-
ტის დამყარება: დასავლეთ უკრაინაში პრინ-
ციპულად არ გელაპარაკებია რუსულად.
იმ ჩემს ნაცნობს, რომელიც ამ გზით გადა-
ვიდა საზღვარზე, ნათქვამი ჰქონდა: სადგუ-
რიდან ჩამოხვალ თუ არა, ანძას დაინახავ,
ამ ორიენტირს გაჰყვები და საზღვარს
მიადგებიო. ვერაფრის დიდებით ეს ანძა
ვერ ვიპოვე, თანაც ღამდებოდა და ციოდა.
ბოლოს, ერთმა მოხუცმა ქალმა (ეტყობა,
მიხვდა რისთვისაც ვიყავი ჩასული) ხე-
ლით მანიშნა — იმ გზას გაჰყევით. მეც
ალაღბელზე გავყევი იმ მიმართულებას
და მართლაც, ცოტა ხანში მავთულხ-
ლართს მივადექი. გაქძვერი ამ მავთულხ-
ლართის ქვემოთ, ორივე მხარეს ნიადაგი
ძველი დაფარცხული იყო. ეტყობოდა,
საზღვარს ყურადღება რომ აღარ ექცეოდა,
გარშემოც არავინ იყო, თორემ აუცილე-
ბლად დამინახავდა და დამაპატიმრებდა.
ასე აღმოვჩნდი ტყეში. უკვე სლოვაკეთში
ვიყავი, ის ღამე ტყეში გავათენე. მსგავსი
საკვლე პირობებისთვის, როგორც ყოფილი
სამხედრო, წინასწარ ვიყავი მომზადებუ-
ლი — ჩემს ზურგნაშაში, რომელიც 10
კილოგრამს იწონიდა, ყველაფერი მქონდა,
ნემსით და ძაფით, ტანსაცმლით, საძილე
ტომრით, მშრალი საკვებით დაწყებული,

კომპასითა და რუკით დამთავრებული. დილით რამდენიმე კილომეტრის მოშორებით, გზა დავინახე და პატარა ღელეს გავყვევ. საითაც წყალი მიდიოდა, გზაც იქით მქონდა... მერე სოფელი დავინახე. ამ გზაზე ფეხით გავიარე ერთი სოფელი, მერე მეორე – კაციშვილი არ კითხულობს, ვინ ხარ, სად მიდიხარ, საიდან მოდიხარ... მოსაღამოვდა და ავტობუსის გაჩერებაზე შევივინე, დალილი ვიყავი და იქვე გავათიე ღამე. დილით ხმაურმა გამომავლიდა – გაჩერებაზე ხალხი მოსულიყო, შორიდან მითვალთვალებდნენ და ერთმანეთს რაღაცას ელაპარაკებოდნენ, ალბათ ჩემზე. მალე ავტობუსიც ჩამოვდა, რომელშიც სხვებთან ერთად მეც ავედი.

— ესე იგი მოსახლეობა, ვინ იყავი და საიდან მოდიოდი, არ კითხულობდა, მაგრამ რა მიზანი გქონდა, კარგად ხედებოდა...

— რა თქმა უნდა: იმ ადგილებში მე არც პირველი ვიყავი და არც უკანასკნელი, ისიც კარგად იცოდნენ, საზღვარზე გადასვლა რომ მინდოდა. ვიარეთ ავტობუსით კარგა ხანს და იმ დასახლებულ პუნქტს მივადწიეთ, რომელიც რუკაზე მონიშნული მქონდა. მძღოლს ათი დოლარი გადავუხადე, სლოვაკური ფული არ მქონდა. გავიჟდა კაცი სინარულით, ჩამოვედი და ამის შემდეგ რკინიგზით ვიარე.

— მოსახლეობა ყურადღეობას არ გაქცევდა გასაგებობა, მაგრამ პოლიცია შენით არ დაინტერესებულა? შენ ხომ მთელი სლოვაკეთი გაიარე.

— რუსეთის მილიციისგან განსხვავებით, რომელიც ამაში ფულს აკეთებს, სლოვაკეთის პოლიცია ეტყობა, უფრო დიდი საქმეებით არის დაკავებული. ჩემნაირი იქ ყოველდღიურად ასობით ჩადის... ისე, თავიდან მეც ძალიან მიკვირდა, მით უმეტეს რომ იქაურებისგან გარეგნობით ძალიან გამოვიჩნეოდი, ჩაცმულობითაც, თითქმის ყველაზე უკეთ მეცვა. სლოვაკეთში თუ რაზე გეცემა თვალში, ეს უპირველესად, სიღარიბეა, ისე, ეტყობა, კეთილი და უპრეტენზიო ხალხია: მიუხედავად იმისა, რომ ენა არ ვიცოდი, მოთმინებით ისმენდნენ რუსულის, გერმანულის, ინგლისურისა და ქართულის ნაზავს, რომლითაც ველაპარაკებოდი.

— ავსტრიაში როგორ გადახვედი?

— უფრო ადვილად, ვიდრე სლოვაკეთში: ჯერ საზღვრის გამშვები პუნქტი

მოვებნე, სადაც სლოვაკები და ავსტრიელები კანონიერად გადადიან ქვეყნიდან ქვეყანაში. მერე შორიასლოს გავყვევო სასაზღვრო ზოლს და როცა დაერწმუნდი, ახლოს არავინ იყო, უცებ გადავიბრინე საზღვარი. პირველი, რაც ავსტრიაში გავაკეთე – ამოვიღე ჩემი ქართული პასპორტი, ფული – 51 დოლარი, მიწა ამოვთხარე და ჩავმარხე. ადგილი, რა თქმა უნდა, კარგად დავიმასსოვრე.

— საბუთები რატომ დამალე?

— ავსტრიაში ვინმეს რომ დავეჭვირე და ჩემი ქართული პასპორტი ენახათ, იმავე დღეს გლდანის მასივში ვიქნებოდი, ისე სწრაფად გამოძიებდნენ. უსაბუთოს რომ დავიჭვირე, შეგიძლია რაღაც ზღაპრები მოუყვე, ვინაობაც დაუმალო და ჩასვლის მიზანიც. თუ ბედმა გავლიდა, ამბობენ, შეიძლება გაძვრე და ლტოლვილთა ბანაკში მოგათავსონ, მერე იქ ეცდებიან ბოლომდე „გავშიფრონ“ – ათასი ფსიქოლოგი, ოურისტი და ექიმი-ფსიქიატრი იწყებს შენთან მუშაობას. მათაც თუ დაუძვერი, შეიძლება მოქალაქეობაც მოგცენ, მერე საშუალოსაც იშოვი და ნელ-ნელა აიწყობ ცხოვრებას.

— საზღვრის გადაკვეთაზე ჰყვებოდი...

— საბუთების დამალვას რომ მოვრჩი, ავსტრიის ბუჩქებში ჩამალული, კარგა ხანს ვათვალთვრებდი მიდამოს. ჩემ ქვემოთ, დაახლოებით ას მეტრში, გზატკეცილზე, ავტობუსის გაჩერებაზე ოცამდე ადამიანი იდგა. სლოვაკეთში გათამამებულმა, მეც დავადე თავი და მათთან მივედი. გამოველაპარაკე, მაგრამ ვერავის ვერაფერი გავაგებინე. გადავწყვიტე, ისევ ფეხით წავსულიყავი. ორი საათის შემდეგ ერთი დასახლებული პუნ-

პასპორტი რომ ვანახე, აღმოჩნდა, რომ მასში რუსეთსა და უკრაინაში ყოფნის ამსახველი შტამები იყო, სლოვაკეთისა კი – არა...

ქტი გავიარე, გზაზე ასობით მანქანამ და ველოსიპედმა ჩამიარა, არც ერთმა არ გამჩინრა, თუმცა ყველას ხელს ვუწვევდი. ერთადერთი მანქანა, რომლისთვისაც ხელი არ დამიქნევია, საკუთარი ინციდენტით გაჩერდა. იქიდან მკაცრი შესახველობის ავსტრიელი პოლიციელი გამძვავდა და – აუსვავისო, მითხრა. ნიხტ აუსვავის – ვუპასუხე. არა გაქვს და ჩემთან წამოხვალო – თქვა ალბათ პოლიციელმა და მანქანაში თავაზიანად შემეპატიჟა. პოლიციაში მომიყვანეს თარჯიმანი – ქალბატონი, რომელმაც მე რომ გერმანული ვიცო, იმ დონის რუსული იცოდა. ამ თარჯიმანს მოვუყვევო წინასწარ მომზადებული ლეგენდა იმის შესახებ, რომ ვარ ჩენენი, გცხოვრობდი გროზნოში, რუსებმა ქალაქი რომ აიღეს, შემთხვევით გადავურჩი დახვრეტას, რუსეთში აღარ დამედგომებოდა, ავსტრიაში ჩამოვედი და პოლიტიკურ თავშესაფარს ვითხოვ... მეორე დღეს სასწრაფოდ გადამიყვანეს დროებითი დაკავების სატუსალოში, სადაც ექვსი თვე ვიჯექი. ამიღეს თითის ანაბეჭდები, გადამიღეს სურათი და მომცეს ლტოლვილის მოწმობა, მაგრამ რად მინდოდა? – არ გამათავისუფლეს, ეტყობა, ჩემი ზღაპარი არ დაიჯერეს და არც შენობოდნენ.


— სატუსალოში რას აკეთებდი? სამუშაო არ გქონდა?

— არა, როგორც ვთქვი, ეს დროებითი დაკავების დაწესებულება იყო, სადაც კრიმინალები შემოჰყავდათ და გაჰყავდათ. 5-15 დღეზე მეტი ხნით არავინ გაუჩერებიათ, მხოლოდ მე ვიყავი „გამორჩეული“ პატიმარი. საშუალოს რაც შეეხება, ანაზღაურებითი საშუალო მხოლოდ იუსტიციის ციხეშია და სანამ ჩემს ვინაობას და დანაშაულს არკვევდნენ, ციხეში არ გადამიყვანეს.

— როგორ „გავშიფრეს“?

— არ „გავშიფრულვარ“ და ვერც „გამშიფრავდა“ ვინმე. შემქმლო ენის უცოდინარობა მომეხმარებინა, ან დუმილის უფლება გამომეცვენებინა. ხომ ვიცოდი – თითის ანაბეჭდებითა და სურათით ჩემი პიროვნების დადგენას ცდილობდნენ და ისიც ვიცოდი, რომ ვერ დააღწენდნენ, რადგან კრიმინალური წარსული არ მქონდა.

— კი, მაგრამ საბოლოოდ, მაინც სამშობლოში დაგაბრუნეს — მაშინ, როცა 6 თვიანი ვადის გასვლამდე სულ 2 კვირა გრჩებოდა... — ორ კვირას კი არა, ორ



წელიწადსაც გავუძლებდი. ის ექვსი თვეც ტყუილად არ მიწვალა — ბევრი რამ გავიგე და ბევრ მოვლენას სხვა თვალთ შევხვდი: ჯერ ერთი, თვითონ ავსტრიელების დამოკიდებულება არ იყო ჩემთვის მისაღები. ისინი ერთნაირად გვექცეოდნენ — ქურდსაც, ბანდიტსაც, ნარკოტიკების გამსაღებლებს და მეც — კაცს, რომელსაც საზღვრის დარღვევის მეტი დანაშაული არ მქონდა, ყოფა-ქცევითაც გამოვიჩინე და აღზრდა-ზრდილობითაც... გამაკვირვა ავსტრიელების უზომო ნაციონალიზმმა: ჩვენ, სხვა ერების წარმომადგენლებს ადამიანებად არ გვთვლიდნენ, ადვოკატი, ექიმი, ციხის თანამშრომელი ფსიქოლოგიცა და უბრალო კრიმინალებიც კი, რომლებიც ჩვენთან ერთად იხსდნენ, ყოველწუთიერად ყველაფერს გამაღვიძრებდნენ: აი, მე შენ სიგარეტი მოგეცე, აი, მე შენ საპონი გიწილადე, ჩვენ გაჭმევთ და გაცემევთ, შენზე ღენი რომ იხარჯება მისი ფასი ჩვენი ბიუჯეტიდან იფარება და ა.შ.... არ მინდა თქვენი დამადლებული-მეთქი, ვეუბნებოდი, გამიშვით — სამუშაოს ვიშოვი, ჩემს თავსაც შევიანახავ და თქვენი ბიუჯეტის სასარგებლოდაც, რაც კანონით გაქვთ დაწესებული, გადავიხდი-მეთქი, „შეაყარე კედელს ცერცვი“... თავიდან მეგონა, ეს ფსიქოლოგიური ზეწოლის ერთ-ერთი ხერხი იყო, მაგრამ მერე მე თვითონაც შევამჩნიე და პატივსაცემად მიიხრევი, რომ ციხის გარეთაც იგივე სიტუაციაა: ავსტრიელი არაფრის დიდებით ემიგრანტს სამუშაოს არ მისცემს, ურჩევნია, თავისი თანამემამულე დაასაქმოს და მეტი გადაუხადოს, ვიდრე ემიგრანტს შეასრულებინოს იგივე სამუშაო გროშების ფასად... ერთ მშვენიერ დღეს ფსიქოლოგს გამოვუცხადე — დამთავრდა ჩემი მოგზაურობა, სახლში უნდა წავიდე-მეთქი. მართალი გითხრათ, ძალიან გაუკვირდა — ჯერ ხომ თქვენი პიროვნება საბოლოოდ არ დაგვიდგენია! აღარ არის საჭირო, მე თვითონ გეტყვი — საქართველოს მოქალაქე ვარ, კახა მიქაბერიძე და თუ არ გჯერათ, წამოღით და პასპორტს გიჩვენებთ-მეთქი. წამიყვანეს, მივაგენი იმ ადგილს და ვუჩვენე პასპორტი. ძალიან გაუკვირდათ: შენ თუ საქართველოს მოქალაქე ხარ, მართლა გექნება პრობლემები და „ინტერვიუ“ ხელახლა ჩააბარე, თითქმის შესწავლილი გვყავხარ და ლტოლვილთა ბანაკში გადაგიყვანთო. აღარ მინდა-მეთქი — პირდაპირ ვუთხარი იმ ქალბატონს, მეტ-ნაკლებად მეც კარგად შევისწავლეთ, მაღლობელი ვარ თქვენი, ახლა სახლში რომ წავალ, ერთი-ორი ავსტრიელი გამომაყოფეთ, იმედი გქონდეთ — იმაზე უკეთ შევინახავ, ვიდრე თქვენ მე მინახავდით, თანაც, რაც მთავარ-



ია, არაფერს დავამადლი-მეთქი...
 — მართლა ასე უთხარი?
 — მართლა, გეფიცები. იმ ქალბატონის გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა. მაშ რისთვისაა ჩამოდიოდი?... უბრალოდ, პიტლერის სამშობლოს სტალინის სამშობლოდან მოკითხვა ჩამოვუტანე-მეთქი... იქნებ გადაიფიქრო წასვლა და მე პირადად, ყველანაირად ვეცდები, შემდეგი პროცედურები გაგიადვილო... მაინც ჩემი გავიტანე და რამდენიმე დღეში სლოვაკეთს გადამცეს.
 — სლოვაკეთს რატომ გადაგცეს?
 — პასპორტი რომ ვანახვე, აღმოჩნდა, რომ მასში რუსეთსა და უკრაინაში ყოფნის ამსახველი შტამები იყო, სლოვაკეთისა კი — არა. გამოდიოდა, რომ გამოვიარე რუსეთი, უკრაინა, მერე სლოვაკეთის საზღვარზე გავშალე ფრთები, გადავუფრინე მთელ სახელმწიფოს და ავსტრიაში დავემვი. ამის გასარკვევად გამაგზავნეს სლოვაკეთში.
 — სლოვაკეთში ვინ შეგხვდა?
 — „წითელი ჯვრის“ ორგანიზაციის წარმომადგენელი ეკატერინა რაზლოვა. კარგად შემხვდა — ეტყობა, ავსტრიელებმა დადებითად დამხანასათეს. ახლა ამ ქალბატონმა დამიწყო აგიტაცია — იქნებ, სლოვაკეთში დარჩენა გადაწყვიტო? დიდი მაღლობა მოვასხენე, თანაც გულში ვფიქრობდი — თქვენი თავი გაგვირგები-ათ, თქვე კაი ხალხო, და ახლა მეც შემოგემატოთ, რა კაცობა იქნება-მეთქი?! ამიღეს ბილეთი ბრატისლავა-მოსკოვი-თბილისის თვითმფრინავზე, გამიფორმეს საბუთები. რუსეთთან უკვე სავიზო რეჟი-

მი იყო შემოღებული, მაგრამ მოსკოვში უბატონოდ ხმა არავის გაუცია ჩემთვის. აი, აქ რომ ჩამოვფრინდი...
 — რა, ცუდად შეგხვდნენ?
 — არა, პირიქით — ეს ვინ ჩამოსულა?! ამას ვენაცვალეთ, სადა ხარ, ბიჭო, ამდენ ხანს, ენაგადმოვლებული გექმდითო... ოთხმა ძალოვანმა სტრუქტურამ გაჩხრიკა ჩემი „საცოდავი“ ზურგანთა. ფული (აქედან წაღებული და იქ დაზოგილი 51 დოლარი!) უნდა დატოვო, მითხრეს. მეც ავდექი და დავტოვე.
 — როგორ, ნახევარი ევროპა მოიარე და ის ფული აქ წაგართვის?
 — არა, არ წაურთმევიათ — მითხრეს, დატოვეო და მეც დავტოვე... ლაკონური გამოთქმები არსებობს მათ სისტემებში: დატოვე — არ ინანებ, არ დატოვე — ინანებ... მეც არ მინდოდა საქმის გაჯანჯლება: სახლი და მშობლები მომენატრა, როგორი საქმეა — ამდენი ხნის შემდეგ სამშობლოში ჩამოხვიდე და რამდენიმე დღე წინასწარი დაკავების საკანში გაყურყურტონ?... მეც დავტოვე და არ ვინანე — უცებ გამომიშვეს.
 — კახა, თავიდან თქვი, ემიგრაციაში წასვლა იმიტომ გადაწყვიტე, რომ სამშობლოში ვერავითარ პერსპექტივას ვერ ვხედავდიო. ექვსი თვის შემდეგ უკან დაბრუნდი, უცხოეთიდან დაინახე „გვირაბის ბოლოს სინათლე“ თუ რა მოხდა?
 — დიახ, რაღაც გარდატეხა მართლა მოხდა ჩემში. „გვირაბში სინათლე“ არ დამინახავს, მაგრამ ბევრ მოვლენას სხვა თვალთ შევხვდი, საკუთარი თავიც უკეთ შევიცანი: მე არ შემძლება ამდენი დაცინვის, დამცირების, შურაცხყოფისა და დაყვირების მითმენა, რა მიზანსაც არ უნდა მივალწიო ამის ფასად. არც ის პერსპექტივა მომწონს — პირმოთნებით, ლიქნით, ვიღაცის ფეხქვეშ გაგებით და ხვეწნა-მუდართი ცოტაოდენი ფული ვიმოვო, მერე ვიღაც უცხოელის ნახმარი „მერსედესი“ ვიყიდი, ჩამოვიდე სამშობლოში და ჩემს გაჭირვებულ ხალხს ზემოდან „ამაყად“ გადმოვხელო, რომელსაც მხოლოდ იმიტომ უჭირს, რომ წესიერი მთავრობა არ ჰყავს. აქ მირჩევნია, უცხოეთში არავის არაფრად ვჭირდები. ჩემი აზრით, თუ სინდისის ნატამალი შემოგრჩა, შენი გაჭირვებული ხალხი, ნათესავები, ახლობლები არ უნდა მიატოვო, მათ გვერდით უნდა იყო — თუნდაც იმიტომ, რომ მათი გაჭირვება გაიზიარო და ამით პატარა იმედიც ჩაუსახო. რაც შეეხება „სინათლეს გვირაბის ბოლოს“, არ შეიძლება მთელი დღეები, თვეები და წლები წვიმდეს: ერთხელაც იქნება, გადაიღებს და მზე გამოვა... ■

ეკა ლომიძე

— გია, მართალია, შენზე რომ ამბობენ — სანამ ოპერის მომღერალი გახდებოდა, ოპერაში არც შეუხედავსო?

— მთლად მასეც არ არის საქმე. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი, სწორედ საოპერო არიით აღმოაჩინეს: უნივერსიტეტის „მხიარულთა და საზრიანთა კლუბის“ წევრი ვიყავი. ერთ-ერთი გამოსვლის დროს, პავაროტისა და სხვა საოპერო ვარსკვლავებს ვბაძავდი. ჟიურის შემადგენლობაში „ოთხი გიას“ სოლისტი გია ნაცვლიშვილი იყო. წარმოდგენის დამთავრების შემდეგ შემხვდა და მითხრა — დროს რატომ კარგავ, ოპერაში მიდიო. ბატონ ნუგზარ გამგებელთან მიმიყვანა. მანაც მომიხმინა. ხმა მომიწონა და გაკვეთილებზე დამიბარა.

— უნივერსიტეტში რომელ ფაკულტეტზე სწავლობდი?

— საინჟინრო-ეკონომიკურზე. ბოლო კურსს ვამთავრებდი, დავიწყე ბატონ ნუგზართან სიარულიც და ხმოვნების დამუშავების ჩემთვის უჩვეულო გაკვეთილებმა გული გამიწვრილა. რამდენიმე კვირის შემდეგ ვიკითხე — მითხარიო, ჩემს გარჯას აზრი თუ აქვს-მეთქი? კონსერვატორიაში ჩააბარებ და ოპერის მომღერალი გახდებიო. უნივერსიტეტის დამთავრებას ძლივს ვეღირსე და თავიდან მიწვევდა სტუდენტობის დაწყება. თავიდან ამის წარმოდგენაც არ მინდოდა, მაგრამ ნუგზარ გამგებელმა ყველანაირი პირობა შემიქმნა ოპერის შესაყვარებლად და კონსერვატორიაში ჩავაბარე. ბატონი ნუგზარი ესპანეთში წავიდა, მე კი ნოდარ ანდლულაძის კლასში დამტოვა.

— გაგიჭირდა სწავლა?

— თავიდან, სწავლის პერიოდში, როგორც ყველას, ისე მეც მქონდა პრობლემები. მაგალითად, მაღალი „დოს“ ადებო მიჭირდა. ამას ოჯახური სიხარული დაემატა: ვაჟი შემეძინა. ჩემმა მეუღლემ გამთენიისას იმშობიარა და, ღამენათევი და გაბრუნებული, სამშობიაროდან პირდაპირ ბატონი ნოდარის გაკვეთილზე მივედი. ვუთხარი რაც მოხდა. მომილოცა და მითხრა: ახლა ისეთ გუნებაზე ხარ, „დოს“ აუცილებლად აიღებო... გამეცინა და ვუპასუხე: ჩემი მეუღლე მთელი ღამე კიოდა და იმან ვერ აწია „დო“ და მე, ძალაგამოცლილი, მაგას ნამდვილად ვერ შევძლებ-მეთქი.

— ოპერის თეატრის დასში როგორ მოხვდი, იქაც მოულოდნელად მიგიყვანა ვინმემ?

— თავიდან „მიმი“ ვიყავი — სცენას-

შოუბიზნესის „მკეთებელი“ ქართული ესტრადის ვარსკვლავები საყოველთაო ყურადღების ცენტრში არიან, თბილისელთათვის ოდესღაც სათაყვანებელი ოპერა კი მხოლოდ ადამიანთა ვიწრო წრეს თუ ახსოვს და საზოგადოებამ არ იცის, ვინ მოგვევლინება ქართული საოპერო სელოვენების გამორჩენილ მოღვაწეთა ღირსეულ ცვლად. მათ შორის, ვისაც დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ, ერთ-ერთი უპირველესია გიბა ონიანი, რომელსაც უცხოეთში გამგზავრებამდე ცოტა ხნით ადრე შევხვდით.



სპანი ტანორი საემსება უიუველა ლაგაზანა დასემუნჯა



ანზორ ერქომაიშვილთან ერთად

თან შესაჩვევად ე.წ. „ბუჩქის“ როლები მქონდა. ხელფასსაც მიხდიდნენ. თეატრის შიდა სამზარეულოშიც ჩავიხედე. მხოლოდ 2000 წლის 13 თებერვალს, ახალგაზრდა შემსრულებლების კონცერტზე პირველად შევასრულე აბესალომის არია და ჯანსუღ კახიძისა და ბევრი კრიტიკოსის მოწონება დავიმსახურე. ბატონმა ჯანსუღმა ბატონ ნოდარს უთხრა — ამის ღებუტი „აბესალომ და ეთერში“ უნდა შედგესო. 2000 წლის 7 მაისს, პირველი ღიდი ნაბიჯი „შეგდგი სცენაზე“. ორ

კვირაში ამას „დაისში“ შესრულებული პარტია მოჰყვა.

— დღეს კი, ნარმატივების შემდეგ, საქართველოს დატოვება განგიზრახავს. რა ხდება?

— ბოლოს და ბოლოს, ისევ საქართველოს დაუბრუნდები, მანამდე კი, მსურს ევროპის დიდი საოპერო თეატრების სცენაზეც ვცადო ბედი.

— „ლა სკალაში“ მინვევა როგორ მიიღე?

— კულტურის სამინისტროს წარდგინებით იტალიის საელჩოს მიერ მოწოდებულ კონკურსზე მოვხვდი. იტალიის მთავრობამ ნიჭიერი ახალგაზრდა მომღერლისთვის 600 დოლარიანი სტიპენდია დააწესა. კონკურსში გავიმარჯვე და იტალიური გრანტის მფლობელიც გავხდი.

— დიდი კონკურენცია თუ იყო?

— საკმაოდ სერიოზული კონკურსი იყო. 2002 წლის 2 მარტიდან სამი თვე „ლა სკალის“ აკადემიაში გავივლი სტაჟირებას იტალიელთა ხარჯებით.

— როგორც ვიცი, გარდა ამისა, კიდევ ერთი დიდი გამარჯვება მოიპოვე...

— დიას, მიუნხენის მუსიკისა და თეატრის უმაღლეს სკოლაში ჩავირიცხე, სადაც 2 წლიანი კურსი უნდა გავიარო. სწავლების სპეციფიკური ფორმაა: ამ კურსში ლექციები არ შედის, პირდაპირ რეჟისორებთან და დირიჟორებთან მომიწვევს მუშაობა, რის შედეგადაც ორი წლის

მანძილზე სრულყოფილად შევისწავლი რამდენიმე პარტიას. პარალელურად, საზოგადოება სცენითაც გამიცნობს.

— ალბათ სწავლის საფასური მაღალია?

— არანაირ საფასურს არ ვიხდი, აქეთ გადამიხდიან ჰონორარს. რომ ჩავალ, უკვე ვიცი, რომ მუშაობას ფაუსტის პარტიით დავიწყებ.

— გია, ამ გეგმების გამო, ალბათ ანსამბლ „რუსთავში“ მუშაობის შეწყვეტა მოგიწევს?

— სამწუხაროდ, ასეა. „რუსთავში“ გატარებული სამი წელიწადი არასოდეს დამავიწყდება. მთელი მსოფლიო შემოვიარე ამ ანსამბლთან ერთად და არა მგონია, სადმე იმხელა სიყვარული ვიგრძნო მაყურებლისაგან, როგორც უცხოეთში „რუსთავისადმი“ გამოუხატავთ. ევროპა, შეიძლება, ვერ განაცვიფრო კლასიკით, ოპერით, მაგრამ ჩვენი ფოლკლორით ნებისმიერ დროს დაახვევ თავბრუს. მე არ დამავიწყდება ნახევარსაათიანი აპლოდისმენტები და ბისზე 3-ჯერ, 5-ჯერ გამოძახება. არა და არ უნდოდათ ქართულ ხალხურ სიმღერასთან დამშვიდობება.

— ნუთუ ყველა ქვეყანაში ერთნაირად აღაფრთოვანებდით ხოლმე მსმენელს?

— დიას. განსაკუთრებით დაუვიწყარია ხალხური მუსიკის ფესტივალი საფრანგეთში. ჩვენი გამოსვლის წინა დღეს ჩეხებს ჰქონდათ კონცერტი. დარბაზი ნახევრად ცარიელი იყო. გული დავგვწყდა — ნუთუ ამისთვის ჩამოვედით-თქო?! ჩვენს მოსასმენად ქვეყნის ხალხი მოვიდა: დარბაზმა ვერ დაიტია ყველა მსურველი, 400 კილომეტრის მოშორებით მდებარე ქალაქიდან ჩამოსული ქართველი ემიგრანტები უბილეთოდ დარჩნენ — და არა მარტო ისინი. გარეთ დარჩენილი ხალხი ითხოვდა მონიტორის ჩართვას, რომ ფოიეში

„აბესალომი და ეთერი“



ზურაბ ანჯაფარიძესთან ერთად

მინც ჰქონდა ჩვენი ნახვისა და მოსმენის საშუალება...

— ევროპულ ენებზე თუ შეუსრულებია სიმღერები ანსამბლ „რუსთავს“?

— შევიცარიელებმა, რომლებიც შეყვარებულები არიან ჩვენს ანსამბლზე, ვატო კახიძეს შეუკვეთეს 45 წუთიანი კონცერტი, სამ ენაზე შევასრულეთ მის მიერ შექმნილი საშობაო საგალობლები შევიცარიის სასულე ორკესტრთან ერთად. სხვათა შორის, ამ ფაქტმა გული დასწყვიტა იქაურ ემიგრანტებს: გვისაყვედურეს — ქართული სიმღერა რატომ არა გაქვთ რეპერტუარშიო.

— ამ კონცერტმაც წარმატებით ჩაიარა?

— დიას, კომპაქტ-დისკიც გამოიცა, რომელიც წარმატებით იყიდება ევროპაში. სხვათა შორის, შევიცარიაში ყოფნისას ერთმა შემთხვევამ კინაღამ დამამუნჯა: კონცერტის შემდეგ ჟენევის ერთ-ერთ სასტუმროში, ჩემთან მოვიდა ერთი ფრანგი და... სვანურად დამელაპარაკა. სიზ-

მარში მეგონა თავი — კინაღამ შემოვილაწუნე. არადა, თურმე საქართველოში ყოფნისას უსწავლია ამ კაცს სვანური და ქართველოლოგიის კათედრას სსნიის ჟენევის უნივერსიტეტში. იმ საღამოს ბანკეტზე ჩვენი ერთად იყო და სვანურად ვჟღერებდით, თან, თავმოწონედ გავხედავდი ხოლმე ანსამბლის გურულ ნაწილს — ნახეთ, სვანური რა პოპულარული ენაა-მეთქი...

— ფრთხილად იყავით, თორემ მაგ ამბავზეც ანეკდოტს „გამოგიცხობენ“ გურულები.

— ანეკდოტზეც გეტყვი. მაგრამ მანამდე მინდა გავისხენო, ერთ კონცერტზე სვანური სიმღერის — „კვირიას“ შესრულების შემდეგ რაც მოხდა. გერმანელმა მუსიკისმცოდნემ ძლივს დაიჯერა, რომ „კვირია“ ქართული ფოლკლორის ნიმუში იყო და არა კლასიკა. კაცს კინაღამ ენა ჩაუვარდა, როცა ვუთხარი: „კვირია“ ჩვ.წაღ-მდე შეიქმნაო. ჩვენმა უძველესმა სიმღერებმა და საგალობლებმა აღტაცებაში მოიყვანა უცხოელი და ათქმევინა — თქვენი ქვეყანა მართლაც კულტურის უძველესი აკვანი ყოფილაო... არ დაგავიწყდეთ — სხვა ქართული სიმღერებისგან სვანური იმით გამოირჩევა, რომ მასში ძირითადად, ოთხხმიანობის ელემენტებია.

— გია, როგორ უთავსებ ოპერასა და ფოლკლორს, ისინი სომს სრულიად განსხვავებული ჟანრებია?

— რა თქმა უნდა, სრულიად განსხვავდება და ზოგჯერ ხელსაც უშლის ერთმეორეს. ბატონმა ანზორ ერქომაიშვილმა, რომელიც ჩემთვის, თავისი მოღვაწეობით, ისტორიული პიროვნებაა, მაქსიმალურად შემიწყო ხელი, რომ კლასიკასაც არ მოვწყვეტოდი. ის არ მტვირთავდა კლასიკისთვის საზიანოდ: იცის ჩემი სამღერი აპარატის სპეციფიკა და მიფრთხ-



ილდება.

— ეი. ყველა სამღერ აპარატს სპეციალური რეპერტუარის შერჩევა სჭირდება?

— დიახ. პედაგოგის ნიჭიერებასა და პროფესიონალიზმზეა დამოკიდებული, რამდენად სწორად შევირჩევს რეპერტუარს. შეიძლება, არასწორმა გადაწყვეტილებამ სამუდამოდ დაგვუპოს და ერთმა არიამ „დაგამუნჯოს“...

— ამბობენ, „რუსთავს“ ბევრი პრობლემა აქვსო, მართალია?

— ასეა. დამეთანხმებით ალბათ, რომ მსოფლიოს ქართული ცეკვა ილიკო სუხიშვილმა და ნინო რამიშვილმა შეაყვარა, ქართული სიმღერა კი ანზორ ერქომაიშვილმა. ექვთიმე თაყაიშვილის დონის საქმე გააკეთა: შეაგროვა ქართული მუსიკალური საგანძურის შესახებ არსებული მთელი ინფორმაცია და ძვირფასი კატალოგი შეადგინა, რომლის წყალობითაც, ვიცით, დღეს მსოფლიოს რომელ მუზეუმში, რომელ თაროზე ძევს ესა თუ ის ქართული მუსიკალური რელიკვია. ასეთი პიროვნების და ანსამბლ „რუსთავის“ მიერ გაკავალულ გზაზე, დღეს უცხოეთში ფულის საშოვნელად წასვლისათვის, ყველანაირ პირობაზე მიდიან რაღაც კლუბებში შექმნილი ანსამბლები და გემოვნებიან მსმენელს იმედს უცრუებენ, თვით ამ გზის გამკვალავს კი უჭირს.

— იტალიაში თუ ძალიან მონონებ თავს, შეიძლება „დაგისაკუთრონ“ კიდეც: ამაში გვარის ფლერადობაც შეგინწყობს ხელს...

— მეტსაც გეტყვი: ერთმა იტალიელმა გოგონამ მითხრა — „ონიანი“ იტალიურად „ყოველწლიურს“, „ყოველ წელიწადს“ ნიშნავსო...

— ოპერის მომღერალს, რესპექტაბელურ პერსონას, დიდი ნაიარევი საიდან გაქვს წარბთან?

— 5 წლის ასაკში ლენტეხში კლდიდან გადავვარდი. ძალიან ცელქი ვიყავი: თუ რამე ფუჭდებოდა, პირველი ეჭვიმთანილი მე ვიყავი. ბავშვები ტყეში ნაძვის „კევის“ საპოვნელად წასულან და მეც გავყოლივარ. მაშინ გადავფრინდი კლდიდან. ახლიდან „ამაწყვეს“ თურმე ექიმებმა. შესაძლოა, იმ დარტყმის გამოც გავხდი ტენორი...

— ეს შენი ჩვეული იუმორის გამოვლინებაა თუ რაიმეს ნიშნავს?

— საოპერო წრეში მიღებული დასკვნაა: ყველა ტენორი „დატყმულიაო...“ რუსეთში მიღებული ფრაზაა: „სულელი, როგორც

ტენორი“. ნოდარ ანდლულაძემ პირველად რომ მომისმინა, მითხრა — არაჩვეულებრივი ხმა გაქვს, მაგრამ ტენორის პირობაზე ნამეტანი ჭკვიანი ჩანხარ და ეჭვი მეპარება, ნამდვილად ტენორი ხარ თუ არაო?... ისე, მე არ ვეთანხმები ამ „დოგმას“. ცნობილი ქართველი ტენორებიც უჭკვიანესი ადამიანები იყვნენ და არიან.

— ალბათ სვანეთის ბუნებამაც შეასრულა გარკვეული როლი შენი ფილტვების სიძლიერეში, იმოქმედა ხმის იოგებზე. ბავშვობაში მთებში არ მღეროდი?

— ფრინველებს ვბაძავდი გალობაში, სტვენაში, ჭიკჭიკში. ჩემი ხმით კილომეტრიდან მომიყვანია ფრინველი: დაჯდებოდა ჩემთან ახლოს, ტოტზე და ვეჭიკჭიკებოდა ერთმანეთს, მაგრამ რას ვამბობდით არ მესმოდა. შეიძლება, ბევრ მაშალს, ღედალი ჩიტის ენაზე ვეჭურტულეობდი, ბევრსაც პირიქით. ხმის მიხედვით სქესის გარჩევა არ შემიძლია... იცი, რა საოცარია, ერთი და იგივე ჩიტი წელიწადის სხვადასხვა დროს სხვადასხვანაირად გალობს. ბარტყებს რომ აფრთიანებენ, იმხელა სედა აქვთ ხმაში, რომ ატირდები. ზამთარში სულ სხვანაირად გალობენ. მოკლედ, შემიძლია ჩიტივით ვიჭიკჭიკო.

— ხომ არ დაგავინწყდა, ანუ დოქტის თაობაზე რომ დამპირდი რაღაცის მოყოლას?

— ზოგი ისეთ საშინელებებს იგონებს სვანებზე, ადამიანი საერთოდ რომ ვერ ჩაიდენს, აი, ასეთი რაღაცების მოსმენისას ვვიფლები ზოლმე. გამიგია ისეთი ანეკდოტებიც, სადაც მართლა დაჭერილია სვანური ხასიათი და მეც გულნიანად ვიციანი ზოლმე. „რატომ არ მიეცი „ნასოსი“?“ — მთელმა საქართველომ იცის. ასეთ რამეს, სვანის გარდა, სხვა ვერავინ გააკეთებს...

— თითქმის არაფერი გითქვამს ოპერასთან დაკავშირებული კუროზების შესახებ. ხომ არ გაიხსენებ სასტუმრო „მეტეხში“ რა შეგემთხ-

ვა?

— იუდაშკინის მოდების ჩვენებაზე მივევიწყეთ. ორკესტრთან ერთად უნდა გვემღერა: მე, გუგუშვილს და ჯავახიშვილს. ჩვენება დამთავრდა, იუდაშკინის ლამაზმანები კულისებში შევიდნენ და ჩვენი ჯერიც დადგა. აღმოჩნდა, რომ სცენაზე გასვლა მხოლოდ კულისებიდან შეიძლებოდა. მაგრამ უეცრად, იუდაშკინი გადაგველობა: სად მიდიხართ, იქ შიშველი გოგონები არიანო. ავუსხენით მღვდობრეობა და გაგვატარა. მაგრამ ნეტავი არ გავეშვით: 13 ლამაზმანი დღეღმობილა დაგვხვდა, თანაც ჩვენს დანახვაზე არანაირი რეაქცია არ ჰქონიათ. მე სიმწრის ოფლმა დამასხა, კინაღამ გული წამივიდა: 10 წუთი ვეღარ გავედი სცენაზე და მერეც, რა ვიმღერე და როგორ — არაფერი მახსოვს. თურმე „ლა“-ზე დასამთავრებელი, „სი“-ზე დამითავრებია... დამაბნიეს იუდაშკინის მანეკენებმა, რომლებმაც ჯერ კიდევ დარბაზში დამხვიეს თავბრუ.


— ევროპაში რა გეშველება? იქ ხომ ფანტასტიკური გოგონებია! ვაითუ, მათაც ჩაგაგდონ ნოკაუტში...

— ვერ ვიტყვი, რომ ფანტასტიკურია: ქართველ ქალთან ევროპელი სილამაზით ვერ მივა. ასეთი ეშხი ღელამიწის ზურგზე არც ერთ ქალს არა აქვს.

— ალბათ, მაგ ეშხის გამო გადადიოდი სტუდენტობის კორპუსებში აივნიდან აივანზე?..

— არა, სტუდენტობაში გასაღებდაკარგული გოგონების მაშველად ვითვლებოდი: მე-10 სართულიდან მე-9-ზე და უფრო ქვემოთაც ჩავსულვარ. ცოლი რომ დროულად არ მომეყვანა, შეიძლება რომელიმე სართულიდან გადავვარდნილიყავი კიდეც, ისე ხშირად მიწვედა ზოლმე ამ საქმის კეთება. ერთხელ მან კატეგორიულად მითხრა: თუ ამ „ალპინისტობას“ თავს არ დაანებებ, მიგატოვებო. მეც უყოყმანოდ მივიღე გადაწყვეტილება და იმ დღიდან თავიანთი ბინის კართან მოწრიალე გასაღებდაკარგულ გოგონებს თვალს ვაღებდი...





როგორ განწყობაზე ხართ? როგორ განწყობაზე ხართ? როგორ განწყობაზე ხართ?

როცა თავს არასტაბილურად გრძნობთ და ვერ ხედავთ, რა განწყობა იბადება თქვენში, ამის გარკვევაში ჩვენი ფსიქოლოგიური თაბაქი დაგეხმარებათ.

ყურადღებით დაათვალიერეთ სურათზე გამოსახული რვა ფიგურა, ამოირჩიეთ ორი ფიგურა: ერთი, რომელიც მოცემულ მომენტში ყველაზე

მეტად მოგწონთ, ერთი კი — ყველაზე ნაკლებად გაკეთებული არჩევანი მოგცემთ იმის საფუძველს, რომ საკუთარ გუნება-განწყობაზე იმსჯელოთ. არჩეული ფიგურების ნომრების გადაკვეთაზე ცხრილში იპოვეთ რიცხვი, რომლის შესაბამისი კომენტარიც თქვენთვის საინტერესო კითხვაზე გაგცემთ პასუხს.



კომენტარი

- 1) აფორიაქებული ხართ, რაღაც პრობლემები გაწუხებთ, ახლა ყველაზე მეტად მოთმინება გესაჭიროებათ.
- 2) ძალიან გხიბლავთ ცხოვრების მოკრძალებული სტილი, ვიყვართ უბრალო, უპრეტენზიო ყოფა. იქნებ, ამით თქვენს თავში რაიმე გრძნობის დათრგუნვას ცდილობთ?
- 3) ძალიან გინდათ მოწესრიგებული ადამიანის შთაბეჭდილება დატოვოთ, მაგრამ ამისთვის საკმარისი მოთმინების უნარი არ გააჩნიათ.
- 4) საკუთარ თავში და სხვებშიც თავშეკავებულობასა და ღირსების გრძნობას აფასებთ. სხვების თვალში კი ოდნავ ძველმოღური ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებთ.
- 5) ძალიან გინდათ ღრობით მაინც გათავისუფლდეთ ვალდებულებებისა და საქმისგან, ზედმეტმა პასუხისმგებლობამ თავი მოგაბეზრა. იქნებ, წარსულში თვითდისციპლინის გრძნობა ზომასზე მეტად გაგიფუძღა და მისგან ვეღარ თავისუფლდებით?
- 6) მომთმენი ხართ, თვლით რომ ყვე-

ფიგურა, რომელიც ყველაზე ნაკლებად მოგწონთ	ფიგურა, რომელიც ყველაზე მეტად მოგწონთ							
	1	2	3	4	5	6	7	8
1	–	48	37	30	16	22	2	14
2	54	–	17	26	4	12	10	43
3	32	45	–	47	24	40	13	6
4	52	28	21	–	41	8	5	11
5	25	33	9	23	–	29	7	46
6	50	31	34	53	36	–	38	55
7	35	20	56	15	18	44	–	51
8	19	1	49	3	39	42	27	–

- ლაფერი თავის კალაპოტში მიედინება, ამით კი ცდილობთ რთული ცხოვრებისეული სიტუაციების გამო გაჩენილი შიში დათრგუნოთ.
- 7) ძალიან გიძმით, რადგან ცხოვრებაში გარკვეული დოზით თამაში ვიწვევთ, ადამიანებთან უშუალო ურთიერთობა მოგენატრათ.
- 8) სხვებში ადამიანის დახმარების სურვილი გხიბლავთ, თავად კი ძალიან თავმოყვარე ხართ და ცდილობთ, ამ გრძნობისგან ნაწილობრივ მაინც გათავისუფლდეთ.
- 9) გინდათ უფრო თამაში და აგრესიული ადამიანის შთაბეჭდილება დატოვოთ, ამიტომ ხშირად კომპრომისზე წასვლას ერიდებით.
- 10) მოგენატრათ უღარდელი, ლალი ცხოვრება. მეგობრები კი მიზანსწრაფულობის ნაკლებობაში გდებენ ბრალს. იქნებ, გულის კუნჭულში მოძაგლის შიში გაქვთ მიმალული?
- 11) ენერჯის ნაკლებობას გრძნობთ, ალბათ დასვენება გესაჭიროებათ. ჩანს, ძალიან

- დიდი ხანია განიცდით შინაგან დაძაბულობას.
- 12) გინდათ დაკმაყოფილდეთ იმით, რაც გაქვთ. ადამიანის იმ ტიპს განეკუთვნებით, რომელიც სიხარულსა და სულიერ სიმშვიდეს წარმატებაზე მაღლა აყენებს.
- 13) თვლით, რომ განუხორციელებელი მიზნების დასახვას აზრი არ აქვს. გინდათ განიტვირთოთ და წყნარად იცხოვროთ. ალბათ თქვენში მებრძოლი ადამიანის თვისებები ძალიან მცირე დოზით არის ჩადებულნი.
- 14) აუღელვებელი ადამიანი ხართ, ყოველ შემთხვევაში ცდილობთ გარშემოცემებზე ასეთი შთაბეჭდილება მოახდინოთ, მაგრამ ბევრი ხვდება, რომ თქვენი გაწონასწორებულობა მხოლოდ გარეგნულია.
- 15) თქვენ პრაქტიკოსი, მოწესრიგებული ადამიანი ხართ, ვიყვართ, რომ ყველაფერი თავის ადგილზე იყოს. მეგობრები კი თვლიან, რომ ელასტიკურობისა და მოქნილობის უნარი გაკლიათ.
- 16) სკეპტიკოსი ხართ, ენთუზიაზმი

ამკარად არ გყოფნით, მიჩვეული ხართ იმას, რომ მხოლოდ საკუთარ გამოცდილებას დაყრდნობით.

17) ადამიანებთან ურთიერთობისას მანევრირებას უარყოფთ და პირდაპირ შეტევას გავსვლას ამგობინებთ ხოლმე, მაგრამ ხასიათი არ გიწყობთ ხელს, რომ ბოლომდე გაიტანოთ საკუთარი აზრი და გადაწყვეტილება.

18) ძალიან გზიბლავთ დასვეწლით, „ელვანტური“ სიტუაციები, მაგრამ მობილიზებულ ადამიანს ძნელად თუ ვინმე გიწყობთ, ამის მიზეზი კი თქვენი რბილი ხასიათია.

19) გინდათ თავი დააღწიოთ ყოველდღიურ ერთფეროვნებას, გზიბლავთ არაჩვეულებრივი, არასტანდარტული ცხოვრება. იქნებ, მოეშვათ ცაში ფრენას და მყარად დადგათ ფეხი მიწაზე?

20) საკუთარ თავში დასვენების, განტვირთვის სურვილს თრგუნავთ, მოგწონთ ენერგიულად და საქმიანად რომ გამოიყურებით.

21) ურთიერთობისას ფორმალური მხარეების დაცვა გიმძობი, გინდათ უფრო მკვეთრად გამოხატოთ საკუთარი გრძობები, ინდივიდუალობა.

22) უმეტეს შემთხვევაში ზედაპირულ განხილვებს გაურბინხართ, საკითხისადმი ყოველთვის საფუძვლიან და სერიოზულ მიდგომას იჩენთ, ამის წყალობით კი ხანდახან იუმორის გრძობას კარგავთ.

23) სიმართლე და სიმტკიცე ის ცნებებია, რომლისკენაც დაუღალავად მიიღებთ, ამის გამო კი ხანდახან უტაქტოდ ადამიანს გიწყობენ.

24) რბილი ხასიათის მქონე, მშვიდობისმოყვარე ადამიანი ხართ, ყოველ შემთხვევაში, გსურთ, რომ თქვენში ეს თვისებები სჭარბობდეს.

25) ემოციური ადამიანი ხართ და ენთუზიაზმით უდგებით ყველა საქმეს. სულის სიღრმეში კი ყველა საქმის განხორციელებისას ეჭვი გღრღნით ხოლმე.

26) ურყევი შეხედულებები გაქვთ, არ იცვლით ჩვეულებებს, საერთოდ, არ გიყვართ ცვლილებები.

27) ძალიან ერთფეროვნად ცხოვრობთ, ახალი შთაბეჭდილებები გესაჭიროებთ, მაგრამ ამისთვის აქტიურობა საჭირო.

28) გინდათ, რომ თქვენს ცხოვრებაში ცვლილებების ხანა დადგეს, მაგრამ თითქოს რაღაც ხელს გიშლით და გაკავებთ. დაფიქრდით, რა უნდა შეცვალოთ თქვენს ცხოვრებაში. თქვენი შეხედულებები მეტისმეტად ზედაპირული ხომ არ არის?

29) გსურთ, საკუთარი თავი სერიოზულ საქმეში გამოამყვანოთ და ცხოვრებაში საკუთარი, თუნდაც მოკრძალებული ადგილი დაიმკვიდროთ.

30) ზუსტი გათვლის მოყვარული ად-

ამიანი ხართ, ძალიან საღად აზროვნებთ, მაგრამ ზოგჯერ რეალობა მკვეთრად განსხვავდება თქვენი შეხედულებებისგან.

31) ოპტიმისტურად ხართ განწყობილი და მომავლის იმედიც გაქვთ. გჯერათ, რომ წარმატებას აუცილებლად მიაღწევთ.

32) თქვენი ცხოვრებისეული პრინციპი სიკეთე, მეგობრობა და დიდსულოვნებაა, მაგრამ ამ ყველაფრის განხორციელებაში ხელს თქვენი ხასიათი – ძირითადად, სიჯიუტე გიშლით.

33) საქმიანი, პრაქტიკული პიროვნება ხართ, არ გიყვართ უსაგნო, არაფრისმომცემი საუბარი.

34) მიზანსწრაფული ადამიანი ხართ და დასახული ამოცანების გადაწყვეტაც გეხერხებათ, მაგრამ ზოგჯერ თქვენში პესიმიზმი და დაფარული დარდი იფეთქებს ხოლმე.

35) ყველაფერ ამალღებულსა და ლამაზს მიეღებთ, ზოგჯერ ადამიანებს ზემოდანაც დასცქერით.

36) მიდრეკილება გაქვთ, რომ საგნებსა და მოვლენებს იუმორით ან მეტისმეტად ფილოსოფიურად მიუდგეთ, ამის უკან კი შეიძლება სხვები დაფარულ დარდს ხედავენ.

37) არ გიყვართ დათმობაზე წასვლა, არ გსურთ სხვაზე იყოთ დამოკიდებული და ცდილობთ, ყველაფერს საკუთარი ძალებით მიაღწიოთ.

38) უმეტესად, მხიარული ადამიანი ხართ და სერიოზულ მსჯელობებსაც გაურბინხართ და ხანდახან, მარტოდ დარჩენილი ჩაფიქრდებით ხოლმე ცხოვრებისეულ პრობლემებზე.

39) ისეთ ხასიათზე ხართ, რომ გსურთ ვინმეს ესაუბროთ და გულიც გადაუშალოთ. ოღონდ ეს მხოლოდ ლალ ადამიანებთან შეიძლება მოხდეს და არა მათთან, ვინც მოწყენილია და სხვისი პრობლემები ნაკლებად აინტერესებს.

40) სურვილი გაქვთ, უფრო მოკრძალებული გახდეთ, შეძლოთ დათმობა და წყენის მალე დაიწყება.

41) თქვენი ცხოვრებისეული კრეალობა არის გარკვევა, საკითხში წვდომა და არა საკუთარი აზრის ჯიუტად გატანა. ცდილობთ ნაკლებად კატეგორიული იყოთ სხვების მიმართ და გარშემომყოფებისგანაც ამასვე მოითხოვთ.

42) თანაგრძობა თქვენთვის უცხო არ არის და სხვისი დარდის გაზიარებაც შეგიძლიათ. ყოველთვის მზად ხართ იმისთვის, რომ ნაცნობ-მეგობრებს დახმარების ხელი საჭირო მომენტში გაუწოდოთ.

43) თქვენ სიზარმაცემ დაგრიათ ხელი, არ გსურთ იმოქმედოთ და რაიმე პრობლემის გადაწყვეტაზე თავი ზედმეტად აიტიკიოთ.

44) გინდათ ფაციფუცსა და ხმაურს

გაექცეთ, საკუთარ თავს ჩაუღრმავდეთ და დიდი ხნის წინ მივიწყებული პრობლემები თავიდან გაანალიზოთ.

45) ძალიან გინდათ სიძნელეებს დააღწიოთ თავი და საერთოდ, ნაკლები ძალე დახარჯოთ, თუმცა შინაგანად გრძობთ, რომ ეს არც ისე ადვილი იქნება.

46) მაღალი ინტელექტით გამორჩევი, გარშემომყოფები უმეტესად ვერც გიგებენ, მაგრამ ზოგჯერ იმის სურვილი გინდებთ, რომ სტანდარტულად იაზროვნოთ და უფრო უდარდელად იცხოვროთ.

47) კეთილი ზრახვები გამოძრავებთ, ცდილობთ ყველას მიმართ სამართლიანი იყოთ, თუმცა ზოგჯერ ზღვარს ადვილად გადადიხართ და დაუნდობელიც კი ხდებით.

48) საკუთარ თავშიც და სხვებშიც რეალურობის შეგრძნებას აფასებთ, არ გიყვართ „ონების კომპიუტის“ აგება და ამით შთაბეჭდილების მოხდენასაც ახერხებთ.

49) ნიჭიერი და შრომისმოყვარე ხართ, მაგრამ ზოგჯერ ენთუზიაზმის და ენერგიულობის გამჟღავნება გიჭირთ.

50) მხიარული და უდარდელი ცხოვრება მოგეხატებათ, დათრგუნვილი ჩანხართ, თუმცა ცდილობთ, მძიმე აზრები გაფანტოთ და ხუმრობასაც ახერხებთ.

51) ზომიერების გრძობას ყველაფერში იცავთ, გიყვართ სიწყნარე, მაგრამ არ გყოფნით სითამამე და ამის გამო ხშირად ზარალდებთ.

52) ცხოვრების აქტიურ წესს და უშუალო ურთიერთობებს ყველაფერზე მაღლა აყენებთ, თქვენში ნაკლებად არის განვითარებული თვითდისციპლინის გრძობა.

53) საკუთარ თავში დარწმუნებული ხართ და დამოუკიდებლობას ინარჩუნებთ. გარედან ამაცი და მიუკარებელი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებთ, მაგრამ ზოგჯერ თქვენი თავი უსუსური გგონიათ და გებრალეობთ კიდევ.

54) ძალიან გინდათ, რომ ყოველი დღე განსაკუთრებული და დასამახსოვრებელი იყოს, უმეტესად დღევანდელი დღით ცხოვრობთ და მომავალზე ფიქრი ნაკლებად გაწყებთ.

55) გინდათ, რომ უდარდელი ცხოვრება გქონდეთ და თქვენი და ახლობლების პრობლემებს წაუყრეთ. ალბათ საკუთარ თავში არ ხართ სათანადოდ დარწმუნებული.


56) მთელი ძალით ცდილობთ გარშემომყოფებზე ძლიერი ადამიანის შთაბეჭდილება მოახდინოთ, გემინიათ ვინმემ თქვენში სისუსტე არ შენიშნოს. ფრთხილად იყავით, ამის გამო შეიძლება ისეთად ვერ მიგიღონ, როგორც სინამდვილეში ხართ.

ჰკითხეთ აშშ-ის, გერმანიის, საფრანგეთის, ბელგიის ან ევროპის ნებისმიერი ქვეყნის მცხოვრებს – რას უდრის ვარნიკი, და გიპასუხებენ: დაახლოებით 10 დოლარს. ჰკითხეთ, რა არის ხარბლი? რა თქმა უნდა, იანვარი! ეს თავსატეხი, შიფრების სისტემით შექმნილი უცნაური ენა მას შემდეგ გახდა ცნობილი, რაც „ცხოვრების უცხო ფორმას“ – ALIEN LIFE FORM-ს ეზიარნენ: შემოკლებით მას „ალფი“ ეწოდება და პოპულარული ტელესერიალის მთავარ მოქმედ გმირს წარმოადგენს. სერიალის ორიგინალურად ნათარგმნ ვარიანტს რამდენიმე თვის განმავლობაში ქართული მაყურებელიც ადევნებდა თვალყურს ქართული ტელეარხის მეშვეობით.

პლანეტა მელმაკის მკვიდრი ალფი უნებურად, ლოს-ანჯელესის მკვიდრი ტენერების სამაგალითო ოჯახის ავტოფარეხის სახურავზე დაეშვა. ეს 1986 წლის 22 სექტემბერს მოხდა: სწორედ იმ დღეს გაუშვეს კომპანია „ენ-ბი-სი“-ს ეთერში ტელესერიალის პროდიუსერებმა პოლ ფასკომ და ტომ პეტრეტმა, თავიანთი დიდი ხნის წინ ჩაფიქრებული იდეა: ტიპურ ამერიკულ ოჯახში უცხოპლანეტელი ჩაესახლებინათ.

წარმატება „ალფს“ გარანტირებუ-

წითლური პირი რომელსაც ჰკითხვი



ლი ჰქონდა, რადგან რეჟისორად ფასკომ და პეტრეტმა თავად პიტერ ბოლდუინი მიიწვიეს, რომელსაც იმ დროისთვის 30(!) წარმატებული ტელესერიალი ჰქონდა გადაღებული.

„ალფის“ სიუჟეტი საკმაოდ მარტივია: სოციალური მუშაკის ოჯახის მოსაწყენ და ერთფეროვან ცხოვრებაში, უეცრად, სრულიად საწინააღმდეგო ცხოვრების სტილის მოვლენა შემოიჭრა. ალფი მსუნაგია, მუდამ შია, არ შეუძლია და არ სურს მიეჩვიოს, დედამის ბინადართა წესებს, მისი ქცევა კი ნებისმიერ ადამიანს გადაიყვანს ჭკუიდან. ის ოჯახში მცხოვრებ კატაზე ნადირობს, რადგან მის მშობლიურ პლანეტაზე – მელმაკზე კატების ჭამა მიღებული. ის თანდათან, მიზანმიმართულად ანადგურებს სახლს და

მუდგენი ფილოსოფოსი	ჰერბერტ კარაიანი	ესკიმოსების ყინულის ქობი	აქლემის შეკლი	პორიზონტალობის დასადგენი ხელსაწყო	ჯედიფტას შეყვარებული
მაჭანკალი ლოკარგული სამოთხიდან	ბელის გამოგონილი საკომუნეკაციო მოწყობილობა	ყარძნის შეკარი	ღმრთის მსგავსი ძველბერძნული საკრავი	დელონის და ბანდერასის კინოგმირი	პირის ნაყოფი- სახელი

ყვარელი

იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის მეტრიკული წიგნი. 1837 წლის ჩანაწერში ვკითხულობთ: „20 იანვარს პორუნიკ თავად გრიგოლი პაატას ძე ჭავჭავაძეს და მის სჯულიერ თანამეცხედრეს მაგდალინა ქრისტეფორეს ასულს დაებადათ ვაჟი – ილია. დალოცა და მონათლა იგი ამავე თვის 26-ს მღვდელმა დანიელ ზურიაშვილმა“. თავად ილია კი წერდა: „დავობადე 27 ოქტომბერს, 1837 წელს, სოფელ ყვარელში.“ მკვლევარებში ორ განსხვავებულ თარიღს თავის დროზე პაატარა პაეკრობა გამოუწვევია, მაგრამ ბოლოს მოკამათენი შეთანხმებულან და ილიას დაბადების დღედ 27 ოქტომბერი მიუჩნევათ. დაბადების თარიღს მაშინ ეძლევა მნიშვნელობა, როცა გამოჩენილ ადამიანთან გვაქვს საქმე...

ვინ იყო საქართველოსთვის ილია ჭავჭავაძე? – აი ქართული საზოგადოების წინაშე მრავალჯერ დასმული პასუხგაცემული და პასუხგაუცემელი კითხვა: პასუხგაცემული – რადგან ილია სალოცავი ხატია ყველა ადამიანისთვის, ვისთვისაც სისხლხორცეულია ეროვნული გრძნობა, პასუხგაუცემელი – რადგან ჯერაც მრავლად არიან ადამიანები, რომლებიც სამყაროს ე.წ. კოსმოპოლიტიზმის პრიზმაში უმზერენ და ვისთვისაც ეროვნული გრძნობა სისხლხორცეული არ არის.

მოდით, კიდევ ერთხელ მივაღვეწოთ თვალი ილიას ბიოგრაფიის საკვანძო მომენტებს.

როგორც ცნობილია, პირველდაწყებითი განათლება მწერალს ოჯახში მიუღია – დედამ შეასწავლა წერა-კითხვა, ლოცვები, საღვთო ისტორია. რვა წლის ილია ყვარლის მთავარდიაკვან ნიკოლოზ სეფიამვილისათვის მიუბარებიათ. ილიასთან ერთად მთავარდიაკვანის გლეხების შვილებსაც ასწავლიდა. სულ ხუთნი თუ ექვსნი ყოფილან. დილაადრიან მთავარდიაკვანთან გარბოდნენ და შუადღემდე მეცადინეობდნენ.



«წიწამურში რომ მოკლეს ილია...»

30 აგვისტო წმინდა ილია მართლის გარდაცვალების დღე...

წერა-კითხვას დაახლოებით ერთ საათს ანდობდნენ, შემდეგ კი თამაში იწყებოდა. თამაშს თვითონ მთავარდიაკვანი ხელმძღვანელობდა. უმეტესი დრო კი ამ უცნაური მასწავლებლის ნაამბობს ეთმობოდა. „უმთავრესი ღირსება მისი ის იყო, რომ მომხიბვლელი თქმა იცოდა ამბებისა. გვიამბობდა მდაბიურად და ბავშვისთვის გასაგები ენით და უფრო საღმრთო და სამშობლო ქვეყნის ისტორიის ამბებსა. ვის რა გმირობა მოემოქმენდა, ვის რა ფალავნობა გაეწია. ვის რა ღვაწლი და სიკეთე დაეთეს სამშობლოსა და სარწმუნოების სასარგებლოდ,“ – იგონებს გულთბილად ილია.

ბავშვობაში მთავარდიაკვანთან მიღებული შთაბეჭდილება (შენიშნავს კრიტიკოსი აკაკი ბაქრაძე) დიდხანს, მოწიფულობაშიც გაჰყოლია ილიას და „გლახის ნაამბობშიც“ გამოუხატავს. ამ მოთხრობაში ნაჩვენებია

მღვდლის სახე ყვარლელი მთავარდიაკვანის პიროვნებით არის შთაგონებული. მოთხრობის ატმოსფეროსაც და მასში გამოთქმულ ბევრ აზრსაც ატყვია მისი კვალი...

ილიამ სწავლა ჯერ თბილისის კერძო პანსიონში, შემდგომში კი კეთილშობილთა გიმნაზიაში გააგრძელა. მშობლები მას ადრე გარდაეცვალა და დაობლებული ოჯახის მუერვეობა მამიდა მაკრინემ იტვირთა.

1857 წელს ილია პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი გახდა. სწავლის პერიოდში თურმე საკმაოდ ბევრს კითხულობდა და განსაკუთრებით ძველი ქართული წიგნებით ყოფილა დაინტერესებული, თუმცა არც ძირითად საგნებს აკლებდა ყურადღებას. მაგრამ ილიას იურიდიული განათლების ოფიციალური მოწმობა ნაკლებად აინტერესებდა. მან მეოთხე კურსიდან მიატოვა სწავლა და 1861 წელს ღრმად და მრავალმხრივად განსწავლული დაბრუნდა საქართველოში.

„რას ვეტყვი მე ჩემს ქვეყანას ახალს და რას მეტყვიის იგი მე? შეგძლებ კი, რომ მას ღვიძლი სიტყვა ვუთხრა და ამ სიტყვით გულისტკივილი მოეურჩინო, დავრდომილი აღვაღვინო, უწვევოს ნუგეში მოვფინო, მტირალს ცრემლი მოვწმინდო, მუშაკს შრომა გავუადვილო?“ – ეკითხებოდა 24 წლის ყმაწვილი საკუთარ თავს და მას შემდეგ, არ ყოფილა არც ერთი დღე, რომ მას საქართველოზე არ ეფიქრა.

ილიას მიაჩნდა, რომ „როგორც კაცად არ იხსენება ის მაწანწალა, რომელსაც აღარ ახსოვს ვინ არის, საიდან მოდის და სად მიდის, ისე ერად სახსენებელი არ არის იგი, რომელსაც... თავისი ისტორია არ ახსოვს.“ ამიტომაც ახსენებდა თანამემამულეებს წარსულ დიდებას, ქართველთა თავდადებას რწმენისა და მამულის დასაცავად: „რა არ გადაგვხდენია თავს, რა მტრები არ მოგვსევინა, რა ვაი-ვაგლახი, რა სისხლის ღვრა, რა ღრჭენა კბილთა არ გამოგვივლია, რა წისქვილის ქვა არ დატრიალებულა ჩვენს თავზე და ყველას გაუძეულით, ყველას გაუშაგრდით. შევინარჩუნეთ ჩვენი ქვეყანა, ჩვენი მიწა-წყალი. ლანგ-თემურებმა ჩვენს საკუთარ სისხლში გვაბანავეს და მაინც დავრჩით და გამოვცოცხლდით. შაჰ-აბასებმა ჩვენის კბილით გვაგლეჯინეს ჩვენი წვრილშვილნი და მაინც გამოვბრუნდით, მოვსულიერდით. ალა-შაჰმად ხანებმა პირქვე დაგვამხეს, ქვა ქვაზედ არ დაგვიყენეს,



ილია სტუდენტობისას, პეტერბურგში

მოგვსრეს, მოგველიტეს და მაინც ფეხზე წამოვდექით, მოვშენდით, წელში გავსწორდით, გავუძელით საბერძნეთს, რომსა, მონღოლებს, არაბებს, ოსმალ-თურქებს“...

ეროვნული ინტერესები აიძულებდა ილიას ისტორიკოსის ფუნქციებიც ეკისრა, ლიტერატორისაც, ბანკის მმართველისაც. მატინანებს უღრმავდებოდა, ეძიებდა, იკვლევდა და საქართველოს მტრებს, მისი ღირსების შემლახველებს ღირსეულ პასუხს სცემდა: ამის გამო, მტრებმა ბევრჯერ სცადეს მისთვის ხალხში სახელის გატეხვა, მოკვლაც კი, მაგრამ ამოდ. იაკობ მანსვეტაშვილი ივონებს:

„... ილია მაგარი იყო, როგორც სალი კლდე და ღრეკა ვერ უყვეს. ვერც ხმლის ელვარებით, ხანჯლების ტრიალით, ვერც დამბაჩების გულზე მიბჯენილი ლულით ვერ შეაშინეს ილია. ვერ მოახრევეინეს ქედი. ვერასოდეს ვერ გადაათქმევენებდნენ ხოლმე იმას, რაც მას მართლად მიაჩნდა, ამის გამო არაერთხელ ყოფილა მისი სიცოცხლე ბეწვზე დაკიდებული“.

სოფრომ მგალობლიშვილი: „ილია ჭავჭავაძე ისეთი ლამაზი და მარილიანი იყო, კაცი თვალს ვერ მოაშორებდა, როცა გაჭირდებოდა საქმე, ილიას გაუშვებდნენ საბძოლველად. მისი სიტყვა მაშინ მეხი იყო. ილია დიდი ჭკუითა და უსაზღვრო ნებით აღჭურვილი ადამიანი იყო. მან სიკვდილამდე თავისი უბით ატარა საქართველოს ბედი და უბეღობა.“

გრიგოლ ყიფშიძე კი ასე ახასიათებდა ილიას: „თითქოს მამამთავარია დაობლებული საქართველოსი, ისე შესცქეროდა მას ხალხი. საქართველოს ყველა კუთხიდან მასთან მოდიოდნენ რჩევის საკითხავად. გაჭირვების უამს ქვეყნის გულშემატკივარნი მას მიმართავდნენ – ქვეყნის დაღუპვა უნდათ და გვიშველეთ. ილიაც გამოვიდოდა როგორც ლომი, დინჯად, აუჩქარებლად, ღრმად მოფიქრებული საბრძოლო გეგმით დაიცავდა თავისი ძვირფასი ქვეყნის, თავისი საყვარელი პატარა სამშობლოს ძნელად გასამეტებელ უმაღლეს ინტერესებს“.

ჯერ კიდევ თავისი მოღვაწეობის დასაწყისში განაცხადა ილია მართლმად: „სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათავან: მამული, ენა, სარწმუნოება. თუ ამათაც არ ვუპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავცემთ შთამომავლობას?“

ილიას მოღვაწეობა ნამდვილი მახვილი იყო ყოველგვარი ეროვნულობის წინააღმდეგ მებრძოლი ძალების მსახურთათვის, ალბათ ამიტომაც განიზრახეს მისი ფიზიკურად განადგურება.

1907 წლის 30 აგვისტოს თბილი-

სიდან საგურამოს გზაზე მიმავალი ეტლი, რომელშიც ილია და მისი მეუღლე ოლღა გურამიშვილი იმყოფებოდნენ, წიწამურის ტყესთან შედგა. თოფის გრაილმა შეძრა დაღუმებული გარემო. ილია ზეზე წამოიჭრა: „შესდექით, უბედურნო, ილია ვარ!“ – დაიხსა, მაგრამ ავაზაკები არ შედრკნენ – ტყვიამ გაუჩერა ღვთისა და მამულისთვის მფეთქავი გული. თუმცა, მან, ამ საბედისწერო გასროლამდე ბევრად ადრე განუცხადა უფალს თანხმობა მოწამებრივ სიკვდილზე:

**მამაო ჩვენო, რომელი ხარ
ცაია შინა!
მუხტმოღრეყლო, ღმობიერი
ვდგევარ შენ წინა,
არცა სიმღერის, არც დიდების
თხოვნა არ მინდა,
არ მინდა ამით შეურაცხვეყო
მე ლოცვა წმინდა...
არამედ მწყურს მე განმინათლ-
დეს ცია ჩემი ხულო,
შენგან ნამცნევის სიყვარუ-
ლით ატმენიოს გული,
რომ მცერიოათვისაც, რომელი
თუნდაც გულს ღახვარი მყრან,
გთხოვდე: „შეუნდე, არ იცინა,
ღმერიო, რას იქმანს!“**

ილიას იმხელა დამსახურება ჰქონდა ერის წინაშე, რომ სხვაგვარად, ვფიქრობ, ღმერთი უთუოდ ააშორებდა ამ განსაცდელს... და ღმერთმაც დაუშვა ილიას სიკვდილი – სწორედ იმგვარად, როგორც ეს მოხდა. ამით მან საშუალება მისცა მამულიშვილს, კიდევ ერთხელ

მომსახურებოდა თავის ქვეყანას და არა საკუთარი სიცოცხლით, არამედ უკვე სიკვდილით გაეერთიანებინა სრულიად საქართველო. „შეუნდე, არა იციან, ღმერთო, რას იქმანს!“ – ამ სიტყვებით ილიამ წინდაწინვე შეუნდო კიდევ მკვლელებს საზარელი დანაშაული და, როგორც თავის ქვეყანას ზვარაკად შეწირულმა კრავმა, მშვიდად მიაბარა სული უფალს.

არა „არ მესროლოთ“, არა „ნუ მომკლავთ“... არამედ – „შესდექით, ილია ვარ!“ სიკვდილის წინ ნათქვამი ეს სიტყვებიც როგორი პოეტური და სიმბოლურია! რამდენად წრფელი გულის უნდა იყოს ადამიანი, რომ იმ საოცარი რკინის ლოგიკითაც კი (რომლის მეშვეობითაც ილიას სიტყვას ათასი რჯულის მტრისათვის მოუგრებია კისერი) ვერ დაუშვას: არიან ნაძირალები, რომელთაც დიდი სიკეთის სანაცვლოდ, შეუძლიათ მისი მოკვლა. „შესდექით, ილია ვარ!“ – ამ სიტყვებით მან საშუალოდ გააფრთხილა თავისი მკვლელები: რაგინდ „ახლებური აზროვნებითაც“ არ უნდა აღიჭურვო, თუ გული ქვეყნისთვის არ გიცემს, უმაღ დაგემსხვრევა ნაფიქრ-ნააზრევი.

... გადმოცემის თანახმად, ილიას დაღუპვიდან სამი დღის შემდეგ იმ ადგილას დაჭრილი ირემი მისულა. რქები დაუხრია მიწამდე ილიას საფლავზე აღმართულ თეთრ ჯვართან და შემდეგ, იქვე ახლოს მდებარე მონასტრისკენ გაბრუნებულა. ასე განმეორებულა სამგზის. ბოლოს, სისხლით გაცლილი და დაქანცული, ჯვრის წინ დამხობილა. რქები მიწაში ჩაურჭვია და ასე დაუღვია სული. ამბობენ, ცხოველები თავისებურად გრძნობენ ადამიანის სულის სიმშვენიერეს და გამოხატვის ფორმაც თავისებური აქვთო...

ნიკო ტარყაშვილი



სამხედრო გზა, რომლითაც ილია პეტერბურგიდან საქართველოში დაბრუნდა



ქენე სალარიძე

ამ თასთან ერთი ვერცხლისაა, მეორე ოქროსი. ორივე, შუა ბრინჯაოს ხანის ყორღანების „ბინადარი“ ყოფილა. მათი თრიალეთში აღმოჩენა აკადემიკოს ბორის კუფტინის სახელს უკავშირდება. გასული საუკუნის 40-50-იან წლებში ადგილობრივი მოსახლეობისაგან გამარცხულ ყორღანებში არაერთი საყურადღებო ნივთი მოიპოვეს არქეოლოგებმა, რომელთა შესწავლით ცხადი გახდა, რომ ჩვ. წ. აღ-მდე მეორე ათასწლეულის პირველ ნახევარში ამ ტერიტორიაზე მცხოვრებმა ჩვენმა წინაპარმა განვითარების მაღალ საფეხურს მიაღწია.

სიმაღლით 108 და დიამეტრით 99 მმ-ის მქონე ვერცხლის თასი ორ ფრიზად, (სართულად) იყოფა. ზემოთა ნაწილში ცენტრალურ ფიგურად „სიცოცხლის ხე“ აღიქმება, რომელიც აერთიანებს ნიღბიანი ადამიანების რიტუალურ პროცესიას, ქვემოთა სართულზე კი ამ პროცესიის საწინააღმდეგოდ მიემართება ირემთა ფიგურები.

ვერცხლის რელიეფური თასი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ქართველურ ტომებში ტყის და ხის კულტი ყოფილა გავრცელებული, ირემი კი წმინდა ცხოველად ითვლებოდა.

თრიალეთის თასს ანალოგი არ მოეპოვება მსოფლიოში... შედარებით მომცროსა ოქროს თასი, — ასევე ორიგინალური და მაღალი მხატვრული ოსტატობითაა შესრულებული (სიმაღლე 73, დიამეტრი 78 მმ). იგი შემკულია ოქროს გრეხილი მავთულებით, დეკორატიული ელემენტებით, სიმეტრიულად განლაგებული ფერადი თვლებით (მთის ბროლი, ფერადი პასტა, სარდიონი).

ოქროს თასის ძირს ამშვენებს

თრიალეთის ორი უძვირფასესი თასისა და ერთი ტრავიკული სიევარულის ამბავი



ტოლმკლავა ჯვარი, რაც მის სარიტუალო დანიშნულებაზე მიუთითებს.

ამ თასებმა და საერთოდ, თრიალეთის კულტურამ, დაამტკიცა, რომ ჩვენი წინაპარი აქ ანტიკურ ხანამდე ბევრად ადრე, ძველადმოსავლურ სახელმწიფოთა არსებობისას მკვიდრობდა.

...საქართველოში თვით ივანე ჯავახიშვილის მოწვევით ჩამოსულა მაშინ უკვე აკადემიკოსი ბორის კუფტინი, წარმოშობით ყაზანელი თათარი, მსოფლიო მნიშვნელობის მეცნიერი, რომელიც შემდგომ 20 წელიწადზე მეტხანს თრიალეთის კულტურას იკვლევდა, განსაცვიფრებელ შედეგსაც მიაღწია და ყოფილი საბჭოთა კავშირის უმაღლესი ჯილდო — სახელმწიფო პრემიაც დაიმსახურა.

ერთადერთი, რაც საქართველოში ჩამოსვლის პირობად „მოუთხოვია“ კუფტინს, მისი მეუღლისთვის, ვირტუოზი პიანისტისა და პროფესორის ვალენტინა სტეშენკოსთვის შესაფერისი სამსახურის მოძებნა ყოფილა. თბილისის კონსერვატორიაში სიამოვნებით მიუღიათ ცნობილი მუსიკოსი, რომელიც ქართული ხალხური საკრავებით მოხიბლულა და მოგვიანებით არაერთი საყურადღებო ნაშრომი მიუძღვნია მისთვის.

მიუხედავად იმისა, რომ ბორის უმეტეს დროს არქეოლოგიურ ექსპედიციაში ატარებდა, ხოლო ვალია — კონსერვატორიაში, ისინი სულ ერთად იყვნენ.



გამონახავდა თუ არა „ფანჯარას“, — თეთრიწყაროში მიემგზავრებოდა პიანისტი ქალი, ყოველი ახალი აღმოჩენის შემდეგ კი დიდი აკადემიკოსი კონსერვატორიის აუდიტორიებში ეძებდა ცოლს. ხშირად ერთად „პოულობდნენ“ უცხო ქვეყნის საგანძურს და ერთად ისმენდნენ უცხო ქვეყნის მუსიკას, რომელიც საკუთარვით უყვარდათ...

1953 წლის ზაფხულში იურმალაში ისვენებდა ცოლ-ქმარი. ბორისი მაშინ 61 წლის იყო, ვალია — ოღნავ უფროსი. ხელიხელჩაკიდებულები დალიოდნენო, ქალს ისევ შერჩენოდა მომხიბველობა, ბორისი კი ნამდვილი დენდი ყოფილა, წვერითა და განუყრელი ხელჯოხით...

ზღვის სანაპიროზე, მომცრო ბარაკში ცხოვრობდნენ თურმე. ღამით ქარი ამოვარდნილა და ბორისს თავისი ხელჯოხით გაუმაგრებია ფიცრული კარი. ქარი ისე გაძლიერებულა, რომ კარი შეუღეწავს, ხელჯოხიც გადამტვრეულა... საშინელ ხმაურზე გაღვიძებული კაცი შემოგლეჯილ კარს მივარდნია, სიბნელეში გადატეხილ ხელჯოხს წამოჰგებია და საყვარელი ცოლის მკლავებში დაუღევია სული.

... დილით საზარელი სურათის მოწმენი გამხდარან იურმალაში. დაღუპულ მამაკაცთან ახლოს ეკიდა მშვენიერი ქალი, რომელსაც თავი ჩამოეხრჩო (მერე ისიც გაიხსენეს მეგობრებმა, რომ წყვილს დათქმული ჰქონია, უერთმანეთოდ თავს არ ვიცოცხლებთო...).

...ბორისი და ვალენტინა თბილისში ჩამოსვენეს და ვაკის სასაფლაოზე დაკრძალეს. სამწუხაროდ, მეკვიდრე არ დარჩენიათ...

... თბილისში დღესაც ლეგენდასავით ჰყვებიან მათი სიყვარულის სევდიან ამბავს...

ის არასოდეს უნახავთ მოხუცებული, დაჩიავებული ან აზროვნებადასუსტებული. მიუხედავად იმისა, რომ თითქმის 85 წლისა იყო, ყოველთვის ამაყი, მოხდენილი, ნამდვილი „ცისფერისხლიანი“ თავადი გახლდათ. როცა მის მაღალ წარმომავლობას ვახსენებ, მხოლოდ იმას არ ვგულისხმობ, რომ შეძლებული ოჯახი ჰქონდა, ისტორიული, სამემკვიდრეო და ბრწყინვალე გვარი. მე მის შინაგან „თავადობაზე“ მოგახსენებთ... ამის სადემონსტრაციოდ თუნდაც მხოლოდ ერთი — ალექსანდრე სიგუას მოგონება გამოდგება: „სიკვდილის წუთებში თავზე ვადექი და დევივით კაცის სიკვდილის აგონიას ვუყურებდი, ერთი გასაოცარი რამ შევამჩნიე. მწერალს საბნდან ოდნავ გამოუჩნდა პერანგის სახელო, მაგრამ ავადმყოფი, რომელიც სიკვდილს ებრძოდა, კვლავ ჩვეულ წესრიგიანობაზე ზრუნავდა. მან საბანი ოდნავ მოსწია და პერანგი და საცვალი დამალა, დასუსტებული ხელები კი საბანში შეჰყო. რამდენიმე წუთის შემდეგ კი უშფოთველად გარდაიცვალა“. ასეთი იყო შალვა დადიანი...



„ის ხომ ცოცხლის ნაშეიღი სიძველეთა მუზიუშია...“

ლელა ჩიყაშვილი

ის წარჩინებულ ქართულ ოჯახში დაიბადა 1874 წლის 21 მაისს. ზესტაფონში, სადაც იმ დროს მამამისის — ნიკო დადიანის ოჯახი ცხოვრობდა. დედა ლილია წულუკიძე — ანტონ წულუკიძის ასული იყო. ის ადრე გარდაიცვალა და 4 წლის შალვა და 7 წლის მარიამი ობლად დატოვა. თურმე შალვა დადიანი ხშირად ამბობდა: დედა არ მახსოვს, მაგრამ მამამ ნამდვილი დედობაც გამიწია და მამობაცო.

ცოტა რამ ნიკო დადიანის შესახებ... ის ილია ჭავჭავაძის მეგობარი იყო და სათავეში ედგა დასავლეთ საქართველოს კულტურულ და ლიტერატურულ ცხოვრებას. ხალხი „მკურნალ ნიკოსაც“ ეძახდა: საუცხოოდ იცოდა სამედიცინო საქმე და იმიტომ.

უაღრესად განათლებული იყო ნიკო დადიანი. ბესარიონ ღოღობერიძის გარდაცვალების შემდეგ, ის ბანკის თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებდა. მოაზროვნე ადამიანი იყო და ფუჭი იმედები არასოდეს ჰქონია... მაგალითად, მას არ სწამდა იმდროინდელი სკოლაგვიმნაზიებისა... თუმცა სწავლამოწყურებულ სხვის შვილებს ეხმარებოდა და განათლების მიღების საფასურსაც უხდიდა, შალვასა და მარიამს ოჯახშიც კი არ ამეცადინებდა. ერთხელ იანოვსკი — რუსი მოხელე, რომელიც განათლების დარგს კურირებდა საქართველოში, ნიკო დადიანს ესტუმრა. 16-17 წლის ყმაწვილი შალვა რომ



მეფე ლირის როლში. 1911 წელი

ნახა, მასპინძელს ჰკითხა:

— რად არის სახლში თქვენი ვაჟი, განა არსად სწავლობს?

უარი რომ მიიღო — მაშ, შინ ამზადებთო? — ჩაეკითხა...

კვლავ უარით უპასუხეს... დაცინვით უთქვამს:

— მე რა გნებავთ, რომ მაგისგან გამოვიდეს?

— უწინარეს ყოვლისა, ადამიანი...

ნიკო დადიანისათვის ზუთხვა არანაირი ინტერესის საგანს არ წარ-

მოადგენდა... შვილებისთვის გაუგებარი ტექსტების დაზეპირებას ის უბრალოდ, საუბარს არჩევდა... ბიბლიოთეკით სარგებლობას ასწავლიდა, ჯანმრთელ და გონიერ ბავშვებს ზრდიდა, რომლებსაც მომავალში თვითონ უნდა აერჩიათ სპეციალობა და ლექციები საზღვარგარეთ მოესმინათ. ასე რომ, შალვა დადიანს გვიმნაზიაში ან სემინარიაში არ უსწავლია... თუმცა, ამას ვერ იფიქრებ „გიორგი რუსის“, „ურდუმის“, „გვირგვინიანების ოჯახის“, „გუმინდელის“, „ოთხულდისა“ და კიდევ მრავალი ნოველის და პიესის ავტორზე...

სხვათა შორის, ვერც იმას წარმოიდგენს კაცი, რომ 1903 წელს მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლის მცდელობაც კრახით დამთავრდა... 1905 წელს ის თბილისში დაბრუნდა... მაგრამ ის ხომ ნიკო დადიანის შვილი გახლდათ — კაცისა, რომელთან სტუმრობის შემდეგაც ილიას უთქვამს: სამეგრელოში ვარ და საქართველოს ვხედავო. ეს კი ცოტას არ ნიშნავს...

ახლა შალვა დადიანის ცხოვრების რამდენიმე ეპიზოდის შესახებ მოვითხრობთ.

ერთხელ ნიკო დადიანი შეუძლოდ ყოფილა. რაღაც დღესასწაული იყო და მან შალვა მისალოცად ილიასთან გააგზავნა. ჭაბუკს გაეხარდა, თან ძალიან შეწუხდა კიდევ. წლების შემდეგ მწერალი იხსენებდა: „ჭაბუკობისას მეტისმეტი მორცხვი და უკანდახეული ვიყავი, აბა, ილიასთან როგორ უნდა



შალვა დადიანის და, მარიამი და მშობლები

მომება თავი სიტყვებისათვის!... ილიასთან რომ მივიდა დიდ დარბაზში შეიყვანეს. ძლიერ ცხელოდა. ჭაბუკი „ორმაგ“ ოფლში იწურებოდა: ცალკე სიცხისა და ცალკე – მოკრძალებისაგან. თან ერთი უბედურებაც დაერთო: ცხვირსახოცი დავიწვნიოდა. ამან ის სითამამეც წაართვა, რაც გზაში მოიკრიბა... „ილიას მეუღლემ ჩვეულებრივის თავაზიანობით მიმიღო და, წარმოიდგინეთ, მაშინვე ილიას მოსაყვანად წავიდა. მამაჩემის პატივისცემისათვის თუ!.. მართლაც არ გასულა დიდი ხანი, რომ მძივებმა გაიწვრიალეს და ილიას ჩასკვნილი და ბრგე ფიგურა გამოჩნდა... ოფლმა იწყო წკურწკური. უთუოდ ვწითლდებოდი, ვყვითლდებოდი, ავიწურე, საქციელი წამიხდა. ოფლსაც ვერ ვიხოცავ! ილია მეკითხება:

– სად სწავლობ, ყმაწვილო?

მოგეხსენებათ, რომ მე არსად სკოლაში არასოდეს არ ვყოფილვარ და ესეც მოგახსენე... როცა გაიგო ჩემი ვითარება, შემდეგ წარმოთქვა:

– მამათქვენი ჩვეულებრივი ბილიკით მაგალი კაცი არ არის... ეს იყო და ეს. ეს იყო პირველი და უკანასკნე-

ლი საუბარი ილიასი ჩემთან“ – იხსენებდა შალვა დადიანი.

საბოლოოდ, მისი ინტერესიც გამოიკვეთა... ეს იყო თეატრი... ნიკო დადიანს შვილები 3-4 წლიდან დაჰყავდა ოპერასა და რუსულ დრამატულ თეატრში. 15 წლის იყო შალვა, პირველად რომ დაესწრო ქართულ წარმოდგენას. თვითონ დიდ სცენაზე პირველად ქუთაისში გამოვიდა. კოტე მესხის დასს შალვა დადიანმა მიუტანა თავისი გადმოკეთებული პიესა „სიუ გმირი“. გავიდა ხანი. ბულვარში სადამოხანს მესხი შეხვდა შალვა დადიანს და უთხრა: კარგი პიესა გადმოგიკეთებია, მაგრამ სიუ გმირის შემსრულებელი 15 წლის ვაჟი არ გვყავს და შენ უნდა შეასრულო ეს როლიო... ასე დაიწყო მისი თეატრალური მოღვაწეობა.

წარმოიდგინეთ, XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის დასაწყისის ქართული დასი: მსახიობი მამაკაცები ულვაშებს ატარებდნენ, მხოლოდ ლაღო მესხიშვილს „გაუბედნია“ ამ სამშენისზე უარის თქმა. როცა სცენაზე რომაელთა ცხოვრებას წარმოადგენდნენ, ზოგიერთ მსახიობს თავის სქელ ულვაშებზე ჯერ სქელი წებო უნდა წავსვა, მერე ზედ ტილოს ნაჭერი დაეკრა, რომ უულვაშო გამოჩენილიყო. ეს არაფერი... ტრაგედია იწყებოდა ტილოს ახსნისას. ულვაშის ნაწილი წებოვან ტილოს ზედ ეკრობოდა და იწიწკნებოდა. ამის შემხედვარე ლაღო მესხიშვილი გულიანად ხარხარებდა: რა არის, ყმაწვილებო, გაიპარსეთ, ეგ ულვაშები, რას გიკეთებთო?... მაგრამ არა! ახალგაზრდა მსახიობები ცოცხალი თავით არ ელენდნენ მამაკაცის ამ სამშენისს! თუნდაც იმიტომ, რომ საზოგადოებას უყვარდა გაწკეპილი წვერ-ულვაში. შალვა დადიანიც კონტად აწკეპილ ულვაშს ატარებდა. მაგრამ იცით, რომ ერთხელ ისიც იყო ულვაშგაპარსული?! მატარებლით მიემგზავრებოდნენ კავ-

კავში ულვაშგაპარსული მსახიობები. მათ პირდაპირ ჩოხოსანი ლეკები იხდნენ. ლეკებს ეუცხოვრათ „უნამუსო“ („უულვაშო“) კაცების ხილვა და თანამგზავრებს ჰკითხეს – რა ხელობისა ხართო? როცა აუხსნეს, დიდხანს ვერ მიხვდნენ, რა პროფესია იყო მსახიობობა. ბოლოს, სხვებზე უფრო ხანდაზმულმა თავისიანებს თითქოს ცირკი დაუხატა. ეს ქართველებმა იწყინეს... ლეკები კი თავიანთ აზრზე მტკიცედ იდგნენ და განსაკუთრებით გაპარსულ ულვაშებზე ამხვილებდნენ ყურადღებას. როცა ბოლოს ისიც გაიგეს, რომ შალვა დადიანი „ენიაზი“ იყო, სულ მუხლებზე ირტყეს ხელები თურმე. ერთ-ერთი მათგანი კი ყელგამოწეული შეეხვეწა „ენიაზს“: ამიერიდან, ჩემი ხათრით, ულვაში მოუშვიო. შალვა დადიანიც შეჰპირებია. როგორც თვითონ იხსენებდა, მას მერე სიტყვა არ გაუტყვია.

თეატრთან დაკავშირებული კიდევ ერთი სახალისო ამბავიც: ალბათ, ბევრმა აღარ იცის, რომ „მხოლოდ შენ ერთს“ – სიმღერის ტექსტი შალვა დადიანის ნათარგმნია. ნათარგმნი და არა დაწერილი... ნინო ჩხეიძის ბენეფისი უნდა გამართულიყო ქუთაისში. ლაღო მესხიშვილმა ურჩია კარევეის პიესა **Рок-овой шаг** დაეღვათ და სათარგმნელად შალვა დადიანს მიანდო. მწერალი იხსენებდა: „როგორი თარგმანიც იყო, თქვენ იქიდან განსჯით, რომ თვით სათაურიც კი უხეიროდ ვთარგმნე და „უბედური ნაბიჯი“ დავარქვი. პიესაში ერთი სასიმღერო ლექსიც იყო – **Тебе одной** და უთუოდ უნდა თარგმნილიყო“. მუსიკა მთარგმნის მსახიობმა კოტე სარჯველაძემ... კარგა ხანს ხალხი ისე მღეროდა ამ რომანსს, არ იცოდა, ვისი იყო მუსიკა და ვისი – ტექსტი. მაგრამ აკაკი წერეთელმა ყოველივე კარგად უწყოდა და იმდენად არ მოსწონდა ეს გადმოქართულებული ლექსი, მიწასთან აწვორებდა თურმე.

ერთხელ შალვა დადიანი თელავში მართავდა წარმოდგენას. აკაკი ჩაბრძანებულა. დადგეს „თამარ ცბიერი“, აკაკის პატივსაცემად მისასალმებელი სიტყვებიც წარმოთქვეს... თურმე საქართველოს „უგვირგვინო მეფე“ ძალიან აქებდა კოწო ანდრონიკაშვილს (რეჟისორს) და შალვა დადიანს: მშენიერი მწერლები ხართ, კიდევ უკეთესი აქტიორ-რეჟისორებით. ადვილი წარმოსადგენია, აკაკის შექტებული ახალგაზრდები რას

განიცდიდნენ! და აი, კოწო ანდრონიკაშვილი სადღაც წავიდა. აკაკი შალვა დადიანს მიუბრუნდა თურმე: ამაზე უნიჭო, უნდილი მწერალი და ქართულის არმცოდნე ჩემს სიცოცხლეში არ მინახავსო... და გაიცინა... შალვა დადიანს თითქოს მღუღარე გადასხეს: „რომ მოვშორდე, რას იტყვის? გადავწყვიტე, სანამ სხვა რამეზე გუნება არ შეეცვლებოდა, არ მოვშორებულყავ. მაგრამ მართლაც და, სადამდე უნდა მეცადნა? მერე სწორედ იმავე კოწო ანდრონიკაშვილმა მიაგებო, რომ საოცარ აკაკის მიწასთან გავესწორებინე, განსაკუთრებით ილაშქრებდა ჩემს ერთ ტექსტზე „მხოლოდ შენ ერთს!“

შალვა დადიანს თეატრში უამრავი როლი აქვს შესრულებული. რაც შეეხება კინოს, თავისი კვალი მასაც დაამჩნია: ივანე პერესტიანმა გადაიღო ეკრანზე არსენა ჯორჯიაშვილის ცხოვრება. სცენარი შალვა დადიანმა დაწერა. მისივე სცენარით გადაიღო მარჯანიშვილმა „ქარიშხლის წინ“. ეპიზოდური როლები შეასრულა მწერალმა „ჯორჯიაშვილსა“ და „სურამის ციხეში“. ყაზბეგის „მოძღვარში“ კი მთავარი როლის შემსრულებელი გახლდათ. ერთხელ

ბორჯომი, 1958 წელი



თბილისის რომელიღაც კინოთეატრში „მოძღვარს“ უჩვენებდნენ. პარტერში, როგორც მაყურებელი, შალვა დადიანიც იჯდა. მის გვერდით კი გოგონებს ჰქონდათ ადგილები დაკავებული. დაიწყო ფილმი. გოგონები ხან ეკრანს უყურებენ, ხან გვერდით – მსახიობს. მერე ერთმა თურმე იკვილა და დარბაზი დატოვა. ანტრაქტზე შალვა დადიანმა მოძებნა უცნაური მაყურებლები და ამ საქციელის მიზეზი გამოჰკითხა. მათაც „დამაჯერებლად“ აუხსნეს: იმიტომ შევშინდით, რომ ეკრანზე თქვენ გიყურებდით, თქვენ კი ჩვენ გვერდით იჯექითო...

როცა შალვა დადიანზე ფიქრობ ან კითხულობ, თვალწინ წარმოგიდგება ქართველი თავადი... ის შშირად ჩოხა-ახალუხითაც დადიოდა... უყვარდა ცხენით ჯირითი, ქეიფი, ბანქოს თამაშიც ესერხებოდა... მაგრამ მთავარი ის არის, რომ ბავშვობიდანვე სისხლხორციული შინაგანი კულტურა ჰქონდა... თურმე შშირად იხსენებდა: როგორ მივიდა მამიდა მარიამთან, რომელიც მამამისს ესაუბრებოდა, და როგორ სთხოვა რაღაც... მან კი ბეჯითად აუხსნა: შალვა, როცა მე ვუბნობდე, შენ მღუმარებდო... ეს ერთი უბრალო მაგალითია, მაგრამ შალვა დადიანი ასეთი უბრალო შემთხვევების შედეგად ჩამოყალიბდა ისეთად, როგორიც ჩვენს ცნობიერებამდე მოვიდა. შინაგანი პატიოსნება – აი, რა იყო მისი უმთავრესი ღირსება. გაგვიღიება ად-



აკაკი ხორავასთან ერთად მოსკოვში, ქართული კულტურის დღეებზე

ამიანს, როცა მწერლის მოგონებებში წაიკითხავ, მოსკოვში ჩასულს, ელისეევის კაფეში ვიღაც რუხაძემ, როგორ მიუყვანა ორი მშვენიერი რუსი გოგო... მოლხენის შემდეგ კი, ქართველი მამაკაცების უმრავლესობას თუ მხოლოდ სასიამოვნო მოგონებები დარჩებოდა მწერალი თავისებურ წუხილს გამოხატავს: „ასე მეძაობით დაიწყო ჩემი ცხოვრება მოსკოვში. მაგრამ არა, ეს ტყუილია, ამით ნამეტანი ცილს ვწამებ ჩემს თავს, მე ამ გზას არ გავყოლილვარ“.

1959 წლის 9 მარტს ალექსანდრე სიგუას ოჯახში მივიდა შალვა დადიანი. კარგ გუნებაზე იყო – მღეროდა, ოხუნჯობდა, ძველ ამბებს იგონებდა. ეს იყო მისი უკანასკნელი ქეიფი. 15 მარტს გარდაიცვალა.

კონსტანტინე გამსახურდიას დახვეწილი გემოვნება, ყველას მოეხსენება. მინდა მისი სიტყვებით დავასრულო ეს წერილი. კონსტანტინეს უთქვამს: „ეს აღამიანი რომ არ იყოს ამ ქვეყანაზე, მე შემზარდებოდა ცხოვრება. შალვა არის ჩვენი იმედი და ჩვენი სინდისი. მე მიკვირს, პირდაპირ მიკვირს, საიდან აქვს მას ამდენი უღვეველი ცოდნა. ის ხომ ცოდნის ნამდვილი სიძველეთა მუზეუმი. მას ბოლომდე შერჩა ვაჟკაცობა და სულიერი თავადობა“.

ჯონი კისრიდან პალსტუნი მოიგლიჯა, პიჯაკი გადაბადო, ოფლისგან დასველებული თეთრი პერანგი შეიხსნა, ხელები უკანკალებდა, განერვიულებული ხელებს შარვლის ჯიბეებზე იტყაპუნებდა და სიგარეტის კოლოფს ეძებდა.

აქიმაბა პანასას ფახებთან გიიყვანას



– ჯონის ღოყაზე ღვინაზე ჩამოსლილმა სწავლაში...

– ჯონი, შენ განტვირთვა გჭირდება, დასვენება, ლამაზ გოგონებთან ცეკვა და გართობა, – რომან პოლანსკიმ მამაშვილურად მოუჩქრა ქოჩორი. იმჟამად მათ დაამთავრეს მისტიკური ლეტექტივის – „მეცხრე კარიბჭის“ მორიგი სცენა, რომლის გადაღებაც უძველეს მარის ზიდზე მიმდინარეობდა. იენისის სიცხე ლამითაც შემაწუხებელი იყო, უძილობით გაწამებული ქალაქის მცხოვრებლები მეოცნებე სახეებით დაღვებულებდნენ ქუჩებში და ღია კაფეებში კოქტეილის წრუპებით იქცევდნენ თავს.

– მშვენივრად მესმის, რომ მოწყენილი ხარ, მე კი შენს შებოჭვას არ ვაპირებ, ჩემო სუპერვარსკვლავო, – განაგრძო პოლანსკიმ. – ამაღამ სასტუმრო „კოსტესში“ ვაპირებ წვეულებაზე წასვლას და თუ გინდა, შენც წაგიყვან.

ჯონის მაშინ 36 წელი შეუსრულდა, პარიზში რომან პოლანსკის ფილმში გადასაღებად ჩავიდა და მაშინვე ორი ყვითი აბსენტის იყიდა, რათა დარდი გაექარებინა. ნიკოტინისგან თითები ჰქონდა გაყვითლებული – ის დღეში ხუთ-ექვს კოლოფ სიგარეტს ეწეოდა.

ჯონი ფანჯრის რაფაზე მოკალათდა და ფიქრებში ჩაეფლო, საკუთარი სახლი არ ჰქონდა, ღამეს ხან მშობლებთან ათევდა, ხან კი რომელიმე მოტელში. მთელი მისი ბარგი ძირითადად, ოდესღაც პოეტ კერუაკის ძველი ჩემოდნისგან შედგებოდა. მასში განგოგის კიდებშემოკვეთილი ალბომი, კაფკას მიერ ათასჯერ წაკითხული, შენიშვნებით აჭრელებული ტომი, აბსენტით სავსე

სამგზავრო მათარა, თეთრეული და სამი-ოთხი მაისური ინახებოდა.

ჯონის კიდევ უბის წიგნაკი ჰქონდა, მასში აზრებს, შენიშვნებით აჭრელებულ სცენარებს ინახავდა. ბოლო დროის ჩანაწერებს ლოსტოვესკის რომანის – „დანაშაული და სასჯელი“ კონსპექტი დაემატა, რომლის გადაღებასაც მისი ახლო მეგობარი ემირ კუსტურიცა ჯონი დების მონაწილეობით აპირებდა.

... ცოტა ხანში პოლანსკის სახეიმიო ტანსაცმელში გამოწყობილმა ჯონიმ სარკეში ჩაიხედა და გაკვირვებისგან დაუსტვინა.

შუალამისას რეჟისორის წითელი „შეგროლე“ „კოსტესის“ შესასვლელთან შეჩერდა. ჯონი და რომანი პირდაპირ სანთლებით განათებული დარბაზისკენ გაეშურნენ, სადაც დეკორირებულ კაბებში გამოწყობილი ქალთევზები და ძვირფასი სიგარეტის წვევით გართული ჭადარა მილიონერები მიმოდიოდნენ.

პოლანსკის მაშინვე გარს შემოეხვივნენ ბრილიანტებით შემკული, ეგზალტრებული ქალბატონები, ჯონის სხვა აღარაფერი დარჩენოდა და ბარის დახლს მიაშურა ვისკის დასალეკად.

მისი ყურადღება მაშინვე მიიპყრო ქალის მოშიშვლებულმა ზურგმა, რომელიც ვულგარულ კაბაში გამოწყობილ გამხდარ, უცხო არსებას ეკუთვნოდა. ქალის სახეს ჯონი ჯერ კიდევ ვერ ხედავდა, თავზე კი გვერდზე გადაწეული, შავი ბუმბულებით გაფობილი რაღაც უაზრო ქუდი ეხურა, გამხდარ ფეხს შეუსვენებლივ აქანავებდა, სიგარეტს გრძელი მუნდშტუკით ეწეოდა და არაყს წრუპავდა.

ქალთან მიახლოებულმა ჯონიმ შენიშნა, რომ ის გვარიანად მთვრალი იყო. რაღაც მომენტში ჯონის მოეჩვენა, რომ მის წინ ქეით მისი იყო – ის ხშირად ნახულობდა ყოფილ მეგობარ გოგონას ლამის კლუბებში მსგავს მდგომარეობაში, მაგრამ ეს შეუძლებელი იყო – უკვე ერთი კვირაა, რაც ქეითი ლონდონის ახლომდებარე ერთ კერძო კლინიკაში ნევროზის დიაგნოზით იწვა. ჯონიმ მას სწორედ წინა დღეს დაურეკა, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა გამოიკითხა და დაინტერესდა, მოეწონა თუ არა ქეითს გამოსამშვიდებელი საჩუქარი – ახალთახალი BMW, რომელიც პირდაპირ ყოფილი სატრფოს პალატის ფანჯრებთან დააყენა.

უცნობმა ქალმა უხვად მოხატული სახე ჯონისკენ შეაბრუნა და დაასლოკინა. ჯონი შეცბა.

– შეეუკვეთო თქვენთვის რამე? – ზრდილობიანად მიმართა ქალს.

– არა მგონია, – ქალმა ინგლისურად, სასიამოვნო ფრანგული აქცენტით გასცა პასუხი და მისი სახისკენ კვამლის რგოლი გამოიშვა.

ჯონიმ ვისკი მაშინვე დალია და კიდევ ერთი შეუკვეთა. როგორც ჩვეულებრივ ხდება ხოლმე, მესამე ჭიქის შემდეგ ქალი საოცრად მომხიბლავი მოეჩვენა. მათ საერთო ენაც გამოძებნეს და ჯონი გამოუტყდა, რომ მისი სანუკვარი ოცნება ყოველთვის როკ-მუსიკოსობა იყო, რომ თავისი პირველი გიტარა 25 დოლარად იყიდა და დღემდე უკრავდა მასზე ღამამობით. ისიც მოუყვა, რომ წარმატებით გამოდიოდა ჯგუფ ROCK CITY

ANGEL-თან ერთად და როცა ის მიატოვა, იმის გამო, რომ მსახიობი გამხდარიყო, ბიჭებმა მაშინვე მიიღეს ანგაჟემენტი ალბომის ჩასაწერად. გოგონამ უპასუხა, რომ მუსიკა მისთვის ყველაფერი იყო და მზად იყო მთელი დღე-ღამე ემღერა. ნათქვამის დასადასტურებლად კი ხმაძალა წაიძღვრა რომელიღაც მხიარული სიმღერის ნაწყვეტი და მაშინვე გარემომოყოფთა ხმაურთან აპლოდისმენტები გაისმა: „ბრაუო, ვანესა!“

ჯონი გაოგნდა: „შენ საკმაოდ კარგად მღერი, შთაბეჭდილებას ახდენ“.


კიდევ რამდენიმე ჭიქა სასმლის შემდეგ ახალგაზრდები ერთმანეთს უფრო გაუშინაურდნენ და აღმოჩნდა, რომ ჯონიმ ჯერ კიდევ ცამეტი წლის ასაკში გასინჯა ყველანაირი ნარკოტიკი და უბიწოებაც დაკარგა, 16 წლისამ სკოლა მიატოვა და სახლიდან წავიდა. მუსიკალურ კარიერაზე ოცნებობდა, მშენებლობაზე შავ მუშად მუშაობდა, ტელეფონის საშუალებით ყოფდა საწერ კალმებს და ღამეებს თავისი მეგობრის მანქანაში ათევდა. გოგონამ, რომლის სახელის გამოთქმაც ჯონის უჭირდა და ვენესი შეარქვა, უამბო, რომ 14 წლის ასაკში თავისი პირველი მილიონი გამოიმუშავა, 16 წლისამ კი მამაკაცთან დაიწყო ცხოვრება. მას ვერ იტანდნენ თანასკოლელი გოგონები და მათი დედები. ვანესას ბინის კარზე უწერდნენ „კანასას“ და „ტუქანას“, მუზობლები კი, ლიფტში მასთან შეხვედრისას, დემონსტრაციულად აფურთხებდნენ იატაკზე.

– კი მაგრამ, რატომ? – გაოცდა ჯონი.

– მათ არ მოსწონდათ, რომ ასეთი პატარა, სუპერგარსკვლავად ვიქეცი. ყველა სასიკვდილო ცოდვაში მდებდნენ ბრალს, თითქოს წარმატებას გააღწევიანი მამაკაცების საწოლებში გავლით მივალყვი. რა სასაცილოა, მათ ეგონათ, რომ 60 წლის გეინს ბურგთან ვიწუქი, რომელმაც ჩემი ალბომი დაწერა, ან ლენი კრავიტთან, რომელმაც „ამერიკული ჩაწერა“ მაჩუქა... – სლოკინით ამბობდა ამაყად თავაწეული ქალი. ამ დროს ის სულელური ქული მუდამ გვერდზე ექცეოდა.

ჯონიმ ვერაფერი გაიგო. რომელი ვარსკვლავი? რა საწოლების გავლით? და საერთოდ, რა შუაშია ლენი კრავიტცი? მან ბორძივით მიმავალ ქალს ხელი შეამშველა და ისინი გასასვლელისკენ გაემართნენ. ჯონიმ შენიშნა, რომ ვენესი საოცრად გამხდარი იყო და ტყავავადაკრულ ჩონჩხს ჰგავდა. ქალი ისე საყვარლად, უცნაურად მიეკრო, რომ ჯონის მთელ სხეულში სითბო ჩაღვარა. გოგონას აშკარად ეძინებოდა, ორიოდ წუთში, თბილ ტაქსიმში მას აუცილებლად ჩაეძინებოდა და ჯონი მას თავისთან წაიყვანდა. ვერავინ ვერაფერს გაიგებდა... სწორედ ეს იქნებოდა მისი პირველი პარიზული თავგადასავალი.

... როცა ჯონიმ მძინარე ვანესა თავის ბინაში შეიყვანა და საწოლში ჩაწვეწვა დაუპიბრა, ქალს გული აერია და მაშინვე გაეღვიძა.



ცამეტი წლისამ ყველანაირი ნარკოტიკი გასინჯა და უბიწოებაც დაკარგა

სიცოცხლისგან შეწუხებული კუთხეში მიჯდა, კაბის ბრეტელებს ისწორებდა და შეშინებული იფურებოდა აქეთ-იქით.

– შენი დედაც... მე ხომ ჯონი დეპის საწოლში ვზივარ, – უეცრად უხეშად წართქვა ქალმა.

ჯონიმ მინერალური წყლით სავსე ჭიქა გაუწოდა და ჰკითხა:

– რა თქვი, რა მქვიაო?

გოგონას ცალკვად გაეღვიძა:

– ვანესა პარადი, პირველად გესმის?

– დიახ, პირველად, ეს რა, დანაშაულია?

– მე მომღერალი და მსახიობი ვარ.

– მსახიობი? რა ფილმებში მონაწილეობდი?

– შენ ეგ ფილმები ნანახი არ გექნება. სჯობს, გიმღერებ, გინდა?

ვანესა ადგა, ჯონის საყვარელ ფანჯრის რაფას მოუხლოვდა და ხმაძალა დაიწყო სიმღერა. ჯონი იატაკზე იჯდა და გრძნობდა, რომ მოხიბლული იყო ამ გამხდარი, ნახევრად შიმშველი არსებით, რომელიც დახეულ წინდებში იყო გამოწყობილი, თმა გაჩეხილი ჰქონდა და საოცრად ქალური ხმით მღეროდა. გოგონა გათენებამდე სიმღერას სიმღერაზე მღეროდა...

ჯონი სატელეფონო ზარმა გააღვიძა. დილის 10 საათი იყო, ყურმილში განრისხებული პოლანსკის ხმა გაისმა: „ჯონი, როგორ ბედავ?! ორი საათია, 30 კაციანი ჯგუფი შენ ერთს გელოდება!“

ჯონის გონს მოსვლა უჭირდა, ღამის თავგადასავალსა და უცნაურ, გამხდარ გოგონას იხსენებდა, რომელიც „კოსტესიდან“ წამოიფანა. გოგონა აღარ ჩანდა, ოთახი ცარიელი იყო... ჯონიმ უკვე იცოდა, რომ გოგონას აუცილებლად მოიხებინდა...

ჯონიმ კეიტ მოსს გამომშვიდობებისას ახალთახალი BMW მიაართვა

მთელი დღე მასზე ფიქრობდა, ღამით ლოგინში წრიალებდა და სატელეფონო საუბრის ტექსტს იძიებდა: საბედნიეროდ, ტელეფონის ნომერი ვანესამ კვლავზე წითელი პომადით დაწერა! რა უნდა ექნა, ქალს რომ შეხვედრავი უარი ეთქვა?..

მაგრამ ვანესა დათანხმდა.

ისინი ერთმანეთს იტალიურ რესტორანში შეხვდნენ. ვანესა შეხვედრაზე უმაკიაჟოდ, ძველ სვიტერსა და უჯრედებიან ქვედაკაბაში გამოწყობილი გამოცხადდა. ფერმკრთალ სახეზე უზარმაზარი რუხი თვალები უბრწყინავდა.

– შეიძლება, ბელურა დაგიბახო? – ჰკითხა ჯონიმ.

გოგონა ოდნავ გაწითლდა და საუბარი სხვა თემაზე გადაიტანა.

– იცი, შენი სახლიდან გამოსვლისას პაპარაცებმა სურათი გადამიღეს...

– არა... ნუთუ, უკვე იყნოსეს?

– იდეა ასეთია: ჯონი დები უპირატესობას „იატაკის საწმენდ ჯოხებს“ ანიჭებს, – უთხრა ვანესამ და ციტირება განაგრძო: – „გრძიმორ ლორი ელისონთან უიღბლო ქორწინებისა და გალუულ ღამეზმანებთან – შერი-ლინ ფენტან, ჯენიფერ გრეისთან, უაინონა რაიდერთან და ქეთი მოსთან რომანების შემდეგ, მოწყვნილმა ამერიკელმა პარიზში თავისი არჩევანი ადგილობრივ „ტანსაცმლის საკიდზე“ შეაჩერა (როგორც ჩანს, ის ქალებს გარკვეული ფიზიკური სტანდარტის მიხედვით ირჩევს)“.

– მათ ყოველთვის ჩემზე მეტი იციან, – გაეღვიძა ჯონის.

მან უამბო ვანესას, რომ ბოლო ხუთი წელი, ღამე თითქმის არ სძინებია – უძილობა ტანჯავდა, ბევრს სვამდა, ნარკოტიკებს ეძაღებოდა და ქალაქის „ბისტროებში“ იკვებებოდა.

ჯონიმ თავის მძიმე ბავშვობაზეც მოუთხრო, ოფიციალურ დედაზე, მშობლების გაყრასა და მუსიკის ტრფიალზე.

– ორიოდ წლის წინ ამ ოცნებას ვვარი დაესვა, – განაგრძობდა ჯონი. – შემთხვევით, ერთ ბარში აღმოეჩნდი ჩემს კერპთან, პოპთან ერთად. მაშინვე სცენაზე ავბვერი,



დაკვრა და მიუღი ხმით სიმღერა დავიწყე. დარბაზი ალტაცებული დარჩა, მეც მეჩვენებოდა, რომ მართლა კარგად ვმღეროდი. როგორც კი სცენიდან ჩამოვედი, ვიღაცამ მხარზე ხელი დაქარა. მე შევბრუნდი და დავინახე, რომ ეს პაპი იყო. „კრეტინი ხარ, ბიჭო“, – ჩემად მითხრა მან. ამის შემდეგ დავმეგობრდი.

... ორიოდე დღის შემდეგ ჯონის ვანესა კერძო თვითმფრინავით ბელფორდში, პაპის კონცერტზე მიჰყავდა. გადაფრენის დროს ქალს ჩაეძინა და თავი მხარზე დაადო. ჯონი ფრთხილად შეეხო თითებით მის ლოყას. ვანესა საოცრად პატარა, უძწეო და უცნაური იყო, ჯონის მუდამ მის გვერდით უნდოდა ყოფნა, უნდოდა მისი სუნამოს სურნელი შეეგრძნო, მკერდში ჩაეკრა და დილაძღვე მასთან ერთად დაეძინა. ჯონიმ უცებ გაიფიქრა – რა კარგი იქნებოდა, ვანესა რომ მასთან საშუალოდ დარჩენილიყო. და მაინც, საიდან გაუნდა ასეთი აზრი? ისინი ხომ სულ რამდენიმე დღეა ერთმანეთს იცნობენ, ვანესამ მას ხაზვის წვნიანი მოუშვა, ვინსი და მისი სურები დაურეცხა, რამდენიმე წვეილი ახალი წინდა აჩუქა და უთხრა, რომ ის ლამაზი და კეთილია. მანამდე ჯონი ქალებისგან სულ სხვა სიტყვებს ისმენდა. ერთხელ, როცა საოუველირო მალაზიასთან შეჩერდნენ, სადაც უამრავი ძვირფასეულობა ციმციმებდა, ჯონიმ ჰკითხა, რა სურდა ვანესას დაბადების დღეზე საჩუქრად? ქალმა უბრალოდ, ჩემად უპასუხა: – ბავშვი...

ჯონის თავგზა აებნა. მათი პირველი შეხვედრიდან ერთი კვირის შემდეგ, ვანესა საცხოვრებლად მასთან გადავიდა. ფანჯრების ქვეშ დღე და ღამე, რეპორტიორები მორიგეობდნენ და ბულვარული პრესა რეგულარულად აქვეყნებდა ცნობებს შეყვარებულ წყვილის ქალაქში გადაადგილების შესახებ. მაგრამ ჯონის ეს აღარ აღიზიანებდა, ის სიამოვნებით ერთვებოდა ჟურნალისტებთან საუბარში და თავის გრძნობებზე

„ყველა სასიყვლილო ცოდვაში მდებდნენ ბრალს, თითქოს წარმატებას გავლენიანი მამაკაცების საწოდების გავლით მივაღწიე“, – სლოკინით უამბობდა ვანესა ახალ ნაცნობს...



14 წლისამ პირველი მილიონი გამოიმუშავა, 16-ისამ კი – მამაკაცთან დაიწყო ცხოვრება

ღიად საუბრობდა: „აღრე, როცა პარიზში ჩამოვდილი, ისეთი გრძნობა მეუფლებოდა, რომ რაღაც მნიშვნელოვანი უნდა მეპოვა, რაც დაგვარე ან წარსულ ცხოვრებაში განვიცადე.

ახლა კი მესმის: სინამდვილეში, ჩემს მომავალს ვეძებდი – ჩემს ოჯახს...“

ჯონი დილის გადაღებებზე იგვიანებდა, უძილო ღამის შემდეგ, დაწითლებული თვალებით მიდიოდა, ტექსტი ავიწყებოდა, პირდაპირ კადრში იძინებდა (ერთხელ ხმამაღლა წამოიხვინა კიდეც, სანამ მისი პარტნიორი ფრენკ ლანჯელა დიალოგის მისეულ ნაწილს წარმოთქამდა!). ყველაფერი ეს იმის გამო ხდებოდა, რომ დილაძღვე ვანესასთან სიყვარულით იყო გართული, ან ხელიხელგადახვეულები დასერიობდნენ ღამის ქალაქში, ან ქალის მუხლებზე იძინებდა ქალაქის უკვე დაკეტილ პარკში... პოლანსკის აღმოფოთებას საზღვარი არ ჰქონდა, წყველაკრულვას უთვლიდა ჯონის და იმ „სადაც ვანესას“. მან კონტროლიდან გამოსულ შეყვარებულ ყმაწვილზე ზემოქმედების უამრავი ხერხი გამოსცადა: ესაუბრებოდა, აჯარიმებდა, მაგრამ ყველაფერი ამაი იყო. ერთხელ, როცა ფილმის დაძაბული სცენის გადაღება მიმდინარეობდა, ღებმა საუბარი უეცრად შეწყვიტა. პოლანსკიმ კამერა გააჩერა და მუშტებით გაემართა ჯონისკენ. ღებმა მას ლოყა ლოყაზე მიადო და გადაუჩურჩულა:

– წარმოგიდგენია, ის ჩემგან ბავშვს ელოდება? მე ხომ აქამდე საკუთარი არაფერი მქონია...

ამ გრანდიოზული მოვლენის აღსანიშნავად, შეყვარებული წყვილი უქმზე ლონდონში გაემგზავრა და სოპოს რაიონში, ერთ-ერთ ყველაზე წყნარ რესტორანში მაგია შეუკვეთა. ჯონიმ და ვანესამ არ იცოდნენ, რომ მათ აერობორტიდანვე პაპარაცები მიჰყვებოდნენ. როგორც კი წყვილი მაგიდას მოუჯდა, მათ წინ მდებარე ფარდა საეჭვოდ აშრიალდა და ფოტოობიექტივი

გამოჩნდა. განრისხებული ჯონი წამოხტა, ხელი დაავლო სკამს, იატაკზე დაანარცხა და ხელში შერჩენილი სკამის ფეხი ერთ-ერთ დაუპატივებელ სტუმარს მოუღერა. რამდენიმე წუთში შემინებული ადმინისტრატორის მიერ გამოძახებული პოლიციაც ადგილზე მივიდა, მაგრამ ღები არ წყნარდებოდა – ის წესრიგის დამცველებს ეცა და ერთ-ერთ მათგანს წიხლიც ჩააზილა. ვანესა უკანა გასასვლელიდან გავარდა, ტაქსიში ჩაჯდა და სასტუმროში დაბრუნდა, ჯონი კი პოლიციის განყოფილებაში წაიყვანეს. დაკითხვაზე ის ძალიან გამოწვევად იქცეოდა:

– ყველანი არაადამიანები ხართ! ჩემი საყვარელი ქალი ფეხმძიმედაა და არც ერთ რეპორტიორს მასთან 100 მეტრზე ახლო მანძილზე მისვლის უფლება არ მიეცემ! და თუკი მას თავიდან თმის ერთი მანც ჩამოუვარდება, ყველას კბილებით დავგლეჯე!

... როგორც კი გადაღებები დასრულდა, ვანესა ჯონისთან ერთად ლოს-ანჯელესში გაემგზავრა. ღებმა აფავებულ პარკში, სანსეტ-ბულვარზე 15 ოთახიანი სახლი შეიძინა და საყვარელ ქალს პირველივე მისვლისთანავე ის ოთახი უჩვენა, რომელშიც წლების მანძილზე მუყაოს ყუთებში შენახული ნივთები იყო გამოფენილი.

შარშან, 27 მაისს ვანესას ჯონისგან გოგონა – ლილი-როუზი შეეძინა. ტკივილები ქალს მამინ დაიწყო, როცა ის და ჯონი პარიზის ქუჩაში ნაყინს ყიდულობდნენ. ვანესამ უეცრად ჩამოხსლა, ფერი დაკარგა და წარმოთქვა:

– ოჰ, ღმერთო ჩემო, დაიწყო... ჯონიმ ვანესა ხელში აიტაცა და გაიქცა – თვითონაც არ იცოდა, საით.

– ტაქსი! – ტაქსი! – ყვიროდა ის ღამის ქალაქში.

ვანესა მის ხელში კნესოდა, როცა ჯონი ჰოსპიტლის სამშობიარო განყოფილებაში შევარდა. სანამ ექიმები ქალს სამშობიაროდ ამზადებდნენ, ჯონი სწრაფად იცვამდა ხალათს და ქუდს ირგებდა: მათ მოილაპარაკეს, რომ მშობიარობისას ჯონი ვანესას გვერდით იქნებოდა.

ჯონი ვერაფრით იხსენებდა, როდის იტირა ბოლოს – როცა მამამისმა დედა მიატოვა, როცა მისი საყვარელი ძალი მოკვდა თუ საცოლე – უაინონა რაიდერი გაექცა?... ექიმებმა ხელის კვრით მიიყვანეს ახალგაზრდა მამა ვანესას ფეხებთან, რათა მას ჭიპლარი გადაეჭრა – ჯონის ლოყებზე ღვარად ჩამოსდიოდა ცრემლები და თავს უსაზღვროდ ბედნიერად გრძნობდა...

ალექსი რეხვიაშვილი

დასასრულს უახლოვდება 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩების ციკლი. არგენტინის ეროვნულმა ნაკრებმა უკვე მოიპოვა მომავალ ზაფხულს იაპონია-კორეაში გამგზავრების უფლება და ახლა თეთრ-ცისფერ მაისურინებისთვის ყოველი მატჩი მხოლოდ წინასაჩემპიონატო მზადების პროგრამის ნაწილი იქნება. დღეს არგენტინის ნაკრები მართლაც მაღალტექნიკური, ტაქტიკური და თანამედროვე საფეხბურთო სტანდარტების თამაშით ასარებს გულშემატკივრებს. გუნდის წარმატებებს, რა თქმა უნდა, დიდად განაპირობებს მის შემადგენლობაში მოასპარეზე დიდოსტატთა სიმრავლე. ერთ-ერთი უპირველესი მათ შორის გაბრიელ ოსმარ ბატისტუტა, რომელსაც სპეცილისტებიც და არგენტინის ნაკრების გულშემატკივრებიც იაპონია-კორეაში გამგზავრების ერთ-ერთ მთავარ კანდიდატად მიიჩნევენ.

გაბრიელ ბატისტუტა ერთ-ერთი საუკეთესო ფორვარდია ფეხბურთის ისტორიაში. დღეს ის მდიდარი ადამიანი, საქვეყნოდ პოპულარული სპორტსმენი, სიმპათიური ახალგაზრდა კაცია. მამაკაცებს მართლაც აქვთ საფუძველი, შურდით მისი. მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრები ბევრი ქალისთვის კი, გაბრიელ ბატისტუტა საოცნებო შეყვარებულად არის ქცეული. არადა, როგორც ბევრი ცნობილი ადამიანი, გაბრიელ ბატისტუტაც ოდესღაც ჩვეულებრივი, ღარიბი, ყოველდღიური ცხოვრებისეული პრობლემებით დატვირთული მოზარდი იყო და უცნობი არგენტინელი ბიჭუნიდან მსოფლიო დონის ფორვარდად აღიარებამდე საკმაოდ რთული გზის გავლა მოუხდა.



გაბრიელ ბატისტუტა:

გრძელი თვა მქონდა თუ მოკლე, ყოველთვის გაემონდა ბოლები...

პირველი ნაბიჯები ცხოვრებაში

როდესაც ოსმარ ბატისტუტას ოჯახში 1969 წლის 1 თებერვალს ვაჟიშვილის დაბადებას ზემოზნდნენ, ქალაქ აველანედაში ვერავინ წარმოიდგენდა, რომ იმ დღეს მოვლენილი პატარა გაბრიელი 90-იან წლებში „ბატიგოლად“ მოინათლებოდა.

მომავალ ვარსკვლავს მამის გარდა, ზედაშედეგელობას საკმაოდ მკაცრი, ღირსეული და ამავე დროს მოსიყვარულე „ნონო“ – მეღმორა უწევდა. პატარა გაბრიელი ყოველთვის გრძობდა უსაზღვრო სიყვარულსა და მზრუნველობას დედის – გლორიას მხრიდან, რომელთანაც მას განსაკუთრებული ურთიერთობა ჰქონდა. მიუხედავად ოჯახის არცთუ ისე სახარბიელო მატერიალური მდგომარეობისა, გაბრიელი ყოველთვის მხიარული და სიცოცხლით სავსე იყო. ის ოცნებობდა და სჯეროდა, რომ ბრწყინვალე მომავალი ექნებოდა. ვინ იცის, იქნებ სწორედ რწმენა იქცა „ელ გორდოს“ (ესპანურად „სქელს“ ნიშნავს – ბავშვობაში გაბრიელს ზედმეტი წონის გამო შეარქვეს) წარმატების საფუძვლად.

გაბრიელის შემდეგ ოსმარ და გლორია ბატისტუტებს სამი ქალიშვილი შეეძინათ. თავად „ბატიგოლის“ თქმით, იგი ღებს მშობლების მიმართ ცოტას აეჭვებოდა კიდევ...


პირველი ნაბიჯები ფეხბურთში

ისევე, როგორც ყველა დიდი ფეხ-

ბურთელისთვის, ბატისტუტასთვისაც კარიერის დასაწყისი იოლი არ ყოფილა. 1988 წელს მან თავისი პირველი კონტრაქტი გააფორმა როსარიოს კლუბ „ნიუელზ ოლდ ბოიზთან“. წელიწადში 20.000 დოლარს უსდიდნენ. „დღეს, როდესაც ვამბობ, რომ 17 წლამდე ფეხბურთი ჩემთვის მხოლოდ დროის ტარება იყო, ბევრი არ მიჯერებს. არადა მანამდე, ვიდრე როსარიოდან „ნიუელზ ოლდ ბოიზი“ მიმიწვევდა, მე მხოლოდ ერთი სეზონი ვითამაშე ჩემი მშობლიური ქალაქის გუნდის შემადგენლობაში. მაგრამ ქალაქის გუნდი ძალიან ცოტა რამით ჰგავდა პროფესიულ კლუბს, ვარჯიშები განრიგით კი არა, არამედ იმ დღეებში გვქონდა, როდესაც არ წვიმდა“, – იხსენებს ბატისტუტა.

მოგვიანებით კი ბუენოს-აირესის კლუბმა „დეპორტივო იტალიანომ“ აიყვანა. ბატისტუტა უკვე გამოირჩეოდა ბომბარდირის არაჩვეულებრივი თვისებებით, გოლის შეგრძნებითა და ამტანობით. ამის გამო მას „ელ კამიონი“ (ესპანურად – „სატვირთო მანქანა“) შეარქვეს.

1989 წლის ივნისში ახალგაზრდა გაბრიელ ბატისტუტა „რივერ პლეიტმა“ შეიძინა, რომელსაც მაშინ რეინალდო მერიო წვრთნიდა. ეს უკანასკნელი მალე დანიელ პასარელამ შეცვალა, რომელთანაც ბატისტუტას ძალიან უჭირდა საერთო ენის გამოძებნა. იგი ხანგრძლივი დროის მანძილზე ვერ სვლებოდა ძირითად შემადგენლობაში, ბოლოს, იმედი გადაეწურა და 1990 წლის ივნისში „რივერ პლეიტადან“ „ბოკა ხუნიორსში“ გადა-



ირინას და გაბრიელის ურთიერთობა თავიდან ვერ აეწყო, მაგრამ ბატისტუტას უკან დახვევა არ სჩვევია...

ვიდა. იმავე წელს ახალ კლუბთან ერთად „ბატიგოლი“ არგენტინის ჩემპიონი გახდა. თუმცა, „ბოკაში“ მის დებიუტს სირთულეები მაინც თან ახლდა. ბატისტუტას ვარსკვლავი არგენტინის გარეთ მხოლოდ მას შემდეგ შენიშნეს, როდესაც 1991 წლის იანვარში „ბოკა ხუნიორსში“ ახალი მწვრთნელი – ოსკარ ტაბარესი მივიდა. შედეგად არგენტინის სახელგანთქანი გუნდი „კოპა ლიბერტადორესის“ ფინალში გავიდა და ქვეყნის ჩემპიონობაც მხოლოდ ბოლო მომენტში გაუშვა ხელიდან. სწორედ იმ პერიოდში, „კოპა ამერიკის“ ტურნირზე არგენტინის ნაკრების მონაწილეობისას ახალგაზრდა ნიჭიერი ფეხბურთელი ფლორენციის „ფიორენტინის“ მაშინდელმა ვიცე-პრეზიდენტმა ვიტორიო ჩეკი გორმა შენიშნა...

... და მართლაც – ყველა გზა რომში მიდის

რამდენიმე თვის შემდეგ გაბრიელი მოულოდნელად მივიდა სახლში. ძალიან აღელვებული იყო. მან მითხრა: „ირინა, იტალიაში მივდივართ“. ძალიან ბედნიერი იყო. შემდეგ დასძინა: „ნუ წამოიღებ ბევრ

ბარგს, მხოლოდ ყველაზე აუცილებელი ჩაალაგე“. მას ესმოდა, რომ თვით ბუენოს-აირესიდან რომში გასამგზავრებელი ბილეთის ხელში ჭერა, სულაც არ ნიშნავდა საბოლოო წარმატებას. დიდი მიზნისკენ მიმავალი მისი გზა მხოლოდ იწყებოდა, – იხსენებს ვარსკვლავის ცოლი ირინა ფერნანდესი.

როგორც „რივერ პლეიტსა“ და „ბოკა ხუნიორსში“, ფლორენციაშიც ყველაფერი თავიდან დაიწყო: ახალი ქვეყანა, ენა, თანაგუნდელები, განსხვავებული ტრადიციები... თუმცა, ბატისტუტამ თავისი ბრწყინვალე გოლების, საშემსრულებლო ტექნიკის, ურყევი ნებისა და გულღია ხასიათის წყალობით, ყველა სირთულის გადალახვა შეძლო.

1994 წლის შემოდგომაზე მან სერია A-ს რეკორდი დაამყარა, როდესაც მიყოლებით 11 მატჩში გაიტანა გოლები (მანამდე ეს რეკორდი, 10 მატჩით, 60-იან წლებში „ბოლონიაში“ მოთამაშე პასკუტის ეკუთვნოდა). მანამდე სერია B-ში დაქვეითებული „იისფერმაისურაინები“ „ბატიგოლის“ დიდი მცდელობით კვლავ სერია A-ს დაუბრუნდნენ. 1994-95 წლების სეზონში კი, არგენტინელი გოლეადორი 26 ბურთით სერია A-ს საუკეთესო ბომბარდირი გახდა. გაბრიელ ბატისტუტასთვის ყველაზე ძვირფასი „ფიორენტინას“ რიგებში ჩატარებული 101-ე მატჩი იყო 1995 წელს, როდესაც ფლორენციული კლუბი „ლაციოს“ ხვდებოდა და 2:0 მოუგო. ცხადია, ორივე ბურთი რომაელთა კარში „ბატიგოლმა“ შეაგდო, მაგრამ სამხრეთამერიკელს მთავარი სიურპრიზი შეხვედრის შემდეგ ელოდა... მადლიერმა ფლორენციელმა გულშემატკივარმა მას „არტემიო ფრანკის“ სტადიონზე ბრინჯაოს ქანდაკება დაუდგა (მანამდე ეს პატივი მხოლოდ პელეს ერგო, 1969 წელს) და ქალაქის საპატიო მოქალაქის ტიტულიც მიანიჭა. გრძელთმიანი, ცისფერთვალეა „ბატიგოლი“ ფლორენციის სიმბოლოდ იქცა.

ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ გავრცელ-

და ხმები, რომ ბატისტუტა სხვა კლუბში გადადიოდა, მაგრამ ფლორენციისა და გულშემატკივრების სიყვარულით „ბატიგოლი“ მაინც რჩებოდა „ფიორენტინაში“. გასული საფეხბურთო სეზონის დასაწყისამდე რამდენიმე თვით ადრე არგენტინელის ვილასთან შემფოთებული გულშემატკივრები შეიკრიბნენ პლაკატით, რომელზეც ეწერა: „ჩვენ გვიყვარხარ, შენ გიყვარვართ. მაშ, რატომ ტოვებ კლუბს?“

2000 წლის 14 მაისის მატჩი ბატისტუტასთვის „ფიორენტინას“ შემადგენლობაში უკანასკნელი იყო. ამ შეხვედრაში „ბატიგოლმა“ ჰეთ-თრიკი შეასრულა. მესამე ბურთის გატანის შემდეგ მის თვალებზე ცრემლი ბრწყინავდა...

„რომამ“ გაბრიელ ბატისტუტა 35 მილიონ დოლარად შეიძინა. არგენტინელი ბომბარდირისათვის რომაელთა რიგებში თამაშის პირველივე სეზონი ტრიუმფით დამთავრდა: „ბატიგოლმა“ კლუბთან ერთად „სკუდეტო“ მოიგო და ავტომატურად, ჩემპიონთა ლიგაში თამაშის უფლებაც მოიპოვა.

მიყვარხარ, ირინა

1995-96 წლების საფეხბურთო სეზონში „ფიორენტინამ“ სერია A-ში დაკავებული მესამე ადგილით უეფას თასის საგზური მოიპოვა. გარდა ამისა, ბერგამოში, „ატლანტასთან“ მატჩში ბატისტუტამ თავის კლუბს გამაბრჯებინა და ფლორენციელი ტიფოზები იტალიის თასით გაახარა. 4 თვის შემდეგ კი, „სან სიროზე“ გამართული მატჩის დროს, მთელი მსოფლიო გაოცდა, როდესაც „მილანის“ დაცვამ ფრანკო ბარეზის ლიდერობით ვერაფერი მოუხერხა „ბატიგოლს“, რომელმაც იმ მატჩში 2 არაჩვეულებრივი გოლი გაიტანა და „ფიორენტინას“ სუპერთასის მოაგებინა. „ჩემი ქმრის მიერ გატანილ გოლებში არის ერთი, რომელიც მე განსაკუთრებით დამამახსოვრდა. ეს გოლი მან „მილანს“ გაუტანა იტალიის სუპერთასზე, როდესაც გაბრიელმა სატელევიზიო კამერის მიკროფონში დაიყვირა: TI AMO, IRINA (მიყვარხარ, ირინა!) ამგვარად ნათქვამმა ამ სამმა სიტყვამ ჩემში ისეთი გრძნობა აღძრა, რომელიც არასოდეს დამავიწყდება,“ – იხსენებს ბატისტუტას მეუღლე ირინა ფერნანდესი.

... მათი ურთიერთობა თავდაპირველად ცივად დაიწყო: 15 წლის ირინა ფერნანდესმა (შემდგომში ცნობილმა ბალერინამ) ქალაქ რეკონკისტას კლუბ „სირიო ლიბანეზში“ დაბადების დღის აღსანიშნავად მრავალი სტუმარი მიიწვია. მათ შორის იყო კოსტიუმსა და ნათხოვარ ჰალსტუხში გამოწყობილი



სინამდვილეში არავინ იცის, რომელი უფრო უყვარს, – ირინა თუ გოლის გატანა...

გრძელთმიანი ბიჭი, მეტსახელად „ელ გრინგო“ (გაბრიელ ბატისტუტას ბავშვობაში ამ მეტსახელს შეღებილი თმის გამო ეძახდნენ). ირინა ვალდებული იყო, პატივისცემის ნიშნად ყველა სტუმართან ეცეკვა. იგი თითოეულ სტუმართან ხუთ-ხუთი წუთი ეცეკვავდა. „ელ გრინგო“ გაცეკვული და იმედგაცრუებული დარჩა, როდესაც იუბილარმა მას სულ რაღაც 2 წუთი დაუთმო, შემდეგ კი, პირდაპირ საცეკვაო დარბაზის ცენტრში მიატოვა. „მართალია, მანამდე არასოდეს მიცეკვია გაბრიელთან და კარგად არც ვიცნობდი მას, მე იგი იმიტომ დავპატიჟე, რომ ჩემი მეგობრის კავალერი უნდა ყოფილიყო. იცით, მას გარკვეული რეპუტაცია ჰქონდა: ის რაიონის დონეზე უნადა იყო ცნობილი. ამიტომ ვცდილობდი დისტანცია შემენარჩუნებინა“, – ამბობს ირინა.

ერთი სიტყვით, რომანის დასაწყისი არცთუ ისე სახარბიელო იყო, მაგრამ ბატისტუტა არასოდეს უშინდებოდა სიმძვინვარეებს – პირად ცხოვრებაშიც და სპორტშიც, ის მუდამ შეუპოვრობითა და მიზანსწრაფულობით გამოირჩეოდა... იმ დაბადების დღიდან რამდენიმე თვის შემდეგ, ირინამ „ელ გრინგო“ პირველი კოცნით დაასაჩუქრა, 1990 წლის 28 დეკემბერს კი, წმინდა როკეს ტაძრის საკურთხეველთან ბატისტუტამ თავისი რჩეულისაგან ყველაზე ძვირფასი და სანუკვარი სიტყვა – „ღიახ“ – გაიგონა.

გრძელი თმა თუ თეთრ-ცისფერი მათხური?

გაბრიელ ბატისტუტას დებიუტი არგენტინის ეროვნულ ნაკრებში 1991 წლის 27 მარტს შედგა. იმავე წელს „ბატიგოლმა“ თავისი ქვეყნის გუნდთან ერთად „კოპა ამერიკის“ გამარჯვება იზეიმა და 6 გოლით ტურნირის საუკეთესო ბომბარდირიც გახდა. 1998 წლის მსოფ-

ლიო ჩემპიონატის საკვალი-ფიკაციო მატჩებში იშვიათად იძახებდნენ ბატისტუტას ნაკრების შემადგენლობაში, მაგრამ როცა ეროვნული გუნდის მათხურის ჩაცმის საშუალება ეძლეოდა, თითქმის ყოველთვის გაჰქონდა გოლი. ამის შედეგად არგენტინის ნაკრების შემადგენლობაში გატანილი ბურთების რაოდენობით მან მარადონასაც გაუსწრო და ქვეყნის საუკეთესო ბომბარდირად იქცა.

რა ბედი ეწია ბოლო ორ მსოფლიო ჩემპიონატში არგენტინის ნაკრებს, რომელშიც ბატისტუტაც თამაშობდა, ყველას კარგად გვახსოვს. აქ მხოლოდ ერთ უცნაურ და არგენტინული ფეხბურთის მოყვარულთათვის უსიამოვნო ფაქტს შეგახსენებთ, რომელიც საფრანგეთში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატს უძლოდა წინ. მხედველობაში გვაქვს სკანდალი, რომელიც გრძელთმიანი მოთამაშეებისადმი ნაკრების მამინდელი მწვრთნელის – დანიელ პასარელას დამოკიდებულების შედეგად მოხდა. ჭირვეული მწვრთნელი საფრანგეთში წაყვანაზე უარს ეუბნებოდა ყველა ფეხბურთელს, რომელიც „ნამდვილ მამაკაცურ“ ვარცხნილობას არ ატარებდა. არადა, მამინ, არგენტინელთა რიგებში რამდენიმე გრძელთმიანი ფეხბურთელი თამაშობდა, მათ შორის გაბრიელ ბატისტუტაც: „მე მამინ ამის შესახებ ვუთხარი მწვრთნელს: ჩემი აზრით, ეს ზომა აბსოლუტურად გაუმართლებელი იყო. გრძელი თმა მქონდა თუ მოკლე, ყოველთვის გამქონდა გოლები და ყოველთვის დადებითი იმი-



ვი მქონდა. თმა არაფერს წვევტს, მაგრამ ამ საკითხზე მწვრთნელს თავისი მოსაზრება ჰქონდა და, ბოლოს და ბოლოს, იძულებული ვიყავი, მის გადაწყვეტილებას დავთანხმებოდი. გარკვეული დროის მანძილზე მოკლე თმით დავდიოდი და ეს ჩემს მეუღლესაც უფრო მოსწონდა, მაგრამ მე თვითონ გრძელ თმას ვამჯობინებ...“

გრძელთმიან გოლეადორს დიდი იმედი აქვს, რომ მომავალ მსოფლიო ჩემპიონატზე ითამაშებს და თავის ქვეყანას გამარჯვების მოპოვებაში დაეხმარება: „ვიმედოვნებ, რომ ერთი წლის შემდეგ იქ ვიქნები. ვფიქრობ, არგენტინა შეძლებს მსოფლიო თასის მოგებას: ჩვენ შესანიშნავი გუნდი გვყავს და მე ვოცნებობ იმაზე, თუ როგორ მეჭირება ხელში თასი“.

არგენტინაში, ნაკრებში და „ფიორენტინაში“ გაგანილ გოლებს „რომაში“ კიდევ ბევრი დაუმაგა და გაჩერებასაც არ აპირებს...



ჯვრისწერის შემდეგ გიორგი და მერი საცხოვრებლად საბურთალოს მერის ერთოთახიანში გადავიდნენ. როგორც ფრინველი თავის ბუდეს ამზადებს და მომავალი ცხოვრებისათვის აკოხტავებს, მერის ისე გაელამაზებინა თავისი ბინა.

ყველაფერ ახალს, ცუდია თუ კარგი, შეჩვევა უნდა, საკუთარ ცნობიერებაში გათავისება სჭირდება. გიორგი ახლად ფეხადგმულივით შექყურებდა და ეგუებოდა ყველაფერს. მერისთან ისეთმა ურთიერთობამ დაისადგურა, რასაც მთელი ცხოვრება გულის სიდრემში ნატრობდა, რაც ნანასგან ყოველთვის აკლდა.

გიორგი გრძნობდა, რომ როგორც იქნა, ორმოცი წლის ასაკში ბედნიერება ესტუმრა, მაგრამ ბავშვები და შვილიშვილი უზომოდ ენატრებოდა. უმცროსი ქალიშვილები არ ეკონტაქტებოდნენ, უფროსთან ტელეფონით საუბრობდა და ბოლოს, როგორც იქნა, თავისთან მიიყვანა. მერი და მარიკა ერთმანეთს გააცნო. კმაყოფილი იყო ქალიშვილის სტუმრობით.

– მამა, ერთი წუთით აივანზე გამომყევი, – გიორგიმ სიგარეტი აიღო და მარიკასთან ერთად აივანზე გავიდა, – მამიკო, შენ უკვე პატარა არა ხარ, გათხოვილი ქალი ხარ, შვილის პატრონი, ჩემს საქციელს შენ თუ არ გაიგებს, აბა, ვინ გაიგებს. მე აღარ შემემძლო ასე ცხოვრება, ბოლოს და ბოლოს, ყველას აქვს ბედნიერების უფლება. ძალღვივით მარტო ვეგდე, რატომ, რისთვის? მე ასეთი რამ არ დამიმსახურებია. მთელი ცხოვრება ოჯახს ვემსახურე და თქვენ, შვილებმა, თუ ეს არ დამინახეთ, არ დამიფასეთ, მაშინ ყველაფერი აზრს დაკარგავს.

– მამა, იმიტომაც მოვედი შენთან, რომ არაფერში გამტყუნებ. ნინიკო და თამრიკო ჯერ პატარები არიან, ნელ-ნელა ისინიც ყველაფერს მიხვდებიან და აუცილებლად შეგხედებიან.

– ეჰ, იმათ მამაზე იმდენი ცუდი ესმით, რომ მტრად წარმოვუდგენივარ.

– დააცადე, ყველაფერი კარგად იქნება, – დაამშვიდა მარიკამ და



ბესიკ კეკელიძე

ქალი-თბილისი

ოთახში, მერისთან შებრუნდა.

წასვლისას მერი და გიორგი თავისთან დაპატიჟა.

ერთ მშვენიერ დღეს, ცოლ-ქმარმა გიორგის შვილიშვილისთვის ტკბილეული, ჯინსი და მაისური იყიდა და საღამოს მარიკას ესტუმრა. ახალდაქორწინებულ წყვილს მთელი ოჯახი თბილად შეხვდა. გიორგის მძახალმა, ვანოს დედამ აივანზე პატარა სუფრაც გაშალა.

– ქალბატონო ნელი ნუ წუხდებით, – მიმართა გიორგიმ.

– რა შეწუხებაა?! – გაიკვირვა ნელიმ და ყველანი სუფრასთან მიიპატიჟა.

საღამოვდებოდა, როდესაც გიორგი და მერი შინ დაბრუნდნენ. ის დღე იყო და ის, მარიკა გიორგის იშვიათად უკავშირდებოდა. განცვიფრებული მამაკაცი მერის ეკითხებოდა ხოლმე:

– რა მოხდა, რაშია საქმე?

– არ ვიცი, – პასუხობდა მერი.

ერთ დღესაც მარიკას ისევ ესტუმრნენ, მაგრამ ქალბატონი ნელი სტუმრებთან არც გამოსულა, მარიკაც და ვანოც მათდამი გაცივებულები მოეჩვენა. ვერ გარკვეულიყო, რა

ხდებოდა, მაგრამ ცხოვრება რა ცხოვრებაა, ადრე თუ გვიან ყველაფერს ფარდა თუ არ აენახა?! ერთხელ, როდესაც გიორგიმ შვილიშვილი მარიკას მიუყვანა და უკან ბრუნდებოდა, გზაში ქალბატონი ნელი შენიშნა, თავდაღმართს ფეხით მიუყვებოდა. გიორგი ტაქსით წამოიწია და მანქანა გვერდით გაუჩერა:

– დაბრძანდით, ქალბატონო ნელი, – მიმართა მძახალს.

– გმადლობ, გიორგი, არ მინდა, – იუარა ქალმა.

– სად მიბრძანდებით? მიგიყვანთ, – გაიკვირვა გიორგიმ.

– არა, რომ ჩაგიჯდე, ნანას ეწყინება – უპასუხა ნელიმ.

– რაა? – გაშრა გიორგი, – ნანა თუ თქვენი მძახალია, მე არა ვარ?

ნელი მიხვდა, რომ სწორედ არ იქცეოდა და გიორგის მანქანაში ჩაუჯდა:

– ნანას სწყინს, – სასხვათაშორისოდ ჩაილაპარაკა.

გიორგი გრძნობდა, რომ ყოფილი ცოლის უხილავი საცეცები ყველასა და ყველაფერს მოსდებოდა, რომ ნანა მასზე შორიდან მაინც მოქმედებდა. ნელის არაფერი უპასუხა, უნი-

ვერსიტეტში მიიყვანა და დაემშვიდობა. ამის შემდეგ მერი და გიორგი მარიკასთან აღარ მისულან. მარიკაც ძალიან იშვიათად დადიოდა მათთან. გიორგი ხორაგს შეიძინდა და შვილიშვილთან მიჰქონდა ხოლმე – სულ ეს იყო ოჯახის წევრებთან მთელი მისი ურთიერთობა.

ერთ საღამოს გიორგი მეგობრის დაბადების დღიდან ოდნავ შემთვრალი დაბრუნდა შინ. მერი თავს კარგად ვერ გრძნობდა და სტუმრად არ წაპყლია. გიორგის ცოლი დივანზე წამოწოლილი დახვდა.

– მერი, როგორ ხარ? – თავზე წამოადგა ქმარი.

– დავექი, რაღაც უნდა გითხრა, – გახარებულმა ქალმა ხელით ანიშნა და ჩაიწია, გიორგი რომ დივანზე ჩამომჯდარიყო.

– რა მოხდა? – ვერ გაერკვია მამაკაცი.

– გიორგი, დღეს ტესტი ჩავიტარე და ფეხმძიმედ ვარ, – გაბრწყინებული თვალებით შეჰყურებდა ქმარს.

– რაა?! – მოულოდნელობისაგან აღფრთოვანებულმა წამოიძახა გიორგიმ და დივანზე ჩამოჯდა. დაიხარა და მეუღლეს აკოცა: – შენ შემოგველე, ჩემო სიცოცხლე!

– გაგიხარდა?

– გამიხარდა რომელია? ბედნიერი ვარ! ახლა საავადმყოფოში ღამის მორიგეობებს უნდა მოუკლო, პირველი პერიოდი ძირითადად უნდა იწვე.

– შეგებულებას ავიღებ და ერთი თვე სახლში ვიქნები, სამსახურში ავადმყოფები მაინც არ არიან, მორიგეობის დროს ავარიაში დაზარალებულს თუ ვუკეთებ ოპერაციას.

– მაგაზე ნუ დარდობ, ქირურგების მეტი რა არის?! ახლა ჩვენს პაწაწკინტელას, მუცელში რომ გიზის, იმას მივხედოთ.

– ნეტა, ბიჭი იქნება თუ გოგო?

– მე ისეთი ბედი მაქვს, მეოთხეც გოგო მეყოლება, – ჩაეცინა გიორგის და მერის აკოცა, – ლოგინს გავშლი, დავიძინოთ, – წამოადგა და საწოლისკენ გაეშურა.

დილით ცოლ-ქმარმა ისაუბრა, შემდეგ გიორგიმ ჩაიცვა და წასასვლელად მოემზადა.

– სად მიდიხარ? – ჰკითხა მერი.

– გუშინ დიტომ სამსახური შემომთავაზა და უნდა ვნახო.

– ძალიან კარგი, – ჩაილაპარაკა მერი.

– ჩავალ, ჟურნალებს ამოგიტან, წაიკითხე, გაერთობი.

– კროსვორდებიანი ჟურნალი მიყიდე.

– კარგი, – უპასუხა გიორგიმ. ტელეფონს დასწვდა და დივანთან ახლოს, პატარა მაგიდაზე დადგა, – ეცადე, რაც შეიძლება მეტი იწვე, – მეუღლეს გადაულაპარაკა და სადარბაზოში გავიდა. რამდენიმე ჟურნალი შეიძინა და მერის აუტანა: აბა, წავედი, თავს მიხედე.

– არ ინერვიულო, ძირითადად ვიწვები, – უპასუხა ცოლმა და ჟურნალი გადაშალა.

გიორგის წასვლიდან ერთ საათში ტელეფონმა დარეკა. მერიმ ყურმილი აიღო.

– გისმენთ.

– მერი ხარ? – ყურმილში უცნობი ქალის ხმა გაისმა.

– დიახ, გისმენთ.

– მე ნანა ვარ, გიორგის ყოფილი ცოლი.

მერის ხმა ჩაუვარდა, არაფერი უპასუხია.

– იცი, რატომ გირეკავ?

– რატომ? – ძლივს ამოღერდა ქალმა.

– ძალიან გთხოვ, შენს ქმარს მოუარე. გამიჭირა საქმე, დღეში რამდენჯერმე მირეკავს და მთხოვს, შემხვლიო. შენ ხომ მოგიყვანა ცოლად, მე თავი დამანებოს, არ მეყო, ოცი წელი რომ მტანჯა?! გააფრთხილე, მეტი აღარ დამირეკოს, – დაკიდა ყურმილი ნანამ.

მოულოდნელობისაგან მერი გაშრა, სახეზე მიტკლისფერი დაედო. დივანზე წამოჯდა, საზურგეს ნაცემივით მიეყრდნო, სახეზე ხელები აიფარა და აქვითინდა:

– დავიჯერო, მართალია? – ებუტბუტებოდა თავის თავს, – ნუთუ გიორგი ასეთი გაორებულია? რა უბედური ვარ! – ხელები და მთელი სახე ცრემლით დასველებოდა. ტელეფონს დასწვდა და დიტოსთან სახლში დარეკა, – დიტოს სთხოვეთ, – სამსახურშია? სამსახურის ნომერს ვერ მომცემთ? – მერიმ დიტოსთან ოფისში დარეკა, – დიტო ხარ? გამარჯობა, მერი ვარ, გიორგი შენთან არის?

– კი, – უპასუხა დიტომ და ყურმილი მეგობარს მიაწოდა.

– მერი, როგორ ხარ? – მეუღლის ხმა რომ გაიგონა, ოდნავ დამშვიდდა.

– კარგად, როდის მოხვალ?

– მალე წამოვალ. შენი ხმა არ მომწონს, ცუდად ხომ არ ხარ?

– არაფერი მიჭირს, გელოდები, – დაკიდა მერიმ ყურმილი.

სახე ისევ ხელებში ჩარგო და გამწარებული ფიქრს მიეცა. ეჭვიანობის ჭია სულს უღრღნიდა, გონებას უმღვრევდა და მის თავმოყვარეობას სილას სილაზე აწნავდა... ცოტა ხანში გიორგი მოვიდა, მეუღლეს მოეფერა. მერიმ თავი მოთოკა და არაფერი აგრძნობინა.

– დიტომ სამსახური შემომთავაზა, – გამარჯვებული ტონით ახარა ცოლს.

– კარგია, დიტო კარგი ბიჭია, შენი ნამდვილი მეგობარია.

– ასე რომ, მალე სამსახური მექნება.

ქალს ეჭვიანობა მოსვენებას უკარგავდა, სიმშვიდეს ურღვევდა. ერთი კვირის თავზე ნანამ ისევ დაურეკა:

– ხომ გთხოვე, რომ გაგეფრთხილებინა! შემაწუნა, აღარ შემიძლია. ისევ მირეკავს და შეხვედრას მთხოვს. მიხედე რა შენს ქმარს! – დამცინავი ტონით ლაპარაკობდა ნანა: მე თუ ვუნდოდი, შენ რაღაზე მოგეყვანა ცოლად?! – დაკიდა ყურმილი.

მერი გაოგნებული დარჩა, სხეულის შიგნიდან სულიერი ტკივილი ისე მოაწვა თითქოს ვულკანი აპირებდა ამოფრქვევას, არაადამიანურ ხმაზე დაიბლაგვლა და ატირდა.

გიორგის ისევ დაუშალა, არც არაფერს ეუბნებოდა და არც აგრძნობინებდა. ნანას აუტანელი ზარები თითქმის მთელი თვე გაგრძელდა და შედეგმაც არ დააყოვნა: ამდენი ნერვიულობით, ქალს მუცელი მოეშალა.

გიორგი ცოლს ამშვიდებდა:

– არაფერია მერი, კიდევ დაფეხმძიმდები, ყველაფერი ხდება.

დრო გარბოდა. გიორგი მთელი სიცხადით შეიგრძნობდა, რომ მერისთან ერთად ბედნიერი იყო, მაგრამ ცხოვრება ისეთი რამეა, სად ჩაგწიხლავს და სად გიმუხთლებს, არასოდეს იცი.

ოცდარვა ოქტომბერი იდგა. ღამის თორმეტ საათზე მარიკამ დაუ-

რეკა, ტელეფონში ტიროდა.
— რა მოხდა, მამა? — შეშფოთებულმა ჰკითხა გიორგიმ.

— მამა, თამუნა ექსკურსიაზე იყო და უკან რომ ბრუნდებოდნენ, მიკროავტობუსი ავარიაში მოყოლილა.

— მერე? — გაოგნდა გიორგი.

— რამდენიმე ბიჭი დაღუპულა, დანარჩენები საავადმყოფოში გადაუყვანიათ.

— სად მოხდა, მამა?

— ხაშურთან. დედა და ვანო დედას მანქანით უკვე წავიდნენ.

— სად ხარ, საიდან მირეკავ?

— ზუბალაშვილზე ვარ.

— მოვდივარ, მამა! — გიორგიმ ყურმილი დაკიდა, სწრაფად გადაიცვა და რამდენიმე წუთში უკვე მარიკასთან იყო. გიორგიმ ბიძაშვილთან დარეკა და მთაწმინდაზე დაიბარა.

საათ-ნახევარში ხაშურში ჩავიდნენ. საავადმყოფოს ადგილმდებარეობა გიორგიმ ინსპექციასთან გაარკვია და ნახევრად ჩაბნელებულ შენობას მიადგა. ეზოში უამრავი ადამიანი შეკრებილიყო. გიორგიმ შესასვლელ კიბესთან ნანა დანინა და სწრაფი ნაბიჯით მისკენ გასწია.

— არაფერი უთხრა, ორი საათია ქალს ბავშვის სიკვდილს ვუძალავთ, — მიაძახა ვიღაცა უცნობმა.

გიორგის თითქოს თავში კომბალი ჩაარტყესო, თვალთ დაუბნელდა, თავბრუ დაეხვა.

— მოგიკვდეს მამა, ეს რას მოვესწარი! — დაიღრიალა და „სასწრაფოს“ მანქანასთან ჩაიკეცა.

საშინელი ტრაგედია დატრიალდა: ექვსი მოზარდი დაიღუპა. თამუნა ზუბალაშვილზე მიასვენეს. გიორგის ეზიზღებოდა ის დაწყევლილი ბინა, რომელშიც ვერავინ ვერასოდეს გაიხარა.

სამძიმარზე უამრავი ადამიანი მოდიოდა. გიორგი ჭკუაზე რომ არ შეშლილიყო, მეგობრები გამუდმებით ტრანკვილიზატორებს ასმევდნენ. წამალი ფიზიკურ ტკივილს უყუჩებდა, მაგრამ სულიერს რას მოუხერხებდა?! გულმოკლული პანაშვიდზე იდგა, დანარჩენი დრო სასახლესთან იჯდა და ქალიშვილის უსულო სხეულს ეფერებოდა, ეჩურჩულებოდა.

გიორგი თავის მეგობრებთან და ნათესავებთან ერთად პატარა ოთახში იჯდა ხოლმე, დაკრძალვის საკითხ-

ებს ერთად წყვეტდნენ. გასაოცარი ის იყო, რომ როგორც კი ფინანსური საკითხების ირგვლივ იწყებდნენ საუბარს, ყოფილი სიმამრი დგებოდა და ოთახიდან გადიოდა, თითქოს მას არაფერი ეხებოდა. ეგ კი არა და, გიორგი გაოცდა, როდესაც პანაშვილის დროს გივი თავის ნათესავს უყვებოდა — საპარლამენტო არჩევნებზე დილით, როგორ მივიდნენ ის და ლამარა და რა დარღვევების მოწმენი გახდნენ... გაოგნებულმა შეხედა ყოფილ სიმამრს, მისი ცივისსხლიანობით გული შეუღონდა, მაგრამ თავი შეიკავა და არაფერი უთხრა.

თამუნა ტვერელის ეკლესიაშივე ხელით აასვენეს.

— ჩემი გოგო უბანში უკანასკნელად „გავასიერნე“, — თავის თავს ებუტბუტებოდა გიორგი.

ექვსივე თანაკლასელი საბურთალოს სასაფლაოზე გვერდიგვერდ დაკრძალეს. მეორე დღეს გიორგიმ მერისთან ერთად დილიდან დაღამებამდე შვილის საფლავზე გაატარა. წამლებისგან გაბრუებულ ორგანიზმს ღვინო გრძნობებს უმძაფრებდა და ქვაზე ჩამოხდარი, პატარა ბავშვივით ქვითინებდა.

შინ რომ დაბრუნდნენ, მერიმ ფული გაუწოდა:

— აქ ათასი დოლარია, ჩემმა მშობლებმა ავეჯის შესაძენად შეაგროვეს, აიღე და თამუნას სასაფლაო გაუკეთე.

— გმადლობ, მერი, — გიორგიმ ფული შეინახა და დაწვა. მალე დაემინა.

დილით მეგობრებმა მოაკითხეს. საღამომდე გიორგისთან ისხდნენ და დარდის გასაქარებლად ღვინოს შეექცეოდნენ.

— გიორგი, ჩვენ წავედით, ახლა დაწე და დაიძინე, — დაემშვიდობნენ ბიჭები და ბინიდან გავიდნენ.

— მერი, — ცოლს დაუძახა გიორგიმ, — ჩაიცვი და თამუნას სასაფლაოზე სულ ცოტა ხნით ავიდეთ.

ტაქსი გააჩერეს და საბურთალოს სასაფლაოზე გაყვანა სთხოვეს. გადასახვევთან არ იყვნენ მისულეები, რომ გიორგიმ გეზი შეაცვლევინა და მთაწმინდისკენ გასწიეს:

— მინდა ნინიკოს მოვეფერო, — აუხსნა მერის.

როდესაც სახლთან მივიდნენ,

გიორგიმ მძლოლს ფული გადაუხადა და გაუშვა. თვითონ მერისთან ერთად სადარბაზოში შევიდა და ზარი დარეკა. მიუხედავად იმისა, რომ ბინიდან ფეხის ხმა და საუბარი ისმოდა, კარი არავინ გაუღო.

— ნინიკო, ერთი წუთით გამოდი, მამა, — ეძახდა გიორგი ქალიშვილს, მაგრამ არავინ პასუხობდა. რამდენჯერმე კიდევ დარეკა ზარი, მაგრამ უშედეგოდ. სიმწრისგან გონება გადაეკეტა და კარს მთელი ძალით წიხლი მიარტყა, — ნანა, გამოუშვი ბავშვი, შე ახვარო! — დაიღრიალა გიორგიმ.

მერი მის დამშვიდებას შეეცადა, მაგრამ გამწარებული კაცი უფრო გაცეცხლდა და კარს რამდენჯერმე ფეხი დაარტყა. ამ დროს შეაძწინა, რომ მისმა სიძემ ნანას მანქანა მოიყვანა და სადარბაზოს წინ გააჩერა. გარეთ გავიდა:

— ვის მანქანაზე ზიხარ, ბიჭო! — დაუღრიალა ვანოს, — ბიჭი ციხეში ჩაღაპა, თქვენ კი მანქანა იყიდეთ?! — წინა კარს მთელი ძალით ფეხი სდრუხა. სახლის წინ შემშლილივით დაიარებოდა და ყოფილ ცოლს აგინებდა.

ტაქსი გაჩერდა. მანქანიდან გიორგის მეგობარი, ზაზა გადმოვიდა და ჭკუაზე გადასული კაცი დააშოშმინა, მერი და გიორგი მანქანაში ჩაისვა და სახლში წაიყვანა. ნერვებმოშლილი მამაკაცი ვერხვის ფოთოლივით ცახცახებდა.

— ბავშვი არ გამოუშვა, მაგ სატანამ! — ერთსა და იმავეს მთელი გზა იმეორებდა.

ზაზამ სახლში ააცილა და სთხოვა, დაწოლილიყო.

— ბიჭო, ბავშვის ნახვა მინდოდა. თამუნა ისე წავიდა, რომ არ შელაპარაკებოდა, მინდოდა, ნინიკოს მოვეფერებოდი, — საწოლზე იჯდა და ტანსაცმელს იხდიდა გიორგი. ლოგინში როგორც კი ჩაწვა, უცბად ჩაეძინა. მეორე დღის პირველ საათამდე ეძინა. კარზე ზარის ხმამ გამოაღვიძა. სახელდახელოდ ჩაიკცა. მერიმ კარი გააღო.

— ვინ გნებავთ? — გაკვირვებულმა ჰკითხა პოლიციელს.

— გიორგი ბარამიძე აქ ცხოვრობს?

— დიას, — გზა დაუთმო მერიმ.

— ვა, ამირან, — შეეგება გიორგი მთაწმინდის უბნის ინსპექტორს —

რაზე შეწუხებულხარ?

პოლიციელმა სკამი გამოწია და ჩამოკვდა:

– შენმა ყოფილმა ცოლმა და სიმამრმა დღეს დილით პოლიციაში განცხადება შემოიტანეს, გირივინან.

– რაა? – გაოცდა გიორგი.

– ჰო, შენი სიმამრი თხოულობს – დაიჭირეთო. ჩემს ქალიშვილს სახლში უვარდება და აწიოკებსო.

– ერთი, განცხადება მათხოვე, წავიკითხავ.

გიორგიმ ფურცელი გამოართვა. ტექსტი ნანას ხელით იყო დაწერილი:

„ათას ცხრაას ოთხმოცდაცხრამეტი წლის ოთხ ნოემბერს, საღამოს თერთმეტ საათზე, ჩემი ყოფილი ქმარი გიორგი ბარამიძე სახლში მოგვივარდა. უცენზურო სიტყვებით მთელ ხმაზე მაგინებდა, შემდეგ შემოსასვლელ კარს რამდენჯერმე ფეხი დაარტყა, რის გამოც ხის კარი რამდენიმე ადგილას გაიბზარა. შემდეგ სადარბაზოდან გარეთ გავიდა და მთელი ქუჩის გასაგონად ფანჯრების წინ მაგინებდა. ამ დროს ჩემმა სიძემ მოიყვანა ჩემი მანქანა, რომელსაც გიორგიმ წიხლი ჩაარტყა და კარი ჩაღუნა.

ამ ფაქტს შეესწრნენ ჩემი მეგობარი ელზა გიორგაძე, დედაჩემი და უმცროსი ქალიშვილი ნინიკო.

სახლში ასეთი მოვარდნები უკვე ოცი წელიწადია რაც გრძელდება. გვიმტვრევს სახლს, ავეჯს, გამუდმებით მაგინებს.

ათას ცხრაას ოთხმოცდათორმეტ წელს იარაღიც კი მესროლა. საბედნიეროდ ტყვია ამცდა. ნატყვიარი ეტყობა სამზარეულოს კარსაც. გთხოვთ ჩაატაროთ ნატყვიარის ექსპერტიზა. ამ ფაქტს შეესწრო დედაჩემის კლასელის სიძე დათო კუხალეიშვილი.

მოვითხოვ, ჩემმა ყოფილმა მეუღლემ ალაღინოს ბინის შემოსასვლელი კარი და მანქანის ჩაჭყლეთილი კარი.


გთხოვთ, გამოიჩინოთ გულისხმიერება და ასეთი საქციელისთვის მას პასუხი აგებინოთ“.

– ნაძირალა დედაკაცი! – ჩაილაპარაკა გიორგიმ და განცხადება

ხელმეორედ გადაიკითხა, შემდეგ უბნის ინსპექტორს მიუბრუნდა: ამირან, უნდა დამიჭიროთ?

– მე ვიცი, რა უბედურება შეემთხვა, ისიც მესმის, რომ ჭკუაზე არ ხარ. გაკვირვებული ვარ, ამ ყველაფრის შემდეგ მაგ ქალს რისი თავი აქვს.

მე შენს ყოფილ ბინაში ვერ შევედი, გარდა-



ცვლილი ბავშვის სურათს ვერ ვნახავ-მეთქი, თვი-

თონ კი პოლიცია აატალახეს, დღეს უკვე სამჯერ იყვნენ ჩამოსულები, შენი ყოფილი სიმამრი უფროსთანაც იყო შესული, სპეკულანტობს – პროფესორი ვარო და გინდა თუ არა, დაიჭირეთო.

– მერე, რა ვქნათ, ამირან?

– გიორგი, მე შენ დიდი ხანია გიცნობ, წესიერი კაცი ხარ, არაფერში არ შემიძინევიხარ, მაგრამ განცხადებაზე რეაგირება უნდა მოვახდინო, სხვანაირად არ შეიძლება.

– გაგიჟებული ვარ, ნანას რისთვის სცალია, ქალმა რამდენიმე დღის წინ შეიღი დაასაფლავა და მანქანის კარი ადარდებს?! სატანაა, აბა რა არის! განცხადება როგორ შეიტანა?! – განცვიფრებულმა გიორგიმ მერის გადაულაპარაკა.

მერის სახეზე მიტკლისფერი ედო, გაკვირვება და გაბრაზება ერთმანეთში არეოდა და ენაჩავარდნილი, სავარძლის საზურგეს მიყრდნობოდა.

– პირველად ელზა გიორგობინმა ჩამოიტანა განცხადება და არ მივიღეთ. თქვენ, ქალბატონო, ვინ ბრძანდებით-მეთქი? – ვკითხე, იმან კი მიპასუხა, – ნანას ოჯახის მეგობარი ვარო.

– მაგარი მეგობარია!.. – კბილებში გამოსცრა გამწარებულმა გიორგიმ.

– როდესაც განცხადება უკან დაუბრუნეთ, თხუთმეტ წუთში ნანამ და მამამისმა ჩამოიტანეს. მასალა უნდა მოვიკვლიო, სხვანაირად არ შეიძლება.

– მერე?

– ბინაში მყოფი პირები უნდა დავეკითხო, დათო კუხალეიშვილს ახსნა-განმარტება უნდა ჩამოვართვა, შენი ყოფილი მეზობლები უნდა დავეკითხო და ეს ყველაფერი რაიონის პროკურატურაში გადავავზავნო. დანარჩენს ისინი გადაწყვეტენ.

– ამირან, ბავშვის საფლავის კეთებას ვიწყებ, ბევრი სარბენი მექნება და როცა დაგჭირდება დამირეკე, – გიორგიმ ტელეფონის ნომერი პოლიციელს ჩააწერინა და გააცივლა.

– მერი, სანდროსთან წავალ, საფლავის პროექტს გავაკეთებინებ, – გადაულაპარაკა გიორგიმ შეწუხებულ მეუღლეს.

– მეც წამოგყვები, მარტო არ გაგიშვებ, – წამოდგა მერი სავარძლიდან, – გიორგი, განცხადებაზე რას აპირებ? – შეწუხებულმა ჰკითხა მეუღლეს.

– არ ვიცი, ბოლოს და ბოლოს, პოლიციაშიც ხომ აღამიანები მუშაობენ. მე მგონი, სერიოზული არაფერი იქნება, – ჩაფიქრებულმა უპასუხა მერის.

– არა, ეგ საქმე მისახედა.

– ჯერ ამირანმა მასალა შეაგროვოს და მერე გადავწყვიტოთ, როგორ ვიმოქმედოთ. ახლა ჩაიცივი, სანდროსთან წავიღეთ, – გიორგიმ მერის ხელები მოჭხვია, მიიზიდა და აკოცა: ნუ ნერვიულობ, ყველაფერი კარგად იქნება. ჩემს თამუნას აღარაფერი ეშველება, თორემ მე გამოსავალს მოვნახავ, – ყურში უჩურჩულა მეუღლეს და თავზე ხელი გადაუსვა.

გაგრძელება იქნება

ვის ხოგოხი მანქანა უყვარხს

ძველი სიბრძნე ღალადებს: ძალი, არსებობა, მისი პატრონის პორტრეტს წარმოადგენს. ეს ქვეშაირთება ავტომობილზე უფრო მეტად ვრცელდება. კარგად რომ დააკვირდეთ მანქანას, დარწმუნდებით — ის საუკეთესო ინ-

ფორმატორია: გსურთ გაიგოთ მეტი მის მფლობელზე, კარგად დააკვირდით და შეიძლება, ბევრ არასასურველ ნაცნობობას, საქმიან ურთიერთობასა და, შესაბამისად, განზილებასაც აარიდოთ თავი.

„ოქა“ მილიარდერისთვის

ნურასდროს იჩქარებთ დასკვნების გამოტანას, რადგან შეიძლება მწარედ მოტყუდეთ. ლაპარაკია იმ შემთხვევაზე, როცა, ვთქვით, გარედან ჩვეულებრივზე ჩვეულებრივ „ჟიუულს“ ხედავთ, შიგნით კი ისეთი ალკურვილობა აქვს, რომ ვერაფრით წარმოიდგენდით: უკანა სავარძელში ლამის არის, ჰიდრომასაჟი დაუმიონტაჟებიათ, კაპოტქვეშ რეაქტიული ძრავა ჩაუდგამთ, კარებში კი ტყვიამფრქვევები დაუტანებიათ... ბუნებრივია, ვისაც ბევრი ფული აქვს, ამბიციებიცა და თავის შესაძლებლობათა დემონსტრირების სურვილიც უნდება, ამიტომ თუ მსგავს ვგზემპლარს გადაეყარეთ — ე.ი. კაცს რაღაცის დამალვის

საფუძველიც ჰქონია! თუმცა, ასეთი შემთხვევა საბჭოთა დროში იყო მრავლად — გასაგები მიზეზების გამო. ახლა, როცა ბიზნესი დანაშაულად აღარ ითვლება, პარტნიორთან „საცოდავი“ „ჟიუულით“ მისვლამ, შეიძლება საქმესაც ავნოს, გაითვალისწინეთ, ასე მოქცევა მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაშია შესაძლებელი: მაგალითად, მაშინ, თუ თქვენ იმდენად მდიდარი კაცი ბრძანდებით, რომ სხვისი აზრის იგნორირების საფუძველი გაქვთ. თუ ამ დონისთვის ჯერ



არ მივიღწევიათ, არ დაგავიწყდეთ, რომ ავტომობილი, სავიზიტო ბარათია!.. ■



მცირელიტრაჟიანი სედანი

მცირელიტრაჟიანი მანქანების მძღოლები გამუდმებით ჩქარობენ, ამიტომ მოცდა არ უყვართ. შესაბამისად, საქმეშიც ყოველთვის „შემოვლით“ გზებს ეძებენ. ამასთან, მანქანის მარკასაც არ აქვს მნიშვნელობა — ის მხოლოდ პატრონის კეთილდღეობის დონეზე მეტყველებს.

სედანების მფლობელებს ცხოვრების ყველა მხარე იზიდავთ, ერთდროულად ბევრ საქმეს ჰკიდებენ ხოლმე ხელს და მუდამ მეტოქისათვის გზის გადარბენასაც ცდილობენ. ამიტომ, თუ გამოცდილი მრბოლელი ან უბრალოდ, თავზეხელაღებული სუბიექტი არ ბრძანდებით, სჯობს მათთან გაჯიბრებას თავი აარიდოთ. ისიც გაითვალისწინეთ, რომ სედანების მფლობელებს შორის მომრავლდა დამწყები ბიზნესუმენები, რომლებიც კარიერას მამაკაცი კოლეგების თავებზე (და ლოგინებში) გავლით იკეთებენ. ■

ჩვეულებრივი, „მსხვილელიტრაჟიანი“ სედანი

სოლიდურ მამაკაცს სოლიდური მანქანა უხდება! ამ დევიზით შეიძლება გაავართიანოთ „ფორდების“, „ფოლკსვაგენებისა“ და „მაზდების“ მფლობელები. რა აქვთ საერთო ამ ადამიანებს? ისინი აფასებენ საიმედოობას და უყვართ სისწრაფე, დარწმუნებულები არიან საკუთარ თავში, მაგრამ არა იმდენად, რომ სატვირთო მანქანებს გაეჯიბრონ. ისინი ზედმეტს არაფერს მოითხოვენ (შესაძლოა, იმიტომ, რომ ისედაც საკუთარი ჰგონიათ ეს ქვეყანა), მაგრამ არც თავისას დათმობენ. თუმცა, ზოგჯერ ზომაზე მეტად, კონსერვატორები არიან. დროდღრო სედანს კაბრიოლეტით ცვლიან და მეგობარ გოგონასთან ერთად, „სამზოვზე“ გამოდიან. ბოლოს და ბოლოს, თუ ზედმეტად შეაფასეს საკუთარი შესაძლებლობები, შეიძლება სპორტული მანქანის შეძენაც გადაწყვიტონ. ■



ჯიპი

ჯიპის მოყვარულებზე ავტომფლობელები ათასგვარ ანეკდოტსა და ლეგენდას თხზავენ. ისინი ნაკლებად უყვართ — მათი მანქანების სიმძლავრის გამო, რომელიც თითქოს პატრონს თავისი უვნებლობის შეგრძნებას უზიარებს. ვინ არღვევს ყველაზე ხშირად მოძრაობის წესებს? რასაკვირველია, ჯიპერები. ეს „ქალაქური ტანკები“ პიკის საათში ფეხით მოსიარულებებთან მოურიდებლად ტროტუარებზე აღიან, სადგომებზე ორ ადგილს იკავებენ, ღამის კლუბებსა და რესტორნებთან კი — სამს. სწორედ ჯიპებში სხედან ხშირად „შაგები“, რომლებიც ვერანაირ შეზღუდვას ვერ იტანენ. ჯიპის ფლობა, არსებითად, ყოველგვარი ჯგებირის გადალახვას ნიშნავს. ეს ბუნებრივად არის — ჯიპის სტილი ხომ OFF-ROAD-ია!



მინი-ვანი

ჯიპის, მიკროავტობუსისა და პიკაპის ამ ნაერთში ჯდომა, ჯიპერების მაგვარი ამბიციურობის გაღვივებას უწყობს ხელს. მინი-ვანის მფლობელები ამასთანავე, პიკაპების მეპატრონეებზე, მეურნეობის მოყვარული და მიკროავტობუსების მძღოლებზე აგრესიული ადამიანები არიან. ჩვეულებრივ, მათ არ უყვართ დათმობაზე წასვლა და მორჩილება. როგორც წესი, ისინი ცნობილი ფირმების ხელმძღვანელები, ძალიან სტრუქტურების მაღალჩინოსნები და სოლიდური ქონების პატრონები არიან. ისინი ცხოვრებისგან ერთდროულად ყველაფერს მოითხოვენ, მაგრამ რაკი ჯიპში, მიკროავტობუსსა და პიკაპში ერთდროულად ჩაჯდომა ვერ ხერხდება, მათ შორის რაღაც საშუალოს ირჩევენ და ამის გამო, საიმპყესთან ერთად, შეუცნობელ, გაურკვეველ დაუკმაყოფილებლობას გრძნობენ. მინი-ვანების მფლობელები შეუთავსებლის შეთავსებას ცდილობენ ხოლმე: ოჯახურ კარიერას — ბერბიჭულ სამოქმედოგანსთან, ჩინოვნიკურ კარიერას — ბიზნესთან, ბიზნესს კი — პოლიტიკასთან.

„მერსედესი“

ამ ავტომობილს ჩვენში მაინც სრულიად გამორჩეული ადგილი უკავია. მიუხედავად იმისა, რომ ვთქვათ, „ფერარი“ უფრო ძვირი და სწრაფია, „როლს-როისი“ კი — არა მარტო ძვირი, არამედ უფრო პრესტიჟული! „მერსედესი“ მაინც წარმატების, სიძლიერის და შეძლების (თუ შეძლებულობის) საზომად არის ქცეული. რომელი ავტომობილით დაიარებიან სხვადასხვა ქვეყნის პრეზიდენტები, ყველაზე ძლიერი „კანონიერი“ ქურდები და ბანკირები? რასაკვირველია, „მერსედესებით“: „ექსპესიანებით“, „ხუთასიანებით“ და სხვებით. მხოლოდ ამ მარკის შეძენის შემდეგ შეგიძლიათ ჩაეწიროთ ძლიერთა ამა ქვეყნისათა სიაში, მოხვდეთ მათ შორის, ვისაც პატივს სცემენ, დახმარებას სთხოვენ და, რაც მთავარია, ვისაც უფროსიან კიდეც.



სექტემბრის სინდრომი

რუბრიკას უძღვება ექიმი თამარ მამასაშვილი

შეგებულების შემდეგ პირველი სამუშაო დღეები საკმაო სირთულეებთანაა დაკავშირებული: ეს სირთულეები განსაკუთრებით იჩენს ხოლმე თავს ბავშვებში, რადგან მათი „შეგებულება“ 3 თვეს გრძელდება. დღის თავისუფალ რეჟიმს ადრე აღგომა ცვლის, სირბილის, ფეხბურთის და ბანაობის ნაცვლად კი, ბავშვებს ახალი საკლასო და საშინაო დავალებები ელით. დღის რეჟიმის მკვეთრი ცვლილება, ემოციური და გონებრივი დატვირთვა მოზარდებში შეუგუებლობის სინდრომს ბადებს. ამდენად, სწავლის დაწყების დროს ბავშვის ორგანიზმს მრავალი საშიშროება ემუქრება. როგორ მოვიქცეთ, რათა ამ რთულმა თვემ მშვიდად ჩაიაროს?

სწავლის დაწყების პირველ კვირას ბავშვები გაღიზიანებულნი არიან, ადვილად იღლებიან, ცუდად ჭამენ, სკოლის შემდეგ, ერთი სული აქვთ, დასაძინებლად წამოწვნენ. ამაში უცნაური არაფერია – ზაფხულის არდადეგების სასიცოცხლო ტალღის შეცვლა სამუშაო დღეებით ადვილი არ არის; შინაგანმა ემოციურმა დაძაბულობამ შეიძლება ძილის დარღვევაც გამოწვიოს: ბავშვებს აღენიშნებათ უძილობა, ზოგჯერ ძილში ლაპარაკობენ. ჩვეულებისამებრ, 2-3 კვირაში ბავშვი ეგუება სასკოლო ცხოვრებას და ყველაფერი ნორმალურ ჩარჩოებში ჯდება.

ამ პერიოდში ორგანიზმის ზედმეტ დატვირთვად შეიძლება იქცეს არა მართლ რთული საშინაო დავალებები, არამედ კლიმატური სარტყლების ცვლილებაც. მშობლები ხშირად ცდილობენ ხოლმე, რომ კურორტიდან დაბრუნება სწავლის დაწყების დღეებს დაამთხვიონ. ამის გაკეთება კატეგორიულად დაუშვებელია! თქვენს ბავშვს სკოლასთან შეგუების გარდა, მოუწევს აკლიმატიზაციის დაძლევა. მრავალმხრივ გადატვირთული ორგანიზმი კი მგრძობიარე ხდება დაავადებების მიმართ. ამიტომ უმჯობესი იქნება, თუ შინ დაბრუნებას თქვენს პატარასთან ერთად სწავლის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე დაგეგმავთ. ასეთ შემთხვევაში ყველაფერი შეიძლება დამთავრდეს მხოლოდ და მხოლოდ კუჭის მოქმედების უმნიშვნელო დარღვევით, რაც აკლიმატიზაციის მასხასიათებელი მოვლენაა.



კლასგარეშე კარნახი

რა ევალეზა მშობლებს? უნდა მოახდინონ დღის რეჟიმის სტანდარტიზაცია. სკოლის შემდეგ ბავშვმა უნდა დაისვენოს. დასვენებისათვის აუცილებელი არ არის ძილი. თანამედროვე ბავშვისთვის მშვიდ გარემოში ტელევიზორისა და კომპიუტერის გარეშე გატარებული ერთი საათი, უკვე ცუდი არ არის. დამის ძილი უნდა გრძელდებოდეს არანაკლებ 8-9 საათისა. საჭიროა ბევრი სეირნობა და ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ბავშვმა საშინაო დავალებების შესრულება დამთავროს დაძინებამდე საათ-ნახევრით ადრე მანც, რათა მოასწოროს გართობა ძილის წინ.

ბავშვის ნერვულმა გადაძაბვამ კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ფუნქციურ დარღვევამდე შეიძლება მიგვიყვანოს. მაგრამ თუ იგი ხანგრძლივად რჩება აგზნებული, არ მოხდის მადა, ჭირვეულობს სუფრასთან, მაშინ დიდი ალბათობაა იმისა, რომ მოგვიანებით, ოქტომბერ-ნოემბერში მას გასტრიტის (კუჭის ანთების) ან გასტროდუოდენიტის (კუჭ-ნაწლავის ანთების) ნიშნები გამოუვლინდეს. კუჭ-ნაწლავის დაავადებათა დიაგნოსტიკა მხოლოდ სპეციალისტს შეუძლია. მშობლებმა კი ყურადღება უნდა მიაქციონ შვილს, ხომ არ აღენიშნება მუცლის ტკივილი, ბოყინი, მუცლის შებერვა, კუჭის აშლა. ასეთ შემთხვევაში დაუყოვნებლივ მიიყვანეთ

ბავშვი გასტროენტეროლოგთან.

ინფექციური დაავადებებიდან სექტემბრის თვეში საყურადღებოა A ჰეპატიტი (ღვიძლის ანთება). მას „ჭუჭყიანი ხელების დაავადებას“აც უწოდებენ. A ჰეპატიტს ხანგრძლივი ინკუბაციური (ფარული) პერიოდი ახასიათებს, ამიტომ თუ ივლის-აგვისტოში თქვენი შვილი თქვენი მეთვალყურეობის გარეშე ისვენებდა, სექტემბერში ფხიზლად უნდა იყოთ. A ჰეპატიტის საწყისი პერიოდი ერთ კვირას გრძელდება: აღინიშნება გაცივების ნიშნები – ტემპერატურის მომატება, შემცივნება, ხველა, სურდო. მხოლოდ ამის შემდეგ შეიმჩნევა თვალის სკლერების და ენის სიყვითლე.

ამჟამად ხშირად აღინიშნება A ჰეპატიტის სუბკლინიკური ფორმა. როდესაც ეჭვი გეპარებათ დაავადების არსებობაზე, უნდა დააკვირდეთ შარდს. სიყვითლიან ავადმყოფს იგი უმუქდება. დაავადების კიდევ ერთი უდავო სიმპტომია განავლის გაუფერულება. ასეთ შემთხვევაში დაუყოვნებლივ მიმართეთ ექიმს, რადგან ავადმყოფს სამედიცინო დაკვირვება და სპეციალური დიეტა ესაჭიროება.

კურორტიდან შინ დაბრუნებულმა თქვენმა პატარამ სხვა საკმაოდ უსიამონო სურპრიზებიც შეიძლება მოგიტანოთ. მაგალითად, პედიკულოზი (დატილიანება). ნუ შეგემინდებთ! უმჯობესია, ყურადღებით იყოთ, თუ ბავშვი საეჭვოდ იფხანს თავს. მისი გადაპარსვა არ მოგიწევთ: აფთიაქში პედიკულოზთან საბრძოლველი მრავალი საშუალება იყიდება.

კლასგარეშე კარნახი

ადაპტაციის პერიოდში ყურადღება მიაქციეთ წვრილმანებსაც. ამ დროს მოსწავლისთვის მაგიდასთან ხანგრძლივი ჯდომაც კი ძნელია. ზაფხულში იგი ბევრ რამეს გადაეჩნევა. ამიტომ სექტემბერში ხელახლა სწავლობს სწორ ჯდომას. თუ თქვენი შვილი მხედველობას უჩივის, ნუ შეგემინდებთ. მხედველობის სიმასხვილის დაქვეითება, შესაძლოა, საერთო გადაღლის შედეგი იყოს – ორიოდე კვირაში ყველაფერი მოწესრიგდება. ამასთან, ქრონიკულ დაავადებათა გამწვავება, ექიმთა დაკვირვებით, სწავლის დაწყებისა და ადაპტაციის პერიოდთან არანაირ კავშირში არ არის.

მოსიყვარულე მშობლებით და ოჯახ-

ის წევრებით გარშემორტყმული ბავშვი სექტემბერში მშობლებს მხოლოდ სადამოს ხვდება. ხოლო ზაფხულში იგი ზედმეტ ყურადღებას მიეჩნება.

ზაფხულის განმავლობაში ყველა ბავშვს აღენიშნება ახალი ჩვევების და გამოცდილებების სიუხვე. ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ გარემოში იმყოფებოდა მოზარდი.

შემოდგომაზე სიტუაციის უეცარ ცვლილებას ბავშვი ხშირად ისტერიოდულ მდგომარეობამდე მიჰყავს. თუ მას არ მოსწონს სკოლის სიტუაცია, ან აქვს რაიმე პრობლემები, ქვეცნობიერად აკეთებს ისეთ რამეს, რაც ავადმყოფობამდე მიიყვანს. ასეთ ბავშვს ხშირად აქვს გულისრევის შეგრძნება. ფსიქოლოგთა აზრით, გულისრევა გარკვეული სიტუაციის უარყოფას და შეუგუებლობას გამოხატავს ხოლმე ბავშვებში. თუ პატარა ჩაკეტილია საკუთარ თავში, თქვენ ვერასოდეს

შეიტყობთ იმის მიზეზს, თუ რატომაც თქვენი შვილი დაბნეული, რატომ ზის საათობით გაკვეთილების სასწავლად, რატომ აქვს დაჯღაბნილი რვეულები.

კლასგარეშე კარნახი

ყველაზე ბევრით მოსწავლესაც კი სასწავლო წლის დასაწყისში განსაკუთრებული ყურადღება და სითბო ესაჭიროება. ახალი მასწავლებლები, ახალი საგნები, ახალი საკლასო ოთახები მისთვის სტრესის საფუძველია. ამიტომ სწორედ სექტემბერში სჭირდება ბავშვს გამხრევა, წარმატებებისათვის შექება და თანადგომა. მოზარდი უნდა დაარწმუნოთ, რომ გადაუჭრელი პრობლემები არ არსებობს. უნდა მოახდინოთ მისი ფსიქიკის მობილიზაცია. ფსიქოლოგიაში ამას „პიროვნული რესურსების ამაღლებას“ უწოდებენ.

არ არის საჭირო პირველი სასწავლო

დღის წინა სადამოს ბავშვის იტყულება, დაჯდეს სამეცადინოდ და გაიმეოროს ზაფხულში დავიწყებული მასალა. ნუ ღელავთ: სკოლის პროგრამა ითვალისწინებს მნიშვნელოვანი თემების გამოცდებს.

სექტემბრის მთავარი პრობლემა რადგანაც დღის ახალ რეჟიმთან შეგუებაა, გირჩევთ, ეს პროცესი არ დადგების პერიოდულად დაიწყოთ. ნუ დააძინებთ ბავშვს შუალამისას და ნუ ანებივრებთ ლოგინში შუადღემდე. თუ ნორმალური დღის რეჟიმი შენარჩუნებული იქნება არ დადგების დროსაც, სექტემბერთან შეგუება გაცილებით ადვილი გახდება.

სასწავლო წლის პირველი თვე არ გემუქრებათ რაიმე საშინელებით, მაგრამ თქვენი დახმარებით ბავშვი უკონფლიქტოდ, თანდათანობით, მკვეთრი სტრესების გარეშე და რაც მთავარია, ჯანმრთელი ჩაებმება სასწავლო პროცესში.



სვანური სამზარეულო

ერს, ჩავაგდებთ მდულარე წყალში ან დავდებთ ცხელ ტაფაზე. თუ ყველი ძაფით გაიწვია, კარგია. ასეთი ხაჭაპურისთვის შეგიძლიათ იხმაროთ სულგუნიც. თუ ყველი მარილიანია, ერთი-ორი საათით ჩაალბეთ ნელთბილ წყალში, შემდეგ გაწურეთ და ხორცსაკეპში გაატარეთ. მოზილეთ ჩვეულებრივი სახაჭაპურე ცომი, გამოაცხვით ჩვეულებრივი წესით, აირლუმელში ან ცხიმთან ტაფაზე (კარგია ზეთში შემწვარი). ასეთი ხაჭაპური სასურველია მაშინვე მიირთვათ.

ცხიმში მოშუშული ხახვი, ერთი ჭიქა დანაყილი ნივოზი და ნახევარი ჭიქა წყალი; გამოვაცხოთ ხაჭაპურივით, ჩვეულებრივი წესით. მომზადებული გულსართავი ასევე შეგიძლიათ გადაილოთ ღრმა თევზზეც; ზემოდან მოაყაროთ მწვანილი და ალყა-ალყა დაჭრილი ხახვი და პურთან ან მჭადთან ერთად მიირთვათ.

„ჩხატკრა“

ავილოთ 1 კგ მჭადი ან პური, დაფეშენათ წვრილად (როცა პურით ვაკეთებთ, მეტი წყალი უნდა), ჩავყაროთ ერთ ჭიქა, ჭიქა-ნახევარ ადუღებულ წყალში, დადგათ ცეცხლზე, როცა დალბება, ჩაუშალოთ ნახევარი კილოგრამი დაფშენილი ყველი (ყველი მოსული უნდა იყოს), ვაცალოთ ცოტა, შემდეგ კარგად ავურიოთ, გადმოვილოთ ცეცხლიდან და მივიტანოთ სუფრაზე ცხელ-ცხელი.

ხბოს ეუჭმაჭი („ქუმფას“)

გარეცხილი და გასუფთავებული ხბოს შიგანი (გული, ფილტვები, ნაწლავები, თირკმლები) მოწალეთ, კუჭი გადაინახეთ, მოწალული შიგანი დაკეპთ წვრილად, აურიეთ შიგ ხახვი, ნიორი, ქინძი, ცოტაოდენი ქონდარი, პიტნა, 200-300 გრამი ჭყინტი ყველი, ყველაფერი ეს აურიეთ კარგად. თან ჩააყოლოთ ცოტაოდენი მუცლის ქონი. ჩადეთ წინასწარ გამზადებულ და გადაბრუნებულ კუჭში, ამოკერეთ წვრილი ნემსით და ძაფით, დადგეთ მოსასარმად. როცა მზად იქნება, დაჭერით და ცხლად მიიტანეთ სუფრაზე.

კარტოფილის „ლმბი“

ავილოთ 2 კგ კარტოფილი, მოხხარშოთ კანიანად, გავწმინდოთ და გავატაროთ ხორცსაკეპში. ავურიოთ ნახევარი კგ ჭყინტი ყველი. ცალკე ქვაბში ავადულოთ ერთი ჭიქა წყალი, ამ წყალში ჩავყაროთ მარილი გემოვნებით, ჩავლოთ ერთმანეთში არეული ყველ-კარტოფილი, მზა მასა შევდგათ ცეცხლზე, წამოვადულოთ, ერთი-ორი წუთის შემდეგ კარგად ავურიოთ, როცა გაიწვლება, გადმოვდგათ ცეცხლიდან და ცხელ-ცხელი მივიტანოთ სუფრაზე.

ხაჭაპური ყველით და კარტოფილით

ავილოთ 2 კგ კარტოფილი, მოხხარშოთ კანიანად, გავწმინდოთ და დავჭყლოთ ან გავატაროთ ხორცსაკეპში. მზა მასას ავურიოთ 1 კგ ჭყინტი მსხვილმსხვილად დაფშენილი ყველი. უმჯობესია მოსული ყველი, რომელსაც წინასწარ ასე შევამოწმებთ: მოვჭრით პატარა ნაჭ-

კარტოფილის ღვეხელი ნივგზით

ავილოთ 2-3 კგ კარტოფილი, მოხხარშოთ ჩვეულებრივი წესით, გავატაროთ ხორცსაკეპში, დაუშალოთ აჯიკა, ქინძი, ნიორი, ოხრახუმი, კამა, წვრილად დაჭრილი



შაქრიანი დიაბეტი

შაქრიანი დიაბეტი ფართოდ გავრცელებული დაავადებაა. ბოლო დროს შეინიშნება დიაბეტით დაავადებულთა პროცენტული ზრდა მოსახლეობაში. სხვადასხვა ქვეყანაში შექმნილია დიაბეტთან საზოგადოებრივი, მათი დახმარების ფონდები, ვინაიდან ასეთი ავადმყოფები მთელი სიცოცხლის განმავლობაში ცხოვრების განსხვავებულ წესს, კვების რეჟიმს და ძვირადღირებულ მკურნალობას საჭიროებენ. თუ დიაბეტით დაავადებული დაიცავს ყველა იმ მოთხოვნას, რომელიც მისი შრომისუნარიანობის შესანარჩუნებლად აუცილებელი და რომელთა შესასხებ ჩვენ დღეს დაწვრილებით ვისაუბრებთ, დიაბეტის მიმდინარეობა ხდება ღუნე, ნაკლები გართულებებით და ავადმყოფი პრაქტიკულად ჯანმრთელია, მაგრამ თუ დიაბეტით დაავადებული არად მიიჩნევს ექიმის რჩევას და აგრძელებს ჩვეული რიტმით ცხოვრებას, ავადმყოფობამ შეიძლება შეიძინოს ავთვისებიანი მიმდინარეობა, გართულდეს მრავალი სახის პათოლოგიური ცვლილებებით სხვადასხვა ორგანოში (ჩვენ შემდგომ ამ გართულებებზეც ვისაუბრებთ) და გახდეს პაციენტის დაინვალიდების მიზეზი.

შაქრიანი დიაბეტით დაავადების რისკ-ჯგუფში არიან ადამიანები, რომელთა მშობლებიც იყვნენ დაავადებულნი დიაბეტით; სულ ფუჭად უხარიათ ოჯახის წევრებს გოლიათი ჩვილის დაბადება, რადგან ახალშობილი, რომლის წონა 4 კგ-ს აღემატება, პოტენციურად დიაბეტით დაავადებულია. ასევე ხშირად ავადდება დიაბეტით ის დედაც, რომელმაც ასეთი გოლიათი შვა. დიაბეტის ხელშემწყობი ფაქტორებიდან აღსანიშნავია ფიზიკური აქტივობის შეზღუდვა, ზედმეტი სიმსუქნე, ფსიქიკური ტრავმა (რაც ჩვენს დროში ძნელად საშოვარი ნამდვილად არ არის); ცალკეულ შემთხვევაში დიაბეტი დაკავშირებულია კუჭქვეშა ჯირკვლის – პანკრეასის ქსოვილის ანთებისასთან თუ ტრავმულ დაზიანებასთან.

შაქრიანი დიაბეტის განვითარების ძირითადი რგოლა ინსულინის აბსოლუტური ან შედარებითი უკმარისობა. ინსულინი არის ის ნივთიერება, რომელიც უზრუნველყოფს გლუკოზის შეღწევას უჯრედში. ინსულინის ნაკლებობის შემთხვევაში არ ხდება გლუკოზის ათვისება ქსოვილების მიერ, ამიტომ სისხლში მატულობს თავისუფალი, გამოუყენებელი გლუკოზის რაოდენობა. ამდენად, იქმნება პარალოქსული მდგომარეობა: სისხლში შაქრის დონე აწეულია, ხოლო ადამიანის ქსოვილები: კუნთები, ღვიძლი, ტვინი, განიცდის გლუკოზის შიმშილს და პაციენტს აქვს დაუოკებელი

სურვილი ტკბილის მიღებისა, მაგრამ როცა იგი საკვებით ჭარბ გლუკოზას იღებს, ამით არაფერი იცვლება გარდა იმისა, რომ სისხლში კიდევ უფრო მატულობს შაქრის მაჩვენებელი, ხოლო ქსოვილები მას მაინც ვერ ათვისებენ ინსულინის დეფიციტის გამო. ინსულინის ორგანიზმში გამოყოფის კუჭქვეშა ჯირკვლის ბეტა უჯრედები, რომელთა დაზიანება ხდება ამ პორმონის ნაკლოვანების მიზეზი. თუ პანკრეასის ბეტა უჯრედების ატროფია (გამოფიტვა) ნაწილობრივია და არსებობს მათი სტიმულირების რეზერვი, მაშინ არის შანსი, რომ დიაბეტი დაექვემდებაროს აბებით (სულფანილმარდოვანას, ბიგუანიდების) მკურნალობას, ზემოხსენებული პრეპარატები ახდენს ზემოქმედებას ინსულინის გამოყოფაზე და აიძულებს მათ, გამოიმუშაონ პორმონი მეტი რაოდენობით, ან ზრდის ქსოვილების მიერ გლუკოზის ათვისების ხარისხს, მაგრამ თუ ბეტა უჯრედების ატროფია ღრმაა და აბებით მკურნალობის შედეგად დაავადების კომპენსირება არ ხდება, მაშინ ავადმყოფი საჭიროებს ინსულინის დამატებითი დოზის შეყვანას ინიექციით. ავადმყოფები ხშირად ტრავმული მიზეზები იმ ფაქტს, რომ მათ ინსულინი დაენიშნათ, მაგრამ ეს არის მხოლოდ ორგანიზმის დარღვეული ჰარმონიის აღდგენა ხელოვნურად. თუ ინსულინის მიღებული დოზა თქვენს სისხლში აწესრიგებს გლუკოზის დონეს და თქვენ იცავთ კვების რეჟიმს, თქვენი ორგანიზმი ისევე ფუნქციონირებს, როგორც ჯანმრთელი ადამიანისა.

არიან პაციენტები, რომელთაც დიაბეტის შედარებით მსუბუქი ფორმა აქვთ, მათთვის საკმარისია მხოლოდ დიეტის დაცვა, მაგრამ თუ ასეთი ავადმყოფი სისტემატურად დაარღვევს კვების რეჟიმს, შესაძლოა, მისი დაავადების შედეგები გაცილებით მძიმე აღმოჩნდეს, ვიდრე იმ ინსულინდამოკიდებული პაციენტის ავადმყოფობისა, რომელიც ექიმის ყველა რჩევას ყურად იღებს.

შაქრიანი დიაბეტის ძირითადი სიმპტომებია: გაძლიერებული წყურვილი, პირის სიმშრალე, შარდის რაოდენობის მომატება 3-4 ლიტრამდე დღე-ღამეში, მადის გაძლიერება, საერთო სისუსტე, კანის ქავილი, პირისაზე, ლოყები მოწითალო-ვარდისფერია, რაც თითქოსდა კარგი ჯანმრთელობის ყალბ შთაბეჭდილებას ტოვებს. დიაგნოზის დასასმელად გადამწყვეტია სისხლში შაქრის დონის განსაზღვრა. ნორმაში უზმოზე იგი უნდა იყოს 80-120 მგ პროცენტში. შარდში შაქარი არ უნდა აღინიშნებოდეს. როცა სისხლში გლუკოზის დონე აწევის 180 მგ პროცენტზე მაღლა, მაშინ იგი აღწევს შარდშიც.

შაქრიანი დიაბეტის გართულებებიდან აღსანიშნავია კომატოზური მდგომარეობები, რომელიც შაქრის დონის ძლიერ მომატებასთან ან მისი ნორმის ქვედა ზღვარზე მეტად დაქვეითებასთანაა დაკავშირებული.

გართულებათა დიდი ჯგუფია სისხლმარღვოვანი გართულებები – მიკრო და მაკროანგიოპათიები, რომლებიც წვრილი სისხლმარღვების სკლეროზითაა გამოწვეული. ამ სისხლმარღვების შესაბამისი ქსოვილები განიცდის სისხლის დეფიციტს – იშემიას, ხოლო ღრმა ცვლილებების შემთხვევაში, დაზიანებას – ნეკროზს. ამიტომაც, რომ დიაბეტით დაავადებულს ხშირად უვითარდებათ სტენოკარდია, ინფარქტი, ქვემო კიდურების ტროფიკის (კვების) დაქვეითება.

მიკროანგიოპათიებიდან ყველაზე ხშირია თირკმლის დაზიანება და თვალის დიაბეტური დაზიანება.

ორგანიზმის რეზისტენტობის (მდგრადობის) დაქვეითების გამო, დიაბეტთან ავადმყოფს ხშირად აქვს გართულებები სხვადასხვა ინფექციით, ასეთია კანის ჩირქოვანი დაავადებები, ფურუნკულები (ძირმაგარა), კარბუნკული (მრავლობითი ძირმაგარა), პანარიციუმი (ფრჩხილის ირგვლით დაჩირქება), აბსცესები, ფლეგმონა. კლინიკურ პრაქტიკაში ყოფილა შემთხვევები, როცა კანის ქრონიკული დაჩირქებით პროცესით შეწყუბუნებულ ავადმყოფს დაკვირვებულმა ექიმმა შაქრიანი დიაბეტის დიაგნოზი დაუსვა.

ეს მეტად მუქი სურათი – გაფრთხილებაა იმ ურჩი პაციენტებისა, რომელნიც არად დაეიდევნენ ათვის რჩევას. მათ კიდევ ერთხელ შევახსენებთ, რა ევალება დიაბეტით დაავადებულ პაციენტს:

1. დაიცავით დიეტა. აკრძალეთ შაქარი თქვენს საკვებში. თეთრი პური მიირთვით მცირე რაოდენობით. გეკრძალვებთ მურაბა, ნამცხვრები, ტკბილი ხილი (ყურძენი, ლეღვი). მიირთვით რძის პროდუქტები, ხილი, ბოსტნეული, ხორცი (ვათვალისწინეთ, რომ კარტოფილი და სტაფილო დიდი რაოდენობით ნახშირწყლებს შეიცავს).
2. სისტემატურად აკონტროლეთ შაქარი სისხლში. ნუ მოაკლებთ ყურადღებას საკუთარ ჯანმრთელობას. უნდა შეინარჩუნოთ სტაბილურად დაავადების კომპენსირებული მდგომარეობა, როცა შარდში გლუკოზა არ გამოიყოფა.
3. ნუ გამოინებთ ურჩობას ინსულინის გაკეთებასთან დაკავშირებით, თუ ექიმი გირჩევთ, რადგან ამან შეიძლება გამოუსწორებელ მდგომარეობამდე მიგიყვანოთ.
4. ინსულინის გაკეთებისას მკაცრად დაიცავით კვების საათობრივი რეჟიმი. ■

სხვადასხვა

● კბილებზე სიყვითლის მოსაცილებლად შეგიძლიათ, ორ კვირაში ერთხელ, საჭმელი სოდა გამოიყენოთ. კბილის ჯაგრისზე დაყარეთ მცირეოდენი სოდა, დააწვეთეთ ლიმონის წვენი და კბილები გაიხეხეთ.

● კბილის უხეში ჯაგრისი რომ დაარბილოთ, რამდენიმე საათით მარილიან წყალში გააჩერეთ (1 ჭიქა წყალზე 1 ჩაის კოვზი მარილი).

● თავის დატილიანების დროს ძირითადად სნებოვნდება კეფისა და საფეთქლების არეები, სადაც აღინიშნება ქავილი, ზოგჯერ კანის გაწითლება. თმაზე მჭიდროდაა მიკრული ტილის კვერცხები – წილები. სამკურნალოდ ხმარობენ მცენარეული ზეთის და ნავთის თანაბარი რაოდენობის ნარევეს, რომელსაც უსვამენ თავზე. უხვევენ და აჩერებენ რამდენიმე საათის განმავლობაში. შემდეგ თავს იბანენ, წილებს აცილებენ წმინდა სავარცხლით, რომელსაც ცხელ ძმარში ასველებენ.

● კუჭის წვენის მომატებული მჟავიანობის დროს მინერალური წყალი უნდა მიიღოთ 1-1,5 საათით ადრე ჭამამდე, შემთბარი 35-40 გრადუსამდე. ასეთი წყალი სწრაფად გადადის ნაწლავებში, ნაკლებად აღიზიანებს კუჭის ლორწოვან გარსს და ამცირებს კუჭის წვენის გამოყოფას.

დაბალი მჟავიანობის დროს ავადმყოფს მინერალური წყალი უნდა მიეცეს ჭამის

წინ 10-15 წუთით ადრე ან საჭმელთან ერთად. წყალი უნდა იყოს ოთახის ტემპერატურის, გაზიანი. უნდა დალიოთ ნელა, მცირე ყლუპებით.

მინერალური წყალი ავადმყოფს ეძლევა დღეში 3-ჯერ.

● ჯონჯოლის მწნილის ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები გამოირჩევა თირკმლისა და შარდის ბუშტის კენჭოვან დაავადებათა სამკურნალოდ.

● ახალი ხაჭოს სიკეთე კარგად მოგეხსენებათ. ცილების, ცხიმების, მინერალური ნივთიერებებისა და მიკროელემენტების საუკეთესო ოპტიმალური შეთანხმებით ხასიათდება. ამის გამო ხაჭო გამოიყენება ათეროსკლეროზის, ლვილის, სიმსუქნის პროფილაქტიკისა და მკურნალობისათვის. კარგ ზეგავლენას ახდენს საჭმლის მომნელებელ, ნერვულ და სასუნთქ სისტემაზე.

დიეტური ხაჭო ძალიან კარგია და ზოგჯერ შეუცვლელიც კი შაქრიანი დიაბეტით დაავადებულთა კვებაში. აგრეთვე ტრავმების და დამწვრობის შემდეგ. უცხიმო ხაჭოს მიღებას ექიმები გულ-სისხლძარღვთა სისტემის, ლვილის, ნაღვლის სადინრების, კუჭუკანა ჯირკვლების დაავადებებისას ურჩევენ.

● რძის ერთბაშად დალევა არ ვარგა. კუჭში უცხად ჩასულ რძეს ხვდება კუჭის წვენის სიმჟავე და ჭრის მას; აჭრილი

რძის მონელება კი კუჭს უჭირს. რძის დალევა ნელ-ნელა პურთან ან ნამცხვართან ერთად სჯობს.

● ვაშლის შემადგენლობაში შემავალ პექტინს შეუძლია, ორგანიზმიდან გამოდევნოს ზედმეტი ქოლესტერინი; ათეროსკლეროზის პროფილაქტიკის მიზნით საკმარისია დღეში 15 გ პექტინი. ეს რაოდენობა კი არის 2 საშუალო ზომის ვაშლში. ■



კითხვა

პასუხი

კითხვა: მაქვს თირკმელ-კენჭოვანი დაავადება და მემართება ხოლმე შეტევები (კოლიკები). სექტემბრის ბოლოს ვაპირებ შევბულების გატარებას ზღვის სანაპიროზე. ხომ არ გამოინფევს ზღვაში ბანაობა კოლიკის პროვოცირებას?

პასუხი: გამგზავრებამდე აუცილებლად გაიკეთეთ თირკმლის ექოსკოპიური გამოკვლევა.

რითაც დადგინდება, ნამდვილად გაქვთ თუ არა კენჭი თირკმელში და თუ გაქვთ, ხომ არ არის იგი დაძრული (მოძრავი). თუ ასეთი მდგომარეობა არ აღინიშნება, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ უსიამოვნო სიურპრიზები არ მოხდება, მაგრამ საჭიროა, მიიღოთ პროფილაქტიკური ზომები.

თირკმლის კოლიკის პროვოცირებას, უმრავლეს შემთხვევაში, იწვევს სხეულის მკვეთრი ბიძგები. ეს იმას არ ნიშნავს, რომ თქვენთვის არ შეიძლება ბანაობა და ცურვა, მაგრამ ყველაფერი

უნდა აკეთოთ ზომიერ ტემპში. არ გადახტეთ წყალში მალდიდან. გარდა ამისა, არავითარ შემთხვევაში არ გაჩერდეთ პლაჟზე სველი საბანაო კოსტიუმით.

შეგიძლიათ ისეირნოთ ქვიშიან ნაპირზე, მონაწილეობა მიიღოთ სპორტულ თამაშებში, მაგრამ მკვეთრი მოძრაობისა და ზტუნაობის გარეშე, ნუ გაერთობით ატრაქციონებზე და საქანელებზე, სადაც გამორიცხული არ არის სხეულის მკვეთრი ბრუნები.

თირკმლის კოლიკის ხშირი პროვოკატორია დიურეზის (შარდვის) გაძლიერება. წყალი და წვენები ზომიერად სვით, უარი თქვით ლულზე.

თუ მაინც დაგეწყებათ შეტევა, აუცილებლად მიმართეთ ექიმს. გამორიცხული არ არის, რომ საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით, თირკმლის კოლიკად მიიჩნიოთ, მაგალითად, აპენდიციტის შეტევა. ასეთ დროს კატეგორიულად წინააღმდეგნაჩვენებია თბილი აბაზანა, რომელსაც თქვენ თირკმლის კოლიკის დროს მიმართავთ ხოლმე.

სასურველია, თან იქონიოთ ექოსკოპიის და სხვა გამოკვლევათა პასუხები, რაც დაეხმარება ექიმს, სწრაფად გაერკვეს მდგომარეობაში. მაგრამ ამ სამედიცინო დოკუმენტების თან წაღებით არ უნდა გაიფუჭოთ საერთო განწყობა. ეს მხოლოდ თავის დაზღვევის მიზნით გჭირდებათ. ■

შესაძლოა, ზოგს ეს ამბავი არასერიოზულად მოეჩვენოს და ღიმილიც კი მოჰგვაროს, მაგრამ მალკოლმ დენტს საქმე სასაცილოდ ნამდვილად არ ჰქონდა. ის იმდენად შეშფოთდა, რომ ტელეფონით თავის პატრონს — ცნობილ როკ-მუსიკოსსა და მილიონერს ჯიმი პეიჯს დაუკავშირდა და სთხოვა, სასწრაფოდ ჩამოსულიყო, რათა გაერკვია, რა ხდებოდა მის სახლში.

alister krouli,

მეზოსახლად



უკვე დაახლოებით 15 წელი იყო გასული, რაც დენტის, ლონდონის ტბის პირას, ბოლესკინის ულამაზეს ადგილას მდებარე პეიჯის უზარმაზარი, პირქუში სახლის მმართველად მსახურობდა. ერთხელ დენტს სტუმრად თავისი ნათესავი ანა ეწვია. ჩამოსვლიდან რამდენიმე დღის შემდეგ, გოგონა აკანკალებული, გაფითრე-

ბული, შეშინებული იჯდა მის წინ და მალკოლმი მის დასაშფვილებლად სიტყვებს ვერ პოულობდა. ამ მომენტამდე ნახევარი საათით ადრე, როცა მალკოლმი ბაღში მუშაობდა, მის ყურთასმენას განწირული კივილი მოესმა. დენტმა მაშინვე სახლს მიაშურა და სარდაფში აღმოაჩინა ანა: იატაკზე გაუნძრევლად მჯდომ გოგონას თვალები შიშისგან გაფართოებოდა. მალკოლმმა გულდასმით დაათვალიერა სხვადასხვა ხარახურით სავსე სარდაფის ყველა კუთხე, რის გადაყრაც მას პეიჯმა კატეგორიულად აუკრძალა, მაგრამ ისეთი ვერაფერი აღმოაჩინა, რასაც შეიძლებოდა ასე შეეშინებინა გოგონა. დენტმა ნათესავი

ხელში აიყვანა და ზემოთ ავიდა. როცა ანას ლაპარაკის უნარი დაუბრუნდა, მან ენის ბორძიკით აუწყა მალკოლმს, რომ ქვემოთ მოჩვენება გამოეცხადა. გოგონას სიტყვებით, თეთრ კაბაში გამოწყობილი თმაგაშლილი ქალის ბუნდოვანი ფიგურა დაბალ ხმაზე კენესოდა. თავიდან ანამ იფიქრა, რომ ეს სოფლიდან მოსული ჩვეულებრივი გლეხი ქალი იყო, მაგრამ როცა ფიგურასთან მიახლოება გადაწყვიტა, ის უცებ გაქრა...

„ალბათ მართლაც სოფლიდან მოსული ქალი იყო და შენ რაღაც მოგეჩვენა!“ — ანას დამშვიდება სცადა დენტმა, თუმცა თავადაც იცოდა, რომ ცრუობდა: მას ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ანამ მართლაც მოჩვენება დინახა. მალკოლმ დენტმა, ასე თუ ისე, გათვითცნობიერებული იყო იმაში, თუ რა სახლის მოვლაპატრონობა აიღო საკუთარ თავზე, და მხოლოდ თავს იკატუნებდა, თითქოს ყველა ამ სისულელეზე მალა იდგა. მისი ბავშვობის მეგობარს ჯიმი პეიჯს თავის დროზე ნამბობი ჰქონდა მისთვის ბოლესკინის სახლის უცნაურობის შესახებ — თითქოს საუკუნის დასაწყისში ის ერთ


სახლის თითხებს აშკარად ეგყობოდა ოკულტიზმის რიტუალების ნაკვალევი, რომელსაც მისი ძველი პატრონები მისდევდნენ. როცა მმართველმა რემონტი წამოიწყო, სახლში დროდადრო უცნაური ხმები ისმოდა...



ინგლისელს, შავი მაგიის მიმდევარ ალისტერ კროულის ეკუთვნოდა, რომელიც თვით სატანას დაჰკავშირებია და გარბედაც ჰქონია მასთან... სახლის შესახებ ხალხში იმასაც ლაპარაკობდნენ, რომ ის სავსე იყო მოჩვენებებით. გზაზე დამდგარი ადგილობრივი მცხოვრებლები დიდ წრესაც კი ურტყამდნენ ხოლმე, რომ „დაწვევილი სახლის“ სიახლოვეს არ ჩაელოთ... დენტმა ისიც იცოდა, რომ თავად პეიჯსაც იქ სატანისტად და ჯადოქრად მიიჩნევდნენ, ამბობდნენ – ის კროულის სულს დაუმეგობრდა და უკანონო, ღვთისგან დაგმობილ მრავალგვარ ქმედებას სჩადისო. თავად მალკოლმს სულების არსებობის არ სჯეროდა, გავრცელებულ ხმებს უბრალო ჭორად მიიჩნევდა, სატანიზმისადმი პეიჯის ინტერესს კი მისი არტიტული ბუნების გამოვლინებად თვლიდა.

თავად ლეგენდარული LED ZEPPELIN-ის გიტარისტი კი თავის გატაცებებს არ მალავდა: ბევრმა იცოდა, რომ ის შეგნებულად დაეპატრონა კროულის სახლს, აუქციონებზე იძენდა მაგიის მესტროსთან დაკავშირებულ ყველა ნივთს და პატარა გამოძეგვლების მფლობელიც კი გახდა, რათა კროულის თხზულებები გაეცვლებინა...

მაგრამ რა საქმე ჰქონდა ყველაფერ ამასთან სახლის მმართველს, რომელსაც შესრულებულ სამუშაოში საკმაოდ კარგად უხდიდნენ? ისე კი დენტს კარგად ახსოვდა, რომ მუხით მოპირკეთებულ სასადილოში პირველად შესულს, უმაღლეს თვალში ეცა იატაკზე დახატული უხარმავარი, პენტაგრამიანი წრე და ოკულტური რიტუალების ამკარა ნაკვალევები. ოკულტური მეცნიერების შესახებ მისი მწირი წარმოდგენაც საკმარისი იყო, რომ მიმხვდარიყო: სახლის ძველი პატრონები აშკარად შავი მაგიით იქცევდნენ თავს... მან მაშინვე რემონტი წამოიწყო, ცდილობდა, რაც შეიძლება მალე მოესპო სატანისტური რიტუალების ყველა კვალი, მაგრამ სახლს ეს განზრახვა აშკარად „არ მოეწონა“: ღამდამობით ოთახებში უცნაური ხმები, ფაჩუნის და კაკუნის ისმოდა. ზოგჯერ, ღლისით-მზისით, მიჩენილი ადგილებიდან უეცრად ქრებოდა ნივთები: ხან უკვალოდ გაქრებოდა ჩაქუჩი და ლურსმნები, ხანაც გადამალული გასაშლელი კიბე ეხოს შორეულ კუთხეში ამოჰყოფდა თავს... როგორც კი რემონტი დასრულდა, სახლიც მიწინარდა და დიდხანს, შედარებით „წესი-



ჯიმი პეიჯის სახლი ბოლესკინში

ერად იქცეოდა“.


სახლში გატარებული რამდენიმე წლის შემდეგ დენტმა თითქმის შეეჩვია მის განსაკუთრებულობას, მის ხმებსა და „ხასიათს“, რომელიც წელიწადის დროის შესაბამისად იცვლებოდა ხოლმე. ეს მოჩვენება კი ძალზედ მოულოდნელი იყო... მმართველის გონებაში მყისიერად გაცოცხლდა ყველა ცუდი წინათგრძნობა და ფარული მოლოდინი: ის ხომ, პრაქტიკულად, არასოდეს ენდობოდა სახლს, მუდამ ელოდა მისგან რაღაც მზაკვრობას – და აი, ამის დროც მოსულა! თავდაპირველად იფიქრა, ანა აქედან სასწრაფოდ უნდა გაეამგზავრო, მაგრამ პეიჯმა, რომელსაც მალკოლმი ტელეფონით ესაუბრა, დაიჟინა, რომ გოგონა აუცილებლად დალოდებოდა მის ჩამოსვლას.

რამდენიმე დღეში სახლის პატრონიც გამოჩნდა: გამხდარი, ჩვეულებისამებრ დაუღევრად ჩაცმული, ცივი, გამჭოლი მზერის მქონე ჯიმი თავისი ჩვეული ამალით გამოცხადდა: მას ახალი მეგობარი გოგონა ჰამელა დე ბარი, მეგობარი და ჯგუფ THE FIRM-ის წევრი პოლ როჯერი თავის არასრულწლოვან მეგობარ გოგონასთან ერთად და ორი გაბურძგვნილი, საეჭვო იერის ყმაწვილი ახლდნენ; ისინი ყველგან თან დაჰყვებოდნენ და თვალბეჭდებში შესცივნიდნენ პეიჯს...

ვანშიაში უცნაურობებით ცნობილ სასადილო ოთახში, სახლის პატრონის გემოვნების სრული დაცვით გააწვევეს: სუფრაზე ბევრი საჭმელი, თვით კროულის ძველებურ შანდლებში დანთებული სანთლები და მრავალგვარი სასმელი იყო.

როუმის პირველი დანახვისთანავე ალისტერმა გადაწყვიტა, რომ ქალი საუცხოოდ მოერგებოდა მის მაგიურ ექსპერიმენტებს





ბევრი ადამიანი თავად პეიჯსაც საგანისგად თვლიდა...

დენტი და ანა ვანშმად მიიწვიეს. პეიჯის ერთ მხარეს პამელა იჯდა, მეორე მხარეს – როჯერი. როცა ყავა შემოიტანეს, სახლის პატრონი ანას მიუბრუნდა და სთხოვა, აღეწერა მოჩვენება, რომელიც მან სარდაფში იხილა. გოგონამ კონკრეტული აღწერილობის გადმოცემა ვერ შეძლო. მაშინ ჯიმი სუფრიდან წამოდგა და საიდანაც, რამდენიმე ქალის პორტრეტი მოიტანა. როგორც კი სურათებს დახედა, ანამ სახეზე ხელები აიფარა. „რომელია?“ – მოკლედ ჰკითხა პეიჯმა. გოგონამ თავის მოძრაობით ერთ-ერთ სურათზე მიანიშნა. „ასეც ვფიქრობდი! – აგზნებულად წამოიძახა სახლის პატრონმა, – ეს როუზ კელია!“

„ვინ არის როუზ კელი?“ – იკითხა პეიჯის მეგობარმა გოგონამ, რომელიც უკვე ჯიმის მუხლებზე იყო მოკალათებული და აბოლებდა. პეიჯმა ტურნეზე თითი მიიღო: „სუ! სულების შესახებ მოკრძალებულად უნდა ილაპარაკო, თორემ შეიძლება ხიფათს გადაეყარო... როუზ კელი ოდესღაც, ამ სახლის დიასახლისი იყო, მაგრამ ცოტა ხანს: საცოდავი გოგონა დიადი მხეცის, ნინ-ის პირველი ცოლი იყო“. მცირე პაუზის შემდეგ მან იკითხა:

– გსურთ, დაწვრილებით ვიამბოთ ყველაფერი? – მან დამცინავად გადახედა სტუმრებს, – კი ბატონო. – ...ყველაზე მეტად, ალისტერ კროული ეპოქის უგარყენილესი და უწესო ადამიანის რეპუტაციას უფრთხილდებოდა. ვინ იყო ის? უმჯობესია, ვიკითხოთ – ვინ არ იყო?... შავი მაგი, ოკულტისტი, პოეტი, რომანისტი, ფილოსოფოსი, მოგზაური, აღმოსავლური მისტიციზმისა და კაბალ-

ას მოძღვრების მცოდნე, ალბინისტი, ნარკოტიკული კოქტეილების ექსპერტი, ეზოთერიკული სექსის მიმდევარი...

ეს სახლი მან 1899 წელს შეიძინა – მუხის მასიურმა კედლებმა, სახლის ფართობმა და, რაც მთავარია, სოფლიდან საკმაო მანძილით დაშორებამ მიიზიდა. სახლი კროულის განსაზღვრული მიზნისთვის ესაჭიროებოდა – მაგიური რიტუალებით უნდოდა გამოეყენებინა. სანამ იყიდდა, კროულიმ სახლის თითოეული სანტიმეტრი გაზომა, ყველაფერი გამოთვალა, დაადგინა – როგორ იყო შენობა ორიენტირებული სამყაროს ნაწილების მიმართ... ყველაფერი მისი მიზნების შესაფერისი აღმოჩნდა. იმ მომენტისთვის, როცა კროული ბოლესკინში დაბინავდა, ის უკვე საკმაოდ ცნობილი მაგიური ორდენის „ოქროს განთიადის“ წევრი იყო. არ იფიქროთ, რომ ორდენში მხოლოდ შარლატანები და უცოდინარები იყვნენ გაერთიანებულნი – ეს ერთადერთი საზოგადოება იყო ინგლისში, სადაც ნამდვილად ერკვეოდნენ ოკულტიზმში. სხვათა შორის, „ოქროს განთიადში“ ბევრი ცნობილი პიროვნება იყო გაწევრებული: არტურ კონან დოილი, უილიამ ბალტერ იეიტსი, კონსტანცია უაილი, ფლორენს ფარი, ბერნარდ შოუს მუდმივი

როცა დედამისმა ანტიქრისტულ განსახიერება უწოდა, კროულის ეს ძალიან მოეწონა და იმ დღიდან მეგსახელი – ამოკალიფსის დიადი მხეცი 666 დაირქვა

მუზა – დიონ ფორჩენი... ეს ადამიანები არ ზუმრობდნენ – საკმაოდ სერიოზული საქმით იყვნენ დაკავებულნი, და როცა მხეცი სახლში დაბინავდა...

– რატომ უწოდებ მას ყოველთვის მხეცს? – დაინტერესდა ერთ-ერთი ახალგაზრდა, – საიდან მოვიდა ეს მეტსახელი?

პეიჯმა სარკასტულად გაიღიმა.

– პიტერ, ჩემო ახალგაზრდა მეგობარო, ეს მეტსახელი არ არის, ეს სახელი მას მშობელმა – მაღამ კროულიმ შეარქვა...

შემდეგ ჯიმი განმარტა, რომ კროულის მშობლები ფანატიკოსთა ქრისტიანული სექტის – „პლიმუტის ძმების“ წევრები იყვნენ. დედამისი მკაცრი პურიტანული ქალი იყო, რომელიც თავის ნათესავ გოგონას იმისთვის დაემდურა სამუდამოდ, რომ მისი ბალიშის ქვეშ ემელოდა ერთი უწყინარი რომანი ნახა... ახალგაზრდა ალისტერს გულს ურევდა მშობლების მორალისტობა. 14 წლის ასაკში მან მოსამსახურე გოგონა ჩაიწვინა დედის გაქათქათებულ ლოგინში და შეგნებულად დაიცადა, სანამ ამ საქმიანობით გართულს შემოუსწრებდნენ... სწორედ მაშინ, დედამისმა მთელი სერიოზულობით უთხრა – ანტიქრისტულ განსახიერება ხარო...



ერთგული პიტიხველი

თქვენ, ერთგულ მკითხველს, უთუოდ გე-
მასსოვრებთ ჩვენი ჟურნალის სხვადასხვა
ნომერში დაბეჭდილი წერილების შინაარსი
და არც ამ ტექსტის კითხვებზე გაგიჭირლ-
ებათ პასუხის გაცემა...

1. რომელი პისტოლით სარგებლობდა ჯიმის ბონდი?



- ა) ბრაუნინგი;
- ბ) სტეკინით;
- გ) ვალტერი.

2. რას ნიშნავს ალფრედო დი სტეფანოს მითსახელი „სინიორ კალჩიო“?



- ა) „ბატონ ფენსბურთელს“;
- ბ) „ბატონ საუკეთესოს“;
- გ) „ბატონ ფორვარდს“.

3. რომელია მსოფლიოში ყველაზე ღრმა ტბა?



- ა) სევანი;
- ბ) ტიტიკაკა;
- გ) ბაიკალი.

— ამან ბიჭი წარმოუდგენელ აღტა-
ცებაში მოიყვანა და მან ერთხელ და
სამუდამოდ დაისაკუთრა მეტსახელი —
აპოკალიფსის დიადი მხეცი 666.

ბოლესკინში კროული ექსპერიმენტე-
ბის ჩატარებას ეგვიპტელი აბრა-მელი-
ნის უძველესი მაგიური რეცეპტების გამოყ-
ენებით აპირებდა. მხეცი თავის სულიერ
მფარველთან კავშირის დამყარების სურ-
ვილით იყო შეპყრობილი, მაგრამ ამას
ჯერჯერობით ვერ ახერხებდა. სამაგი-
ეროდ, რთული რიტუალებისა და შე-
ლოცვების მეშვეობით კროულმა და მის-
მა მეგობარმა ალქიმისკოსმა სესილ ჯონ-
სმა ბუერის მკურნალი სულის მუხარა-
დიანი თავისა და მარცხენა ხელის მატე-
რიალიზება შეძლეს.

— მათ რა, სხეულის სხვა ნაწილები-
სთვის განკუთვნილი შელოცვა დაავიწყ-
დათ? — ირონიულად დაინტერესდა
პიტერი.

პეიჯმა განმეძირავი მხერა ესროლა
მეგობარს:

— სხვათა შორის, რამდენადაც ჩემთვის
ცნობილია, მუხარადიანი ეს თავი ჩემს
სახლსაც სტუმრობს ხოლმე. ხომ მარ-
თალია, მალ? — მიმართა მან მმართველს.

მალკოლმ დენტმა ნერვულად დაუ-
ქნია თავი. სწორედ ახლავდა მიხვდა,
ზოგჯერ, ღამდამობით რატომ ესმოდა
ხოლმე უცნაური ხმა — თითქოს კიბეზე
რკინის კასრი მოგორავდა. თურმე ეს
მუხარადიანი თავი ყოფილა! კიდევ კარ-
გი, ეყო კეთილგონიერება და დერეფანში
ერთხელაც არ გაუხედავს, თორემ ახლა
ნამდვილად სასაფლაოზე იწებოდა.

— ...1903 წელს ბოლესკინის შორი-
ახლოს მეგობარი მხატვრის ჯერალდის
სახლში კროულიმ მისი და — როუზი
გაიცნო. როუზი ახალგაზრდა ღამაზი
ქვრივი იყო, თუმცა ოდნავ ეგზალტირე-
ბული არსებაც გახლდათ. როუზის პირვე-
ლი დანახვისთანავე კროული მიხვდა, რომ
ეს ქალი ზედგამოჭრილი იყო მისი მაგ-
იური ექსპერიმენტებისთვის და დაუფიქრე-
ბლად სთხოვა ცოლობა. აღისტერისთვის
ყოველგვარი ფორმალობა და პირობითო-
ბა არაფერს ნიშნავდა, მაგრამ მას მშვე-
ნივრად ესმოდა, რომ სხვაგვარად ახალ-
გაზრდა ქალის ნდობას ვერ დაიმსახ-
ურებდა. ეს წყვილი უმალ ძალიან შეს-
ამჩნევი გახდა: გამხდარი, ნატიფი ნაკეთე-
ბის და უმწეო შესახედაობის ქალი და
დიდი, ზონზროხა, მსხვილხორციანი სახ-
ისა და ხარისხებური კისრის მქონე მა-
დაკაცი...

დაქორწინების შემდეგ ცოლ-ქმარი
მაშინვე სამოგზაუროდ წავიდა. ახ-
ალდაქორწინებულებმა ბევრი ქვეყანა
მოიარეს: ინდოეთი, ბირმა, ცეილონი,
ეგვიპტე... სადაც კი წყვილი გამოჩნდე-
ბოდა, ყველგან ყურადღებას იპყრობდა.
მაშინ კროული ჯერ კიდევ მდიდარი
იყო და თან მსახურთა მთელი ჯგუფი
ახლდა ხოლმე. როუზი კი საზოგადოე-
ბაში ძვირფას, ორიგინალურ კაბებში ჩნ-
დებოდა და სამკაულების რაოდენობით
საშობაო ნაძვის ხეს მოგავგონებდათ. ამ-
ბობდნენ, ჩაცმულობითა და ქცევით მან
ექსტრავაგანტურობისა და ექსცენტრიკუ-
ლობის ზღვარსაც გადააბიჯაო და ამაში
ქმრის გამხრწნელ გავლენას ხედავდნენ.
მეუღლეები დიდ დროს ატარებდნენ კა-
ზინოში: როუზი თამაშობდა, მხეცი კი
მის ზურგს უკან იდგა და ჰკარნახობდა,
რომელ ფსონს უნდა ჩასულიყო. კროუ-
ლის ნათელმხილველური ნიჭის წყალო-
ბით ისინი ფანტასტიკურ თანხებს იგ-
ებდნენ...

ჩვეულებრივ, უცნაური წყვილი ქალა-
ქიდან დილის ნისლივით ქრებოდა და
სასტუმროში გადაუხდელი ანგარიშების
გროვას ტოვებდა. ჰყვებოდნენ, რომ თი-
თოეულ ქალაქში, სადაც კი ჩაუვლიათ,
ყველაზე საეჭვო პიროვნებების — შულ-
ერების, ჯადოქრების, აღმოსავლელი მაგე-
ბის, სამხრეთამერიკელი მეძავეების მონაწი-
ლეობით ეგზოტიკური ორგანიზაციები გაუმარ-
თავთო.


— თუმცა, ბრევ ობივატელებს უყ-
ვართ ვინმესთვის ჩირქის მოცხება და
ყველაფრის შეღამაზება, — ქედმაღლუ-
რად დასძინა პეიჯმა, — სინამდვილეში,
კროული ორგანიზაციებს არ აწყობდა — ის
უძველესი რელიგიის მისტიკური ცერე-
მონიების აღდგენას ცდილობდა.

...ასეთ ცხოვრებას როუზი უსაზღვრო
აღფრთოვანებაში მოჰყავდა. ის კროულ-
ის ტაძრის უზენაესი ქურუმი ქალი და
მისი მაგიური სექსუალური რიტუალებ-
ის მთავარი მოქმედი პირი გახდა.
მეუღლეები კაიროს ფეშენებელურ სას-
ტუმროში ცხოვრობდნენ, როცა როუზმა
შეიტყო, რომ ფეხმძიმედ იყო. ცნობილია,
რომ ქალწულები და ფეხმძიმე ქალები
მაგიისადმი განსაკუთრებული მიდრე-
კილებით გამოირჩევიან.

— აი, რატომ გამოეცხადა ანას როუზი:
ამ სახლში იშვიათად სტუმრობენ ქალ-
წულები... — ჩაეცინა პეიჯს.

დასასრული იქნება

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე



დაისვენეთ, გაერითეთ, იპაჩიოეთ!



ეს თამაში ერუდიციაზე, ინტუიციასა და აზარტზეა აგებული. თუ ეს ყველაფერი გახასიათებთ, აუცილებლად გამოცადეთ თავი და გონების გავარჯიშების შემდეგ, წარმატების მიღწევა არც ერთ სხვა თამაშში არ გაგიჭირდებათ! თითოეულ კითხვაზე მოცემული ოთხი პასუხიდან, თქვენი აზრით, სწორი მონიშნეთ. თავის შემონიშნება არ გაგიჭირდებათ, გამოიჩინეთ თქვენთვის დამახასიათებელი დაკვირვებულობა და პასუხები იქნებ, ამ გვერდზე იპოვოთ ყიდევ...

1) რას უჩვენებს მსაჯი გაფრთხილებისას ფეხბურთელს?

- ა) პასპორტს; ბ) ენას; გ) ბიულეტენს; დ) ბარათს.

2) რთი ცდილობს ამური გულებს გაპობას?

- ა) შუბით; ბ) ისრით; გ) ჭეჭა-ქუხილით; დ) ტყვიით.

3) როგორი სახის ტრანსპორტი არ არსებობს?

- ა) სარკინიგზო; ბ) საავიაციო; გ) ქალაქის-საზოგადოებრივი; დ) საჰაერო რკინიგზა.

4) ჩამოთვლილთაგან რომელი არ არის მსხლის ჯიში?

- ა) ხეჭეჭური; ბ) რენკლოდი; გ) ბერგამოტი; დ) გულაბი.

5) რა ეწოდება მხატვარს, რომელიც ცხოველების ხატვაში სპეციალიზირდება?

- ა) ბატალისტი; ბ) მარინისტი; გ) ანიმალისტი; დ) პეიზაჟისტი.

6) რომელი ითვლება მსოფლიოში ყველაზე დიდ ტბად?

- ა) კასპიის ზღვა; ბ) ვიქტორია; გ) მიჩიგანი; დ) ჰურონი.

7) ვინ იყო ფოტოგრაფიის ერთ-ერთი ფუძემდებელი?

- ა) ელისონი; ბ) ძმები ლუმიერები; გ) ლავერი; დ) ლომონოსოვი.

8) ვის აერთიანებს პენ-კლუბი?

- ა) მწერლებს; ბ) პენსიონერებს; გ) მუსიკოსებს; დ) პოლიციელებს.

9) რომელი დიდი მხატვარი ცხოვრობდა დიდხანს კუნძულ ტაიტიზე?

- ა) სეზანი; ბ) დეგა; გ) მატისი; დ) გოგენი.

10) დურუ ხუნჭუას „რეკორდის“ ჩებურ ვარიანტში ჰქვია:

- ა) ვაცლავ ლისიცი; ბ) ფრანტიშეკ პუდილი; გ) შტეფან როდიჩა; დ) იოზეფ მეტელიცა.

11) ნეცკე არის:

- ა) იაპონელი მწერალი; ბ) იაპონელების რელიგია; გ) იაპონური მინიატურა; დ) ჩაის სმის ცერემონიალი იაპონიაში.

12) რომელ საუკუნეში დაიყვან ქრისტიანები მართლმადიდებლებად და კათოლიკეებად?

- ა) X; ბ) XI; გ) IV; დ) VII.

13) რას უწოდებდნენ ძველად ილუზიონისტს?

- ა) აგალმოტოფილს; ბ) კონკისტადორს; გ) პრესტიჟიკატორს; დ) პარლამენტარს.

14) რას ნიშნავს გაერთიანებული მონღოლეთის (XIII ს.) მბრძანებლის ჩინგის ყაენის სახელი — ჩინგის ქართულად?

- ა) დიდ მბრძანებელს; ბ) მძლავრ ხელს; გ) ზეცით მოვლენილს; დ) მოქნეულ ხმალს.

15) რამდენი წლის ასაკიდან ენიჭებათ საარჩევნო უფლება მოქალაქეებს დანიაში?

- ა) 18; ბ) 19; გ) 20; დ) 21.

16) ლიტერატურული მოღვაწეობა ციხეში დაიწყო:

- ა) ო'ჰენრიმ; ბ) ჯერომ-ჯერომმა; გ) ჯონ აბლაიკმა; დ) უილიამ ფოლკნერმა.

(ა) 1-2 (ბ) 3-4 (გ) 5-6 (დ) 7-8 (ე) 9-10 (ვ) 11-12 (ზ) 13-14 (ი) 15-16

კვირის (3 - 9 სექტემბერი) ასტროლოგიური პროგნოზი

ქალწული - 24/VIII-23/IX



საოცარია, მაგრამ ფაქტია: სხვის პრობლემებს ადვილად უმკლავდებით, საკუთარი კი, ხშირად განზე გრჩებათ. ამ მხრივ, არც ეს კვირა იქნება გამონაკლისი: პრაქტიკულად შეუცვლელი იქნებით სამსახურში, შვილები უთქვენოდ ნაბიჯსაკ ვერ დგამენ, თქვენს საზრუნავს კი გარშემომყოფნი გულთან ახლოსაც არ გაიკარებენ. გამოიჩინეთ სულგრძელობა და მიუტევეთ მათ.

სასწორი - 24/IX-23/X



მშენებლების აღქმისადმი განსაკუთრებულ მიდრეკილებას იჩენთ. ამ კვირაში კი, კარგი მუსიკა, ლიტერატურა, ფერწერა ჩვეულებრივზე მეტად იმოქმედებს თქვენზე. არც ის არის გამორიცხვული, რომ საკუთარ თავშიც აღმოაჩინოთ შემოქმედებითი ნიჭი და შეიძლება, დამაძაბობით ლექსების წერაც კი დაიწყო.

ღრიანბალი - 24/X-22/XI



გამორიცხვული არ არის, რომ თქვენი სამსახური და პირადი ცხოვრება ერთმანეთთან წინააღმდეგობაში მოვა. რა არის უფრო მნიშვნელოვანი, ეს თქვენი გადასაწყვეტია, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში, რაღაც აუცილებლად უნდა შეცვალოთ, სხვაგვარად, უახლოეს მომავალში აღნიშნული პრობლემა კიდევ უფრო გამწვავდება.

მშვილდოსანი - 23/XI-21/XII



ახლობელ-მეგობრები დიდი ენერჯით მოჰკიდებენ ხელს თქვენი პრობლემების გადაჭრას. გარკვეული დოზით, ეს კარგიც იქნება, მაგრამ მაინც, ეცადეთ, ხელიდან არ გაუშვათ ინიციატივა, რადგან საბოლოოდ, სხვათა ჩარევა მაინც გაგირთულებთ საქმეს. ნუ დაგავიწყდებათ, რომ, ასეა თუ ისე, თქვენს პრობლემებში თქვენზე უკეთ მაინც ვერავინ გაერკვევა.

თხის რქა - 22/XII-20/I



ამ კვირის სიკეთე ის არის, რომ პრაქტიკულად ყველა ამოცანის გადაწყვეტას მოახერხებთ. უარყოფითი ფაქტორი კი - ის, რომ ყველაფერს მეტისმეტად განიცდით და გულთან ახლოს მიიჭანთ. შეეცადეთ, მიაგნოთ ბალანსს, რათა მეტისმეტი დაძაბულობისგან არ გადაიტვირთოთ და ჯანმრთელობასაც არ ავნოთ.

მერწყული - 21/I-19/II




მთელი სერიოზულობით უნდა ჩაუფიქრდეთ ერთ ძალზედ მნიშვნელოვან პრობლემას: ხშირად დიდი სხვაობაა მათ შორის, თუ როგორი ხართ სინამდვილეში და როგორ აღგვიქაძენ გარშემომყოფნი. გაითვალისწინეთ, რომ თქვენს მომავალ ცხოვრებაში ბევრი რამ სწორედ სხვათა შეხედულებებზე იქნება დამოკიდებული; დასკვნები თავად გამოიტანეთ.

თევზები - 20/II-20/III



შესაძლოა, ამ კვირაში არც ისე სასიამოვნო და, რაც მთავარია, თქვენთვის შეუფერებელი სამუშაოს შესრულება მოგიხდეთ. სამაგიეროდ, როცა მას შეასრულებთ, დიდ სიამოვნებასაც იგრძნობთ და იმასაც დაინახავთ, რომ გარშემომყოფნი მეტი პატივისცემითა და მოწიწებით გეპყრობიან.

მშვილდი - 21/III-20/IV



ძალიან გამოვადგებათ ადამიანი, რომელიც კარგ რჩევებს მოგცემთ - როგორც ცხოვრებისეულ, ისე სამართლებრივ საკითხებში, რადგან ძალზედ საბასუნისმებლო დღეები გელით: ბევრ საინტერესო სახალესაც გიქაძით და საკითხებისადმი სერიოზულ დამოკიდებულებასაც მოითხოვს თქვენგან. ყურადღება გამოიჩინეთ როგორც სამსახურებრივ, ასევე პირადული ხასიათის პრობლემების გადაჭრისას.

კურო - 21/IV-21/V



ელოდეთ სასიამოვნო მოულოდნელობას! უპირველეს ყოვლისა, ის თქვენს პირად ცხოვრებაში შეიძლება მოხდეს.

ქალ კუროს ახალი, თანაც შეძლებული თავყვანისმცემელი შეიძლება გაუჩნდეს, რაც შეეხებათ მამაკაცებს - თქვენ ძლიერთა ამა ქვეყნისათა წრესთან დაახლოება გელით.

მარსისი - 22/V-21/VI




ეს კვირა ადრე აღებულ ვალდებულებათა შესრულებას მიუძღვნით: დაასრულეთ საქმეები, რომელიც გაგიჭინაურდათ, მონახულეთ ხნიერი ნათესავები, ბოლოს და ბოლოს - გაასწორეთ ვალები! თუ ეს ყველაფერი მოახერხებთ, კვირის ბოლოსთვის ახალი იდეები გაგიჩნდებათ, რასაც ახალი პერსპექტივაც მოჰყვება.

მორჩხი - 22/VI-22/VII



არც საკუთარ თავს და არც გარშემომყოფთ ამ კვირაში არაფერს აპატიებთ: დაუნდობლად გააანალიზებთ ადრე დაშვებულ საკუთარ შეცდომებსაც, სხვას კი, ახლანდელზეც მყისიერად მიუთითებთ. მიუხედავად იმისა, რომ თქვენი კრიტიკა სავსებით სამართლიანი იქნება, მაინც გაფრთხილდით და მოერიდეთ კონფლიქტებს.

ლომი - 23/VII-23/VIII



მოულოდნელად, ძველი საოჯახო ფოტოალბომების გადაშლის სურვილი გაგიჩნდებათ, ხანში შესულ ნათესავებთან მათი სიყმაწვილის წლებზე საუბარიც სიამოვნებას მოგგვრით. ამისთვის დროს ნუ დაიშურებთ: ამგვარად, ახალი ენერჯითაც დაიმუხტებით და ამ ქვეყნად საკუთარ ადგილსაც უკეთ შეიგრძნობთ.

მხოლოდ ქალბატონისთვის

უპასუხეთ შეკითხვებს და სცადეთ გაარკვიოთ, გაქვთ თუ არა საოჯახო საქმეების გაძღოლის ნიჭი. ნუ მიუდგებით ტესტს ზედმეტი სერიოზულობით — უბრალოდ, გაერთეთ და გამოიტანეთ შესაბამისი დასკვნები.



როგორი რიასხლისი ხართ?

1) წარმოიდგინეთ, რომ ოჯახში არ გაქვთ მაცივარი, ტელევიზორი, სარეცხი მანქანა, ამავდროულად ასახლი პალტო გესაჭიროებათ. რას იყიდით პირველ რიგში?

- ა) მაცივარს - 30;
- ბ) ტელევიზორს - 5;
- გ) სარეცხ მანქანას - 20;
- დ) პალტოს - 10.

2) ხშირად ალაგებთ თუ არა ტანსაცმლის კარადას?

- ღიახ - 20;
- არა - 10.

3. გაქვთ თუ არა ჩვეულებად სახლის დალაგება კვირაში ერთხელ, ერთსა და იმავე დღეს?

- ღიახ - 20;
- არა - 5.

4) აქვს თუ არა ყველა ქვაბს, ტაფასა და ჭურჭელს თქვენს სამზარეულოში ერთი და იგივე

განსაზღვრული ადგილი?

- ღიახ - 25;
- არა - 5.

5) შეიძლება, რომ სტუმრებს ორი დღის წინ გამომცხვარი ღვეზლით გაუმასპინძლდეთ?

- ღიახ - 10;
- არა - 20.

6) განიჭებთ თუ არა სიამოვნებას საკუთარი ხელით მომზადებული სადილი?

- ღიახ - 15;
- არა - 6.

7) ბაზარში წასვლის წინ წინასწარ ადგენთ თუ არა, შესაძენი პროდუქტების სიას?

- ღიახ - 20;
- არა - 3.

8) გაქვთ თუ არა თქვენი „საფირმო კერძი“?

- ღიახ - 15;
- არა - 8.

9) გაქვთ თუ არა ჩვეულებად, ყურნალ-გაზეთებიდან კულინარიული რეცეპტების ამოჭრა და შენახვა?

- ღიახ - 12;
- არა - 6.

10) გეხმარებათ თუ არა ხანდახან ქმარი საოჯახო საქმეებში?

- ღიახ - 12;
- არა - 6.

11) სტუმრების მოსვლისთანავე გარბინართ თუ არა სამზარეულოში თადარიგის დასაჭერად?

- ღიახ - 8;
- არა - 20.

12) თვლით თუ არა, რომ მაცივარი თქვენს ოჯახში ყველაზე აუცილებელი და შეუცვლელი ნივთია?

- ღიახ - 4;
- არა - 16.

შეამოწმეთ შედეგები:

156 ქულაზე ნაკლები: სამწუხაროდ, ძალიან ცუდი მეოჯახე და დიასახლისი ხართ, დროის სწორად განაწილება არ გეხერხებათ.

156-185 ქულა: შრომისმოყვარე და ორგანიზებული ადამიანი ხართ, თქვენს სახლში ყოველ ნივთს განსაზღვრული ადგილი უკავია. თუ ოჯახში დროდადრო სიტუაცია

ირევა, ეს მხოლოდ თქვენი ოჯახის წევრების ბრალია: წესრიგს ისინიც უნდა მიაჩვიოთ, ყველაფრის საკუთარ თავზე აღება საჭირო არ არის. დაფიქრდით - საქმის გამოსწორება ჯერ კიდევ შესაძლებელია.

186 ქულა და მეტი: თქვენი სახლი იდეალურ მდგომარეობაშია! მუდამ რეცხვით, დასუფთავებით ან საჭმლის კეთებით ხართ დაკავებუ-

ლი, მაგრამ იცოდეთ: ქალი, რომელიც თავისი ცხოვრების ერთადერთ მიზანს საოჯახო საქმის კეთებაში ხედავს, კარგი დიასახლისის სახელს არ იმსახურებს. შეჩერდით! იატაკი სარკესავით ბზინავს, თქვენს სახლში მტვრის ნაწილაკიც არსად მოიძებნება. გაიხსენეთ, რომ ამ ქვეყნად არსებობს კინო, თეატრი, წიგნები და სხვა მრავალი საინტერესო რამ. ■

სიყვარული ცსს-ს ქსელში

აშშ-ის ამ მრისხანე უწყების კომპიუტერულ ქსელში ბოლო სუთი წელი არსებობდა საიდუმლო ჩატი, რომელიც საკმაოდ გულახდილ ინფორმაციას შეიცავდა, — პრესაში გაჟონილი ეს ინფორმაცია ამ დღეებში დაადასტურეს ცსს-ს ოფიციალურმა წარმომადგენლებმა. ჩატი სისტემის რამდენიმე ადმინისტრატორმა შექმნა და თანამშრომელთა ვიწრო წრისთვის იყო ხელმისაწვდომი. საინტერესოა, რომ მასში ხშირად ჩნდებოდა სექსუალური ხასიათის სუპრობა და კომენტარი, აგრეთვე — ხელმძღვანელობის მიმართ გამოთქმული შეურაცხყოფელი გამოთქმები. როგორც „ვაშინგტონ პოსტ“ იუწყება, მის მომხმარებელთა რიცხვი დაახლოებით 160-მდე აღწევს. ამჟამად მიმდინარეობს შიდა საუწყებო გამოძიება, რომელიც ალბათ ბევრ თანამშრომელს შეიწირავს. საინტერესოა, რომ ამ ჩატის შექმნის ინიციატივა ქალებისგან მოდიოდა, მათი ონაერული იდეა კი მამაკაცებმაც აიტაცეს. „ეს ადამიანები ძალიან კარგად ხვდებოდნენ, რომ ამგვარი ჩატის ცსს-ში არსებობა დაუშვებელია, მაგრამ როგორც ჩანს, მათ ეგონათ, რომ სისტემას მოატყუებდნენ. ისინი მწარედ შეცდნენ“, — განაცხადა აშშ-ის სადაზვერუო უწყების ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა, რომელსაც გაზეთი არ ასახელებს.



ადიბი ცულუხი მამაკაცებისთვის

სანკტ-პეტერბურგში ძალზედ ორიგინალური ჩანაფიქრი განახორციელეს. ყოფილი ინჟინრის თავაკაცობით შექმნილი ფირმა, რომელსაც „ადიბი-სააგენტო“ ჰქვია, თავის კლიენტებს, მეუღლეებისთვის უტყუარი ადიბის უზრუნველყოფას სთავაზობს. მაგალითად, თუ მამაკაცმა პაემანზე წასვლა გადაწყვიტა და ბუნებრივია, ოჯახში ამის გამხელა არ სურს, მას შეუძლია თქვას — საქმიანი შეხვედრა მაქვსო და ბიზნეს-ცენტრის ტელეფონის ნომერიც კი დაასახელოს. ერთგული მეუღლის ზარის შემთხვევაში, „ადიბი-სააგენტოს“ თავაზიანი თანამშრომელი უპასუხებს, რომ მამაკაცი მართლაც იქ არის, ოღონდ ახლა საქმიან პარტნიორებთან მოლაპარაკებით არის დაკავებული და გათავისუფლებისთანავე დარეკავს შინ... მომსახურება 15 დოლარი ღირს, მას კი, ვინც „მოლაპარაკებებს“ ხშირად მართავს, შეუძლია შეიძინოს შეღავათიანი აბონემენტი, რომელიც მთელი თვე ეყოფა და სულ 80 დოლარი დაუჯდება.

გამხელა არ სურს, მას შეუძლია თქვას — საქმიანი შეხვედრა მაქვსო და ბიზნეს-ცენტრის ტელეფონის ნომერიც კი დაასახელოს. ერთგული მეუღლის ზარის შემთხვევაში, „ადიბი-სააგენტოს“ თავაზიანი თანამშრომელი უპასუხებს, რომ მამაკაცი მართლაც იქ არის, ოღონდ ახლა საქმიან პარტნიორებთან მოლაპარაკებით არის დაკავებული და გათავისუფლებისთანავე დარეკავს შინ... მომსახურება 15 დოლარი ღირს, მას კი, ვინც „მოლაპარაკებებს“ ხშირად მართავს, შეუძლია შეიძინოს შეღავათიანი აბონემენტი, რომელიც მთელი თვე ეყოფა და სულ 80 დოლარი დაუჯდება.

ნეიხოქიხეგის უძველესი მაგალითი

გერმანელი არქეოლოგები ამტკიცებენ, რომ საუდის არაბეთის ტერიტორიაზე, შარჯის საამიროს დაბა ჯებელ ილ ბანში სულ ახლახან აღმოაჩინეს ქვის ხანის დროინდელი თავის ქალა, რომელსაც ტრეპანაციის აშკარა ნიშნები აქვს. მეცნიერები ამტკიცებენ, რომ ჩვ. წ. აღ-მდე 5000-4200 წლის წინ იქ მყოფ მომთაბარეებს ქვით არა მარტო ერთმანეთისთვის თავების გაჩეჩქვა, არამედ ნეიროქირურგიული ოპერაციის გაკეთებაც შეეძლოთ. ცხადია, ქირურგიული ხელსაწყოები მათ არ ჰქონიათ, მაგრამ ამის მაგივრობას წვეტიანი ქვები უწყევდნენ. თავდაპირველად ისინი კანს აცლიდნენ ავადმყოფს, შემდეგ კი, ძალიან ფრთხილად, თავის ქალის მარჯვენა მხარეს წვრილ ნახვრეტს აკეთებდნენ. არქეოლოგთა თქმით, უძველეს ადამიანს რაღაც ანესთეზიური მცენარე უხმარა. რაც მთავარია, მეცნიერებმა ძვლის ქსოვილის ზრდის კვალიც აღმოაჩინეს, რაც იმას ადასტურებს, რომ პაციენტმა ტრეპანაციის შემდეგ, სულ ცოტა, 2 წელიწადი მაინც იცოცხლა.



ქართული „გზა“ ახსნაღვს კონკრეტს „ორიგინალური რუბრიკა“

ნავისმირ შურნალისტს (არაშურნალისტსაც) შუაქლია წარმოადგინოს შურნალის გვირდის ან რუბრიკის ორიგინალური ვარიანტი. კონკურსში გაბარდვივაზუღვი უზრუნველყოფილი იქნებიან სტაბილური სასახურით (შესაძლებელია ერთდირადი ანაღვღურებაც). რუბრიკის იღვა და შინაარსი ბთხოვთ წარმოადგინოთ წერილოვით, რაღაშტინაში, ან გაბოგზავნოთ „კვირის პალიტრის“ („ნიტყვა და საჭმის“) საფოსტო ყუთავის საშუაღვით.

ინფორმაციისთვის დარეკეთ: 33-50-32

რედაქცია მადღობას მოახსენებს ყველას, ვინც ჩვენს განცხადებას გამოეზმავრა და ახალ წინადაღებებსაც მადღიერებით მიიღებს.

ფანტაზია • ფანტაზია • ფანტაზია • ფანტაზია

ჩვენი ჟურნალის წინა ნომერში შემოთავაზებული რუბრიკის — „ფანტაზიის“ პასუხად მკითხველთა მიერ გამოგზავნილი ქვითრების მიხედვით, გაიმარჯვეს ქალბატონმა ნანა დევედარიანმა და ბატონმა ვახტანგ რჩეულიშვილმა.

ვულოცავთ ქალბატონ ნანას და ბატონ ვახტანგს და ვუსურვებთ წარმატებებს!

ინავ ერთად მოლიპულ გზაზე

(მკითხველის გვარი, სახელი)

(ცნობილი პიროვნებები)

ამ რუბრიკით თქვენი წარმოსახვის გაგარჯიშებას გთავაზობთ. გაითვალისწინეთ ჩვენი კომენტარი და ფოტოზე აღბეჭდილ სახეს ის ცნობილი პიროვნება მოარგეთ, რომელიც ყველაზე მეტად მოუხდება. ჟურნალის შემდეგ ნომერში ფოტო იმ პიროვნების სახით გამოქვეყნდება, რომელიც ყველაზე მეტ ხმას დააგროვებს. გთხოვთ, შეავსოთ ქვითარი და პასუხები გამოგვიგზავნოთ, თბილისში განთავსებული „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ქვითარი ჩააგდეთ სამშაბათის (4 სექტემბრის) 13 საათამდე.



„ფანტაზია“
ისევ ერთად
მოღივულ გზაზე



„ფანტაზიორებს
გაითხვალე“
თავი გაგზრდია,
ალბათ ჭკუას?
მოგემატა...

653/30



გვ. 43

**მამაკაცებს მართლაც აქვთ
საფუძველი ზურღით
გაბრძელ ბატონობასი.
მსოფლიოს სვადანსვა
კუთხეში მსხოვრები გავრი
ქალისტვის ის საოცნებო მამაკაცია...**

